DOI: 10.36172/EKONOMISTI
p ISSN 1987-6890
e ISSN 2346-8432

ეკონომისტი
EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific –Analytical Journal

2

2023

ტომი – VOLUME

XIX

UDC33
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

ეკონომისტი
EKONOMISTI

2023

2

ტომი-VOLUME
XIX

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics
International Reviewed Scientific-Analytical Journal

EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

გამოდის 2009 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2016 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published scince January 2009 once in two months,
Scince 2016 - Quarterly
-

რედაქციის მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14;
ტელ.: 293 34 44; 599 970103.

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street,
tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103.

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
რამაზ აბესაძე **(მთავარი რედაქტორი),** იური ანანიაშვილი, გივი ბედიანაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, პაატა კოღუაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი (აკადემიკოსი), ვლადიმერ პაპავა (აკადემიკოსი), უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სულაბერიძე, მირიან ტუხაშვილი, თეიმურაზ შენგელია, მურმან ცარციძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები

ჯეფრი საქსი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს სპეციალური მრჩეველი), ფრენკ არაუჰო (პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, კალიფორნიის უნივერსიტეტი დევისი), ლარისა ბელინსკაია (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), სიმონე გუერჩინი (პროფესორი, ფლორენციის უნივერსიტეტი), ბარნი ერედია (პროფესორი, კალიფორნია, აშშ), ვოლფგანგ ვენგი (პროფესორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილეტი (პროფესორი, კლერმონტის უნივერსიტეტი), ელდარ ისმაილოვი (პროფესორი. ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), გინდრა კასნაუსკიენე (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), სტივენ კოენი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი), ვლადიმერ მენშიკოვი (პროფესორი, დაუგავილის უნივერსიტეტი, ლატვია), სლავომირ პარტიცკი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), გალინა სავინა (პროფესორი, ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პროფესორი, პეპერდაინის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი), ადამ ნიუმენ ტიორნერი (პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი, ლესტერი, დიდი ბრიტანეთი)

მთავარი რედაქტორის თანაშემწე – ეკონომიკის დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**

პასუხისმგებელი მდივანი – ეკონომიკის დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**

SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Doctors of economics, Professors:

Ramaz Abesadze (**Editor-in-chief),** Yuri Ananiashvili, Givi Bedianashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Revaz Gogokhia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti, Revaz Kakulia, Eter Kharaishvili, Paata Koghuashvili, Murman Kvaratskhelia, Temur Kandelaki, Elguja Mekvabishvili, Vladimer Papava (academician), Solomon Pavliashvili (academician), Ushangi Samadashvili, Teimuraz Shengelia, Avtandil Silagadze (academician), Avtandil Sulaberidze, Murman Tsartsidze, Mirian Tukhashvili.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Jeffrey D. Sachs (Professor at Columbia University, UN Special Adviser), Frank P . Araujo (Professor, University California at Berkeley, University California at Davis), Larisa Belinskaia (Professor, Vilnius University), Steven Cohen (Professor, Columbia University,), Barney Eredia (Professor, President at Educational Consortium Institute at Aptos), Ruslan Grinberg (Corresponding member of RAS), Simone Guercini (Professor, University of Florence), Eldar Ismailov (Professor, Baku Institute of Social Management and Political Science), Gindra Kasnauskiene (Professor, Vilnius University), Vladimir Menshikov (Professor, Daugavpils University, Latvia), Slavomir Partycki (Professor, The John Paul II Catholic University of Lublin), Galina Savina (Professor, Kharkiv Technical University), Darrol J. Stanley (Professor, University of Pepperdine), Oleksiy Stupnitskyy (Professor, Taras Shevchenko National University of Kyiv), Adam Newman Turner (Professor of Management at Leicester University), Wolfgang Weng (Professor, Technical University of Berlin), Thomas D. Willett (Professor, Claremont Graduate University).

Assistant Editor-in-chief – Doctors of economics **Mamuka Khuskivadze**

Executive Secretary – Doctors of economics **Tea lazarashvili**

НАУЧНО-РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Доктора экономических наук, Профессора:

Рамаз Абесадзе (**главный редактор**), Юрий Ананиашвили, Гиви Бедианашвили, Теймураз Беридзе, Георгий Берулава, Вахтанг Бурдули, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия, Михаил Джибути, Реваз Какулия, Темур Канделаки, Мурман Кварацхелия, Паата Когуашвили, Элгуджа Меквабишвили, Владимир Папава (академик), Соломон Павлиашвили (академик), Ушанги Самадашвили, Теймураз Шенгелия, Автандил Силагадзе (академик), Автандил Сулаберидзе, Мириан Тухашвили, Мурман Царцидзе, Этер Хараишвили, Нодар Читанава.

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ НАУЧНО-РЕДАКЦИОННОГО СОВЕТА

Джеффри Д. Сакс (профессор, Колумбийский университет, Специальный советник ООН), Франк П. Арауджо (профессор, Калифорнийский университет в Беркли, Калифорнийский университет в Дэвисе), Лариса Белинская (профессор, Вильнюсский университет), Стивен Коэн (профессор, Колумбийский университет, Нью-Йорк, США), Барни Эредиа (профессор, Калифорния, США), Руслан Гринберг (Член-корреспондент РАН), Симоне Гуерчини (профессор, Университета Флоренции), Эльдар Исмаилов (профессор, Бакинский институт социального управления и политологии), Гиндра Каснаускене (профессор, Вильнюсский университет), Владимир Меньшиков (Профессор, Даугавпилсский университет, Латвия), Славомир Партицкий (профессор, Люблинский католический университет Иоанна Павла II), Галина Савина (профессор, Харьковский технический университет), Даррол Дж. Стэнли (профессор, Университет Пеппердайна), Алексей Юступницкий (профессор, Киевский национальний университ имени Тараса Шевченко), Адам Ньюман Тернер (профессор, Лестерский университет), Вольфганг Венг (профессор, Технический университет Берлина), Томас Д. Виллетт (профессор, Университет Клермонта).

Памощник главного редактора - доктор економики **Мамука Хускивадзе**

Ответственный секретарь - доктор экономики **Теа Лазарашвили**

ს ა რ ჩ ე ვ ი - C O N T E N T S

გლობალიზაცია – GLOBALIZACION

Asif Mirlazim Mustafayev, Tariyel Musallim Qurbanov – Problems of ensuring sustainable economic development on a global scale **8**

ასიფ მირლაზიმ მუსტაფაევი,ტარიელ მუსალიმ ყურბანოვი – გლობალური მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის პრობლემები **14**

ენერგეტიკა - POWER SYSTEM

ზურაბ გარაყანიძე– საქართველოს გაზის ჰაბად გადაქცევის პერსპექტივა **15**
Zurab Garakanidze – The prospect of turning Georgia into a gas hub (Expanded Summary) **24**

ვლადიმერ ბასარია – გეოეკონომიკის როლი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში **28**
Vladimer Basaria – The role of geoeconomics in ensuring national security (Expanded Summary) **35**

შრომითი რესურსების მართვა - LABOUR RESOURCE MANAGEMENT

მურმან ცარციძე – მინიმალური ხელფასის განსაზღვრისა და რეგულირების თავისებურებანი განვითარებულ ქვეყნებში **37**
Murman Tsartsidze – Peculiarities of setting and regulating the minimum wage in developed countries (Expanded Summary) **54**

თამილა არნანია-კეპულაძე, გიორგი კეპულაძე – ეკონომიკის დოქტორები შრომის ბაზარზე: საერთაშორისო გამოცდილება **56**
Tamila Arnania-Kepuladze, Giorgi Kepuladze – Doctors of Economics in the Labor Market: International Experience (Expanded Summary) **64**

ბესარიონ სიორდია, მირონ ტულუში – სასწავლო მიგრაციიდან დაბრუნებულთა კვლევა საქართველოში **66**
Besarion Siordia, Miron Tugushi – Study of returnees from educational migration in Georgia (Expanded Summary) **76**

მურთაზ კვირკვაია, მოგელი შენგელია – დასაქმების ახალი ფორმები შრომის ბაზარზე **78**
Murtaz Kvirkvaia, Mogeli Shengelia – New forms of employment in the labor market (Expanded Summary) **84**

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

თენგიზ ვერულავა, ქეთევან ომანაძე, თეა ლაზარაშვილი – ჰოსპიტალური სერვისების ანტიკრიზისული მართვის გამოწვევები საქართველოში **86**
Tengiz Verulava, Ketevan Omanadze, Tea Lazarashvili – Hospital Health Care Anti-Crisis Management Issues in Georgia (Expanded Summary) **102**

ეკონომეტრიკა – ECONOMETRICS

ლია თოთლაძე – ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენის მოდელირება **104**
Lia Totladze – Modeling the Impact of Urbanization on Income Distribution (Expanded Summary) **112**

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

გოჩა უგულავა – მაკროეკონომიკურ პროგნოზირებაში დეტერმინირებულობისა და სტოქასტურობის საკითხისათვის **116**
Gocha Ugulava – For the Issue of Determinacy and Stochasticity in Macroeconomic Forecasting (Expanded Summary) **126**

დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

ავთანდილ ლილუაშვილი – საპენსიო სისტემისა და დაგროვებითი პენსიის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის კვლევა, რეალური რისკების იდენტიფიცირება და შეფასება **127**
Avtandil Liluashvili – Research on the awareness of the population about the pension system and cumulative pension, identification and assessment of real risks (Expanded Summary) **141**

ლელა ირემაძე – ქართველი „HR პროფესიონალების" თვითშეფასება და მათი გამოწვევები პროფესიულ საქმიანობაში **143**
Lela Iremadze – Self-evaluation of Georgian "HR professionals" and their challenges in professional activity (Expanded Summary) **149**

გლობალიზაცია – GLOBALIZACION

Asif Mirlazim Mustafayev,
phd, associate professor,
The Ministry of Science and Education of the Republic of Azerbaijan
Leading researcher at the Institute of Economics
Baku, Azerbaijan
Tariyel Musallim Qurbanov,
phd, associate professor,
The Ministry of Science and Education of the Republic of Azerbaijan
Leading researcher at the Institute of Economics
Baku, Azerbaijan

PROBLEMS OF ENSURING SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT ON A GLOBAL SCALE

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.MUSTAFAYEV.GURBANOV

Annotation. *The presented article examines modern problems of sustainable economic development. It was noted that ensuring sustainable economic development is a complex process and also arises as a problem sensitive to the impact of national and global characteristics. The article specifically examines the damage caused by the Russian-Ukrainian conflict to economic development at the global level, countries that are better able to provide sustainable economic development, and the situation of its provision in Azerbaijan.*

Indicators characterizing sustainable economic development in Azerbaijan were also noted and economic steps taken in this direction were evaluated.

Key words: *sustainable economic development, Russian-Ukrainian conflict, Azerbaijan, index, energy prices, etc.*

İntroduction

Sustainable economic development refers to a form of economic growth that meets the needs of the present without compromising the ability of future generations to meet their own needs. The theoretical and methodological base of sustainable economic development is grounded in several disciplines, including economics, ecology, sociology, and political science.

The economic perspective of sustainable economic development focuses on the long-term economic benefits of sustainable development, including the preservation of natural resources, the promotion of environmental sustainability, and the reduction of poverty and inequality. From this perspective, sustainable development is seen as an opportunity for economic growth and development that is environmentally and socially responsible.

The ecological perspective of sustainable economic development recognizes that economic development occurs within the context of the natural environment. It emphasizes the need to protect natural resources, ecosystems, and biodiversity in order to maintain the ecological balance that supports human life and economic development.

The social perspective of sustainable economic development emphasizes the need to promote social justice, reduce poverty and inequality, and ensure that economic development

benefits all members of society. This perspective recognizes that economic development is not an end in itself, but rather a means to achieve social and environmental objectives.

Methodologically, sustainable economic development involves the use of a range of tools and approaches, including environmental impact assessments, life cycle assessments, and sustainability reporting. These tools are used to assess the social, economic, and environmental impacts of economic activities and to identify opportunities for sustainable development.

In summary, the theoretical and methodological base of sustainable economic development is multifaceted, drawing on a range of disciplines and approaches. It emphasizes the need to balance economic growth, environmental protection, and social justice in order to achieve long-term sustainable development.

Main part

There are several ways to measure sustainable economic development, and the leading countries may vary depending on the indicators and methodologies used. However, some commonly used indicators to assess sustainable economic development include renewable energy use, environmental performance, and social progress.

According to the Global Sustainable Competitiveness Index 2021, which assesses the sustainable competitiveness of countries based on economic, environmental, and social indicators, the top 10 countries in terms of sustainable economic development are:

1. Sweden
2. Denmark
3. Finland
4. Austria
5. Germany
6. Norway
7. Iceland
8. Slovenia
9. Switzerland

10 Netherlands [2]

Another index that assesses sustainable development is the Environmental Performance Index (EPI), which ranks countries based on their environmental performance in areas such as air quality, water and sanitation, and biodiversity and habitat conservation. According to the EPI 2020 rankings, the top 10 countries in terms of environmental performance are:

1. Denmark
2. Luxembourg
3. Switzerland
4. United Kingdom
5. France
6. Austria
7. Finland
8. Sweden
9. Norway
10. Germany [1]

It's worth noting that these rankings are not definitive and may change depending on the indicators and methodologies used. However, they do provide a general idea of the countries that are leading in terms of sustainable economic development.

There are several factors that can negatively affect sustainable economic development at the global level. Some of these factors are discussed below, along with relevant sources of literature:

1. Climate change: Climate change is a major global challenge that poses a threat to sustainable economic development by affecting agriculture, water resources, biodiversity, and public health. Climate change is caused by greenhouse gas emissions, which are primarily generated by human activities such as burning fossil fuels and deforestation. [3, p. 9].
2. Natural resource depletion: The depletion of natural resources, such as forests, fisheries, and minerals, can negatively impact sustainable economic development by reducing the availability of resources needed for economic growth and development. This can also lead to environmental degradation and biodiversity loss. [4, p. 4].
3. Poverty and inequality: Poverty and inequality can limit access to resources and opportunities needed for sustainable economic development, such as education, healthcare, and infrastructure. This can also lead to social unrest and political instability, which can further hinder sustainable economic development. [5, p. 5].
4. Political instability: Political instability and conflicts can negatively affect sustainable economic development by disrupting trade, investment, and infrastructure development. They can also create a climate of uncertainty and fear, which can deter foreign investment and damage local economies. [6, p. 19].
5. Lack of institutional capacity: Weak institutional capacity can hinder sustainable economic development by reducing the ability of governments and other stakeholders to implement policies and programs effectively. This can lead to corruption, inefficiency, and lack of accountability, which can undermine public trust and hinder sustainable economic development. [7, p. 3].

The Russian-Ukrainian war, which began in 2022, has had several impacts on global economic development. Some of the key impacts are discussed below:

1. Trade disruptions: The conflict has led to disruptions in trade between Russia and Ukraine, as well as with other countries in the region. This has had a negative impact on the economies of both Russia and Ukraine, as well as on other countries that rely on trade with these countries.
2. Energy prices: Russia is a major producer of oil and natural gas, and the conflict has led to concerns about the security of energy supplies to Europe. This has led to fluctuations in energy prices, which can have a significant impact on global economic development.
3. Sanctions: In response to the conflict, the United States and the European Union have imposed sanctions on Russia, including restrictions on trade and financial transactions. These sanctions have had a negative impact on the Russian economy, as well as on companies and individuals doing business with Russia.
4. Migration: The conflict has led to a significant number of people being displaced from their homes, both within Ukraine and to other countries. This has had a humanitarian impact, as well as economic impacts, as displaced people may require assistance and resources from the countries they move to.
5. Investment: The conflict has created a climate of uncertainty and instability, which can deter foreign investment in the region. This can have a negative impact on eco-

nomic development, as foreign investment can bring capital, expertise, and technology to a region [8].

Overall, the Russian-Ukrainian war has had a negative impact on global economic development, particularly in the region of Eastern Europe. The conflict has led to disruptions in trade, energy prices, and investment, as well as humanitarian impacts such as displacement and loss of life.

Azerbaijan has made significant progress in ensuring sustainable economic development over the past decade. The country has a well-developed energy sector, which has enabled it to achieve strong economic growth and reduce poverty. Azerbaijan has also made significant investments in infrastructure, including transportation and telecommunications, which have helped to promote economic development and improve living standards.

One of the key challenges that Azerbaijan faces in ensuring sustainable economic development is diversifying its economy. While the energy sector has been a major driver of economic growth, it has also led to a dependence on oil and gas exports, leaving the economy vulnerable to fluctuations in global energy prices. To address this, the government has implemented a series of economic diversification initiatives, including promoting non-oil sectors, such as agriculture, tourism, and manufacturing [9].

Another challenge is ensuring inclusive economic development. Despite the country's economic growth, there are still significant disparities in wealth and opportunities, particularly between urban and rural areas. The government has implemented a range of social welfare programs and initiatives aimed at reducing poverty and promoting social inclusion, but more needs to be done to ensure that economic growth benefits all segments of the population.

There are also concerns about environmental sustainability, particularly in relation to the impact of the energy sector on the environment. The government has taken steps to address these concerns, including investing in renewable energy and implementing environmental regulations, but there is still more work to be done in this area.

Overall, Azerbaijan has made significant progress in ensuring sustainable economic development, but there are still challenges to be addressed. The government's continued focus on economic diversification, social inclusion, and environmental sustainability will be critical in ensuring long-term economic development that benefits all citizens.

There are several concrete indicators that reflect sustainable economic development in Azerbaijan. Some of the key indicators are:

1. Gross Domestic Product (GDP): GDP is a measure of the value of all goods and services produced in a country in a given period. Azerbaijan has experienced strong economic growth over the past decade, with an average GDP growth rate of 4.8% per year between 2011 and 2020. In 2020, Azerbaijan's GDP was estimated to be $45.7 billion. [13].

2. Poverty rate: The poverty rate is the percentage of the population living below the poverty line. Azerbaijan has made significant progress in reducing poverty over the past decade, with the poverty rate declining from 49% in 2008 to 4.8% in 2020. [13].

3. Human Development Index (HDI): The HDI is a composite measure of a country's economic and social development, including measures of income, education, and health. Azerbaijan's HDI value has increased steadily over the past decade, from 0.716 in 2011 to 0.756 in 2019, indicating an improvement in the country's overall development [10].

4. Inflation rate: Inflation is a measure of the rate of increase in the prices of goods and services over time. Azerbaijan has maintained relatively low inflation rates over the past decade, with an average annual inflation rate of 4.1% between 2011 and 2020. [12].

5. Employment rate: The employment rate is the percentage of the working-age population that is employed. Azerbaijan has maintained a relatively high employment rate, with an average employment rate of 60.7% between 2011 and 2020. [11].

6. Environmental sustainability: There are various indicators that reflect environmental sustainability in Azerbaijan, including air and water quality, renewable energy use, and forest cover. Azerbaijan has made progress in some of these areas, such as increasing its use of renewable energy, but there is still room for improvement in others.

Overall, these indicators demonstrate that Azerbaijan has made significant progress in achieving sustainable economic development over the past decade. However, there is still more work to be done to ensure that economic growth is inclusive, environmentally sustainable, and resilient to external shocks.

The result

To ensure sustainable economic development, developing countries need to take several steps. Here are some key actions that can be taken:

1. Promote inclusive growth: Developing countries should strive to promote inclusive growth that benefits all segments of society. This can be achieved by investing in education and skills development, promoting gender equality, and supporting small and medium-sized enterprises.

2. Embrace green technologies: Developing countries should embrace green technologies and sustainable practices to reduce their carbon footprint and promote sustainable economic growth. This can include investing in renewable energy, promoting sustainable agriculture practices, and implementing green transportation systems.

3. Promote international trade: Developing countries should promote international trade by participating in regional and global trade agreements. This can help to increase exports, create jobs, and promote economic growth.

4. Strengthen institutions: Developing countries should strengthen their institutions to promote good governance, transparency, and accountability. This can help to create an environment that is conducive to sustainable economic growth.

5. Foster innovation: Developing countries should foster innovation by investing in research and development, promoting entrepreneurship, and creating a supportive business environment. This can help to drive economic growth and create new opportunities for development [3].

Overall, these actions can help developing countries to achieve sustainable economic development and improve the well-being of their citizens. However, achieving sustainable economic development is a complex process that requires the cooperation of governments, businesses, civil society organizations, and international partners.

Literature

1. United Nations Conference on Trade and Development. (2020). Trade and Environment Review 2020: Towards a Sustainable Future.
2. International Institute for Sustainable Development. (2019). SDG Knowledge Hub.

World Economic Forum. (2021). The Global Competitiveness Report.

3. United Nations Development Programme, 2019. Sustainable Development Goals. Retrieved from http://www.undp.org/content/undp/en/home/sustainable-development-goals.html
4. Organisation for Economic Co-operation and Development, 2019. Sustainable Economic Development.
5. World Bank, 2020. Sustainable Development.
6. United Nations Conference on Trade and Development, 2018. Towards a Sustainable Future.
7. European Commission, 2020. Sustainable Development Goals.
8. International Monetary Fund. (2022). Regional Economic Issues - Europe. Retrieved from https://www.imf.org/en/Publications/REO/eur/Issues/2022/02/23/regional-economic-issues-europe-update-spring-2022
9. United Nations Development Programme. (2021). Azerbaijan. Retrieved from https://www.undp.org/content/undp/en/home/countryinfo/Azerbaijan.html
10. United Nations Development Program. (2020). 2020 Human Development Report. Removed http://hdr.undp.org/en/content/2020-human-development-index-ranking
11. World Bank. (2022). Azerbaijan. Removed https://www.worldbank.org/en/country/azerbaijan
12. International Monetary Fund. (2021). Azerbaijan: personnel report for Article IV consultations in 2021. Removed https://www.imf.org/en/publications/cr/ıssues/2021/02/08/azerbaijan-staff-report-for-the-2021-article-ıv-consultation-50139
13. World Bank. (2022). Azerbaijan. Removed https://www.worldbank.org/en/country/azerbaijan

ასიფ მირლაზიმ მუსტაფაევი,
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო
ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი
ბაქო, აზერბაიჯანი;
ტარიელ მუსალიმ ყურბანოვი,
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო
ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი
ბაქო, აზერბაიჯანი

გლობალური მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის პრობლემები

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განიხილაულია მდგრადი ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრობლემები. აღინიშნულია, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა რთული პროცესია და ასევე პრობლემაა, რომელიც მგრძნობიარეა ეროვნული და გლობალური მახასიათებლების გავლენის მიმართ. სტატიაში კონკრეტულად განიხილულია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით მიყენებული ზიანი ეკონომიკურ განვითარებაზე გლობალურ დონეზე, აგრეთვე ქვეყნები, რომლებსაც უკეთ შეუძლიათ მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და აზერბაიჯანში, მისი უზრუნველყოფის მდგომარეობა.

ასევე განხილულია აზერბაიჯანის მდგრადი ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელი ინდიკატორები და შეფასებულია ამ მიმართულებით გადადგმული ეკონომიკური ნაბიჯები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, აზერბაიჯანი, ინდექსი, ენერგიის ფასები და ა.შ.

ენერგეტიკა - POWER SYSTEM

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკის დოქტორი, დ. აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს გაზის ჰაბად გადაქცევის პერსპექტივა

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.ZURAB.GARAKANIDZE

ანოტაცია. *საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კასპიის ნახშირწყალბადებით მდიდარი რეგიონის ათვისებამ, რაც ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახდა. გაიზარდა ინტერესი საქრთველოს მიმართ და დაიწყო ნავთობისა და გაზის ევროპაში ტრანსპორტირების თანამედროვე ინფრასტუქტურის ფორმირება. გაზის მიღების გზების დივერისიფიკაცია და ბუნებრივი გაზის დამატებითი მოცულობების მიღება დღეს ევროპის ქვეყნებისათვის ძალზე აქტუალური საკითხია.*

2022 წლის თებერვალში, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა ევროპის გაზით მომარაგება. ევროპას ენერგეტიკული კრიზისის საფრთხე დაემუქრა. ამიტომაა, რომ მიწისქვეშა გაზსაცავებში საჭირო რაოდენობის მარაგების შექმნა და გაზის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების ქვაკუთხედადაა აღიარებული. ამ სქემებში აშკარად იკვეთება თურქეთის ამბიცია - ის ხომ ე. წ. ევროკავშირის გაზმომარაგების მესამე და მეოთხე დერეფნების მთავარი რგოლია. ამიტომ ამ ქვეყნის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა გაზით ვაჭრობაში არა მარტო ტრანზიტული, არამედ ე.წ. ჰაბის ფუნქციის შესრულებაც, რაც უბრალო სატრანზიტო რგოლის გარდა გაზის შენახვის, მისი განაწილების, ასევე საბითუმო და „სპოტ-ვაჭრობის" ცენტრის, და რაც მთავარია, გაზით ვაჭრობისას რეგიონალური ფასწარმომქმნელის ფუნქციის შეთავსებასაც გულისხმობს.

პრობლემის კვლევებისას გამოყენებულია BP Statistical Review of World Energy, Shell LNG Outlook, Global Voice of Gas ISSUE 01-ის და მსგავსი ყოველწლიური გამოცემების მასალები. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგია ეფუძნება ისეთი კვლევის მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება და ფაქტების შეგროვება, მოდელირება, შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი და სხვა.

არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ავტორს მოცემული აქვს შემდეგი დასკვნები: გაზის საზღვაო გადაზიდვის ტექნოლოგიების ეკონომიკური შედარების არსებული მეთოდები შემუშავებულია კონკრეტული რეგიონებისათვის და ითვალისწინებს მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ თავისებურებებს. წყაროების ანალიზით ავტორი დაასკვნის, რომ შავი ზღვის რეგიონისათვის ასეთი კვლევები არ ჩატარებულა; ბუნებრივი გაზის შავ ზღვაზე ტრანსპორტირების ტექნოლოგიების ეკონომიკური შედარების მეთოდი უნდა დაეფუძნოს ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე გამოცდილებას. კერძოდ, ეკონომიკური მოდელის ფორმირების პროცესში აუცილებელია ცალკეული ტრანსპორტირების ტექნოლო-

გიების შეფასების დროს და საექსპლოატაციო დანახარჯებთან ერთად კაპიტალური დანახარჯების გათვალისწინება; ბუნებრივი გაზის შავ ზღვაზე ტრანსპორტირების ტექნოლოგიების ეკონომიკური შედარების მეთოდი უნდა ითვალისწინებდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობას და ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს; ევროპის ქვეყნების გაზით მომარაგების საუკეთესო გამოცდილება გვიჩვენებს მიწიქვეშა გაზსაცავებისა და გაზის მიწოდების ტექნოლოგიების შერწყმის ეფექტურობას. ავტორს მიაჩნია, რომ მიწოდების ტექნოლოგიების ლიტერატურაში განხილულ ეკონომიკურ ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნას ასეთი ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯები.

ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იმ რისკების განსაზღვრის აუცილებლობის დასაბუთება, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოზე გამავალი ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" და რეგაზაცია/დეგაზაციის ტექნოლოგიების განვითარებას შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე. ევროკავშირი-აშშ-თურქეთის დღევანდელი დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ნაკლებად სავარაუდო იქნება, რომ უახლოეს წლებში ვაშინგტონმა და ბრიუსელმა მხარი დაუჭირონ თურქეთის კასპიური გაზის მონოპოლიურ ჰაბად ჩამოყალიბების იდეას და შეეცდებიან ევროპისკენ გაზის ნაკადების დივერსიფიკაციას.

როგორც სტატიაში განხილული პროცესებიდან ჩანს, თურქეთის კასპიური გაზის ჰაბად ჩამოყალიბებას, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან სერიოზული პრობლემები აქვს. ამიტომ სავარაუდოდ, ევროკავშირი მეტ ძალისხმევას მიმართავს არა თურქეთის ე.წ. ჰაბის განვითარებაზე, არამედ ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე, რაც საქართველოს ენერგეტიკული სტარტეგიის შემუშავებისას უნდა იქნას გათვალისწინებული.

საკვანძო სიტყვები: *ენერგეტიკული უსაფრთხოება, გაზის ჰაბი, მიწისქვეშა გაზსაცავები, ევროკავშირის პროექტები, კასპიისპირეთის საბადოები, დეგაზაცია, რეგაზაცია, შავი ზღვის რეგიონი.*

შესავალი

ევროკავშირს ბუნებრივი აირით ოთხი მოქმედი „დერეფანი" ამარაგებს: პირველია ე.წ. „ჩრდილოეთის ზღვის" მარშრუტი (ჰოლანდია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი); მეორე - ჩრდილოეთ აფრიკის "დერეფანი" ტუნისისა და ალჟირის სამი წყალქვეშა გაზსადენით; მესამეა - რუსეთიდან ბელარუსის, ბალკანეთის, 2023 წლამდე - უკრაინის და თურქეთის გაზსადენები და მეოთხე - სამხრეთ კავკასიის, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით, ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემავალი გაზსადენები. ამ სქემებში აშკარად იკვეთება თურქეთის ამბიცია - ის ხომ მესამე და მეოთხე დერეფნების მთავარი რგოლია. ამიტომ ამ ქვეყნის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა გაზით ვაჭრობაში არა მარტო ტრანზიტული, არამედ ე.წ. ჰაბის ფუნქციის შესრულებაც, რაც უბრალო სატრანზიტო რგოლის გარდა გაზის შენახვის, მისი განაწილების, ასევე საბითუმო და „სპოტ-ვაჭრობის" ცენტრის, და რაც მთავარია, გაზით ვაჭრობისას რეგიონალური ფასწარმომქმნელის ფუნქციის შეთავსებასაც გულისხმობს. ცენტრალურ ევროპაში ამ ფუნქციას ავსტრიის დედაქალაქ ვენასთან არსებული ჰაბი - „ბაუმგარტენი" ასრულებს. თურქეთი დიდი ხანია ოცნებობს, რომ ის სამხრეთ

ევროპისთვის არა მხოლოდ გაზის სატრანზიტო მარშრუტი, არამედ ე.წ. ჰაბიც გახდეს.

თურქეთის ამბიციების საფუძველი

თურქეთი ბუნებრივ აირს ძირითადად მილსადენებით იღებს. ქვეყანაში გაზი შედის ირანიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. ამასთან, თურქეთი გარკვეულწილად თხევად ბუნებრივ აირზეცაა (LNG) დამოკიდებული, რომელიც იმპორტირებულია ყატარიდან, აშშ-დან და გამოიყენება შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. თურქეთში 2019 წელს იმპორტირებული გაზის საბაჟო გადასახადმა შეადგინა 41 მილიარდი დოლარი, დაახლოებით 45 მილიარდ კუბ. მეტრზე (bcm), ანუ 1,6 ტრილიონ კუბ. ფუტზე (tcf) [1]. ქვეყანა სტრატეგიულად არის პოზიციონირებული, როგორც სატრანზიტო კვანძი რეგიონთაშორისი მილსადენებით, რომლებიც ატარებენ ნახშირწყალბადებს კასპიის რეგიონიდან ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანამდე (ნავთობი) და მცირე რაოდენობის გაზს, დარდანელის გავლით, ევროპის ქსელში. გარდა ამისა, რუსული გაზი შავი ზღვის გავლით შედის თურქეთში 2020 წლის იანვრიდან „თურქული ნაკადის" მილსადენით, რომელიც ამარაგებს სამხრეთ ევროპის ბაზრებს. 1997 წელს რუსეთმა და თურქეთმა ასევე დაიწყეს „ცისფერი ნაკადის" მილსადენის მშენებლობა, რომელიც 2003 წლის დასაწყისში დასრულდა და რუსული გაზით უზრუნველყო აღმოსავლეთ თურქეთის ბაზარი.

ამასთან, თურქეთს აქვს თხევადი გაზის (LNG) მიმღები 3 მოქმედი ტერმინალი - ერთი მარმარა ერეგლისში და ორი - ალიაგაში. ალიაგა მდებარეობს იზმირში, ანატოლიის დასავლეთში, ხოლო მარმარა ერეგლისი, - სტამბოლის დასავლეთით.

საინტერესოა, რომ თურქეთი უკვე ერთ წელიწადში 40 მილიარდ კუბ. მეტრ საკუთარ გაზსაც აწარმოებს და მალე ქვეყანა გაზის ტრანზიტორთან ერთად, გაზის ექსპორტიორიც გახდება. თურქეთს სურს პოზიციონირება მოახდინოს რაგიონში, როგორც ბუნებრივი გაზის ძირითადმა ექსპორტიორმა შავი ზღვის „საკარიას" ოფშორული გაზის საბადოს საშუალებით. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ფატიჰ დონმეზმა TRT TV-სთან ინტერვიუში 2023 წლის 19 მარტს განაცხადა [2]. ფაქტიურად, ამ ამბიციური გეგმების განხორციელებით, თურქეთი უკვე სერიოზულ განაცხადს გააკეთებს შავი ზღვის რეგიონულ გაზის ჰაბად გადაქცევაზე. „ახლა გვაქვს ჩვენი საკუთარი გაზი. ჩვენ მოვიხმართ დაახლოებით 55-60 მლრდ კუბ.მ. გაზს წლიურად. შეიძლება ჩვენ მალე გვქონდეს 100 მლრდ კუბ.მ აირი და, თუ ეს ყველაფერი სწორად დავგეგმეთ, გვექნება 40 მილიარდი კუბ.მ. გაზი საექსპორტოდ", - განაცხადა მინისტრმა [2].

თურქეთი ტრადიციულად გაზის ტრანზიტორია, რომელიც აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან აწვდის აირს. მაგრამ ფ. დონმეზმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ტრანზიტული მარშრუტი. „ეს იქნება ქვეყანა, სადაც იქნება გაზის საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი და ერთი წლის განმავლობაში იგეგმება მისი შექმნა", - განაცხადა მან [2].

„საკარია"აღმოაჩინა თურქეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანია TPAO-მ 2020 წლის აგვისტოში. თავდაპირველად 320 მილიარდი კუბ. მეტრი დაზვერილი აირის მარაგების მქონე საბადო, უკვე ორი თვის შემდეგ 405 მლრდ. კუბ. მ-მდე დამტკიცებულ საბადოდ დაფიქსირდა. 2021 წლის ივნისში კომპანიამ

გამოაცხადა, რომ აღმოაჩინა კიდევ 135 მლრდ. კუბ. მ მარაგის „ასმარა-1" საბადო, რომელიც „საკარიასთან" ერთად 540 მლრდ. კუბ. მეტრ გაზს შეადგენს.

ამავდროულად, რუსეთი მიმართავს თურქეთს, როგორც დამატებითი გაზის მიწოდების პოტენციურ წყაროს ევროპაში, ვინაიდან არ არსებობს „ჩრდილოეთის ნაკადის" აფეთქებას გადარჩენილი ერთადერთი მილის აღდგენის საშუალება. მოსკოვმა შესთავაზა ანკარას „თურქული ნაკადის" მილსადენის სიმძლავრის გაზრდა წელიწადში 62 მილიარდ კუბ. მეტრამდე. თუმცა გასარკვევია, რამდენად თანახმა იქნებიან გაზის ევროპელი მყიდველები გააგრძელონ რუსული გაზის მოხმარება უახლოეს წლებში.

იმავდროულად, თურქეთი აპირებს გაზარდოს თავისი სატრანზიტო როლი აზერბაიჯანული გაზის ევროკავშირში მიწოდებაში - გააორმაგოს გადაზიდვები აზერბაიჯანიდან წელიწადში 20 მლრდ კუბ. მ-მდე 2027 წლისთვის. მაგრამ ევროპაში არსებობს შეშფოთება იმის შესახებ, თუ რამდენად შესძლებს აზერ-ბაიჯანი აღნიშნული დამატებითი გაზის მიწოდებას აზერბაიჯანულ საბადოებიდან და ხომ არ იქნება ეს გაზი რუსეთიდან მიღებული შემდგომში ევროპაში გადა-მისამართებული. ამ ეჭვებს ამყარებს 2022 წლის ნოემბერში აზერბაიჯანში რუსული გაზის იმპორტის დაწყება.

აზერბაიჯანული გაზის მიწოდება „ტრანსადრიატიკული გაზსადენით" - TAP-ით ევროპაში უკვე 18 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება. 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის დასაწყისამდე "ტრანსადრიატიკული გაზსადენით" (TAP), თურქეთზე გამავალი „ტრანსანატოლიური გაზსადენის" (TANAP) გავლით, ევროპაში ექსპორტირებული აზერბაიჯანული გაზის მოცულობამ 18 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბა, - ნათქვამია მილსადენ კომპანია TAP AG-ის ანგარიშში. …TAP-ის სიმძლავრე შეიძლება გაორმაგდეს ეტაპობრივად, რათა შემდგომი წვლილი შეიტანოს ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში", - დასძენს TAP AG [3].

ტრანზიტის ეს ზრდა საქართველოსთვისაც მომგებიანია, ვინაიდან 2026 წლამდე, ე.წ. „საუკუნის კონტრაქტით", საქართველო „სამხრეთკავკასიურ გაზსა-დენში" (რომელიც ქ. ერზერუმში TANAP-ს უკავშირდება) გატარებული გაზის 5%-ს უფასოდ, ხოლო 5%-ს - შეღავათიანად, ტრანზიტის საფასურად იღებს.

2021 წლიდან აზერბაიჯანმა TAP-ის გაზსადენით პირველად დაიწყო „სამხ-რეთის გაზის დერეფნით" ბუნებრივი აირის სამხრეთ ევროპაში მიწოდება - იტა-ლიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში. მიწოდების მოცულობამ 2021 წელს 8.2 მი-ლიარდი კუბური მეტრი შეადგინა. 2022 წელს ექსპორტის მოცულობა პროგნო-ზირებული იყო 22-23 მლრდ კუბური მეტრი, მათ შორის 11,5 მლრდ კუბური მეტრი ევროპაში, დანარჩენი - თურქეთში. პროგნოზი თითქმისშესრულდა და ევროპაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 18 მლრდ კუბმეტრი კასპიური გაზის ექსპორტი გან-ხორციელდა. საინტერესოა, როგორ ახერხებს აზერბაიჯანი ევროპაში გაზის ექსპორტის ასეთ მკვეთრ ზრდას, როდესაც პერსპექტიული გაზის საბადოები - აბშერონი, ბაბეკი, უმიდი, ყარაბაღი, ჯერ კიდევ ათვისების საწყის სტადიაზეა, ხოლო „დერეფნის" მთავარი წყაროები - „შაჰ-დენიზი 1" და „შაჰ-დენიზი 2" სრული დატვირთვით მუშაობენ?

აზერბაიჯანში რუსული გაზის მიწოდების აღდგენა

2022 წლის 18 ნოემბერს რუსულმა „გაზპრომმა" გამოაცხადა, რომ აზერბაი-ჯანს 1 მილიარდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივ აირს აწვდის 2022 წლის დეკემბრიდან

2023 წლის მარტამდე, ამ რუსული მონოპოლიის, სახელმწიფო ენერგოკომპანია SOCAR-თან გაფორმებული ახალი კონტრაქტით [4].

როგორც ცნობილია, სწორედ „გაზპრომი" იყო აზერბაიჯანისთვის გაზის მიმწოდებელი 2000-2006 წლებში, მაგრამ შემდეგ ქვეყანამ სწრაფად გააფართოვა საკუთარი გაზის წარმოება BP-ის მიერ ოპერირებად „შაჰ-დენიზის" საბადოზე, რაც მას საშუალებას აძლევდა დაეფარა არა მხოლოდ საკუთარი გაზის საჭიროებები, არამედ საქართველოსა და თურქეთში განეხორციელებინა ექსპორტი. როდესაც მისი გაზის დიდი ნაწილი უკვე უცხოელმა კომპანიებმა შეისყიდეს, აზერბაიჯანი კვლავ დაუბრუნდა რუსეთიდან გაზის მიღებას 2017-2018 წლებში, მაგრამ შესყიდვები კვლავ შეწყვიტა მას შემდეგ, რაც „შაჰ-დენიზის" განვითარების მეორე ეტაპის გაზი 2019 წელს თურქეთში გაიგზავნა.

აზერბაიჯანი დიდი ხანია პრიორიტეტს ანიჭებს თავისი გაზის საზღვარგარეთ გაყიდვას, ვიდრე შიდა საჭიროებებს, რათა მაქსიმალურად გაზარდოს საექსპორტო შემოსავლები. „გაზპრომთან" ახალი შეთანხმება გაფორმდა მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი ემზადება ზამთრის შუა პერიოდში პიკისთვის. თუმცა, რუსული გაზის იმპორტის განახლება ახლა დამატებით კითხვებს აჩენს, იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანმა ახლახანს აიღო ვალდებულება მეტი გაზის გადატუმბვაზე ევროპაში.

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო APA-სთვის გაკეთებულ განცხადებაში, SOCAR-მა აღნიშნა, რომ მას აქვს „გაზპრომთან" თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია და რომ ორი კომპანია „...ცდილობენ თავიანთი ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას, გაზის ნაკადების ურთიერთგაცვლის ორგანიზებით" [4].

აზერბაიჯანული გაზის მიწოდება ევროპაში 2020 წლიდან ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) გავლით ხორციელდება, რათა ხელშეკრულებით შეთანხმებული წლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მივიდეს ევროპელ მომხმარებლებთან. ბაქოსა და ბრიუსელს შორის 2022 წლის ივლისში გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, აზერბაიჯანულმა მხარემ პირობა დადო, რომ 2022 წელს ექსპორტს 12 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის [4].

როგორც ბრიუსელმა, ასევე ბაქომ მოიწონა ეს ახალი შეთანხმება, როგორც ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ენერგეტიკული ურთიერთობების გაფართოება. ევროკომისიამ შეთანხმებას უწოდა გამარჯვება ევროკავშირის გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის მცდელობებში. მაგრამ არასოდეს არ დაკონკრეტებულა, თუ რა იქნება დამატებითი მიწოდების წყარო. ფაქტიურად ბაქომ ევროპაში 18 მლრდ კუბმეტრი აირის მიწოდება შესძლო!

Eurasianet-ის ცნობით, „შაჰ-დენიზის" კონსორციუმთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით (რომელიც პასუხისმგებელია აზერბაიჯანული გაზის ექსპორტზე), დამატებითი საექსპორტო გარიგებები საბადოდან გაზის გაყიდვის შესახებ, უკვე შეთანხმებული წლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრი აირის ზევით, არ არის შეთანხმებული საოპერაციო კონსორციუმთან [5]. ეს აჩენს ლეგიტიმურ კითხვას: ჩუმად ხომ არ იყიდება რუსული გაზი ევროკავშირ-აზერბაიჯანის 2022 წლის ივლისის მემორანდუმის შესასრულებლად?

ერთის მხრივ, აზერბაიჯანისთვის რუსული გაზის მიწოდების განახლება შეიძლება უბრალოდ იმაზე მიუთითებდეს, რომ ბაქო საკმაოდ შეშფოთებულია თავისი შიდა მოთხოვნილების გაზრდით. და მართლაც, აზერბაიჯანისა და ევრო-

კავშირის შეთანხმება მხოლოდ მემორანდუმია და, შესაბამისად, არასავალდებულო. მაგრამ დრო ბადებს ეჭვს და ვარაუდს, რომ რაც უფრო გაგრძელდება უკრაინაში ომი, მით მეტად შეეძლება აზერბაიჯანს გამოიყენოს იაფი რუსული გაზი თავისი შიდა მოთხოვნილების დასაფარად, რათა მეტი კასპიური გაზი გამოათავისუფლოს ევროპაში ექსპორტის გასაზრდელად.

მეორეს მხრივ, აზერბაიჯანს, რა თქმა უნდა, თავისუფლად შეუძლია შეისყიდოს იმდენი რუსული გაზი, რამდენიც უნდა. მაგრამ გამოდის, რომ ის იყენებს რუსულ გაზს ევროპაში კასპიური აირის მეტი მოცულობების გასაგზავნად (ფაქტიურად ეს გარიგება „სვოპ“ მიწოდებაა). ამდენად, გაზის რუსეთიდან იმპორტი გარკვეულწილად ძირს უთხრის ბაქო-ბრიუსელის შეთანხმების სულისკვეთებას. ეს ასევე იქნება კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რამდენად უჭირს ევროპას რუსული გაზის ალტერნატივის უზრუნველყოფა უახლოეს პერსპექტივაში, და რამდენად შეეცდება მოსკოვი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გაზსადენების თავისი მიზნებისათვის გამოყენებას.

შორსმიმავალი გეგმები

2022 წლის ივლისის მემორანდუმის თანახმად, ევროკავშირი 2027 წლისთვის აპირებს გაზარდოს აზერბაიჯანული გაზის შესყიდვა წლიურად 20 მლრდ კუბურ მეტრამდე. გრძელვადიან პერსპექტივაში, აზერბაიჯანს შეიძლება რუსული გაზის შესყიდვის გარეშეც ჰქონდეს პოტენციალი ამ მიზნის განსახორციელებლად. ქვეყანას აქვს არაერთი აუთვისებელი საბადო, რომლებიც შეიძლება ამ დროისთვის ამუშავდეს.

კერძოდ, კასპიის აუთვისებელ საბადოებს შორის დადასტურებულია „აბშერონის“, „უმიდის“ და „ყარაბაღის“ ოფშორები. ასევე, „შაჰ-დენიზის“ მე-3 ეტაპი, რომელიც მოიცავს გაზის ისეთ რეზერვებს, რომლებიც ათვისების წინა სტადიაზეა. დაზვერილია, თუმცა არ არის დადასტურებული გაზის უფრო ღრმა ფენები „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის“ (ACG) ნავთობის პროექტში. ჯერ არ დადასტურებულა „ბაბეკის“ გაზის საბადოს პერსპექტივაც.

საბადო „ყარაბაღს“, რომელსაც ამუშავებს აზერბაიჯანის SOCAR და ნორვეგიის Equinor, რისკის მომსახურების შეთანხმებით, შეუძლია მიაღწიოს წელიწადში 2 მილიარდ კუბურ მეტრ აირს. თუმცა, ეს ოფშორული საბადო დასამუშავებლად მზად იქნება მხოლოდ 2025-26 წლებში.

„აბშერონს“, რომელიც შექმნილია SOCAR-ისა და საფრანგეთის TotalEnergies-ის ერთობლივი საწარმოს მიერ, წელიწადში 5 მილიარდი კუბური მეტრის გაზის ამოღება შეუძლია, მაგრამ მხოლოდ 2027 წლის შემდეგ. ასევე, არსებული „უმიდის“ საბადო ამჟამად წლიურად აწარმოებს 1,7 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს და მისი წარმადობა შეიძლება გაიზარდოს 3 მილიარდ კუბურ მეტრამდე. იმავდროულად, „ბაბეკს“, რომელიც „უმიდის“ მიმდებარე ტერიტორიაა, აზერბაიჯანის მთავრობის შეფასებით წლიურად 3-4 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოპოვება შეუძლია, მაგრამ მის ათვისებას ასევე რამდენიმე წელი სჭირდება.

„შაჰ-დენიზი 3“-ის (Shah Deniz Stage 3) და „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის“ (ACG Deep Gas) ახალი საბადოების ბურღვა უნდა დაიწყოს 2023 წელს და მათი ათვისების შედეგები ხელს შეუწყობს რესურსების მოცულობის და წარმოების პოტენციალის განსაზღვრას. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ჩანს, აზერბაიჯანს რეალურად აქვს პოტენციალი, მიაწოდოს ევროპას მისთვის სასურველი რაოდენობის

გაზი. თუმცა, ყველა ზემოაღნიშნულ პროექტში, მათი შემდგომი განვითარებისთვის საჭირო იქნება უცხოური ინვესტიციები, ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ. ეს განსაკუთრებით ეხება „უმიდსა" და „ბაბეკს", რომლებიც გეოლოგიურად რთული ველებია, და რომელთა ათვისებაშიც ამჟამად არ მონაწილეობს არც ერთი დასავლური კომპანია-ინვესტორი.

აზერბაიჯანისთვის სწორედ დასავლური ინვესტიციების მოზიდვა შეიძლება იქცეს მთავარ პრობლემად, რადგან ბევრმა დასავლურმა კომპანიამ გამოაცხადა სამომავლო გეგმები, რომ შეამციროს კაპიტალური ხარჯები ნავთობსა და გაზზე მომავალი წლების განმავლობაში, განახლებადი ენერგიის და სხვა დაბალ ნახშირბადიანი ტექნოლოგიების სასარგებლოდ. ეს ეხება BP-ს, აზერბაიჯანის ნავთობის სექტორში ყველაზე დიდ ინვესტორს, რომლის დღევანდელი სტრატეგია მოითხოვს ნავთობისა და გაზის მოპოვების 40%-ით შემცირებას მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

ბევრმა დასავლურმა ფინანსურმა ჯგუფმაც, BP-ს მსგავსად, აიღო ვალდებულებები, რომ ეტაპობრივად გაუქმონ წიაღისეული საწვავის ინვესტიციები. მათ შორისაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რომელმაც თავის დროზე გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) საუკუნის პროექტში, რომელიც უკვე აკავშირებს აზერბაიჯანულ გაზს ევროპულ ბაზართან.

მეორეს მხრივ, SGC-მ მიაღწია წარმატებას იმ დროს, როდესაც ევროპაში გაზის ფასი ზოგადად დაბალი იყო. აზერბაიჯანული გაზის მიმღები ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური მხარდაჭერის წყალობით, შეთანხმებული იქნა გრძელვადიანი კონტრაქტები, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის გაზის ფასები ყოველთვის კონკურენციას ვერ უწევდა რუსულ, ან თხევადი გაზის (LNG) ევროპის ტერმინალებზე არსებულ ფასებს.

ახლა სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებულია. ადგილზე, ევროპაში ფასები უკიდურესად მაღალია, ხოლო რუსული გაზის მიწოდება ახლა არასანდოა, და უახლოეს წლებში, ევროკავშირის გეგმების მიხედვით, ალბათ სულ შეიზღუდება. ეს აძლევს დამატებით შანსს აზერბაიჯანულ გაზს, რომელიც ფასდება გრძელვადიანი კონტრაქტებით და ის, შესაბამისად, იძენს კონკურენტულ უპირატესობას. მაშინაც კი, თუ ბრიუსელის მხრიდან ნაკლები პოლიტიკური მხარდაჭერა იქნება წიაღისეული საწვავის ახალი პროექტებისთვის, შესაძლოა, ევროპის ბაზრის კონიუნქტურამ, განაპირობოს იქ კასპიური გაზის მიწოდების ზრდა.

რუსეთი განიხილავს გეგმას, რომ თურქეთი გაზის მიწოდების მთავარ ცენტრად აქციოს. რუსეთ-უკრაინის ომის გამო ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) გააქტიურების პარალელურად, რუსეთი ცდილობს გააფართოვოს 2020 წლის იანვარში გახსნილი „თურქული ნაკადის" გაზსადენი იმ სიმძლავრემდე, რაც თავდაპირველად, პროექტირებისას იყო გათვალისწინებული. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შესთავაზა თურქეთს შექმნას ევროკავშირისთვის გაზის მიწოდების კერა - ჰაბი, „ჩრდილოეთის ნაკადი (Nord Stream) 1 და 2" მილსადენების განადგურების საპასუხოდ. წინადადება, როგორც მოსალოდნელი იყო, ანკარამ თბილად მიიღო, მაგრამ ასეთი პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, რთული იქნება. საკრედიტო რესურსებზე თურქეთს შესაძლოა დასავლეთის მხრიდან წინააღმდეგობა შეექმნას, ამიტომ რუსეთმა დაფინანსების უმეტესი ნაწილი თავის თავზე უნდა აიღოს. ეს პროექტი ასევე გულისხმობს, რომ ევროპის ნაწილი გააგრძელებს რუსული გაზის შესყიდვას, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის

ამბიციაა შეწყვიტოს იმპორტი და გაზარდოს წვდომა თხევად გაზზე (LNG) და მიწოდების სხვა ალტერნატიულ წყაროებზე.

პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ეს წინადადება თავის თურქ კოლეგა რეჯეპ-ტაიპ ერდოღანთან განიხილა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში რეგიონული ლიდერების სამიტის ფარგლებში: „თუკი თურქეთი და ჩვენი შესაძლო მყიდველები სხვა ქვეყნებში დაინტერესებულნი არიან, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ სხვა გაზსადენის სისტემის მშენებლობა და თურქეთში გაზის ჰაბის შექმნა მესამე ქვეყნებში აირის გასაყიდად, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ევროპულ ქვეყნებში, თუ ისინი ასე არიან დაინტერესებული ამით, რა თქმა უნდა“, - განაცხადა პუტინმა [6].

ერდოღანმა აღნიშნა, რომ თურქეთმაც და რუსეთმაც დაავალეს თავიანთ ენერგეტიკულ უწყებებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები. „გაზპრომის“ აღმასრულებელი დირექტორის ალექსეი მილერის თქმით, პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს ახალი მილსადენების მშენებლობას არსებული თურქული ნაკადის მილსადენის პარალელურად. „ბატონ პუტინთან ერთად, ჩვენ დავავალეთ ჩვენს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და რუსეთის მხარის შესაბამის ინსტიტუტს, ერთად იმუშაონ“, - განაცხადა ერდოღანმა. „...ისინი ჩაატარებენ კვლევას. სადაც უნდა იყოს ყველაზე შესაფერისი ადგილი, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იქ დავაარსებთ ამ სადისტრიბუციო ცენტრს [6].”

რუსეთს ევროპაში გაზის გაგზავნის ოთხი მარშრუტი აქვს. პირველი არის უკრაინული გაზის სისტემა, სადაც გაზი გრძელდება ომის მიუხედავად. მას ომამდე ჰქონდა 100 მილიარდი კუბ. მეტრი გაზის ტრანზიტის შესაძლებლობა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ უკრაინამ დახურა თავისი ორი სასაზღვრო პუნქტიდან ერთ-ერთი, რუსეთის მარიონეტების მიერ მიწოდების მოპარვის მტკიცებით. უკრაინა და რუსეთი ასევე კამათობენ გაზის ტრანზიტის გადასახადებთან დაკავშირებით, რაც ზრდის მიწოდების საერთოდ შეწყვეტის რისკს.

იმავდროულად, „იამალ-ევროპა“ წელიწადში 33 მილიარდი კუბ. მეტრი წარმადობის მილსადენი, რომელიც ბელორუსიისა და პოლონეთის გავლით გერმანიამდე მიდიოდა, ომის დაწყების შემდეგ უმოქმედოდაა, რუსეთისა და პოლონეთის მიერ ერთმანეთზე დაწესებული სანქციებისა და კონტრსანქციების გამო.

შედარებით ახალი მარშრუტია ბალტიის ფსკერზე გაყვანილი Nord Stream 1 და 2 მილსადენები, რომელთა სიმძლავრეა წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრი. „გაზპრომმა“ აღიარა, რომ Nord Stream-ის დანადგარების და მილების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, უნდა შეიცვალოს, სექტემბერში იქ მომხდარი აფეთქების გამო. კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსეი მილერმა 2022 წლის 12 ოქტომბერს აღნიშნა, რომ რემონტის დასრულებას წელიწადზე მეტი დასჭირდებოდა. Nord Stream 2-ის ორი მილიდან ერთ-ერთი დაუზიანებელია და რუსეთი ვარაუდობს, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას გაზის მიწოდებისთვის, თუ საჭირო სერტიფიცირების პროცესი დასრულდება გერმანიაში. გერმანია შეიძლება დათანხმდეს ამას, იმის მიხედვით, თუ რა სტრესს განიცდის მისი ენერგეტიკული სისტემა ამ ზამთარში. რამდენიმე გამოჩენილმა გერმანელმა პოლიტიკოსმა მოუწოდა ბერლინს ამის გაკეთება, მაგრამ ჯერჯერობით გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის მთავრობას, ეს ვარიანტი განსახილველად არ დაუყენებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდვ ერთი ახალი მარშრუტია წელიწადში მხოლოდ 31,5 მლრდ მკუბმეტრი წარმადობის „თურქული ნაკადი“ (Turk¬Stream), რომელიც გადის შავი ზღვის ფსკერზე და ამოდის დასავლეთ თურქეთში. მისი ორი

მილიდან ერთი გამოიყენება თურქეთის ბაზარზე გაზის მიწოდებისთვის, რის გამოც ევროპისთვის წელიწადში მხოლოდ 15,75 მილიარდი კუბური მეტრი გაზი რჩება ხელმისაწვდომი.

ამდენად, თურქეთი უკვე ნაწილორივ ასრულებს ევროპისკენ გაზის მიწოდების ჰაბის ფუნქციას. „თურქული ნაკადის" გარდა, ის ასევე ატარებს ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) მილსადენების ნაწილს, რომლებიც გაზს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში აზერბაიჯანიდან აწვდის. მას ასევე აქვს LNG იმპორტის (რეგაზაციის) რამდენიმე ტერმინალი.

თვითონ თურქეთს არ აქვს დამატებითი რუსული გაზის საჭიროება. ქვეყანა ელოდება 2023 წლის დასაწყისში შავ ზღვაში საკუთარი ოფშორული „საკარიას" გაზის საბადოს გაშვებას, რომელიც აწარმოებს წელიწადში 3,7 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს განვითარების პირველი ეტაპის ფარგლებში, ხოლო 2026 წლისთვის წელიწადში მიაღწევს დაახლოებით 15 მილიარდ კუბურ მეტრს. თურქეთმა მხოლოდ იმ მიზნით შეიძლება აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან, რომ მის ნაცვლად, „გაზპრომისგან" შეძენილი გაზის ნაწილი ევროპაში თვითონ გაიტანოს, როგოც გაზის ჰაბმა.

რამდენი დამატებითი გაზის მიღებაში იქნება ევროპა დაინტერესებული რუსეთისგან, ეს ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ძლიერ არის დამოკიდებული რუსულ გაზზე და აქვს უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირები მოსკოვთან, სავარაუდოდ, დააყენებს რუსული გაზის იმპორტის შეწყვეტის 2027 წელზე უფრო შორეულ ვადას, ან დააყენებს გაზის იმპორტის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების საკითხს. ევროკავშირის სხვა არაწევრი ქვეყნები, როგორიცაა სერბეთი, გააგრძელებენ გაზის მიღებას რუსეთიდან და გაფართოებული სატრანზიტო შესაძლებლობები თურქეთის გავლით „გაზპრომს" საშუალებას მისცემს შეწყვიტოს უკრაინაზე ტრანზიტი. ევროპაში შესაძლოა ასევე გაჩნდეს რუსული გაზის ახალი ბაზრები, როგორიცაა ალბანეთი, რომელიც ამჟამად თითქმის არ მოიხმარს გაზს, მაგრამ სურს გააფართოოს გაზის მოხმარება, რათა შეამციროს დამოკიდებულება ჰიდროელექტროსადგურებზე.

დასკვნა

ამრიგად, ევროკავშირი-აშშ-თურქეთის დღევანდელი დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ნაკლებად სავარაუდო იქნება, რომ უახლოეს წლებში ვაშინგტონმა და ბრიუსელმა მხარი დაუჭირონ თურქეთის კასპიური გაზის მონოპოლიურ ჰაბად ჩამოყალიბების იდეას და შეეცდებიან ევროპისკენ გაზის ნაკადების დივერსიფიკაციას.

როგორც ზემოაღნიშნული გეოეკონომიკური პროცესებიდან ჩანს, თურქეთის კასპიური გაზის ჰაბად ჩამოყალიბებას, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან სერიოზული პრობლემები აქვს. ამიტომ სავარაუდოდ, ევროკავშირი მეტ ძალისხმევას მიმართავს არა თურქეთის ე.წ. ჰაბის განვითარებაზე, არამედ ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე.

ლიტერატურა

1. Turkey: A new emerging gas player with resources and infrastructure. https://www.mei.edu/publications/turkey-new-emerging-gas-player-resources-and-infrastructure

2. Turkish minister says Black Sea gas supplies to start by late April. REGION 19 March 2023 - 12:00; https://caliber.az/en/post/153593/
3. Azerbaijan has already sold over 18 bcm of gas to European markets, 21/11/2022. http://caspianbarrel.org/en/2022/11/azerbaijan-has-already-sold-over-18-bcm-of-gas-to-european-markets/
4. Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/
5. Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/
6. Russia moots plan for making Turkey a major hub for its gas supplies. https://intellinews.com/russia-moots-plan-for-making-turkey-a-major-hub-for-its-gas-supplies-259426/

Zurab Garakanidze
Ph.D. (Economics),
D. Aghmashenebeli Military Academy of Georgia,
Associate Professor

THE PROSPECT OF TURNING GEORGIA INTO A GAS HUB
Expanded Summary

Global natural gas production increased by nearly 5 percent to reach a record 4.04 trillion cubic meters in 2021. Russia currently ranks as the world's second largest natural gas producer and is the leading exporter. In 2021, Russia's natural gas exports were 202 billion cubic meters of pipeline gas, and 39.6 billion cubic meters of liquified natural gas (LNG). [Source: Russia struggles to make up for Europe's gap in natural gas exports. https://www.aa.com.tr/en/europe/russia-struggles-to-make-up-for-europes-gap-in-natural-gas-exports/2717651]. Since the war in Ukraine, Russia has cut natural gas exports to Europe, which previously relied on the country for 40 percent of EU's supply, resulting in skyrocketing energy prices in the Europe. Georgia, with its strategic location on the Black Sea's eastern shore, has the potential of creating a LNG hub to transport gas to European markets bypass Russia - to use existing port facilities at Anaklia, Poti, Batumi. Kulevi (belongs to Socar BST Ltd.)

Recent developments show the interest of the Russian government in the idea of a Turkish gas hub. Late September 2022, two days after the explosion of the "North Stream 1 and 2" gas pipelines on the bottom of the Baltic Sea, Presidents R.-T. Erdogan and V. Putin agreed to add two more new gas pipelines along the "Turkish Stream", which is clearly a competing project of the EU's "Southern Gas Corridor" (SGC) passing through Azerbaijan and Georgia, since these two pipelines will enter the region of Europe where the European "corridor" is come - in South-Eastern Europe.

The natural gas has only recently, since the 70s of the last century, turned into one of the main types of fuel. At the beginning of this century, about 88-90% of natural gas was delivered by gas pipelines under long-term economic contracts directly from a specific supplier to a specific customer, the rest - by tankers, in the form of liquefied gas (LNG). In 2021, global LNG imports, according to the report of the International LNG Importers Group (GIIGNL), increased by 4.5% compared to the previous year and reached 513.7 billion cubic meters (372.3 million tons). The group's research notes that in 2021, the LNG already accounts for about 40% of the global gas market, with the rest coming through gas pipelines. In 2021, about 73% of the LNG (375 billion cubic meters, or 271.8 million tons) was imported by Asian countries. In addition,

only 36.6% of the world's LNG volume was sold on the spot market, i.e. in small lots, - the rest was sold through long-term contracts, thereby neglecting the market mechanism of free price formation. Due to the Russia-Ukraine war, the European Union's gas supply from Gazprom's pipelines was interrupted and Brussels is desperately looking for alternative routes.

For the first time, the idea of such an alternative in the form of the "Trans-Caspian gas pipeline" was put forward by then US President Bill Clinton in 1996. However, due to the uncertainty of the status of the Caspian Sea and the lack of delimitation of its shelf boundaries, due to the conflicting position of Azerbaijan, Iran and Turkmenistan, this project was not implemented yet.

After the annexation of Crimea in 2014 by Russia, the construction of one of the components of the "Southern Gas Corridor" (SGC) supported by the European Union - the "White Stream" gas pipeline and the liquefied gas project AGRI(LNG) initiated in 2007 - "Azerbaijan-Georgia-Ukraine-Romania-Hungary Interconnector" was postponed for an indefinite time. It should be noted that these were the most promising projects for Georgia and Azerbaijan, since both of them turned aside not only Russia, but also Turkey and, accordingly, neutralized its transit hegemony.

The Vice Prime Minister, Minister of Economy of Georgia, Mr. Levan Davitashvili, stated at a briefing held on November 21, 2022 that the Georgian government is working on a project to supply gas from the Caspian Sea shore of Azerbaijan to Europe through Georgia. According to Mr. L. Davitashvili the project, in which Azerbaijan, Romania and Hungary also participate, already have been started in 2015 and provides for a plan by which "... gas will be liquefied on the territory of Georgia, and then it will be re-gasified in Romania." Unfortunately, this project was stopped and had no further development", he said, adding that "... Europe is especially interested in alternative sources of gas supply, when everyone is talking about diversification of energy supply. This project has gained special relevance this year".

Mr. L. Davitashvili noted that the evaluation of the project and the infrastructure in the territory of Georgia-Azerbaijan is underway. "It won't happen in a day or a year," he said, adding that "...first, we need to depict a complete picture...then we need to formulate a detailed action plan...and start implementing this plan step by step, including attracting investments."

The inter-ministerial meeting of the participating states of the AGRI project (Azerbaijan-Georgia-Romania Interconnector, later joint Hungary) was held in Bucharest on June 24, 2015. During the meeting, the Ministers of the energy sector in charge of the liquefied natural gas project discussed the outcomes of the feasibility study and opportunities for financing. In conclusion of the meeting, the Minister of Industry and Energy of Azerbaijan, Natig Aliyev, the Minister of Energy, Small and Medium-Sized Enterprises, and the Business Environment of Romania, Andrei Dominic Gerea, the Deputy Minister of Energy of Georgia, Mariam Valishvili, signed a Joint Declaration on the AGRI project. Within the framework of the Joint Declaration, the countries-participants expressed their intention to consider the AGRI project as a part of the Southern Gas Corridor lobbied by the European Union. The member-states agreed to promote the AGRI project within the European Commission in order to submit it to the definitive list of projects that will be guaranteed to be financed by the European Fund for Strategic Investments.

From the very beginning, the AGRI project was launched to diversify both supply sources and transit routes of natural gas from the Caspian region to Europe. Briefly, the project envisaged transportation of the Azerbaijani gas via pipelines to the Georgian Kulevi port on the Black Sea coast, where the gas would be liquefied at a special terminal, after that, the tankers would be delivered to the terminal at the Romanian port, Constantsa. Further, the regasified gas would be transferred to other European countries.

In order to implement the AGRI initiative, Azerbaijan, Georgia, and Romania signed a Memorandum of Understanding (MoU) on the cooperation in the field of LNG and its transportation in Bucharest on April 13, 2010. On May 12, 2010, in Tbilisi, the project participants signed a Protocol regarding the establishment of the AGRI Project Development Company. During the first AGRI Summit, which was held in Baku, on September 14, 2010, the Republic of Hungary was officially invited to the AGRI project as a partner. At the end of the Summit two more documents were signed, namely, the Baku Declaration inked by Presidents of Azerbaijan, Georgia and Romania, and the MoU on association of the AGRI LNG Project Company, adopted by the Heads of the national energy companies – the State Oil Company of Azerbaijan, the State Oil Corporation of Georgia and the Romanian national company ROMGAZ. Therefore, since January 2011, the participants of the AGRI have launched the SC AGRI LNG Project Company SRL, which was registered in Bucharest and operated in accordance with the legislation of Romania.

On February 14, 2011, in Bucharest, at the meeting of the Ministers of Azerbaijan, Georgia, Romania and Hungary it was announced that Hungary's accession to the AGRI project was accepted and Hungarian company MVM officially became the member of the project. According to the reached agreement, the member-countries of the AGRI project would have equal shares. In other words, the shareholders of the AGRI project (SOCAR, GOGC, ROMGAS, and MVM) own 25% each.

After establishing the necessary administrative infrastructure, the parties started the process of analyzing the technical and economic basis of the project, as well as other issues considered in this respect. The AGRI LNG Project Company launched an international tender for consultancy services related to the feasibility study for the AGRI project, which was won by the oil and gas engineering group, Penspen Limited. The contract for consulting services was signed on June 28, 2012. The Penspen provided the results of the report on the feasibility study of the AGRI to the Board of Directors of AGRI LNG Project Company after the 2-year period.

Despite the fact that the AGRI participants have already discussed the primary results of the feasibility study, there is still unclearness on the estimation of project costs and technically detailed projections. According to the estimative data, there are at least 3 options of the project costs and capacity, namely, €1.2 billion for a projected capacity of 2 billion cubic meters (bcm), €2.8 billion for a projected capacity of 5 bcm and €4.5 billion for a projected capacity of 8 bcm. In other words, the AGRI project is still facing a wide range of barriers and implementation difficulties.

For instance, there is still a lot of uncertainty regarding the AGRI project resource base. Azerbaijan has already signed a long-term agreement for supplying all forthcoming natural gas volumes produced within the second phase of the giant gas field Shah Deniz to the European countries via the Trans Anatolian Natural Gas Pipeline (TANAP), which would be connected with the Trans-Adriatic Gas Pipeline (TAP). Therefore, Azerbaijani officials should consider other sources of natural gas, which would be supplied over the Black Sea gas transportation corridor. Actually, the problem of natural gas shortage could be solved by joining of Turkmenistan to the AGRI project. The Turkmen gas could be transported via LNG tanker across the Caspian Sea to the Sangachal terminal in Eastern Azerbaijan, where it should be gasified and transmitted across Azerbaijan and Georgia to the Black Sea terminals. However, it definitely would cause necessity to construct additional LNG terminals on the Caspian Sea shore, which could lead to the dramatic increase in the total cost of the project.

On the other hand, in many respects, the AGRI proposal is similar to the proposed project to deliver compressed natural gas (CNG) from Azerbaijan to Bulgaria via Georgia and the Black Sea. The MOU of Azerbaijan, signed with Georgia and Bulgaria in the latter part of 2009, envisage the possible shipping of the Azeri compressed gas via Georgia and the Black Sea to

Europe. In other words, in case if Azerbaijan manages to provide the necessary natural gas volumes for transportation over the Black Sea shipping route, Baku will possibly have to separate the high priority project from the lower priority one.

It also should be admitted, that according to the statements made by the high-ranked officials of the AGRI project, the realization of the idea of the project also depends on the implementation of the investments attraction strategy. Up to date, there are no new shareholders of the AGRI LNG Project Company, which could be interested in the construction of the LNG facilities on the Black Sea coast. Consequently, the project participants are looking forward to further extend the amount of the shareholders and to increase the share capital of the company. In this respect, it seems natural that after the meeting between the Minister of Mining and Energy of Serbia, Aleksandar Antic, and the Minister of Energy, Small and Medium-Sized Enterprises, and the Business Environment of Romania, Andrei Dominic Gerea, held in Belgrade on June 29, 2015, Serbia has received an offer to take part in the AGRI energy project. The Romanian Minister of Energy invited his Serbian counterpart to take part in a meeting with the AGRI participating countries, including Georgia, Azerbaijan, Romania, and Hungary, that will be held in September or October 2015.

Approving Serbia's acceptance as a partner could give a new impetus to promoting the AGRI project. After Russia announced it would stop to deliver natural gas through Ukraine by 2019, Serbian Government started an active phase of the search for new sources of gas supply. Early in June 2015, Serbia and Bulgaria signed an agreement on the construction of a gas interconnection, which should give Serbia a possibility to receive certain quantities of gas flowing through the TAP and the TANAP. To ensure its energy security, Belgrade would consider the construction of a two-way gas interconnection with Romania with the annual capacity of at least 1 bcm. Therefore, in case if the established Joint Serbian-Romanian Working Group for the promotion of cooperation in the field of energy succeeds in defining technical parameters of the new gas pipeline, Serbia could almost certainly join the list of states involved in the implementation of the AGRI project.

In conclusion, it is obvious that in comparison with the TAP and the TANAP projects the AGRI project does not have enough capacity to significantly shift the energy geopolitics in the region. However, as a part of the EU's energy diversification strategy, the AGRI project could play an important role in weakening Russia's leverage over the natural gas imports in Central and Eastern Europe. Therefore, the AGRI project still has an opportunity to become the first LNG project to be developed in the Black Sea, aiming transportation of natural gas from the Caspian region to Europe.

ვლადიმერ ბასარია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გეოეკონომიკის როლი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.VLADIMER.BASARIA

ანოტაცია. *სტატიაში საუბარია გეოეკონომიკის მნიშვნელობასა და როლზე ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში; ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და იმპორტირებული კაპიტალის სარგებლიანობასა და საფრთხეებზე ეროვნული ეკონომიკისათვის; ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი გეოეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებაზე; საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის პრინციპებზე; გეოეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარ გამოწვევებზე და ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების გზით ეროვნული უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებაზე.*

სტატიაში გაკეთებულია დასკვნები ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების, ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის, ტრანსნაციონალური კომპანიების გეოეკონომიკური მიდგომით შეფასების მნიშვნელობაზე; ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის (ტრანსნაციონალიზებული კაპიტალის მოძრაობის) სახელმწიფო კონტროლის აუცილებლობაზე; რეკომენდებულია აღნიშნულ საკითხებზე სამეცნიერო წრის და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყურადღების გამახვილება.

საკვანძო სიტყვები: *ეროვნული უსაფრთხოება; გეოეკონომიკა; გეოპოლიტიკა; გლობალიზაცია; საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია; ტრანსნაციონალური კორპორაციები.*

შესავალი

ეროვნული უსაფრთხოება ერისათვის აუცილებელი ყველა იმ პირობის დაცვას გულისხმობს, რომელიც მისი არსებობისა და მდგრადი განვითარებისთვის არის საჭირო. თანამედროვე მსოფლიოს ახალი გამოწვევები და საფრთხეები სულ უფრო რადიკალურად ცვლიან სახელმწიფოების საქმიანობის შინაარსსა და მიმართულებებს ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში - საზოგადოებრივი ურთიერთობების სწრაფი განვითარების კვალობაზე ქვეყნები სულ უფრო მეტად ცდილობენ სრულჰყონ და დახვეწონ საკუთარი უსაფრთხოების მექანიზმები. პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობა კი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა მხოლოდ.

****

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყნებს შორის შრომის საერთაშორისო დანაწილებასთან დაკავშირებული პროცესების გააქტიურებამ მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში სოლიდური ცვლილებები გამოიწვია, რაც მეტწილად პროდუქციის, კულტურისა თუ ინფორმაციის გაცვლის ინტენსიობის ზრდის კვალობაზე მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების დონის მკვეთრად

მატებას უკავშირდება: *„ეკონომიკური სივრცე და ბაზარი დღეს უკვე აღარ ასოცირდება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან; სისტემა „ბაზარი-სახელმწიფო" სულ უფრო მეტად უთმობს საკუთარ ადგილს სისტემას „ბევრი სახელმწიფო-ბაზარი", ახალი სისტემის ურთიერთობები კი იმ საერთაშორისო ეკონომიკური ნორმატივებით რეგულირდება, რომლებიც ეროვნულ კანონებთან შედარებით იერარქიულად სულ უფრო მაღალ საფეხურს იკავებს (Черная И.П. «Геоэкономика». 2012, стр.14.)".*

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის, გეოპოლიტიკურ პროცესებზე მსოფლიოს მეურნეობრივი კავშირების გავლენის, ეკონომიკური მართვის გლობალური სისტემის ორგანიზება-ფუნქციონირების საკითხების კვლევა-ანალიზის აუცილებლობამ ახალი მეცნიერების - გეოეკონომიკის წარმოშობა განაპირობა.

გეოეკონომიკური მეცნიერება თეორიულ და ემპირიულ შემადგენლებს მოიცავს: თეორიული გეოეკონომიკა შეისწავლის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური კანონზომიერებების მოქმედებას, ქმნის საკუთარ თეორიებსა და მიდგომებს, იკვლევს გლობალური გეოეკონომიკური განვითარების გზებს; გამოყენებითი გეოეკონომიკა უფრო პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას უთმობს ყურადღებას, გლობალური ეკონომიკური კონცეფციებისა და თეორიის კონკრეტულ გამოვლინებებს აანალიზებს.

გეოეკონომიკის დისციპლინა სახელმწიფოებისა თუ გეოპოლიტიკის სხვა სუბიექტების გეოპოლიტიკურ დოქტრინებსა და ქცევებს ეკონომიკური პოზიციიდან გამომდინარე იკვლევს. შინაარსობრივად მეცნიერება მოიცავს გეოგრაფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის ელემენტებს და წარმოადგენს სწავლებას, რომელიც მსოფლიოს სტატიკური და დინამიკური სტრუქტურის, ეროვნული და გლობალური გეოეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მიდგომების გარკვეულ სინთეზს ახორციელებს.

ეკონომისტების გარკვეული ნაწილი გეოეკონომიკას გეოპოლიტიკის შემადგენელ, თუმცა მაღალი ავტონომიის მქონე ნაწილად მიიჩნევს; ზოგი გეოპოლიტიკას და გეოეკონომიკას ერთმანეთთან მჭიდრო ურიერთკავშირში განიხილავს, ზოგიც გეოეკონომიკას მოდერნიზებულ გეოპოლიტიკად აღიქვამს. მიუხედავად ამ ახალი მეცნიერების შინაარსობრივი განსაზღვრების არაერთგვაროვნებისა, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: გეოეკონომიკა თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკის მძლავრი ინსტრუმენტია. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს პოლიტიკურ-მეურნეობრივი პროცესების ანალიზისადმი გეოეკონომიკური მიდგომა სახელმწიფოს მეწარმეობრივი ფუნქციის რეალიზაციის საშუალებას აძლევს, განაწყობს რა ხელისუფლებას კონკურენციისათვის ხელსაყრელი ინსტიტუციური გარემოს შექმნისაკენ, რაც ბიზნესის უსაფრთხოების, პოლიტიკური და სოციალური რისკების მინიმიზაციის გარანტიაა. გეოეკონომიკური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალური ეკონომიკის განხილვა მართებულია მსოფლიო სამეურნეო პოზიციიდან გამომდინარე - ეროვნული ეკონომიკა თანამედროვე ეპოქაში უნდა განიხილებოდეს როგორც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი, რომელიც სხვა ნაწილებთან თანაარსებობს. ეს ნიშნავს, რომ ცალკე აღებული ქვეყნის განვითარების ანალიზი გლობალური სისტემის პროგრესის გაანალიზების გარეშე ვერ იქნება სრულყოფილი და სარწმუნო. სწორედ ამის გამო ენიჭება გეოეკონომიკურ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოს სტრატეგიული და ტაქტიკური ამო-

ცანების დასახვისა და გადაწყვეტის საქმეში; გეოეკონომიკური ანალიზის შედეგიანობაზეა დამოკიდებული დიდწილად სახელმწიფოს უნარი - გაუმკლავდეს მსოფლიო ბაზარზე ბოლო პერიოდში გახშირებულ საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისებსა თუ საერთაშორისო გეოეკონომიკურ კონფლიქტებში ჩართვის საფრთხეებს, წარმატებით გაართვას თავი ღია თუ შეფარულ გეოეკონომიკურ ომებს (მის ელემენტებს), თავიდან აირიდოს დამაზიანებელი სანქცირების რისკები და სხვა.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სერიოზული კვლევების განხორციელება შრომის საერთაშორისო დანაწილების გათვალისწინების გარეშე დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია - მხედველობაში აუცილებლადაა მისაღები ის რეალობა, რომლის მიხედვით ჩვენს ეპოქაში კონკურენცია ქვეყნებს შორის კი არ ხდება იმდენად, რამდენადაც იმ ტრანსნაციონალურ კვლავწარმოებით სისტემებს შორის მიმდინარეობს, რომლებიც საკუთარ თავში გლობალურ ფინანსურ მონოპოლიებს, უმსხვილეს საერთაშორისო საწარმოო კომპანიებს, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური რეგულირების ზენაციონალურ ორგანოებს აერთიანებენ.

გლობალური ბაზრის ყველაზე აქტიური მოთამაშეების - ტრანსნაციონალური კორპორაციების დონეზე[1] გეოეკონომიკური მეცნიერების როლი მდგომარეობს ამ სუბიექტების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფაში. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას სოლიდური გავლენა აქვს კორპორაციების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, კორპორაციების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური განვითარების დონე კი სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე აისახება მეტად თუ ნაკლებად.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქცია (რომელსაც ხშირად სამყაროს გულ-სისხლძარღვის ფუნქციასაც კი ადარებენ, რადგან მის იმპულსებს - პირდაპირ ინვესტიციებს, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, მატერიალურ ნაკადებს, აქციებსა და სხვებს - მთელი ორგანიზმი მოქმედებაში მოჰყავს), ამ უმსხვილესი კომპანიების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო სამეურნეო-პოლიტიკურ სისტემაში დღითი დღე მატულობს. შესაბამისად, იზრდება მათი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ კულტურული გავლენა იმ სახელმწიფოებზე, რომლებშიც ეს გიგანტები სხვადასხვა ფორმით ოპერირებენ. ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა საქმიანობის სტრატეგია ინოვაციური აგრესიულობითა და დინამიზმით, შიდაკორპორაციული სტრუქტურის მუდმივი სრულყოფა-დახვეწითა და პროდუქციის გამოშვებაში მსოფლიოში საკვანძო მეურნეობრივი პოზიციის დაკავების სურვილით გამოირჩევა, დღეისათვის პლანეტის სამრეწველო ნაწარმის 65%-ს უზრუნველყოფენ; მსოფლიოს ხორბლის, სიმინდის, ყავის, თამბაქოს, რკინის მადნის, სპილენძის, ჩაის, ნავთობის, ბანანის ბაზრების 85-90%-ს მოიცავენ; აშშ-ში საექსპორტო ოპერაციების 50% სწორედ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების მეშვეობით ხორციელდება (ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 80%-ს შეადგენს, ხოლო სინგაპურში 90%-ს აღემატება); ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ უცხოური ინვესტიციების 70%-ს, აწარმოებენ და ყიდიან ელექტრონული, ქიმიისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციის 80%-ზე მეტს და ა.შ. ამასთან აქვე უნდა

[1] საერთაშორისო ვაჭრობაში ტრანსნაციონალური კორპორაციების წილი დღეისათვის 50%-ს აღემატება, ამ კომპანიებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხოვნობა კი 100 მლნ-ზე მეტს შეადგენს.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (და მთლიანობაში ეკონომიკის დარგებს) განსხვავებული გავლენა აქვთ სახელმწიფოს გეოპოლიტიკაზე, ამიტომ მათი როლისა და მნიშვნელობის შეფასება მართებულია მხოლოდ გეოეკონომიკური პოზიციიდან გამომდინარე (მეპ-ის ფორმირებაში შეტანილ წვლილთან ერთად, ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იქნას კორპორაციების გავლენა სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და მის მდგრადობაზე).

ზემოთ მოყვანილი შთამბეჭდავი ინფორმაცია ნაციონალური ეკონომიკებისათვის ტრანსეროვნული კაპიტალის განსაკუთრებულ სარგებლიანობა-მნიშვნელობაზეც მიუთითებს. თუმცა, როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს - იმპორტირებულ კაპიტალს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის სერიოზული ზიანის მიყენებაც შეუძლია: კაპიტალის უკონტროლო გადააგილება მეტად სახიფათოა ნაციონალური ვალუტისათვის; ტრანსეროვნული კაპიტალის გამოყენებით შესაძლებელია ადგილობრივი კომპანიების წნეხში მოქცევა და ქვეყნის საწარმოო სპეციალიზაციის იძულებით შეცვლაც კი. ამიტომ ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა სახელმწიფოს განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, ეროვნული უსაფრთხოებისთვის საშიშროების გაჩენისთანავე კი მათ წინააღმდეგ შესაბამისი სამართლებრივ-ეკონომიკური ინსტრუმენტები უნდა იქნას ამოქმედებული.

ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები სწორედ საფინანსო სფეროში იჩენს განსაკუთრებით თავს, რადგან ფინანსებია (უფრო ზუსტად - ტრადიციული და ვირტუალური საფინანსო ბაზრების გლობალური ქსელი - გეოფინანსებია) ეროვნულ ეკონომიკაში შეღწევის ის მოსახერხებელი არხი, რომელიც მოვალე ქვეყნის ჯერ ფინანსური, შემდეგ კი სოციალურ-ეკონომიკური კონტროლის საშუალებას იძლევა (კოლონიალიზმი და ვასალიტეტი თანამედროვე ფორმებს ძირითადად ამგვარად ღებულობს). მაშასადამე, გეოფინანსების როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერის არეალით და სახელმწიფოების მიერ საკმაოდ ხშირად გამოიყენება როგორც სტრატეგიული თავდასხმის (თავდაცვის) ინსტრუმენტი.

გასაგებია, რომ ფინანსურ (და მთლიანობაში გეოეკონომიკურ) ინტეგრაციაზე უარის თქმა ქვეყნისათვის ფაქტობრივად განვითარებაზე უარის თქმას გულისხმობს, და რომ ვერცერთი საზოგადოება ვერ იქნება კონკურენტუნარიანი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში გაწევრიანების გარეშე - საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მასში მონაწილე ქვეყნების საწარმოო შესაძლებლობების მაღალი ეფექტიანობით გამოყენებას, ე.ი. მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღებას. საწარმოო ძალების განვითარების ამჟამინდელი დონე, შეზღუდული რესურსების უკეთესად, მეტი უკუგებით გამოყენების აუცილებლობა განაპირობებს იმას, რომ დღევანდელ პირობებში არც ერთი ქვეყნისათვის არ არის მიზანშეწონილი „ყველაფერი თავისი ჰქონდეს". ეკონომიკური ინტეგრაცია და ქვეყნებს შორის თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები უზრუნველყოფს მათში ჩართულ ქვეყნებში წარმოების ფაქტორებისა და ფინანსების რაციონალურად გამოყენებას. თუმცა ინტეგრაციის პროცესი რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ყოველმხრივ და გამუდმებულ ყურადღებას მოითხოვს, ეს უდავოა - მსოფლიოს მეურნეობრივი ურთიერთობები, სამწუხაროდ, შორსაა დეპოლიტიზაციისაგან, თამაშის ერთიანი ცივილიზებული წესების განუხრელი დაცვისაგან, ან თუნდაც თავად მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღია-

რებულ-დეკლარირებული საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის პრინციპებისადმი ერთგულებისაგან, რომელთა მიხედვით:

- ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში არ უნდა ჰქონდეს ადგილი რომელიმე მათგანის ეკონომიკის ზარალიანობას სხვათა მიზეზით;
- სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების მოწესრიგება - მოგვარება უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით, ძალის რეალური გამოყენების თუ გამოყენების საშიშროების (მუქარის) გარეშე;
- საგარეო - ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა იყოს გამოყენებული არც ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების ეკონომიკის დასუსტების მიზნით (ვთქვათ, ეკონომიკური ბლოკადა, თუ კი ეს არ არის დაწესებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, როგორც იყო, მაგალითად, 90-იან წლებში ერაყსა და იუგოსლავიასთან მიმართებით);
- დაუშვებელია ეკონომიკური ურთიერთობების გამოყენება სხვა ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში ჩარევის მიზნით (აქაც გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნეს გაეროს გადაწყვეტილებით, თუკი ადგილი აქვს ადამიანის უფლებების მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული ნორმების დარღვევას, მაგალითად, ხალხის გენოციდს).

გეოეკონომიკური თავდაცვის უზრუნველსაყოფად (ან პირიქით, ინტერვენციისათვის - გეოეკონომიკური მოძღვრების თანახმად, თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ჯეროვნად განვითარებისათვის, თავდაცვის ორგანიზებასთან ერთად, მნიშვნელოვანია გარკვეული ექსპანსიის წარმოებაც, ანუ ეკონომიკური გავლენის შეძლებისდაგვარად გაძლიერება საკუთარი ტერიტორიების მიღმა არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, ფინანსურ ნაკადებზე და მისთ.), საჭიროა გააზრებული, გრძელვადიანი და კომპლექსური გეოეკონომიკური სტრატეგია და სახელმწიფო აპარატი, რომელსაც ამ სტრატეგიის განხორციელება ხელეწიფება.

გეოეკონომიკურ დაპირისპირებებში მნიშვნელოვანი როლი სახელისუფლებო ბიუროკრატიას რომ აკისრია, ამას გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი-ეკონომისტი, ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი ედვარდ ლუტვაკიც უსვამს ხაზს: *„ქვეყანაში ისეთი ბიუროკრატიის არსებობა, რომელსაც გეოეკონომიკური აზროვნების უნარი გააჩნია, სახელმწიფოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ თამაშებში წარმატების მიღწევის საწინდარია" (ე. ლუტვაკი, ტურბოკაპიტალიზმი, 1999).*

ბიუროკრატიაში პროფესიონალი კადრების მოზიდვისა და მომზადება-გადამზადების საკითხებს წამყვანი სახელმწიფოები სხვადასხვაგვარად უდგებიან. მაგალითად, აშშ-ში ეს ამოცანები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურების დონეზე წყდება; საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა, აშშ-ის სისტემისაგან განსხვავებით, ნაკლებად ლიბერალურია, ამიტომ იქ ამ კატეგორიის საკითხები ძირითადად სახელმწიფო დონეზე რეგულირდება.

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გეოეკონომიკური ინსტრუმენტის მაღალხარისხიანად გამოყენება, როგორიც ეკონომიკური დიპლომატიაა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან გატარებულ ისეთ საგარეო-ეკონომიკურ ღონისძიებებზე, როგორიცაა საგარეო ბაზრების ათვისებაში ბიზნესის ხელშეწყობა, უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიის მოზიდვა,

ექსპორტისათვის გზის გაკვალვა და ა.შ. თუ ადრე დიპლომატიის მთვარ ამოცანად პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა ითვლებოდა, დღეს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ისეთი მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური ამოცანების დიპლომატიური გზებით მოგვარებას, როგორიცაა მსოფლიოს ეკონომიკურ არენაზე ეროვნული ინტერესების დაცვა, საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან აცილება, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სამეურნეო კავშირების განვითარება.

ქვეყნის გეოეკონომიკური ამოცანების შესრულება დამოკიდებულია მსოფლიოში მიმოფანტული ნაციონალური რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობაზე - დიასპორების ხელში საკმაოდ სოლიდური ფინანსური კაპიტალია აკუმულირებული, რომლის ეროვნული ინტერესებისათვის გამოყენება სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა იქცეს. დიასპორის კუთვნილ ფინანსურ კაპიტალთან ერთად, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს აქტივს წარმოადგენს საზღვარგარეთ (განსაკუთრებით განვითარებულ რეგიონებში) მცხოვრებ თანანმემამულეთა პროფესიული ცოდნა, განათლება, უნარ-ჩვევები, რომლებსაც ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფად დღესაც წარმატებით გამოიყენება ისეთი გეოეკონომიკური ინსრუმენტები, როგორიცაა შეიარაღებული ძალები (ტრადიციულისაგან ერთგვარად განსხვავებული ფუნქციით) და სახელმწიფო სპეცსამსახურები.

სადაზვერვო (მ.შ. სამხედრო-სადაზვერვო) სამსახურები, მოიპოვებენ რა ცალკეული ქვეყნების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ გაერთიანებების გასაიდუმლოებულ ფასეულ ინფორმაციას, აძლიერებენ სახელმწიფოს გეოეკონომიკურ ფუნქცია-მნიშვნელობას. ნიშანდობლივია, რომ ე.წ. გეოეკონომიკურ დაზვერვას სახელმწიფოები არა მხოლოდ მტრულად განწყობილი სუბიექტების მიმართ ეწევიან, არამედ ჯაშუშობენ მეგობრების (პარტნიორების) წინააღმდეგაც. სპეციალურად „თეთრი სახლისთვის" 1990-იანი წლების დასაწყისში განხორციელებულმა კვლევებმა უჩვენა (და ეს შემდგომში ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომაც დაადასტურა), რომ მხოლოდ მეგობარი ქვეყნების (გერმანია, სამხრეთ კორეა, იაპონია, საფრანგეთი) მხრიდან განხორციელებული ჯაშუშური ქმედობის შედეგად ამერიკული საწარმოები ყოველწლიურად მილიარდი დოლარის ზარალს ღებულობდნენ. ნიშანდობლივია, რომ ამ კვლევის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უფლება-მოვალეობები და გაიზარდა მისი დაფინანსება (შეიქმნა სპეციალური განყოფილება სახელწოდებით „Strategic and Business Group", რომლის მთავარ ამოცანად განისაზღვრა ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობის ტექნოლოგიური კვლევა-გამოგონებების მონიტორინგი და სამამულო მრეწველობის უცხოური დაზვერვისაგან დაცვის უზრუნველყოფა). ცალკე აღნიშვნას იმსახურებს იაპონიის სადაზვერვო საქმიანობა, რომლის ბიუჯეტის 80%-ზე მეტი ეკონომიკურ დაზვერვაზე იხარჯება; გეოეკონმიკური დაზვერვის მაღალი აქტივობით გამოირჩევიან ბრიტანეთის და შვედეთის სახელმწიფო სამსახურებიც.

გეოეკონომიკური დაპირისპირებისათვის უცხო არ არის კრიმინალის როგორც ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკაც - დანაშაულებრივი საქმიანობის მაღალი დონე ხომ ინვესტიციების განხორციელებას უშლის ხელს, ასუსტებს ფირმების კონკურენტუნარიანობას, იწვევს რესურსების უსამართლო გადანაწილებას,

ამცირებს წარმოების ეფექტიანობას და მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუ-ჯეტს.

გეოეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მსოფლიოს სამეურნეო სივრცეში ინტეგრაციისას უცხოელი მწარმოებლების არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან სამამულო ბაზრის ეფექტიან დაცვაში მდგომარეობს. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია გამართული გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება, რომელიც მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების, ეკონომიკის დინამიკური განვითარების, მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს პოზიციების გამყარების მიზნებს დაეფუძნება. ქვეყანამ საკუთარი გეოეკონომიკური უპირატესობები მაქსიმალური სარგებლიანობით უნდა გამოიყენოს, ოპტიმალურად და ეფექტიანად განახორციელოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების განმაპირობებელი ისეთი გეოეკონომიკური შესაძლებლობების რეალიზება, როგორიცაა: შრომითი, ბუნებრივი, ეკონომიკური (საწარმოო, ინსტიტუციური, ფინანსური, ინფრასტრუქტურული, საინოვაციო) რესურსების პოტენციალი და გეოპოლიტიკური პირობების გამოყენების საშუალებები (გეოგრაფიული მდგომარეობა და სატრანზიტო ფუნქცია, მოსაზღვრე თუ სხვა სამეურნეო პარტნიორ ქვეყნებთან ისტორიულად ჩამოყალიბებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ვექტორების თანაარსებობისა და დივერსიფიცირების საშუალებები).

დასკვნები და რეკომენდაციები

- გეოეკონომიკა თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკის მძლავრ ინსტრუმენტად იქცა;
- ქვეყნის განვითარების ანალიზი გლობალური სისტემის განვითარების გაანალიზების გარეშე ნაკლებად სარწმუნოა;
- ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სერიოზული კვლევების განხორციელება შრომის საერთაშორისო დანაწილების გათვალისწინების გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო სამეურნეო-პოლიტიკურ სისტემაში განუხრელად იზრდება, შესაბამისად, მატულობს მათი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული გავლენა იმ სახელმწიფოებზე, რომლებშიც ისინი სხვადასხვა ფორმით ოპერირებენ;
- ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (და მთლიანობაში ეკონომიკის დარგებს) განსხვავებული გავლენა აქვთ სახელმწიფოს გეოპოლიტიკაზე, ამიტომ მათი როლისა და მნიშვნელობის შეფასება მხოლოდ გეოეკონომიკური პოზიციიდან გამომდინარეა მართებული;
- ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა (ტრანსნაციონალიზებული კაპიტალის მოძრაობა) სახელმწიფოს განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, ეროვნული უსაფრთხოებისთვის საშიშროების გაჩენისთანავე კი მათ წინააღმდეგ შესაბამისი სამართლებრივ-ეკონომიკური ინსტრუმენტები უნდა იქნას ამოქმედებული;

- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (და მთლიანობაში ეკონომიკის განვითარებისათვის) გადამწყვეტად მნიშვნელოვანია გამართული გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება, გეოეკონომიკური უპირატესობების მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენება, გეოეკონომიკური რესურსებისა და შესაძლებლობების ეფექტიანად რეალიზება.

ლიტერატურა

- Luttwak E. Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy. NY.: HarperPeren. 1999
- Luttwak E. The Endangered American Dream. NY.: Touchstone. 1993.
- გ. კვინიკაძე. გეოეკონომიკის საფუძვლები. (ელექტრონული რესურსი https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/geoekonomikis%20safudzvlebi.pdf). თსუ. თბილისი. 2017.
- ლ. ბახტაძე, შ. ვეშაპიძე, თ. ზუბიაშვილი. გეოეკონომიკა. (ელექტრონული რესურსი https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/bakhtadze-geoekonomika-reader.pdf). თსუ. თბილისი. 2021.
- ბასარია ვ., ბასარია რ. ეკონომიკის პრინციპები. საქართველოს აკადემიური გამომცემლობა. თბილისი. 2017.
- И.Ф. Игнатьева, Б.А. Исаев. Геоэкономика как структурный элемент геополитики. Вестник Томского государственного университета Философия. Социология. Политология. 2018. № 44
- Глущенко В.В. Геоэкономический фактор обеспечения национальной безопастности государства. (ელექტრონული რესურსი https://nbpublish.com/library_get_pdf.php?id=35005). 2015.
- Черная И.П. Геоэкономика. Учебное пособие. Изд-во «ДАШКОВ И Ко.» 2012.

Vladimer Basaria
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Sukhumi State University

THE ROLE OF GEOECONOMICS IN ENSURING NATIONAL SECURITY
Expanded Summary

The need to research and analyze the globalization of international economic relations, the influence of the world's economic relations on geopolitical processes, the organization and functioning of the global system of economic management led to the emergence of a new science - geoeconomics. Despite the diversity of content definitions of this new science, one thing can be said for sure - geoeconomics is a powerful tool of modern state policy. The essence of the geo-economic approach is that the discussion of the national economy is valid from the world economic position - the national economy in the modern era should be considered as a part of the world economy that coexists with other parts. This means that the analysis of the development of an individual country cannot be complete and reliable without analyzing the development of the global system. It is for this reason that the geoeconomics approach is given special importance in setting and solving the strategic and tactical tasks of the state. The ability of the state to deal with financial and economic crises or threats of involvement in international geoeconomic conflicts, with open or covert geoeconomic wars (its elements) or to

avoid the risks of damaging sanctions, etc. - largely depends on the effectiveness of geoeconomic analysis. Carrying out serious studies determining the competitiveness of the national economy without taking into account the international division of labor is practically impossible today - it is necessary to take into account the reality, according to which in our era, the competition does not take place between countries so much as between the transnational reproduction systems that include global financial monopolies, the largest international production companies, supranational bodies of geopolitical and economic regulation.

The geopolitical situation of the state has a significant influence on the economic opportunities of transnational corporations, and the level of economic and technological development of corporations is affected by the geopolitical situation of the state. Therefore, on the one hand, the role of geoeconomic science at the level of transnational corporations lies in providing favorable conditions for the sustainable socio-economic development of these entities, but on the other hand, taking into account that the imported capital can cause serious damage to the national security of the country (uncontrolled transfer of capital is extremely dangerous for the national currency; with the use of transnational capital, it is possible to put pressure on local companies and even force a change in the country's production specialization),the activities of transnational companies should be carried out under the special supervision of the state, and as soon as a threat to national security appears, appropriate legal and economic instruments should be implemented against them.

Transnational corporations (and sectors of the economy as a whole) have a different influence on the geopolitics of the state, therefore, their role and importance are quite difficult to assess and are valid only from a geoeconomics point of view (along with the contribution made to the formation of the GDP, the influence of such corporations on the geopolitical situation of the state and its stability should always be taken into account). Moreover, the process of integration requires attention to ensure national security because, unfortunately, the economic relations of the world are far from depoliticization, unwavering observance of uniform civilized rules of the game, or even from adherence to the principles of the concept of international economic security recognized and declared by the world community itself.

Fulfillment of the country's geoeconomic tasks depends on government bureaucracy; on economic diplomacy; on the armed forces and special services; on the ability to mobilize national resources scattered around the world.

In order to ensure national security, it is extremely important for Georgia to form a proper geoeconomic strategy. The country should use its geoeconomic advantages to the maximum advantage, optimally and efficiently realize such geoeconomic opportunities that lead to increasing competitiveness, such as: the potential of labor, natural, economic (production, institutional, financial, infrastructural, innovation) resources, means of using geopolitical conditions (geographical position and transit function, historically established trade-economic relations with bordering or other economic partner countries, coexistence of vectors of political and economic development of the country and means of diversification).

Keywords: *national security; geoeconomics; geopolitics; globalization; concept of international economic security; Transnational corporations*

შრომითი რესურსების მართვა - LABOUR RESOURCE MANAGEMENT

მურმან ცარციძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მინიმალური ხელფასის განსაზღვრისა და რეგულირების თავისებურებანი განვითარებულ ქვეყნებში

DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.MURMAN.TSARTSIDZE

ანოტაცია. *მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მათი შემოსავლების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირება, სადაც მნიშვნელოვან როლს შრომის ანაზღაურება და მინიმალური ხელფასი ასრულებს. ეს უკანასკნელი განეკუთვნება იმ მინიმალურ სოციალურ სტანდარტს, რომელიც წარმოადგენს დაქირავებულ მომუშავეთა სოციალური დაცვის გარანტს. მასში პირდაპირ აისახება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური დაცვის დონე და ხარისხი. ამჟამად მსოფლიოს ქვეყნების 90%-ზე მეტს დადგენილი აქვს მინიმალური ხელფასი საკანონმდებლო წესით. შესაბამისად, მინიმალური ხელფასის პრობლემა, მისი განსაზღვრა და რეგულირება განვითარებული ქვეყნების სამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია.*
ნაშრომში წარმოდგენილია მინიმალური ხელფასის განსაზღვრის, სახელმწიფო რეგულირების თავისებურებების შეფასება განვითარებულ ქვეყნებში. განხილულია მისი დონისა და დინამიკის ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის საკანონმდებლო რეგულირებას, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის დაწესებისას მისი დადებითი და უარყოფითი მომენტების შეფასებას. კვლევის ძირითადი შედეგები განზოგადოებულია ნაშრომის დასკვნით ნაწილში.
საკვანძო სიტყვები: *მინიმალური ხელფასი, შრომის ანაზღაურება, სახელმწიფო რეგულირება, სოციალური პოლიტიკა.*

შესავალი

მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების, ცხოვრების დონისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უდიდესი მნიშველობა აქვს შემოსავლების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის რეალიზაციას. როგორც საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ მხრივ უდიდესი ყურადღება ექცევა ხელფასის სახელმწიფო რეგულირებას. კერძოდ, ეკონომიკის კერძო სექტორში იგი ხორციელდება სოციალური პარტნიორობის გზით. ხოლო მთლიანობაში იგი შენარჩუნებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებით: ხელფასის გარანტირებული მინიმუმის (მინიმალური ხელფასი) დადგენა; ხელფასზე და სხვა შემოსავლებზე საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება; ფასების ზრდის, ინფლაციის პირობებში, შემოსავლების კომპენსაცია-ინდექსაციის ან სხვა ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხელფასის რეალური შინაარ-

სისა და როლის ამაღლებას; სახელმწიფო სექტორში ხელფასის პირდაპირი რეგულირება; პირდაპირი სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის შემოღება ხელფასის სრულ და დადგენილ ვადებში გადახდის თაობაზე, ხელფასის სრული სახელმწიფო გარანტიების რეალიზაციის თაობაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის სოციალური ქარტიის სამართლებრივი აქტების, ცალკეული საკანონმდებლო დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულია ყველა დონისა და კატეგორიის მომუშავეთა სოციალური უფლებები. ძირითადი დებულებები მოიცავს შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დაცვის სისტემის ორგანიზაციულ საფუძვლებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მინიმალური ხელფასის საკანონმდებლო რეგულირების პრაქტიკას. იგი იწყება 1896 წლიდან ავსტრალიაში, სადაც მეწარმეებმა შექმნეს საბჭოები, ხელფასის საკითხებთან დაკავშირებით. მათ ქონდათ უფლებამოსილება დაედგინათ სამართლიანი მინიმალური ხელფასები ყველა დარგისათვის. შემდეგ ეტაპზე მინიმალური ხელფასის შესახებ კანონები მიღებულ იქნა დიდ ბრიტანეთში (1909 წელი), საფრანგეთში (1915 წელი), ავსტრიაში (1918 წელი), გერმანიაში (1923 წელი) და ევროპის სხვა ქვეყნებში (Войтенкова, 1993:84-85). ევროპის ქვეყნებში მინიმალური ხელფასის დადგენის პროცედურა ხასიათდება გარკვეული ეროვნული თავისებურებებით. ცალკეულ ქვეყნებში მინიმალური ხელფასი დგინდება საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ისეთ ქვეყნებში კი როგორიცაა ნიდერლანდები, დგინდება შრომის ანაზღაურების მინიმუმი პროფესიებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. თანამედროვე პირობებში საერთო სახელმწიფოებრივი მინიმალური ხელფასი დადგენილია ბევრ ქვეყანაში. კერძოდ, სხადასხვა პერიოდში შსო-ს წევრი ქვეყნების[2] 90%-ზე მეტმა დაადგინა ერთი ან მეტი მინიმალური ხელფასი შესაბამისი კანონმდებლობით ან სავალდებულო კოლექტიური ხელშეკრულებებით. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანაში მინიმალური ხელფასი მოიცავს დასაქმებულთა უმრავლესობას ან ექვემდებარება რეგულარულ განხილვას (www.ilo.org/). მაშასადამე ეროვნული ტენდენციების გათვალისწინებით მინიმალური ხელფასის განსაზღვრის პრაქტიკა სხვადასხვაგვარია: საკანონმდებლო-სამართლებრივი გზით; რეგულირება სამმხრივი კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე, "ტრიპარტიზმის" პრინციპების გამოყენებით; რეგულირება სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ. ზემოაღნიშნულის მიუხედავათ, მინიმალური ხელფასი საკანონმდებლო წესით არ არის დადგენილი ყველა ქვეყანაში. მაგალითად, შვედეთსა და ფინეთში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თვით ტერმინი "მინიმალური ხელფასი" დასავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა მოდიფიკაციებში განიმარტება, როგორც მოსახლეობის ერთგვარი სოციალური გარანტის ფორმა. ზოგადი გამარტებით **მინიმალური ხელფასი** არის შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ღირებულების ქვედა ზღვარი, რომელიც შეესაბამება ჯანმრთელობისათვის ნორმალურ პირობებში შესასრულებელი ნაკლებად რთული (მარტივი) სამუშაოს შრომის ანაზღაურებას. თეორიული პოზიციებიდან მინიმალური ხელფასის სიდიდე უნდა იყოს საკმარისი ერთი მომუშავის მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილე-

[2]2015 წლის სექტემბრის მონაცემებით შსო-ს წევრი იყო 186 ქვეყანა. მათ შორის მინიმალური ხელფასის მქონედ, მიმღებად განიხილებოდა მხოლოდ ის ქვეყნები, სადაც იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გავრცელდა კერძო სექტორზე, მათ შორის, კოლექტიური ხელშეკრულებების შესახებ კანონის შესაბამისად.

ბისათვის. მაშასადამე, მინიმალური ხელფასის ეკონომიკური არსი მდგომარეობს მომუშავის მიერ მწარმოებლური შრომის უნარის შენარჩუნებასა და სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებაში. ხოლო შრომის ბაზრის სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით ვხვდებით სხვა საყურადღებო განმარტებასაც, რომლის შესაბამისად **„მინიმალური ხელფასი** არის მომუშავის შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე დროის ერთეულში (საათი, დღე, თვე ან კვირა), რომელიც დამსაქმებელს შეუძლია გადაიხადოს, ხოლო დასაქმებულს, თავის მხრივ, შეუძლია ლეგალურად, კანონიერად გაყიდოს თავისი შრომა" (https://visasam.ru/, 2022).

მინიმალური ხელფასის რეგულირების თავისებურებანი და კანონმდებლობა განვითარებულ ქვეყნებში

განვითარებულ ქვეყნებსა და განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანაში შრომის ანაზღაურებასა და მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას წარმოებს მოლოპარაკებები სხვადასხვა დონეზე **(იხ. ცხრილი-1).**

ცხრილი 1. მოლაპარაკებების სისტემა და დონეები შრომის ანაზღაურებასა და მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას ევროპის ქვეყნებში[3]

ქვეყანა	დარგთაშორისი	დარგობრივი	კომპანიის დონეზე
ბელგია	XXX	X	X
საფრანგეთი	-	XX	XX
გერმანია	-	XXX	X
იტალია	-	XXX	X
ლუქსემბურგი	-	XX	XX
ჰოლანდია	X	XXX	X
ესპანეთი	X	XXX	X
შვეცია	-	XXX	X
დიდი ბრიტანეთი	-	XX	XXX

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებისა და ლიტერატურული წყაროების გამოყენების საფუძველზე (http://trudsud.ru/).*

უფრო მეტიც, მინიმალური ხელფასის პრობლემა, მისი განსაზღვრა და რეგულირება განვითარებული ქვეყნების სამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (შსო) არაერთხელ განიხილა და მიიღო კონვენციები და რეკომენდაციები დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაში მინიმალური გარანტიების შესახებ. ამ კუთხით ყველაზე სრულყოფილია შსო-ს N131-ე კონვენცია "მინიმალური ხელფასის დადგენის შესახებ განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მონაწილეობით", რომელიც ძალაში შევიდა 1972 წლის 29 აპრილიდან (Convention C131, ilo.org).

[3]X-ხელფასის თაობაზე არსებული მოლაპარაკებების დონე;
XX-ხელფასის თაობაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გამწყვეტი დონე;
XXX-ხელფასის თაობაზე მოლაპარაკებების მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი დონე.

კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თითოეული წევრი ვალდებულია შემოიღოს მინიმალური ხელფასის დადგენის სისტემა, რომელიც მოიცავს დაქირავებულ მომუშავეთა ყველა ჯგუფს, შრომის პირობებს და სხვა. კონვენციაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ეს საკითხები წყდება მეწარმეთა ორგანიზაციებისა და მშრომელთა დაინტერესებულ წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

მინიმალური ხელფასის კონკრეტული სიდიდე ეროვნულ დონეზე დგინდება ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ცალკეულ დარგში ან რეგიონში კი იგი დგინდება მეწარმეთა კავშირებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებების შედეგად და ასახვას პოულობს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შსო-ს მიერ მიღებულ კონვენციასთან ერთად N135-ე რეკომენდაციით განსაზღვრულია, რომ მინიმალური ხელფასის დადგენის მიზანი უნდა იყოს დაქირავებულ მომუშავეთა სოციალური დაცვის გარანტია (Recommendation R135, ilo.org). მინიმალური ხელფასის განსაზღვრისას გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებები; ქვეყანაში ხელფასის საერთო დონე; ცხოვრების ღირებულება და მისი ცვლილება; ეკონომიკური განვითარების ფაქტორები; შრომის მწარმოებლურობის დონე და დასაქმების მაღალი მასშტაბების მიღწევისა და შენარჩუნების სურვილი. გარდა ზემოაღნიშნულისა ევროპის განვითარებული ქვეყნები მინიმალური ხელფასის დონის დადგენისას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესზე მოქმედ ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა: სოციალური გარანტიების დონე, ინფლაცია, დასაქმების დონე და ხარისხი, საარსებო მინიმუმი **(იხ. ცხრილი-2).**

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში მინიმალური ხელფასი დგინდება მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის, საარსებო მინიმუმის ან მინიმალური და საშუალო ხელფასების ურთიერთშესაბამისობის დადგენის გზით.

ცხრილი-2. მინიმალური ხელფასის დონის განმსაზღვრელი ფაქტორები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში

ქვეყანა	ხელფასის დონე	სოციალური გარან-ტიების დონე	საარსებო მინიმუმი	ინფლაცია	დასაქმება	ეკონომიკური სიტუაცია	შრომის მწარმო-ებლურობა	კრიტერიუმის გარეშე
ავსტრია								X
ბელგია				X				
ბულგარეთი	X	X	X	X	X	X	X	
კვიპროსი	X							
ჩეხეთი				X				
ესტონეთი	X			X	X		X	
ფინლანდია				X	X	X		

საფრანგეთი	X		X	X		X		
გერმანია								X
საბერძნეთი								X
უნგრეთი	X	X	X	X	X	X	X	
ისლანდია								X
ირლანდია	X			X	X	X		
იტალია				X				
ლატვია	X							
ლიტვა	X		X	X	X	X	X	
ლუქსემბურგი	X			X		X		
მალტა				X				
ნიდერლანდები	X	X			X			
პოლონეთი	X			X	X	X	X	
პორტუგალია			X	X		X	X	
ისლანდია	X				X	X	X	
შვეიცარია								X
დიდი ბრიტანეთი						X		
რუსეთი	X		X					

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებისა და ლიტერატურული წყაროების გამოყენების საფუძველზე. Цветков В. А. Елисеев Д. О. https://cyberleninka.ru/article/n/ osobennosti-regulirovaniya-oplaty-truda-evropeyskiy-opyt-i-rossiyskie-realii/viewer.*

თუმცა, პოლიტიკური დებატები უფრო მეტად იმართება არა მინიმალური ხელფასის დადგენის მიზანშეწონილობაზე, არამედ იმაზე თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობა. ამისთვის აუცილებელია, რომ კეიტცის ინდექსი[4] (Kaitz index) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით უნდა იყოს 50%-ი, ევროკავშირის რეკომენდაციით კი-60%-ი. ევროსაბჭოს სოციალური უფლებების კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ თანაფარდობა მინიმალურ და მედიანურ ხელფასს შორის არ უნდა იყოს 60%-ზე დაბალი. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშია დასაშვები მისი 50%-მდე შემცირება. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ნიდერლანდებში, დანიაში, გერმანიაში, ბელგიაში მინიმალური ხელფასი შეადგენს საშუალო ხელფასის 50%-ს, აღნიშნული შესაბამისობა საფრანგეთში 60%-ია (Роик, 2005:55). ხოლო კეიტცის ინდექსი რუსეთში 2021 წლის მაისის მდგომარეობით დაახლოებით 23.9%-იყო (wikipedia.org).

ბევრ ქვეყანაში მინიმალური ხელფასი ძირითადად იანგარიშება რეალური მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის, სარსებო მინიმუმის საფუძველზე. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მინიმალური ხელფასი შრომის ანაზღაურების დადგე-

[4]**კეიტცის ინდექსი (ინგლ. Kaitz index)** არის ეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის თანაფარდობას გასაშუალოებულ (მედიანურ) ხელფასთან. რაც უფრო მაღალია კეიცის ინდექსი, მით მეტია მომუშავეთა წილი, რომლებიც იღებენ ხელფასს დადგენილ მინიმუმთან ახლოს.

ნილი მინიმალური დონეა საათში, დღეში, თვეში. მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიხედვით მისი სიდიდე მნიშვნელოვნადაა განსხვავებული. ჩვენს მიერ წარმოდგენილია მსოფლიოს 102 ქვეყნის რეიტინგი თვიური მინიმალური ხელფასის მიხედვით **(იხ. ცხრილი-3),** სადაც ლიდერობენ შვეიცარია, ლუქსემბურგი, ავსტრალია, დანია, მონაკო და სხვა ქვეყნები. მინიმალური ხელფასის ყველაზე დაბალი დონით კი გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: მოლდოვა, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, კუბა, საქართველო, ვენესუელა. განვითარებულ ქვეყნებში ყურადღება ექცევა არა მარტო მინიმალური ხელფასის განსაზღვრას, არამედ მის პერიოდულ გადახედვას, კორექტირებას ცხოვრების ღირებულების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. მისი სიდიდე 2022 წლის ივლისის მდგომარეობით წინა წელთან შედარებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც გაიზარდა.

ცხრილი-3. მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი თვიური მინიმალური ხელფასის ოდენობის მიხედვით 2022 წელს აშშ დოლარზე გაანგარიშებით

რეიტინგი	ქვეყანა	მინიმალური ხელფასი	რეიტინგი	ქვეყანა	მინიმალური ხელფასი	რეიტინგი	ქვეყანა	მინიმალური ხელფასი
1	შვეიცარია	3424.1	35	თურქეთი	535.4	69	ალბანეთი	216.0
2	ლუქსემბურგი	2396.9	36	უნგრეთი	533.2	70	ქუვეითი	213.8
3	ავსტრალია	2389.9	37	ლატვია	515.7	71	სალვადორი	197.6
4	დანია	2180.5	38	რუმინეთი	488.2	72	ტუნისი	172.6
5	მონაკო	2066.4	39	ხორვატია	479.9	73	დომინიკანა	170.9
6	ირლანდია	1895.6	40	ლიტვა	479.7	74	რუსეთი	170.1
7	ბელგია	1874.0	41	კოსტა რიკა	460.4	75	კენია	158.4
8	ახალი ზელანდია	1868.3	42	ჩილე	448.6	76	სომხეთი	153.1
9	ნიდერლანდები	1865.1	43	ურუგვაი	408.3	77	ბელორუსია	150.3
10	გერმანია	1778.6	44	პანამა	366.1	78	მავრიკია	147.1
11	ბრიტანეთი	1723.6	45	პარაგვაი	340.7	79	ნიკარაგუა	145.0
12	იზრაელი	1528.7	46	ტობაგო	337.6	80	ვიეტნამი	145.0
13	საფრანგეთი	1472.1	47	ლივანი	330/3	81	უკრაინა	141.9
14	სამხრეთ კორეა	1468.9	48	სერბია	329.3	82	ინდონეზია	137.8
15	კანადა	1467.9	49	ჰონდურასი	327.3	83	მექსიკა	136.7
16	იაპონია	1192.8	50	ბელიზი	322.2	84	ნიგერია	115.9
17	ანდორრა	1184.8	51	ირანი	319.0	85	ეგვიპტე	110.2
18	აშშ	1160.0	52	ეკვადორი	318.0	86	მავრიტანია	106.4
19	ესპანეთი	1029.7	53	ბულგარეთი	312.7	87	პაკისტანი	102.7
20	სლოვენია	1010.8	54	არგენტინა	306.0	88	ბოტსვანა	100.2

21	კიპრი	**917.1**	**55**	ჩერნოგორია	**303.6**	**89**	ყაზახეთი	**94.2**
22	მალტა	**896.5**	**56**	გვატემალა	**302.7**	**90**	ნეპალი	**91.2**
23	ომანი	**845.3**	**57**	ფილიპინები	**295.1**	**91**	აერბაიჯანი	**75.5**
24	ჰონკონგი	**821.9**	**58**	მალაიზია	**294.4**	**92**	განა	**75.1**
25	საბერძნეთი	**820.0**	**59**	ბოლივია	**291.6**	**93**	ბანგლადეში	**66.4**
26	პორტუგალია	**811.5**	**60**	ბრაზილია	**278.4**	**94**	ინდოეთი	**54.5**
27	არაბეთი	**800.0**	**61**	მოროკკო	**277.6**	**95**	შრილანკა	**52.0**
28	ბახრეინი	**797.9**	**62**	კოლუმბია	**262.9**	**96**	მოლდოვა	**50.1**
29	ბაჰამა	**693.0**	**63**	ტაილანდი	**255.0**	**97**	ტაჯიკეთი	**31.0**
30	ტაივანი	**655.7**	**64**	იუარი	**254.3**	**98**	უზბეკეთი	**24.3**
31	ესტონეთი	**617.7**	**65**	პერუ	**253.6**	**99**	ყირგიზეთი	**17.5**
32	პოლონეთი	**603.2**	**66**	მალდივი	**242.4**	**100**	კუბა	**12.0**
33	სლოვაკეთი	**575.7**	**67**	ალჟირი	**230.5**	**101**	საქართველო	**11.5**
34	ჩეხეთი	**573.0**	**68**	ჩინეთი	**224.7**	**102**	ვენესუელა	**5.5**

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებისა და ლიტერატურული წყაროების გამოყენების საფუძველზე. https://visasam.ru/, 2022.*

მაგალითად, აზერბაიჯანში 37.7%-ით, არგენტინაში 37.1%-ით, მექსიკაში 20.0%-ით, ჩილეში 18.0%-ით, თურქეთში 15.1%-ით, პოლონეთში 14.9%-ით, ბელორუსიაში 13.6%-ით, უკრაინაში 13.2%-ით, საბერძნეთში 10.9%-ით, ლიტვაში 7.6%-ით, რუსეთში 7.5%-ით და ა.შ (https://ru-geld.de/salary/europe.html, 2022). ამერიკის შეერთებულ შტატებში 2021 წლის მდგომარეობით იგი საშუალოდ ფედერალურ დონეზე 7.25 აშშ დოლარს შეადგენს საათში (thebalancecareers.com, 2022), რომელიც ზოგიერთი შტატის მიხედვით შედარებით კიდევ უფრო მაღალია (dol.gov, 2022).

ცხრილი-4. მინიმალური ხელფასის დინამიკა საქართველოში 1995-2022 წლებში

წლები	**მინიმალური ხელფასი (ლარი)**	**მინიმალური ხელფასის დაგენის საფუძველი**
1995 ნოემბერი	**3.5**	შრომის კოდექსი
1996 დეკემბერი	**12.0**	შრომის კოდექსი
1997 აგვისტო	**15.0**	შრომის კოდექსი
1998 სექტემბერი	**18.0**	შრომის კოდექსი
1999 ივნისი	**20.0**	ბრძანებულება N351, 1999; ბრძანებულებ N767, 2006
2005 იანვარი	**115.0**	ბრძანებულება N43, 2005
2007 ნოემბერი	**135.0**	ბრძანებულება N661, 2007

2022 დეკემბერი	**507.0 (≥2*სმ)**[5]	კანონი N6819, 2020 „დასაქმების ხელშეყობის შესახებ"

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ ცხრილში მითითებული სხვადასხვა საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების გამოყენებით.*

რაც შეეხება საქართველოს ბოლო 25-26 წლის განმავლობაში მინიმალური ხელფასის დონე, რომელიც განისაზღვრებოდა ცალკეულ პერიოდში სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, დღესაც საკმაოდ დაბალია (იხ. ცხრილი-4). უფრო მეტიც, მისი განსაზღვრისა და რეგულირების მექანიზმი ქვეყანაში დღემდე არ არსებობს, რაც პირველ რიგში შესაბამისი კანონმდებლობის შექმნას საჭიროებს.

ეკონომიკური განვითარების თავისებურებებისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ცალკეულ ქვეყნებში ხშირად იცვლება მიდგომა თვით მინიმალური ხელფასის განსაზღვრასა და მის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, 2022 წლის 1 იანვრიდან რუსეთში ფედერალური მინიმალური ხელფასი 13890 რუბლით (საშუალოდ 184 აშშ დოლარის ექვივალენტი) განისაზღვრა. ამ უკანასკნელის სიდიდე გაანგარიშებულ იქნა მედიანური ხელფასის მიმართ და არა საარსებო მინიმუმის საფუძველზე, როგორც ადრე ხდებოდა. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრიდან საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის გამოთვლის ახალი პროცედურა შემუშავდა, რომლის მიხედვითაც მინიმალური ხელფასი დამოკიდებულია წინა წლის მედიანურ ხელფასზე და მედიანურ შემოსავალზე[6]. კერძოდ, მისი სიდიდე აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენს როსსტატის მიერ გამოთვლილი მედიანური ხელფასის 42.0%-ს. კანონის მიხედვით მინიმალური ხელფასის ზომა არ შეიძლება იყოს შრომისუნარიანი მოსახლეობის საარსებო მინიმუმზე ნაკლები მომავალი წლისთვის (kontur.ru).

მინიმალური ხელფასი დგინდება როგორც კანონმდებლობით, ისე არაფორმალურად. მაგალითად, სატარიფო შეთანხმებების საფუძველზე პროფკავშირებსა და დამსაქმებლებს შორის დარგობრივი შეთანხმებების ხელმოწერის გზით. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეწარმეები და პროფკავშირების წარმომადგენლები მოლაპარაკებებზე მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე წყვეტენ ხელფასის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას. ხოლო პროფკავშირებში გაუწევრიანებელი მომუშავეები სახელმწიფოს მხრიდან დაცულნი არიან საკანონმდებლო წესით, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ღირებულების ქვედა ზღვარის-მინიმალური ხელფასის დადგენის გზით. ზოგადად საერთაშორისო პრაქტიკაში აღნიშნულ ზღვარს წარმოადგენს მინიმალური სამომხმარებლო ბიუ-

[5]„დასაქმების ხელშეყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად (კანონი N6819, 2020) განისაზღვრა გარკვეული კავშირი საარსებო მინიმუმსა (სმ) და შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეს შორის. კერძოდ, დადგინდა, რომ სრულგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებისათვის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმს ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს.

[6]მედიანურ შემოსავალი არის ფულადი შემოსავლის ისეთი სიდიდე, რომელთან მიმართებაშიც მოსახლეობის 50%-ის საშუალო სულადობრივი შემოსავალი მასზე დაბალია, ხოლო დანარჩენი 50%-ის, მასზე მაღალი. ანალოგიური მიდგომაა მედიანურ ხელფასთან მიმართებაში. აღნიშნული მაჩვენებელის მიხედვით მომუშავეები იყოფა ორ თანაბარ კატეგორიად. პირველი ნახევარი ღებულობს მედიანურ ხელფასზე ნაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე მაღალ ხელფასს.

ჯეტი, რომელიც ასევე ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს საარსებო მინიმუმის განსაზღვრის საფუძველსაც. თუმცა განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულია სამომხმარებლო ბიუჯეტების სხვა ფორმებიც. კერძოდ, რაციონალური და ელიტარული სამომხმარებლო ბიუჯეტი (cyberleninka.ru) **(იხ. სქემა-1).**

სქემა-1. სამომხმარებლო ბიუჯეტების სისტემა საერთაშორისო პრაქტიკაში



საარსებო მინიმუმი (LW) არის სამომხმარებლო კალათის (კვების პროდუქტების, არასასურსათო პროდუქტებისა და მომსახურების მინიმალური ნაკრები, რომელიც აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და მისი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად) ღირებულებითი შეფასება, აგრეთვე სავალდე-ბულო გადასახადები და მოსაკრებლები, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფების მიერ მათზე გაწეული დანახარჯების წილის შესაბამისად. საარსებო მინიმუმი ორიენტირებულია ფიზიკურ არსებობაზე და პიროვნების ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე. იგი გამოიყენება როგორც ერთგვარი სოციალური ნორმატივი, ორიენტირი განსაზღვრულ პერიოდებში. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისის, ან მისი დაძლევის პერიოდში.

მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (MPB) არის საქონლისა და მომსახურების ღირებულებითი შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ დონეზე ადამიანთა ძირითადი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს და შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას. საარსებო მინიმუმისგან განსხვავებით, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (მსბ) ითვალისწინებს მთელი რიგი სულიერი საჭიროებების, მოთხოვნილებების ხარჯებს, მოიცავს კვების პროდუქტების უფრო რაციონალურ ნაკრებს, მომსახურების უფრო ფართო სპექტრს, ითვალისწინებს არასასურსათო საქონლის სასიცოცხლო ციკლის უფრო ხანმოკლე პერიოდს.

რაციონალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (RPB), ან მაღალი შემოსავლის მქონე ბიუჯეტი, წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მოხმარების სტრუქტურისა და შემადგენლობის ღირებულებით შეფასებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის გონივრული ფიზიოლოგიური, სულიერი და სოციალური საჭიროებების, მოთ-

ხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური ნორმების შესაბამისად.

ელიტური სამომხმარებლო ბიუჯეტი (EPB) ახასიათებს მაღალი და ზემაღალი შემოსავლის მქონე პირთა მოხმარების დონესა და სტრუქტურას.

აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე, საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების სამომხმარებლო ბიუჯეტის სტრუქტურის განხილვა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანაში საშუალოდ ერთ სულზე სამომხმარებლო ხარჯები წელიწადში 27000 ევროს შეადგენს. მათგან, ფულის მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯება საკვებსა და გამაგრილებელ სასმელებზე (6.8%). გარდა ამისა, ამერიკელები ნაკლებად ხარჯავენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე (3.4%). ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები, ძირითადად, კერძო კომპანიების მიერ მოწოდებული მომსახურების შესაბამისად, ამერიკული ოჯახის ბიუჯეტის თითქმის მეოთხედს შეადგენს. ამავდროულად, ამერიკელები ტრადიციულად ბევრს ხარჯავენ დასვენებასა და გართობაზე (ბიუჯეტის 9.0%). საინტერესოა, რომ დიდი დეპრესიის დროსაც გასართობად დახარჯული თანხა დიდი იყო და ოჯახის ბიუჯეტის 5.4%-ს შეადგენდა (/www.the-village.ru/). აშშ-ში სამომხმარებლო კალათა მუშავდება ე. წ. გელლერის ბიუჯეტის სქემის მიხედვით**.** რომელიც არის საშუალო ოთხკაციანი ოჯახის ბიუჯეტი (ქმარი, ცოლი, ვაჟი 13 წლის, ქალიშვილი 8 წლის). მასში ჩაირთვება საქონელისა და მომსახურების ტიპიური კომპლექტი (რაოდენობა და ხარისხი სტანდარტულია), რომელიც საზოგადოების თვალსაზრისით აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისათვის. მისი ღირებულება გამოითვლება მიმდინარე წლის საბაზრო ფასებით. გელლერის ბიუჯეტის სტრუქტურის მიხედვით კვების პროდუქტები არ უნდა აღემატებოდეს "კალათის" ღირებულების 30.0%-ს, არასასურსათო საქონელი 47.0%-ს (მათ შორის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი 20.0%; ავეჯი და კულტსაქონელი 18.0%; სხვა ფასეულობები 9.0%), დანარჩენი საქონელი და მომსახურება 23.0%-ს (for-ua.com).

იაპონიში წლიური სამომხმარებლო ხარჯების სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე 21000 ევროს შეადგენს. იაპონელთა სამომხმარებლო ქცევა, დიდი ხნის განმავლობაში, მკვეთრად განსხვავდებოდა ევროპულიდან. მათ ყველაზე მაღალი ხარჯები აქვთ საწვავზე, საბინაო და კომუნალური მომსახურებაზე, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა. ამავე დროს, იაპონელები მეორე ადგილზე იყვნენ დასვენებისა და კულტურის ხარჯების წილის თვალსაზრისით (9.2%). კვებაზე ხარჯები საშუალოდ 13.7%-ი, ხოლო ჯანდაცვაზე 4.6%-ია. ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით საშუალო სამომხმარებლო ხარჯები ერთ სულზე წელიწადში 15000 ევროს შეადგენს. ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ საკვების ხარჯები აქ საკმაოდ დაბალია და 12.3%-ს შეადგენს. დასვენებისა და კულტურის ხარჯები კი საკმაოდ მაღალია (8.6%), რაც დამახასიათებელია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ევროპელები თავიანთი ბიუჯეტის მეოთხედს ხარჯავენ საცხოვრებლის, საწვავისა და კომუნალური გადასახადებისთვის და ამ კატეგორიის წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება (https://www.the-village.ru/). ალკოჰოლურ სამელებზე, თამბაქოსა და ნარკოტიკებზე კი 8.3% იხარჯება, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე 9.2%, ჯანდაცვაზე 3.7%, დასვენებასა და კულტურულ ღონისძიებებზე 5.2%. ჯანდაცვის ხარჯების კუთხით მსოფლიოში ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები (20.9%), ხოლო აუტსაიდერის როლში საუდის არაბეთია (1.7%). კვებისა და უალკოჰოლო სასმელების კუთხით ყველაზე მაღალი ხარჯები აქვს რუსეთს (30.7%),

ხოლო ყველაზე დაბალი წილი აშშ-ში (6.8%). ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენაზე ხარჯების კუთხით ლიდერობს რუსეთი (9.2%), ხოლო მისი ხვედრითი წილი ყველაზე დაბალი მექსიკაშია (3.0%). დასვენებისა და კულტურის სფეროში ხარჯების წილის შესაბამისად პირველ ადგილზეა ნიდერლანდები (10.9%), ხოლო ბოლო ადგილზე ინდოეთი (1.5%). წლიური სამომხმარებლო ბიუჯეტის სტრუქტურაში ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმისა და ნარკოტიკების მოხმარების დონე ყველაზე მაღალია ესტონეთში 8.6%, ხოლო ყველაზე დაბალი საუდის არაბეთში 0.5% (https://www.the-village.ru/).

ცხრილი-5. სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა განვითარებულ ქვეყნებში

N	დასახელება	რუსეთი	გერმანია	აშშ	დიდი ბრიტანეთი
1ჯგუფი	კვების პროდუქტები, უალკოჰოლო სასმელები, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, კავშირგაბმულობა, განათლება	50.0%	17.0%	20.6%	11.5%
2ჯგუფი	ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო საქონელი, სხვა საქონელი და მომსახურება	25.0%	17.0%	9.0%	18.5%
3 ჯგუფი	ბინა, წყალი, ელექტრო ენერგია, გაზი, საწვავავი, ტრანსპორტი, დასვენება, გართობა, კულტურა, ჯანდაცვა, სარესტორანო და სასტუმრო მომსახურება და სხვა	25.0%	66.0%	70.4%	70.0%

სქემა-2. სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა განვითარებულ ქვეყნებში



	1 ჯგუფი	2 ჯგუფი	3 ჯგუფი	
რუსეთი	50,0%	25,0%	25,0%	
გერმანია	17,0%	17,0%	66,0%	
აშშ	20,6%	9,0%	70,4%	
ბრიტანეთი	11,5%	18,5%	70,0%	

წყარო: *ცხრილი და სქემა შედგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა ელექრონული რესურსების გამოყენებით: (rambler.ru); (scienceforum.ru).*

შედარებისათვის საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის განხილვა (იხ. ცხრილი 5).

სამომხმარებლო ბიუჯეტის სტრუქტურაში ბინა, ტრანსპორტი, საწვავი, დასვენება, გართობა, კულტურა, სასტუმროს მომსახურება და ჯანდაცვა უდიდეს როლს თამაშობს, რადგან გერმანიაში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ისინი შეადგენენ შესაბამისად 66.0%, 70.4% და 70.0%-ს. რუსეთში კი მისი წილი მხოლოდ 25.0%-ია. სამაგიეროთ რუსეთში საკვებისა და ალკოჰოლური/უალკოჰოლო სასმელების წილი ყველაზე მაღალია (50%). ეს უკანასკნელი გერმანიაში 17.0%, აშშ-ში დაახლოებით 20.6%, დიდ ბრიტანეთში კი მხოლოდ 11.5%-ია. გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სხვადასხვა სერვისები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები შესაბამისად 17.0% და 18.5%-ია. რუსეთში იგი 25%-ს, ხოლო აშშ-ში მხოლოდ 9.0%-ს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ხელფასი განისაზღვრება მრავალ ქვეყანაში, მაინც არ არსებობს ერთიანი აზრი მის საერთო სახელმწიფო დონეზე საკანონმდებლო წესით დადგენასთან დაკავშირებით და შესაბამისად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N131 კონვენციის მოთხოვნები სრულდება არა ყველა სახელმწიფოს მიერ. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, მინიმალური ხელფასის საერთო სახელმწიფო დონეზე საკანონმდებლო წესით დადგენასთან დაკავშირებით მოსალოდნელია გარკვეული უარყოფითი ეფექტები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის საერთო პროცესზე, მის ფინანსურ შედეგებზე, საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ მათი აზრით: მინიმალური ხელფასის დაწესების შედეგად იზრდება უმუშევრობა და შესაბამისად სიღარიბე; სუსტდება კონკურენცია შრომის ბაზარზე; რთულდება ფირმების დანახარჯების შემცირება; იზრდება ფასები და შესაბამისად ვითარდება ინფლაცია; ზარალდება როგორც მცირე, ისე მსხვილი ბიზნესი, უპირატესად კი მცირე ბიზნესი; მცირდება მოთხოვნას სამუშაო ძალაზე; გარკვეულწილად ხდება მოსახლეობის უღარიბესი ფენების დემოტივაცია და სხვა. მკვლევართა მეორე ჯგუფის მიერ განსაზღვრულია დადებითი შედეგები, რომელიც მიმდინარე გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ეტაპზე, მინიმალურ ხელფასს შეუძლია შეასრულოს შრომის ბაზრისა და საერთო შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში **(იხ. სქემა-3).**

სქემა-3. მინიმალური ხელფასის დადებითი ეფექტები

მინიმალური ხელფასის დადებითი ეფექტები

- ზრდის ცხოვრების დონის სტანდარტებს მოსახლეობის უღარიბესი და ნაკლებად დაცული ფენებისათვის
- იწვევს პერსონალის მოტივაციას უფრო გაძლიერებული, ეფექტიანი, მაღალმწარმოებლური შრომისათვის (სოციალური პროგრამებისა და სხვა ანალოგიური გასაცემლებისაგან განსხვავებით)
- ასტიმულირებს მოხმარებას ღარიბი მოსახლეობის წილად ფულადი მასის გაზრდის მეშვეობით
- აძლიერებს დაბალშემოსავლიან მუშაკთა ძალისხმევას, ვინაიდან დამსაქმებელი მოითხოვს მეტს მათგან, ვინც ღებულობს შედარებით უფრო მაღალ ანაზღაურებას
- ბიზნეს შეუძლია დახარჯოს ნაკლები თავისი თანამშრომლების მომზადებაზე კადრების დენადობის შემცირების ხარჯზე
- ამცირებს სახელმწიფოს სოციალურ დანახარჯებს მოსახლეობის უღარიბესი ფენების შემოსავლების ზრდის ხარჯზე
- განსაზღვრავს მარტივი შრომის საფასურად მომუშავის სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის მინიმალურად აუცილებელი მატერიალური სიკეთისა და მომსახურების მოცულობას და იძლევა მისი მიღების გარანტიას
- იგი ხელფასის რეალური დიფერენციაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან გავლენას ახდენს როგორც საშუალო და მინიმალური ხელფასის, ისე ცალკეული კვალიფიკაციური ჯგუფების ანაზღაურების ურთიერთშესაბამისობაზე, აგრეთვე შრომის ანაზღაურების მინიმალურ და მაქსიმალურ ზომაზე
- მინიმალური ხელფასი გავლენას ახდენს ხელფასის სტრუქტურაზე, მასში მუდმივი და ცვალებადი ნაწილების ურთიერთშესაბამისობაზე და მთლიანად ხელფასის ეფექტიან ორგანიზაციაზე საწარმოში

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების შეჯერების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

1. მინიმალური ხელფასი განეკუთვნება იმ მინიმალურ სოციალურ სტანდარტს, რომელიც წარმოადგენს დაქირავებულ მომუშავეთა სოციალური დაცვის გარანტს. მასში პირდაპირ აისახება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური დაცვის დონე და ხარისხი. ამჟამად მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობას დადგენილი აქვს მინიმალური ხელფასი საკანონმდებლო წესით. შესაბამისად, ამ უკანასკნელის განსაზღვრა და რეგულირება განვითარებული ქვეყნების სამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში მინიმალური ხელფასი დგინდება ან მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის, საარსებო მინიმუმის განსაზღვრის, ან მინიმალური და საშუალო ხელფასების ურთიერთშესაბამისობის დადგენის გზით.

2. ეროვნული ტენდენციების გათვალისწინებით მინიმალური ხელფასის განსაზღვრის პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვაგვარია: საკანონმდებლო-სამართლებრივი გზით; რეგულირება სამმხრივი კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე, "ტრიპარტიზმის" პრინციპების გამოყენებით; რეგულირება სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ.

3. მინიმალური ხელფასის კონკრეტული სიდიდე ეროვნულ დონეზე დგინდება ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ცალკეულ დარგში ან რეგიონში კი იგი დგინდება მეწარმეთა კავშირებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებების შედეგად და ასახვას პოულობს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4. მინიმალური ხელფასის განსაზღვრისას გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებები; ქვეყანაში ხელფასის საერთო დონე; ცხოვრების ღირებულება და მისი ცვლილება; ეკონომიკური განვითარების ფაქტორები; შრომის მწარმოებლურობის დონე და დასაქმების მაღალი მასშტაბების მიღწევისა და შენარჩუნების აუცილებლობა.

5. განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული კომპანიების საქმიანობის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ხელფასის წლიური და საშუალო ფონდი კომპანიებისა, აგრეთვე დასაქმების დონე უფრო სწრაფად იზრდება შტატებში, სადაც დგინდება მინიმალური ხელფასი, (http://fiscalpolicy.org/) ხოლო დიდი ბრიტანეთის ბაზრის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფასები უფრო სწრაფად იზრდებიან მინიმალური ხელფასით რეგულირებად სექტორებში. Low Pay Commission კომპანიის კვლევებმა კი აჩვენეს, რომ სამუშაო ადგილების შემცირების სანაცვლოდ დამსაქმებლებმა ამჯობინეს განაკვეთების, სამუშაო დროის შემცირება და შეაბამისად შრომის მწარმოებლურობის ზრდის რეზერვების მოძიება.

6. ქვეყნებში, სადაც საკანონმდებლო წესით დგინდება მინიმალური ხელფასი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმების მიხედვით, მისი სიდიდე არ უნდა იყოს 3.0 აშშ დოლარზე ნაკლები საათში (ამერიკის შეერთებულ შტატებში 5.5 დოლარზე ნაკლები), რაც მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით უზრუნველყოფს 10.0 ათასი კვტ. საათი ელექტრო ენერგიის ანაზღაურებას, 600 კილოგრამი პურის შეძენას თვის განმავლობაში (wikipedia.org). შედარებისათვის თუ ავიღებთ

საქართველოს, ყველაზე მინიმალური ფასებისა და ტარიფების შესაბამისად (0.18041 ლარი 1 კვტ.საათი ელექტროენერგიაზე და 2.15 ლარი კილოგრამ პურზე) მინიმალური ხელფასი უნდა იყოს არა 20, 250 ან 550 ლარი, არამედ 3094.10 ლარი.

7. განვითარებული ქვეყნები ყურადღებას აქცევენ არა მარტო მინიმალური ხელფასის განსაზღვრას და მისი გარკვეული დონის დადგენას, არამედ ისინი ცხოვრების ღირებულებისა და ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად უზრუნველყოფენ მის პერიოდულ გადასინჯვას. უფო მეტიც კეთდება არა მარტო მისი ზრდის ტემპების დინამიკის, არამედ სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან თანაფარდობაში მისი შედარებითი ანალიზი. გადასინჯვის პროცეში ძირითადი კრიტერიუმებია: სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა, ინფლაციის ტემპები; საშუალო ხელფასის ზრდა, სამუშაო ძალის ბაზრის კონიუნქტურა; საერთო ეკონომიკური პირობები და სხვა.

ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომისტი", N2, 2022 წელი. (tsu.ge);
2. **აბესაძე რ.** გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები. ჟურნალი „ეკონომისტი", N2, 2020 წელი. (tsu.ge);
3. **ბედიანაშვილი გ. ბიჭია ქ. ნაცვლიშვილი ე.** სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. ჟურნალი "გლობალიზაცია და ბიზნესი" N12, 2021 წელი. (eugb.ge). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002;
4. **კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ.** ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოში. Institutional transformation and its challenges in Georgia.pdf (tsu.ge);
5. **მექვაბიშვილი ე.** კორონომიკური კრიზისის გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოსთვის. ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი". N1, 2021 წელი. Economics and Business (tsu.ge);
6. **პაპავა ვ., ჭარაია ვ.** კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. 2020 წელი. (GFSIS.ORG);
7. **პაპავა ვ.** საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2015 წელი;
8. **ტუხაშვილი მ., ანანიაშვილი ი., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., შელია მ., ჭელიძე ნ.** შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. პუბლიკაცია მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროექტის „სარეინტეგრაციო საქმიანობა საქართველოში" მხარდაჭერით. „უნივერსალი", თბილისი, 2012 წელი;
9. **ტუხაშვილი მ.** „აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა", „მიგრაცია" N2, თსუ გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2008 წელი;
10. **ღაღანიძე გ.** მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი", "Ekonomics and Business" ტომი XII, N2, 2020წ. გვ. 24. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;

11. **ცარციძე მ.** მინიმალური ხელფასი საქართველოში. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". შრომების კრებული, 4 ნოემბერი, თბილისი 2022 წელი. ვ. 526-536. Microsoft Word - ????????????? ??????? 2022-4444.doc (tsu.ge)
12. **ცარციძე მ.** უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი 2022 წელი;
13. **ცარციძე მ.** სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შრომის ანაზღაურება ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში. მონოგრაფია, თსუ გამომცემლობა *"ცოდნის წყარო"* თბილისი 1999 წელი. http://www.nplg.gov. ge/;
14. **ცარციძე მ.** შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვლავწარმოება საქართველოში. სადოქტორო დისერტაცია. თსუ, 2004 წელი, თბილისი;
15. **ხარაიშვილი ე.** საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვ-რელი ფაქტორები, ჟურნალი ,,ბიზნესი და მენეჯმენტი", N2, 2010;
16. Convention C131 - Minimum Wage Fixing Convention, 1970 (No. 131) (ilo.org);
17. Federal and State Minimum Wage Rates. 2021. (thebalancecareers.com);
18. List of countries by minimum wage - Wikipedia;
19. Labor Law: Minimum Wage and Hour Laws - Employment Law Handbook;
20. Minimum wage in Germany 2021 - current amounts and regulations! - InsideGermany;
21. Minimum Wage Rates by State 2022 (minimum-wage.org);
22. Minimum Wage in 2022: An Employer's Guide to Fair Payment of Employees (completepayrollsolutions.com);
23. National Minimum Wage Regulations & amendments (employment.gov.sc);
24. Recommendation R135 - Minimum Wage Fixing Recommendation, 1970 (No. 135) (ilo.org);
25. **Silagadze Avtandil.** ***Integration economic indicators of the EU and some issues of development of post-soviet countries–new associate members of the EU.*** Revista Moldovenească de Drept Internațional și Relații Internaționale (3). pp. 78-83. ISSN 1857-1999. 2014. http://eprints.tsu.ge/id/eprint/1102;
26. **Shelia, M.** Employers Demand on Labour Force in Georgia s Big Cities. Interdisciplinary Perspectives on Social Sciences. Cambridge Scholars Publishing, 2014/UK.pp.113-118.
27. **Tukhashvili M.** Georgian Labour Market in the condition of Political and Economic Crisis. In the book:Youth Employment: Challenges and Opportunites. Timisoara.Eurostampa, 2012;
28. **Tukhasvhili Mirian, Latsabidze Natela, Lobzhanidze Manana, Shelia Mzia**. Emigration Intentions Of Students Of Higner Education Institutions Of Georgia (Examples From Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences. Scientific journal. Vienna. Premier Pubishing. №3 2018. P.132-140. **ISSN 2414-2344.** https://ppublishing.org/journals/769/;
29. **Tukhashvili M. Shelia M.** New Trends of Student Migration in Georgia.Humanities & Social Sciences Review. December, 2019. p. 444-456;
30. **Tsartsidze M.** Poverty and the Economic Development Factors in Georgia. «European Journal of Humanities and Social Sciences», Scientific journal, №1, vienna 2016.
31. U.S. Department of Labor. "Minimum Wage." Accessed Dec. 1, 2021. Minimum Wage | U.S. Department of Labor (dol.gov);

32. **Бонвичини Р.** Социальное партнерство и трудовые отношения в Европе. Приемлемы ли для России европейские модели? – М.: «Права человека», 2005. – С. 46-47. http://trudsud.ru/;
33. **Войтенкова Г.Ф.** Основные принципы установления минимальной заработной платы в мировой практике // *Общество и экономика*. 1993. № 6. С. 84-85.
34. **Данилов А. А. Данилова В. А.** Потребительские бюджеты и их значение для повышения уровня жизни населения (cyberleninka.ru);
35. Минимальная зарплата в странах мира. Понятие минимальной зарплаты. https://visasam.ru/emigration/vybor/minimalnaya-zarplata-v-stranah-mira.html. 03.01.2022;
36. Минимальная зарплата в 2022 году: размер и правила расчёта — СКБ Контур (kontur.ru);
37. Минимальный размер оплаты труда — Википедия (wikipedia.org)
38. На что тратят деньги в разных странах? https://www.the-village.ru/village/business/figures/234691-world;
39. Непрожиточный минимум: что и почему входит в потребительскую корзину украинцев (for-ua.com);
40. **Роик В.** Регулирование заработной платы – центральный вопрос социальной политики государства // Человек и труд. 2005. № 1. С. 55;
41. Средние и минимальные зарплаты в Европе: уровень зарплат по странам Евросоюза и некоторым другим странам мира, таблицы зарплат на 2022 год. https://ru-geld.de/salary/europe.html;
42. **Цветков В. А. Елисеев Д. О.** Особенности регулирования оплаты труда: Европейский опыт и российские реалии. Экономика труда и управление персоналом.https://cyberleninka.ru/article/n/osobennosti-regulirovaniya-oplaty-truda-evropeyskiy-opyt-i-rossiyskie-realii/viewer;
43. **Яблокова Ю.С. Курьянова Д.А.** Потребительская корзина разных стран (scienceforum.ru);

საკანონმდებლო ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე", ქ.თბილისი, 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);
3. საქართველოს კანონი N6819, „დასაქმების ხელშეყობის შესახებ", თბილისი, 14 ივლისი, 2020 წელი. (matsne.gov.ge);
4. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულება "მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ". https://matsne.gov.ge/ka/document/ view/ 112786?publication=0;
5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N192, 2002 წლის 22 აპრილი „მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობის გაუმჯობესების 2002-2005 წლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ". https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/115780?publication=0.

Murman Tsartsidze
Doctor of Economic Sciences
Associate Professor, Faculty of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PECULIARITIES OF SETTING AND REGULATING THE MINIMUM WAGE IN DEVELOPED COUNTRIES

DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.MURMAN.TSARTSIDZE

Expanded Summary

In the current global crisis to improve the living standards of the population and the quality of working life is necessary effective state regulation of their incomes, where sallary and the minimum wage play an important role. The latter refers to the minimum social standard that guarantees the social protection of employees. It directly reflects the level and quality of economic development and social security of the country. Currently, more than 90% of the countries in the world have a minimum wage set by law. Accordingly, problem of minimal wage its definition and regulation are in the constant focus of governmental and trade union organizations in developed countries.

The paper presents the assessment of the peculiarities of determining the minimum wage, state regulation in developed countries. Is discussed an analysis of its level and dynamics. Particular attention is paid to its legislative regulation at the time of evaluate its positive and negative aspects when setting a minimum level of remuneration. The main results of the research are summarized in the concluding part of the paper.

Key words: minimal wage; sallary; state regulation; social policy.

Determining and regulating the minimum wage in developed countries is carried out taking into account national trends: through legislation; regulation on the basis of a tripartite collective agreement, using principles of ,,Tripartizm", regulation by state executive bodies. The amount of the minimum wage is set at the national level by the relevant legislature of the country. In a particular field or region, it is determined as a result of negotiations between entrepreneurs unions and trade union representatives and it is reflected in the agreements signed between them. So, in developed countries, and especially in many EU member countries, negotiations are taking place on various levels to resolve wage and minimum wage issues. The purpose of setting the minimum wage a guarantee of social protection for hired workers is defined by the relevant convention (N131) and recommendation of the international Labour organization (N135). Accordingly, the following main factors will be taken into account when determining the minimum wage: the needs of workers and their families; the overall level of wages in the country; the value of life and its change; economic development factors; level of labour productivity and the desire to achieve and maintain a high level of employment.

In addition to the above in developed European countries at the time of setting the minimum wage level pay considerable attention to important indicators of the overall process of economic development, such as: level of social guarantees, inflation, level and quality of employment, subsistence and etc.

Despite of the minimum wage is used in many countries, still, there is no consensus on its legislative establishment at the general state level. In particular, opponents of imposing a minimum wage make the following arguments: unemployment is rising by the introduction of the minimum wage and it don't has positive effects in terms of impact on poverty; weakens competition in the labour market, contradicts the reduction of firms' expenses during the period of economic downturn; causes prices to rise; does more harm to small businesses than large businesses; reduces demand for labour, at the expense of reduced working hours or jobs; causes inflation because businesses seek to offset costs through price increases; leads to the demotivation of the poorer sections of the population, including access to additional education;

allows them to get a job. According to other researchers the expected positive effects regarding the establishment of the minimum wage at the general state level by law are: raising living standards for the poorest and for less protected layers; enhancing staff motivation for efficient, productive work; stimulate consumption by increasing the money supply to the poor; reduce business costs; reducing the social expenditures of the state at the expense of increasing the incomes of the poorest sections of the population and etc. In addition to the above, the minimum wage can play an important role in ensuring the normal reproduction of the workforce at the stage of the current global financial and economic crisis. The minimum wage is the most important factor in the real differentiation of wages, as it affects the average wage and the minimum wage, as well as the remuneration of certain qualifying groups, as well as the minimum and maximum size of remuneration, the minimum wage affects the wage structure, on the interdependence of constant and variable parts in it and on the organization of wages as a whole in the enterprise.

Developed countries pay attention not only to setting a minimum wage and setting a certain level of it, but also to ensure its periodic revision in accordance with the cost of living and current changes in the economy. Also, in addition studying the dynamics of its growth rate, its comparative analysis in relation to other important macroeconomic parameters is carried out. The main criteria in the revision process are: rising prices for consumer goods and services; inflation rates; average salary increase, labour market conjuncture; general economic conditions and etc.

თამილა არნანია-კეპულაძე
პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
გიორგი კეპულაძე
ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ეკონომიკის დოქტორები შრომის ბაზარზე: საერთაშორისო გამოცდილება

DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.TAMILA.ARNANIA.KEPULADZE.GIORGI.KEPULADZE

ანოტაცია. *საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში დაგროვებული გამოცდილებისა და ჩატარებული კვლევების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ეკონომიკის დოქტორების ადგილი და როლი შრომის ბაზარზე. კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები ძირითადად საქმდებიან აკადემიურ სფეროში. მაგრამ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთა აკადემიურ სფეროდან ბიზნეს სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სახელმწიფო სამსახურში გადასვლის ტენდენცია. ეკონომიკის დოქტორები საქმდებიან საერთაშორისო სააგენტოებში, სახელმწიფოს დაწესებულებების პოლიტიკისა და შეფასების დეპარტამენტებში, კერძო ბანკებში, საკონსულტაციო, ანალიტიკური ცენტრებში, საინვესტიციო ორგანიზაციებში, სხვა კომერციულ სტრუქტურებში.*

გამოვლინდა ეკონომიკის დოქტორების დასაქმების ეროვნული და გენდერული თავისებურებანი, კერძოდ, ამერიკის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული უცხოელი მოქალაქე-დოქტორანტები თავის სამშობლოში უფრო ხშირად საქმდებიან აკადემიურ სფეროში, დოქტორები-მამაკაცები იკავებენ უფრო მაღალ თანამდებობებს და მათ აქვთ უფრო მაღალი შრომის ანაზღაურება, ვიდრე დოქტორი-ქალებს.

ეკონომიკის დოქტორების შრომის ბაზარს საქართველოსა და დასავლეთში გააჩნია ის მსგავსება, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები ძირითადად საქმდებიან აკადემიურ სფეროში. მაგრამ დასავლეთში, საქართველოსაგან განსხვავებით, არსებობს მოთხოვნა ეკონომიკის დოქტორებზე არა მარტო ეკონომიკის ან/და ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების მხრიდან, არამედ MBA პროგრამებზე, ჰუმანიტარულ, საინჟინრო, სამედიცინო და სხვ. მიმართულების მხრიდან. გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნებში მზარდია მოთხოვნა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებზე სახელმწიფო და სხვადასხვა კომერციული სტრუქტურების მხიდან.

საკვანძო სიტყვები*: ეკონომიკის დოქტორი, შრომის ბაზარი, დასაქმება, კარიერა*

შესავალი

სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების გავრცელება და ადამიანის საქმიანობის მრავალი სფეროს ინტელექტუალიზაცია მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ბაზრის სტრუქტურას და ზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ კადრებზე, რომელთაც გააჩნია ღრმა პროფესიული ცოდნა, კვლევითი-ანალიტიკური მუშაობისა და საქმიანობის რაციონალურად დაგეგმვის უნარ-ჩვევები, რომელთაც შეუძლია

შემოქმედებითი და სისტემური აზროვნება, ახალი კომპეტენციების ათვისება, პროფესიული თვითგანვითარება. ასეთი პროფესიონალების არსებობას და მათ მოღვაწეობას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და კეთილდღეობის მიღწევას.

შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და ანალიტიკური უნარის მქონე, მაღალი ინტელექტის მფლობელი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნასა და გავრცელებაში, მიმდინარეობს, როგორც წესი, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე, რომელიც, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება და უცხოური კვლევები გვიჩვენებს, სულ მეტად ორიენტირებული ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

დოქტორის ხარისხის მქონე პირთა მომზადების, დასაქმებისა და კარიერული ზრდის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამგვარი კვლევებისთვის შემუშავებული და გავრცელებულია სპეციალური კითხვარები, მაგალითად, „Istat Survey on the Occupational Outcomes of PhD graduates", „National Science Foundation's Survey of Earned Doctorates", „Survey of doctorate recipients", „Survey of earned doctorates" და სხვ.

თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დოქტორების (ფილოსოფიის დოქტორის, PhD) ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა მსოფლიოში იზრდება, მათი დასაქმების, კარიერული ზრდის საკითხის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ თვალსაზრისით ეკონომიკის დოქტორების ხარისხის მქონე პირებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ეკონომიკის დოქტორებს უჭირავს.

ეკონომიკის დოქტორების შრომის ბაზარზე დაკავებული ადგილის კვლევა დაკავშირებულია იმის დადგენასთან, თუ რამდენად არის მოთხოვნადი ეკონომიკის დოქტორები შრომის ბაზარზე; ვინ არიან ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე პირების არსებული და პოტენციური დამსაქმებლები ანუ ვის მხრიდან წარმოიშვება მოთხოვნა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამუშაო ძალაზე; რა ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება ესაჭიროება არსებულ და პოტენციურ დამსაქმებელს; რა პროფესიული თვისებები ესაჭიროება დამსაქმებელს და სხვ.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ მივმართეთ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში დაგროვებული გამოცდილების და ჩატარებული კვლევების შესწავლა-ანალიზს და ამის საფუძველზე შევეცადეთ დაგვედგინა ეკონომიკის დოქტორების ადგილი და როლი შრომის ბაზარზე.

ეკონომიკის დოქტორების დასაქმების კვლევა

ეკონომიკის დოქტორების დასაქმება - ეს არის საკითხი, რომლის კვლევას დასავლეთში ახორციელებენ სხვადასხვა ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ *უნივერსიტეტები.*

უნივერსიტეტები ახორციელებენ თავიანთი კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების საკმაოდ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კვლევებს. ასეთი კვლევები მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში განიხილება, როგორც მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების გაუმჯობესების, სადოქტორო პროგრამებზე ახალი კანდიდატების მოზიდვის, სადოქტორო პროგრამების სრულყოფისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი ადაპტაციისა და ინტეგრაციის საფუძველი. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია აღვნიშნოთ ისეთი უნივერსიტე-

ტები, როგორიცაა, მაგალითად, European University Institute (ფლორენცია, იტალია), Montana State University (ბოზემანი, აშშ), Vanderbilt University (ნეშვილი, ტენესი, აშშ), London School of Economics (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) და სხვ.

გარდა უნივერსიტეტებისა ასეთ კვლევებს ახორციელებენ ასევე სხვადასხვა *კვლევითი ორგანიზაციები*, მაგალითად, IZA (Institute for the Study of Labor), ILO (Iinternational Labour Organization), OECD (Organization for Economic Cooperation and Development), AEA (American Economic Association), NABE (The National Association of Business Economics) და სხვ. ეკონომიკის დოქტორების შრომის ბაზრის საკითხებს შეისწავლიან თავად *დოქტორანტებიც*. ამ თვალსაზრისით შეიძლება მოვიყვანოთ ჰ.პედერსენის სადოქტორო ნაშრომი „Empirical Essays on the Labor Market Outcomes of PhD Graduates" [Heidi Skovgaard Pedersen, 2015].

ცხადია, რომ ამგვარი კვლევები ხარჯებთანაა დაკავშირებული და მათ ფინანსურად უზრუნველყოფენ განსხვავებული ფონდები, მაგალითად, National Science Foundation (NSF), Deutsche Post Foundation და სხვ., ასევე უნივერსიტეტები, რომლებიც ახორციელებენ სადოქტორო პროგრამებს, კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული პირები.

სად საქმდებიან ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე პირები

ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის (AEA) კვლევების თანახმად, ეკონომიკის ახალი დოქტორები პირველ რიგში საქმდებიან უნივერსიტეტებში და კოლეჯებში.

გარდა ამისა, ეკონომიკის ახალი დოქტორები საქმდებიან, აგრეთვე, კვლევით დაწესებულებებში, აკადემიური წრეების (ანუ უნივერსიტეტებისა და კოლეჯების) ფარგლებს გარეთ, მ.შ. ფედერალურ სარეზერვო სისტემაში, საერთაშორისო სააგენტოებში, სახელმწიფოს დაწესებულებების პოლიტიკისა და შეფასების დეპარტამენტებში, კერძო ბანკებში, საინვესტიციო ორგანიზაციებში, სხვა კომერციულ სტრუქტურებში.

ამერიკული ეკონომიკური ასოციაცია (AEA) ასე აფასებს ეკონომიკის დოქტორების როლსა და მნიშვნელობას:

> *„ეკონომიკის აკადემიური დოქტორები ... ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში **ახალი იდეების ჩამოყალიბებაში**[7] და აქვეყნებენ თავის **სამეცნიერო შრომებს** ჟურნალებში, მ.შ. AEA-ში.*
>
> ***პედაგოგიური კარიერის** თვალსაზრისით, ეკონომიკის დოქტორები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს **ეკონომიკის სპეციალობის** ბაკალავრების მომზადებაში და მაგისტრატურის სხვადასხვა პროგრამებში. ეკონომიკის აკადემიურ დოქტორებს უჭირავთ პოზიცია ფაკულტეტზე **MBA პროგრამებზე, სამართლისა** და **სამედიცინო** სკოლებში, **საჯარო პოლიტიკის** პროგრამებზე და სხვ.*
>
> ***კვლევითი კარიერის** თვალსაზრისით, ეკონომიკის დოქტორები საქმდებიან **კომერციულ** და **არაკომერციულ** ორგანიზაციებში, **სამთავრობო** და **საერთაშორისო** სააგენტოებში.*

[7]ციტირებაში აქ და მოცემული დოკუმეტს სხვა ადგილებში გამოყოფა განხორციელებულია ავტორების მიერ.

ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის (AEA) კვლევების საფუძველზე შესაძლებელია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებისა და შესასრულებელი საქმიანობის დაზუსტება (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1. ეკონომიკის დოქტორების დასაქმების სფეროები და ფუნქციები

	პოზიცია		
საქმიანობა	პედაგოგიური საქმიანობა (Educator)	აკადემიური საქმიანობა (Professor)	კვლევითი საქმიანობა (Researcher)
საქმიანობის ადგილი	- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები; - უნივერსიტეტები; - კოლეჯები; - ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა; - MBA პროგრამა; - სამართლის სკოლები; - სამედიცინო სკოლები; - საჯარო პოლიტიკის სკოლები; - სხვა	- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები; - უნივერსიტეტები; - კოლეჯები; - კვლევითი ინსტიტუტები; - აკადემიები; - სხვა	- სახელმწიფო ორგანიზაციები; - სახელმწიფო სააგენტოები; - კომერციული ორგანიზაციები; - არაკომერციული ორგანიზაციები; - ბანკები; - საკონსულტაციო, ანალიტიკური ცენტრები (მაგ. Think-tank) და სხვა
შესასრულებელი ფუნქციები	- პედაგოგიური საქმიანობა; - ლექციების ჩატარება; - პრაქტიკული/სემინარებ ის ჩატარება; - სასწავლო კურსების მომზადება; - სხვა	- პედაგოგიური საქმიანობა ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე; MBA პროგრამებზე; სამართლის სკოლებში; სამედიცინო სკოლებში; საჯარო პოლიტიკის სკოლებში; - კვლევების განხორციელება; - სხვა	- კვლევების და ანალიზის განხორციელება; - ახალი იდეების, კვლევის მეთოდების ჩამოყალიბება; - რეკომენდაციების შემუშავება; - სამეცნიერო შრომების გამოქვეყნება; - სხვა

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ [AEA Papers and Proceedings 2020] საფუძველზე

ლონდონის ეკონომიკის სკოლის (LSE) ეკონომიკის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგი. ამ კვლევის თანახმად ბოლო 5 წლის განმავლობაში LSE-ს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის 93 კურსდამთავრებული დასაქმდა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, 58 დასაქმდა აკადემიურ სფერო, 12 - კვლევითი ინსტიტუტებში, 10 - ცენტრალურ ბანკში, 6 - საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციები და კიდევ 7 - კერძო სექტორში. პროცენტებში ეს განაწილდა შემდეგნაირად: 75% აირჩია აკადემიური და კვლევითი საქმიანობა (უნივერსიტეტებში - 62% და კვლევით ცენტრებში - 13%), 11% დასაქმდა ცენტრალურ ბანკში, 7% დასაქმდა

საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციებში და 7% - კერძო სექტორში (იხ. ნახაზი 1):

ნახაზი 1: *LSE ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა განაწილება დასაქმების სფეროებს შორის*



წყარო: შედგენილია ავტორების მიერ LSE ინფორმაციის საფუძველზე [LSE data]

როგორც ჰ. პედერსენი [H. Pedersen, 2015] აღნიშნავს, ტრადიციულად, დოქტორის აკადემიური ხარისხის (მ.შ. ეკონომიკის მიმართულებით) მქონე პირების სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მხარეს უმეტესწილად წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ამზადებს და მერე ასაქმებს სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს.

ამასთან, დასავლეთის უნივერსიტეტებში დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა კვლევისათვის შემუშავებული სპეციალური კითხვარის „National Science Foundation's Survey of Doctorate" საფუძველზე ჩატარებულ გამოკითხვაზე დაფუძნებული კვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარდა ვანდერბილის უნივერსიტეტში (Vanderbilt University) ეკონომიკის პროფესორის სკოტ ჯასჩიკისის [Scott Jaschik, 2014] მიერ, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საზოგადოების შემდგომი განვითარებასთან ერთად ეკონომიკის დოქტორების დასაქმების დონე აკადემიურ სფეროში მცირდება და იზრდება მათი დასაქმება ბიზნესში და სახელმწიფო სამსახურებში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2: *ეკონომიკის დოქტორების დასაქმების დინამიკა*

დამსაქმებელი	1997	2002	2008	2014
აკადემიური სფერო	63.7%	55.7%	59.3%	56.3%
ბიზნესი	13.6%	18.3%	18.1%	16.8%
სახელმწიფო სამსახური	8.7%	16.0%	12.5%	14.9%

წყარო: Scott Jaschik, 2014

მოყვანილი მონაცემების თანახმად, 1997 წლიდან 2014 წლამდე აკადემიურ სფეროში დასაქმებულ ეკონომიკის დოქტორთა რაოდენობა შემცირდა 7,4%-ით. ამავე პერიოდში ბიზნესში დასაქმებულ ეკონომიკის დოქტორთა რაოდენობა გაი-

ზარდა 3,2%-ით, ხოლო სახელმწიფო სამსახურში გაიზარდა 6,2%-ით. ამასთან, დოქტორის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა იზრდება კერძო სექტორში.

კვლევის შედეგად გამოითქვა მოსაზრება, რომ მოსალოდნელია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა კერძო სექტორში დასაქმების ზრდა მოხდეს სახელმწიფო მოხელეებისა და პოლიტიკოსების ხელშეწყობით. კერძოდ, მიმდინარეობს ეკონომიკის დოქტორების გადანაწილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კერძო სექტორში და, უშუალოდ ეკონომიკის იმ სექტორებში, რომელთა ზრდა არის მოსალოდნელი. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დოქტორანტები ფლობენ დარგის უახლეს ცოდნას, მათ შეუძლიათ ინოვაციების დანერგვა და ამით მოახდინონ არსებული ცოდნის კომერციალიზაცია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისთვის. ამ თვალსაზრისით ეკონომიკის დოქტორების არსებობა და მათი საჭირო მიმართულებით გადანაწილება შეიძლება განიხილოს, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი იმ დარგებისთვის, სადაც პოლიტიკოსები ყველაზე დიდ პოტენციურ ზრდას ელოდებიან.

მაგრამ აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების ბაზარზე, ისევ, როგორც ზოგადად შრომის ბაზარზე, მხოლოდ მოთხოვნის არსებობა არ არის საკმარისი. ბაზარზე წონასწორობის დადგენისთვის აუცილებელია ამ კატეგორიის სპეციალისტების მიწოდება ანუ აკადემიური დოქტორების შრომის ბაზარზე უნდა არსებობდეს ბალანსი დოქტორების შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახალი დოქტორების გამოკვლევა სწავლის პროცესთან დაკავშირებით, რაც აგრეთვე ჩატარდა Vanderbilt University ეკონომიკის პროფესორის სკოტ ჯასჩიკისის [Scott Jaschik, 2014] მიერ. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ:

- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სავლის დროს ცოტა ყურადღება ეთმობა რეალური ცხოვრებაში ეკონომიკური თეორიის გამოყენების შესაძლებლობებს;
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ ასევე აღნიშნა, რომ ცოტა ყურადღება ექცევა „ეკონომიკური ინსტიტუტების გაგებას და ისტორიას", „ეკონომიკური იდეების ისტორიას";
- კურსდამთავრებულთა უმრავლესობა განიხილავდა მათემატიკას, როგორც უფრო მნიშვნელოვანს დოქტორანტურაში სწავლისთვის, ვიდრე მათ კარიერისთვის, მაშინ, როცა აპლიკაციის და კომუნიკაციის უნარები უფრო მნიშვნელოვანი იყო კარიერისთვის ვიდრე დოქტორანტურაში სწავლისთვის.

შრომის ბაზარზე ეკონომიკის დოქტორების დასაქმების თვალსაზრისით კვლევის საინტერესო შედეგებს იძლევა შრომის შესწავლის ინსტიტუტის (IZA) პუბლიკაცია [Chen, Qihong, Sherrilyn 2012], რომელმაც ასახა ამერიკის უნივერსიტეტების უცხოელი კურსდამთავრებულების დასაქმების თავისებურებანი. ამ კვლევის თანახმად,

- ამერიკის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული უცხოელი (კერძოდ, კორეის, ინდოეთის, არგენტინის) მოქალაქე-დოქტორანტები თავის სამშობლოში უფრო ხშირად საქმდებიან აკადემიურ სფეროში,
- დოქტორები-მამაკაცები იკავებენ უფრო მაღალ თანამდებობებს დოქტორი-ქალებთან შედარებით,

- დოქტორი-მამაკაცებს აქვთ უფრო მაღალი შრომის ანაზღაურება, ვიდრე დოქტორი-ქალებს,
- დოქტორი-ქალები უფრო მოსალოდნელია დასაქმდნენ კერძო სექტორში ან სახელმწიფო სამსახურში, ვიდრე მამაკაცი-დოქტორები, რომლებიც უფრო მოსალოდნელია დასაქმდნენ აკადემიურ სფეროში.

ანუ, ამ კვლევამ გამოავლინა ეკონომიკის დოქტორების დასაქმების ეროვნული და გენდერული თავისებურებანი.

რა პრობლემები შემატა COVID-19 პანდემიამ ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე პირთა შრომის ბაზარს?

COVID-19 და ეკონომიკის დოქტორები შრომის ბაზარი

თანამედროვე გამოკვლევების თანახმად [Chassang, Dupas, Golub 2021], მოსალოდნელია, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შედეგად შემცირდება დასაქმების საერთო დონე. მკვლევრებმა შეიმუშავეს შრომის ბაზარზე სიტუაციის განვითარების სამი სცენარი: ნეგატიური, საშუალო და პოზიტიური.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია აკადემიურ სფეროზე და, კონკრეტულად, ეკონომიკის მიმართულებით Ph.D. ხარისხის მქონე პირებზე.

კვლევის თანახმად, დასაქმების საერთო დონის შემცირების პირობებში დასაქმება აკადემიურ სფეროშიც შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი. ამასთან, როგორც კვლევა ადასტურებს, არსებობს ისეთი ორგანიზაციები (კონკრეტულად, კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ჰუმანიტარული მიმართულების სასწავლო დაწესებულებებზე, რომლებიც ქირაობენ ეკონომიკის დოქტორებს) დასაქმება არ შემცირდება საშუალო სცენარის პირობებშიც.

კვლევაში ჩართული იყო 100 ორგანიზაცია, რომელთაგან 70 იყო მაღალი რანგის სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტი ამერიკაში, ევროპაში, აზიასა და ავსტრალიაში, მ.შ. 15 იყო ჰუმანიტარული კოლეჯები, რომლების რეგულარულად ქირაობენ ეკონომიკის დოქტორებს და 15 - არააკადემიური, მათ შორის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

კვლევის თანახმად:

1. როგორც ოპტიმისტური, ასევე საშუალო სცენარით, ჰუმანიტარული კოლეჯები კვლავინდებურად დარჩებიან დოქტორის ხარისხის მქონე პირების დამქირავებლებად;

2. ეკონომიკის დოქტორების შრომის ბაზარზე არსებულ დამსაქმებელთა მინიმუმ 50% კვლავ აპირებს ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე პირების დასაქმებას პოსტპანდემიურ პერიოდშიც;

3. კვლევაზე საერთო დასკვნა: შესაძლებელია, რომ წონასწორული მოთხოვნა ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე პირებზე შემცირდეს მოსალოდნელზე ნაკლებად.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პირობებში მოსალოდნელია დასაქმების საერთო დონის და შრომაზე, მ.შ. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების სამუშაო ძალაზე, მოთხოვნის შემცირება, პანდემიით (თუ სხვა ფორსმაჟორული სიტუაციებით) გამოწვეული ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროექტების/პროგრამების შემუშავება-განხორციელებისათვის საჭიროა ამ პროექტების დამოუკიდებლად ინიცირების, არასტანდარტული აზროვნების, ინოვაციური მიდგომების შემუშავება-გამოყენების, ანალიტიკური და კვლევითი უნარების მქონე სპე-

ციალისტების არსებობა ანუ იმ სპეციალისტების არსებობა, რომლებსაც ამზადებენ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამები.

ეკონომიკის დოქტორების შრომის ბაზარი: GEO vs EU

არსებობს საქართველოსა და დასავლეთის (მ.შ. ევროპულ) ეკონომიკის დოქტორების შრომის ბაზრებს შორის როგორც მსგავსება, ასევე მნიშვნელოვანი განსხვავება. ეს პირველ რიგში ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნას.

მსგავსების თვალსაზრისით შეიძლება დასახელდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილის დასაქმება უნივერსიტეტებში ანუ აკადემიურ სფეროში.

განსხვავების თვალსაზრისით, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმაში აისახება, რომ (როგორც ეს უკვე ნაჩვენები გვაქვს) დასავლეთის აკადემიურ სფეროში არსებობს მოთხოვნა ეკონომიკის დოქტორებზე არა მარტო ეკონომიკის ან/და ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების მხრიდან, არამედ MBA პროგრამებზე, ჰუმანიტარულ, საინჟინრო, სამედიცინო და სხვ. მიმართულებების მხრიდან.

დასკვნის სახით: პერსპექტივები საქართველოში

მაშასადამე, ეკონომიკის დოქტორების დამსაქმებელთა ძირითად ჯგუფებს წარმოადგენს:

1. **აკადემიური (პედაგოგიური) საქმიანობა** უნივერსიტეტებში, კოლეჯებში, უნივერსიტეტებთან არსებულ ტრენინგ ცენტრებში, უნივერსიტეტებთან არსებულ კვლევის ცენტრებში ან/და ინსტიტუტებში, სხვ. საქართველოში აკადემიურ სფეროში ეკონომიკის დოქტორების შრომაზე მოთხოვნის გაფართოება ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებს გარეთ, კერძოდ: საინჟინრო სპეციალობების, სამედიცინო, ჰუმანიტარული, ტექნოლოგიური, სამართლის და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. **ბიზნეს-საქმიანობა** - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბიზნესის სწორი წარმართვისა და განვითარების მიზნით, არსებული მეცნიერული მიღწევების ბიზნეს-საქმიანობაში ეფექტიანი დანერგვა, საზოგადოებაში არსებული რესურსების რაციონალური გამოყენების დაგეგმა, ბიზნესის წარმართვის სწორი მეთოდოლოგიის შემუშავება, ექსპერტული საქმიანობის განხორციელება ბიზნესში, კონსალტინგური საქმიანობა ბიზნესში და ბიზნესისთვის და ა.შ. საქართველოში ბიზნეს-საქმიანობა ფაქტიურად აუთვისებელი სფეროა.
3. **სახელმწიფო სამსასხური** - ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა და ანალიზი, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობის განსაზღვრა, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, სხვ. ამ თვალსაზრისით საქართველოში ჯერ კიდევ ცოტაა გაკეთებული და ამ მიმართულებით არსებობს ფართო შესაძლებლობები.
4. **პოლიტიკს სფეროში** - სწორი, მეთოდოლოგიურად გამართული, ლოგიკურად ჩამოყალიბებული, ფაქტებს დაფუძნებული სამოქმედო პროგრამ(ებ)ის შემუშავება და კომპეტენტურად წარდგენა შემდგომ პოლიტიკურ საქმიანობაში ამ პროგრამების ეფექტიანად დანერგვა რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე, მიღებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირება და საჭიროებისამებრ ეკონომიკური კონიუნქტურის მერყეობის კვალობაზე დროულად საჭირო ცვლილებების შეტანა, სხვ. პო-

ლიტიკური სფეროც საქართველოში არის ის ნიშა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ათვისებული და ეკონომიკის დოქტორებს აქ კარგი პერსპექტივები შეიძლება გააჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. AEA Papers and Proceedings 2020, American Economic Association, 2019–2020 Universal Academic Questionnaire Summary Statistics, 110: 639–641.
2. Chassang Sylvain, Dupas P., Golub,Ben. Opportunities for New PhD Economists, 2021.
3. Pedersen Heidi Skovgaard. Empirical Essays on the Labor Market Outcomes of PhD Graduates, Forlaget Politica. 2015.
4. **PhD Economics Career Placement: Job Market Placement Record, LSE, 2021.** https://www.lse.ac.uk/economics/study/research/phd-economics-career-placement
5. Chen Jihui, Qihong L., Sherrilyn Billger. Where Do New Ph.D. Economists Go? Evidence from Recent Initial Job Placements. *IZA DP No. 6990*, November 2012.
6. Siegfried John J. & Stock, Wendy A. The Labor Market for New Ph.D.
7. Scott Jaschik, Inside Higher Ed Careers, University of Canada. 2014.
8. The economics profession: Becoming a professor, researcher or educator, AEA. 2021.
9. Economists Academic Job Market Advice for PhD Students in Economics. Journal of Economic Perspectives. Volume 13, Number 3. (1999): 115-134.

Tamila Arnania-Kepuladze
Professor Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Georgia
Giorgi Kepuladze
Associate professor
University of Business&Technology,
Tbilisi, Georgia

DOCTORS OF ECONOMICS IN THE LABOR MARKET: INTERNATIONAL EXPERIENCE

Expanded Summary

The spread of scientific-technological innovations and the intellectualization of many areas of human activity significantly changes the structure of the labor market and increases the demand for highly qualified personnel who is able to deep professional knowledge, the skills of research-analytical work and rational planning, who are capable of creative and systematic thinking, assimilation of new competencies, and professional self-development. Such professionals due their work can contribute to the sustainable economic development, to support the increasing competitiveness, and to achieve the prosperity of the country.

The training of highly intelligent specialists with creative thinking, research and analytical skills, who are able to make a significant contribution to the creation and dissemination of new knowledge and technologies, usually takes place at the third level of higher education. As international experience and foreign studies show, such training of highly intelligent specialists is becoming more focused on the requirements of the labor market.

The importance of training, employment and career growth of people with a doctorate degree is also shown by the fact that special questionnaires have been developed and distribut-

ed for such studies. Among such questionnaires can be named, for example, „Istat Survey on the Occupational Outcomes of PhD graduates", „National Science Foundation's Survey of Earned Doctorates", „Survey of doctorate recipients", „Survey of earned doctorates", etc.

If we take into account the fact that the number of people with PhD degree in the world is increasing, studying the issue of their employment and career growth acquires special importance. From this point of view, doctors of economics have an important place and role among people with the doctor degree.

The study of the role and place occupied by economics PhDs in the labor market is related to the questions: How much the PhD holders in economics are demanded in the labor market; Who are the current and potential employers of people with a doctorate degree in economics, that is, From whom does the demand for a workforce with a doctorate academic degree originate? What knowledge, skills and experience are needed by the current and potential employer or What professional qualities are needed by the employer, etc.

In order to answer these questions, we turned to the study and analysis of the accumulated experience and conducted research in the international scientific space, and based on this, we tried to determine the place and role of Doctors on economics in the labor market.

Employment of PhD holders in economics is an issue that is being investigated by various organizations. Among these organizations, first of all, are highlighted universities.

From this point of view, we can mention such universities as, for example, European University Institute: Florence, Italy; Montana State University: Bozeman, US; Vanderbilt University: Nashville, Tennessee, US; London School of Economics, London, UK, etc.

In addition to universities, such studies are also carried out by various research organizations, like IZA (Institute for the Study of Labor), ILO (International Labour Organization), OECD (Organization for Economic Cooperation and Development), AEA (American Economic Association), NABE (The National Association of Business Economics), etc. The employment and career development of PhD holders in economics is studied by the doctoral students as well.

It is clear that such studies are associated with costs and are financed by different foundations, for example, National Science Foundation (NSF), Deutsche Post Foundation, etc. as well as universities that run doctoral programs, research institutes, university graduates and other stakeholders.

Where do economics PhDs work? According to research by the American Economic Association (AEA), new PhDs in economics are primarily employed by universities and colleges. In addition, new PhDs in economics are also employed in research institutions, the Federal Reserve System, international agencies, policy and evaluation departments of state institutions, private banks, investment organizations, and other commercial structures. Recently, there has been a trend that the level of employment of economics doctors in the academic field is decreasing and their employment in business and government services is increasing.

The national and gender characteristics of the employment of economics doctors were revealed. In particular, foreign citizen-doctorates who graduated from American universities are more often employed in the academic field in their home country, doctors-male hold higher positions and they have higher wages than doctors-female.

The labor market of economics doctors in both Georgia and Western countries has the similarity that graduates of economics doctoral programs are mainly employed in the academic field. But in the Western countries, unlike in Georgia, there is a demand for PhDs in economics not only from undergraduate programs in economics and/or business administration, but also from MBA programs, humanities, engineering, medicine, etc. from the side of the direction. Additionally, in Western countries there is an increasing demand for graduates of doctoral programs in economics from the state and various commercial structures.

Key words: Doctor of economics, Labor market, Employment, Career

ბესარიონ სიორდია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი,
მირონ ტულუში
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სასწავლო მიგრაციიდან დაბრუნებულთა კვლევა საქართველოში

ანოტაცია. *წინამდებარე სტატიაში ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზებულია საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულთა, დიპლომირებული სპეციალისტების საქართველოში დაბრუნებასა და დასაქმებათან დაკავშირებული საკითხები. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა: რესპონდენტთა სქესი და ასაკი, პროფესიის არჩევისა და საქართველოში დაბრუნების განმაპირობებელი მოტივები, სწავლის ხარჯების დაფარვის წყაროები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე მომავალში სწავლის მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველთა მიმართ რესპონდენტების მიერ შემოთავაზებული რჩევები და ა.შ.*

საკვანძო სიტყვები: *სასწავლო მიგრაცია, დაბრუნებადი მიგრაცია, ტვინების გადინების მოტივები, საზღვარგარეთიდან საქართველოში უმაღლეს განათლებამიღებულთა დაბრუნება, დასაქმება.*

შესავალი

ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, სხვადასხვა პრობლემასთან ერთად, უმაღლესი განათლების სისტემაში, მის ყველა საფეხურზე არსებული პრობლემებიც წარმოაჩინა. შესაბამისი რეიტინგებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, უკანასკნელ პერიოდში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, სწავლების ხარისხითა და კვლევების სიღრმით, რომელიც შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმის დონეში აისახება, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებს საგრძნობლად ჩამორჩება. არადა, საყოველაოდ ცნობილია თუ რაოდენ დიდია უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციური კადრების როლი მთელი საზოგადოების საერთო საგანმანათლებლო დონის ამაღლებასა და ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში, ასევე, ერთ-ერთი მთავარი და ამავე დროს მეტად რთული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური პრობლემის - უმუშევრობის დაძლევის საქმეში.

ისიც ცნობილია, რომ აღნიშნული პრობლემის დაძლევა მნიშვნელოვანი ოდენობის მატერიალურ, ფინანსურ, ინფორმაციულ რესურსებსა და მათ ეფექტიანად გამოყენებას საჭიროებს, მაგრამ ამ მხრივ ნებისმიერი მცდელობა უნაყოფო იქნება თუ ქვეყანას არ ეყოლება მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსები. ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მნიშვნელოვანია, მაგრამ ის სასურველ შედეგს

ვერ მოგვცემს თუ მათი მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება ვერ მოხერხდა. ამდენად, ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში ჩვენი ახალგაზრდების მიერ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში განათლების მიღებას და ამ ცოდნის სამშობლოში გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას ისიც ართულებს, რომ საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებითი განსხვავებაა შრომის პირობებსა თუ ანაზღაურებაში; ჩვენთან ნაკლები შესაძლებლობებია კარიერული ზრდის მხრივაც და ა.შ., რაც ადგილზე მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნებას ხელს უშლის. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოკვეთილი ე.წ. ,,ტვინების გადინების" ტენდენცია, მეტნაკლებად დღესაც აქტუალურია და არამხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ საქართველოში მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნებაც პრობლემაა.

საქართველოდან საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღების მიზნით წასულთა და დიპლომირებულ სპეციალისტთა სამშობლოში დაბრუნების მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები

სანამ უშუალოდ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზს შევუდგებით მიზანშეწონილია მოკლედ აღინიშნოს ე.წ. ,,ტვინების გადინების" განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ. თეორიიდან ცნობილია, რომ ე.წ. ,,ტვინების გადინებასთან" დაკავშირებულია ორი, ბიძგის (push) და მიზიდვის (pull) ფაქტორები. ბიძგის ფაქტორები მიესადაგება ემიგრაციის ქვეყნებს, ხოლო მიზიდვის ფაქტორები - იმიგრაციის ქვეყნებს (ცხრილი1).

ტვინების გადინების ბიძგის და მიზიდვის ფაქტორები

ბიძგის ფაქტორები	მიზიდვის ფაქტორები
1) უმუშევრობა	1) უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები
2) ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე	2) ცხოვრების უფრო მაღალი დონე
3) დაბალი ანაზღაურება	3) უკეთესი კვლევითი ორგანიზაციები
4) პოლიტიკური არასტაბილურობა	4) თანამედროვე განათლების სისტემა და უკეთესი შესაძლებლობები მაღალი კვლალიფიკაციისთვის
5) კვლევითი ორგანიზაციების სიმწირე	5) ინტელექტუალური თავისუფლება
6) შეზღუდული თავისუფლება	6) უკეთესი სამუშაო პირობები
7) დისკრიმინაცია დანიშვნისა და დაწინაურების დროს	7) პოლიტიკური სტაბილურობა
8) მეცნიერული კულტურის ნაკლებობა	8) მაღალი მეცნიერული კულტურის არსებობა
9) უკეთესი ურბანული ცხოვრების სურვილი	9) ტექნოლოგიური სხვაობა
10) უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და უკეთესი კარიერის ქონის სურვილი	10) საკუთარი კვლევებისთვის წყაროების მოძიების შესაძლებლობები

ე.წ. ,,ტვინების გადინებასთან" დაკავშირებული ბიძგისა და მიზიდვის ფაქტორების გათვალისწინებით გასაკვირი არ უნდა იყოს უცხოეთში განათლებამიღებულებს იქვე დარჩენა რომ სურდეთ, ამიტომ, ამ მიზეზების შესწავლაც მნიშვნე-

ლოვანია, მაგრამ ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ამჯერად, მხოლოდ საზღვარგარეთ უმაღლეს განათლებამიღებულთა მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნების, მათი დასაქმების მდგომარეობის ანალიზისა და შეფასებით შემოვიფარგლეთ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა სამშობლოში დაბრუნება, მათი ცოდნისა და გამოცდილების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებისათვის გამოყენება, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფო, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლება, შესაბამისი უწყებები (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მათი ქვედანაყოფები და სხვ.) თუ ცალკეული ორგანიზაციები (მაგალითად, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი, დასაქმების სახელმწიფო სააგენტო და სხვა), ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოები, საქართველოს უმაღლესი დაწესებულებები და სხვ. შეიძლება ითქვას ამ მიმართულებით წარმატებით საქმიანობენ (არსებობს მრავალი ფასიანი თუ უფასო გაცვლითი პროგრამა, სასტიპენდიო პროგრამები და ა.შ.), მაგრამ, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა მაინც არსებობს პრობლემები, რაც დაკავშირებულია როგორც საზღვარგარეთ ჩვენი სტუდენტების სწავლასთან და დასაქმებასთან, ასევე სამშობლოში მათ დაბრუნებასა და მიღებული განათლების შესაბამისად შრომით პროცესში ჩართვასთან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად საქართველოში არ არსებობს ერთი უწყება (ორგანიზაცია), რომელიც საქართველოდან უმაღლესი განათლების მიღების მიზნით საზღვარგარეთ წასული და სასურველი განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული (ან იქვე სამუშაოდ დარჩენილი) პირების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდეს. ამ მხრივ ქვეყანაში აქტიურად საქმიანობს სსიპ-განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც უმაღლესი განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო თუ კვალიფიკაციის ამაღლების მრავალი პროგრამული მიმართულების განხორციელების მიზნით საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანასთან აქტიურად თანამშრომლობს, მაგრამ მოცემული, მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესის შესახებ სრულ ინფორმაციას ისიც ვერ ფლობს. ჩვენ, დარგის სპეციალისტებთან თამნამშრომლობით შევეცადეთ შეგვემუშავებინა აღნიშნული პროცესის დამარეგულირებელი მექანიზმის სხვადასხვა ვარიანტი (როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში ვიზების გაცემასთან კავშირში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით საზღვრის კვეთისას მოგვეთხოვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის შევსება), მაგრამ სხვადასხვაგვარი სირთულეების გამო სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ.

იმის გამო, რომ ამჟამად, ქვეყნაში არ არსებობს ამ მეტად აქტუალური პრობლემის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია, კვლევის პროცესში გამოვიყენეთ მასობრივი გამოკითხვის ფართოდ გავრცელებული ანკეტირების მეთოდი. კერძოდ, კი ანკეტირების ის ტიპი, როცა რესპონდენტი ანკეტას, მკვლევარებისაგან ელექტრონული ფოსტით ღებულობს, დამოუკიდებლად ავსებს მას და ელექტრონული ფოსტითვე უბრუნებს ანკეტის გამგზავნს. ანკეტირების აღნიშნული ტიპი პრაქტიკაში საფოსტო ანკეტირებითაა ცნობილი (წულაძე, 2008, გვ.19).

სპეციალური კითხვარისა და ,,თოვლის გუნდას" მეთოდის გამოყენებით ჩავატარეთ იმ პირების ანკეტური გამოკითხვა (ანკეტა 42 კითხვისაგან შედგებოდა),

რომლებმაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და საქართველოში დაბრუნდნენ. დასამუშავებლად ვარგისიანი აღმოჩნდა 115 ანკეტა.

რეპრეზენტატულობის თვალსაზრისით შეიძლება დაისვას შეკითხვა: აღნიშნულ პრობლემაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად რამდენადაა საკმარისი 115 რესპონდენტის გამოკითხვა? რა თქმა უნდა, ამ კატეგორიის ყველა მოქალაქის მოსაზრებების შესწავლა/ანალიზი, ანუ სრული გამოკითხვა (რაც, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად, სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია), ყველა საინტერესო კითხვას ამომწურავ პასუხს გასცემდა, მაგრამ ჩვენს მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგებიც მეტად საინტერესოა, რადგან იგი წარმოდგენას გვიქმნის პრობლემის არსსა და განმაპირობებელ მიზეზებზე, ამასთან, მისი რეგულირებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობასაც იძლევა.

საინტერესოა გამოკითხულთა დემოგრაფიული მახასიათებლები. მათი ასაკობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ 24 წლამდე ასაკისაა რესპონდენტთა 18%, 25-29 წლის - 33%, 30-34 წლის - 24%, ხოლო 35 წელზე უფროსი ასაკისაა რესპონდენტების 25%. ბუნებრივია, საზღვარგარეთ სასწავლებლად, ძირითადად, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა მიდის. საყურადღებო და სასიხარულო ისაა, რომ მათი უმრავლესობა წარმატებით ართმევს თავს იმ სირთულეებს, რაც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხვასა და სწავლასთან არის დაკავშირებული.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა სქესობრივი შემადგენლობა თითქმის თანაბარია: კაცი - 49%, ქალი - 51%. საზღვარგარეთ განათლებამიღებულთა და საქართველოში დაბრუნებულთა 57% ქორწინებაში არ იმყოფება, 37% კი დაქორწინებულია. როგორც გამოკითხვის მასალებიდან ჩანს, სწავლის დასრულების შემდეგ დაქორწინებულთა საქართველოში დაბრუნება განპირობებულია უცხოეთში ოჯახის შენახვასთან დაკავშირებული სირთულეებით, დაუქორწინებელთა სამშობლოში დაბრუნების მაღალი მაჩვენებელი კი განპირობებულია სამშობლოსადმი ნოსტალგიითა და ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნით.

საზღვარგარეთ განათლებამიღებულთა და საქართველოში დაბრუნებულთა შორის მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ეკონომისტები - 26%, ფინანსისტები - 19% და იურისტები - 17%, სხვა პროფესიის წარმომადგენელთა წილი კი მცირეა.

ის, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა უმაღლესი ეკონომიკური (ფინანსური) და იურიდიული განათლების საზღვარგარეთ მიღებას უპირატესობას ანიჭებს, რბილად რომ ვთქვათ, იმაზეც მიუთითებს, რომ მათი მხრიდან ამ პროფილის ადგილობრივი სასწავლებლების მიმართ ნდობა არც ისე მაღალია. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ რამდენიმე წლის წინ სწავლის გაგრძელების მსურველებს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები საკმაოდ ინტენსიურად იზიდავდა, ამ ბოლო ხანს, გასაგები მიზეზების გამო, ვითარება დიამეტრალურად შეიცვალა, ჩვენი გამოკითხვის მონაწილეთაგან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არცერთ მათგანს არ გაუგრძელებია.

გამოკითხვის მასალებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ახალგაზრდები საფუძვლიანად ფლობენ უცხო ენებს, განსაკუთრებით ინგლისურსა და გერმანულს, ასევე ფრანგულ, თურქულ და რუსულ ენებს. მათი ნახევარზე მეტი ორ (ინგლისურსა და გერმანულს) და მეტ ენასაც კი ფლობს, რაც საყურადღებოა.

რესპონდენტებმა საინტერესო პასუხები დააფიქსირეს კითხვაზე: ,,რატომ გადაწყვიტეს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღება?" მათი უმრავლესობა

(56%) თვლის, რომ ასეთი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ უფრო ხარისხიანი განათლების მიღების სურვილის გამო მიიღეს. რესპონდენტების 17%-ი საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თვლიდა, რომ ეს, საქართველოში მათთვის სასურველ პოზიციაზე დასაქმებას ხელს შეუწყობდა, 12 %-ის აზრით კი საზღვარგარეთ მიღებული განათლება უცხოეთშივე დასაქმებისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა

გამოკითხულთა უმრავლესობამ (60%) საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებისათვის ყველაზე უფრო სასურველ ქვეყნად გერმანია და მისი უმაღლესი სასწავლებლები, დაახლოებით 20 პროცენტმა კი აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებლები დაასახელა.

რესპონდენტების უმეტესობის მხრიდან გერმანიის გამორჩევა არცაა გასაკვირი, რადგან ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრია, სადაც უმაღლესი ხარისხის იურიდიული და ეკონომიკური განათლების მიღებაა შესაძლებელი.

როგორც ჩანს, ჩვენი ახალგაზრდები სწავლის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სწორ არჩევანს აკეთებენ, რადგან დასავლეთის მოწინავე ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს ირჩევენ.

კითხვაზე - ,,რატომ აირჩიეთ მაინცადამაინც აღნიშნული ქვეყანა განათლების მისაღებად?“ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (39%) მიუთითა, რომ მათ მიერ არჩეულ ქვეყანაში მათთვის საინტერესო მიმართულების უმაღლესი განათლების მიღების მეტი შესაძლებლობები იყო, რაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასაქმებაში ხელს შეუწყობდა. 26%-ს თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი სწავლის გაგრძელება მათთვის სასურველ ქვეყანაში, რადგან კარგად იცნობდა იმ ქვეყანაში მოქმედ მიგრაციულ პოლიტიკას, 13 % თვლიდა, რომ ეს გადაწყვეტილება უცხო ქვეყანაში მათი ნთესავებისა და მეგობრების ყოფნამ განაპირობა და ა.შ.

კითხვაზე - ,,რა მოიმოქმედეთ სასწავლებლად საზღვარგარეთ წასასვლელად?“ - რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ (65%) უპასუხა, რომ შეაგროვა საჭირო საბუთები, ნაწილმა (15%) მიუთითა, რომ სრულყოფილად დაეუფლა უცხო ენას, 8 %-მა უპასუხა, რომ მოიძია კომპანია, რომელიც მას სასწავლებლად წასვლაში დაეხმარა. რესპონდენტთა მხოლოდ 5 პროცენტმა მიუთითა, რომ შეაგროვა სასწავლებლად წასასვლელად საჭირო თანხა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტისათვის (51%) სასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმი სასტიპენდიო კონკურსში გამარჯვება აღმოჩნდა, 10 პროცენტისათვის გაცვლითი პროგრამის არსებობა, გამოკითხულთა 9 პროცენტმა ეს გადაწყვეტილება სწავლასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობის გამო მიიღო, რესპონდენტების 7 პროცენტი კი სწავლის დაბალმა საფასურმა დააინტერესა.

ანკეტური გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ (58%) სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელა, 38 პროცენტმა ბაკალავრიატში, მხოლოდ 4 პროცენტმა დაამთავრა დოქტორანტურა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების დიდმა ნაწილმა (67%) სწავლა იმავე სპეციალობით გააგრძელა, ხოლო მონათესავე სპეციალობა მხოლოდ 33 პროცენტმა აირჩია. ისიც საყურადღებო და მისასალმებელია, რომ რესპონდენტების უდიდესმა უმრავლესობამ (80%) სწავლა მაღალი აკადემიური მოსწრებით დაასრულა.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 61% საზღვარგარეთ სწავლასთან ერთად მუშაობდა, რაც ჩვენი საშუალო და დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან წარგზავნილ-

თათვის მნიშვნელოვანი შეღავათი და თანადგომა იყო. დასაქმებულთაგან 21 პროცენტი განათლების სფეროში საქმიანობდა, 15 პროცენტი - მომსახურების სფეროში, 7 პროცენტი- მრეწვწლობაში, 6 პროცენტი - საფინანსო სისტემაში. დასაქმებულთა 11 პროცენტს პროფესორის ასისტენტის თანამდებობა ეკავა, 10 პროცენტს - ოპერატორის, 6-6 პროცენტს მენეჯერის, გამყიდველის პოზიცია, გამოკითხულთა 6 პროცენტი კი მუშად მუშაობდა.

სწავლის პერიოდში მუშაობის დაწყების გადაწყვეტილება გამოკითხული სტუდენტების 20 პროცენტმა ოჯახის მცირეშემოსავლიანობის გამო მიიღო, 44 პროცენტს სურდა საკუთარი შემოსავალი ჰქონოდა, 20 პროცენტმა მიუთითა, რომ სწავლის ქირას იხდიდა და იძულებული იყო ემუშავა, 12 პროცენტმა მუშაობა გამოცდილების მიღების მიზნით დაიწყო, რადგან მომავალში მუშაობის გაგრძელებას ამ სფეროში აპირებდა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 42 პროცენტმა სამუშაო, უშუალოდ დამსაქმებლისადმი მიმართვის საფუძველზე იშოვა, 23 პროცენტს - ნაცნობ-მეგობრები დაეხმარა, გამოკითხულთა 15 პროცენტი თავისი სასწავლებელის ხელშეწყობით დასაქმდა, დანარჩენებმა კი სამსახური დასაქმების სააგენტოების, პრესასა და ინტერნეტში განცხადებების განთავსებით მოიძია.

კვლევამ აჩვენა, რომ სწავლასთან შეთავსებით მომუშავე სტუდენტების საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენდა: 19 პროცენტისათვის 500 აშშ დოლარამდე, 33 პროცენტისათვის - 800, 25 პროცენტისათვის 1300 აშშ დოლარამდე, სტუდენტთა მცირე ნაწილის საშუალოთვიური ხელფასი 2500 აშშ დოლარსაც კი აღწევდა. ჩვენთვის შეუძლებელია რესპონდენტების მიერ დასახელებული ხელფასის ოდენობების რეალურობის შეფასება, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ სწავლასთან ერთად, 1300 და 2500 აშშ დოლარის ოდენობის ხელფასი საქართველოდან საზღვარგარეთ წასული სტუდენტებისათვის დიდი ფუფუნებაა.

საინტერესოა საქართველოდან საზღვარგარეთ სწავლის მიზნით წასულთა საქართველოში დაბრუნების მოტივები. აღმოჩნდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი საკუთარი ქვეყნისადმი ნოსტალგიაა (22%), შემდეგ მოდის სამშობლოში დასაქმების შემოთავაზება (21%), გამოკითხულთა 16%-მა მიუთითა, რომ მათ წინასწარვე ჰქონდათ განზრახული, რომ საზღვარგარეთ განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ, რესპონდენტთა მცირე ნაწილმა (4%) საპირისპირო განზრახვა დააფიქსირა, მათ სურდათ საზღვარგარეთ სამუშაოდ დარჩენა, მაგრამ პროფესიის შესაფერისი სამუშაო ვერ იპოვეს და იძულებულნი გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. როგორც აღვნიშნეთ, გამოკითხულთაგან, ზოგიერთი, სამშობლოში ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნის, დაქორწინების და სხვა მიზეზის გამო დაბრუნდა.

საზღვარგარეთ განათლებამიღებული და სამშობლოში დაბრუნებული პირები ადასტურებენ, რომ მათი უდიდესი ნაწილი - 91% დასაქმებულია და მხოლოდ 9% ეძებს სამუშაოს, რაც დადებითი მოვლენაა. აღნიშნული პირებიდან 54% დასაქმებულია კერძო კომპანიებში, 31%-სახელმწიფო სამსახურში, დანარჩენი კი - სხვადასხვა სექტორში. მათგან 18-18 პროცენტი საქმიანობს განათლებასა და საფინანსო სისტემაში, 12 პროცენტი მომსახურების სფეროში, საკმაოდ დიდმა ნაწილმა (31%) საქმიანობის სფერო არ დააკონკრეტა და ,,სხვადასხვა სფერო" მიუთითა. რესპონდენტების 30 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია ბევრად მაღალია,

ვიდრე სამუშაო მოითხოვს, 15-15 პროცენტმა მცირეშემოსავლიანობა და საცხოვრებელი ადგილიდან სიშორე დაასახელა.

კვლევის მასალებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულთა და საქართველოში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების დონე საკმაოდ მაღალია. მათი 34 % -ის ხელფასი 3000 ლარს აჭარბებს, 15%-ისა - 3000, 12 % -ის ხელფასი კი 1500 ლარს შეადგენს. როგორც ჩანს, გამოკითხული რესპონდენტების შრომის ანაზღაურების დონე საკმაოდ მაღალია (რაც, ძირითადად, მათი საკმაოდ დიდი ნაწილის კერძო სექტორში დასაქმების შედეგია), თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მაღალი ინფლაციაა, რაც მაღალი ხელფასით განპირობებულ ,,სასიამოვნო განცდის“ აღქმას ართულებს.

კითხვაზე - რესპონდენტები, საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ რამდენ ხანში დასაქმდნენ? პასუხები ერთგვაროვანი არაა. როგორც გაირკვა მათ 33%-ს სამუშაო, საქართველოში დაბრუნებამდე ნაშოვნი ჰქონდა, 3 თვეში დასაქმდა 40%. 6 თვეში კი რესპონდენტების 15%. ზოგიერთს კი ერთ წლამდე ლოდინიც კი დასჭირდა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 36 პროცენტმა მუშაობა კონკურსის გავლის შემდეგ დაიწყო, უშუალოდ დამსაქმებლებისადმი მიმართვის შემდეგ მოეწყო სამუშაოზე-23%-ი, სამუშაოს მოძიებაში ნაცნობ-მეგობრები დაეხმარა რესპონდეტების 16%-ს. სამწუხაროდ, რესპონდენტებს დასაქმების სამსახურების მხრიდან დახმარების შესახებ არ აღუნიშნავთ.

როგორც კვლევის მასალებიდან ჩანს გამოკითხულთა შორის დაუსაქმებელი ცოტაა, მაგრამ მათი დაუსაქმებლობის მიზეზების გარკვევა მაინც საინტერესოა. მათი აზრით დროებითი უმუშევრობა განპირობებულია დაბალი ხელფასით (36%), ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული პრობლემებით (14%), სხვდასხვა მიზეზით (43%). სასიამოვნოა, რომ აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, მათი უმრავლესობა (67%) პრესის, ინტერნეტისა და ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით სასურველი სამუშაოს ძებნას კვლავაც აგრძელებს.

კითხვაზე - აპირებთ თუ არა მომავალში გახდეთ ემიგრანტი? გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ (80%) უპასუხა - ,,არა“, რაც სასიამოვნო და იმედისმომცემია, რადგან ასეთი კატეგორიის სპეციალისტები ქვეყანის განვითარებისათვის მეტად საჭიროა.

კითხვაზე - თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე რას ურჩევდით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც აპირებენ ან უკვე სწავლობენ საზღვარგარეთ? გამოკითხულთა ნაწილმა ასეთი რჩევები დააფიქსირა:

- ისწავლონ, მიიღო განათლება, კარგად აითვისონ იქაური გამოცდილება, რათა საქართველოში დანერგონ;

- პროფესიის არჩევისას კარგად დაფიქრდნენ, სწავლის დასრულების შემდეგ სიყვარულით მოეკიდნონ თავიანთ საქმეს. საზღვარგარეთ სწავლა და ცხოვრება დიდი გამოცდილებაა;

- საზღვარგარეთ სწავლა ცოდნის ამაღლებისა და საერთაშორისო კომპანიებში დასაქმების კარგ შესაძლებლობას ქმნის. ამიტომ, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების როგორც კარიერულ, ისე პიროვნულ ზრდას;

- მაქსიმალურად დაიხარჯონ ახალი ცოდნის მიღებაში და ამ ცოდნით დაბრუნდნენ საქართველოში;

- თუ მიღებული განათლების შესაბამისად დასაქმდებიან დაბრუნდნენ სამშობლოში;

- ვურჩევდი რომ, არასდროს დანებდნენ, შეუძლებელი არაფერია, მთავარია მონდომება და თავდაუზოგავი შრომა;

-კარგად გაიაზრონ სად და რა მიზნით მიდიან, წინასწარ დააზუსტონ შესაძლებელია თუ არა სამუშაოს შოვნა და სწავლასთან შეთავსება.

დასკვნა

1. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში საქართველოდან სწავლის მიზნით ახალგაზრდების წასვლა, დიპლომირებული სპეციალისტების სამშობლოში დაბრუნება და რაციონალურად გამოყენება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტა, მთელი საზოგადოების საერთო საგანმანათლებლო დონის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების, ასევე, ერთ-ერთი მთავარი და ამავე დროს მეტად რთული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური პრობლემის - უმუშევრობის ეტაპობრივად დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა;

2. საზღვარგარეთ უმაღლეს განათლებას დაუფლებული ყველა მოქალაქის მოსაზრებების შესწავლა/ანალიზი, ანუ სრული გამოკითხვა (რაც, ამჟამად, სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია), მრავალ საინტერესო კითხვას ამომწურავ პასუხს გასცემდა, მაგრამ ჩვენს მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგებიც მეტად საინტერესოა, რადგან იგი წარმოდგენას გვიქმნის პრობლემის არსზე, განმაპირობებელ მიზეზებზე, ამასთან, მისი რეგულირებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობასაც იძლევა;

3. კვლევიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი იმ სირთულეებს, რაც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხვასა და სწავლასთანაა დაკავშირებული, რაც საყურადღებო და მისასალმებელია;

4. საზღვარგარეთ განათლებამიღებულთა და საქართველოში დაბრუნებულთა შორის მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ეკონომისტები, ფინანსისტები და იურისტები, სხვა პროფესიის წარმომადგენელთა წილი კი მცირეა. ის, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა უმაღლესი ეკონომიკური (ფინანსური) და იურიდიული განათლების საზღვარგარეთ მიღებას უპირატესობას ანიჭებს, რბილად რომ ვთქვათ, იმაზეც მიუთითებს, რომ მათი მხრიდან ამ პროფილის ადგილობრივი სასწავლებლების მიმართ ნდობა არც ისე მაღალია;

5. გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ახალგაზრდები საფუძვლიანად ფლობენ უცხო ენებს, განსაკუთრებით ინგლისურსა და გერმანულს, ასევე ფრანგულ, თურქულ და რუსულ ენებს. მათი ნახევარზე მეტი ორ (ინგლისურსა და გერმანულს) და მეტ ენასაც კი ფლობს; გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ საზღვარგარეთ სწავლის გადაწყვეტილება უფრო ხარისხიანი განათლების მიღების სურვილის გამო მიიღეს.

6. გამოკითხულთა უმრავლესობამ საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებისათვის ყველაზე უფრო სასურველ ქვეყნად გერმანია და მისი უმაღლესი სასწავლებლები, შედარებით მცირე ნაწილმა კი აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებლები დაასახელა. რესპონდენტების უმეტესობის მხრიდან გერმანიისათვის უპირატესობის მინიჭება არცაა გასაკვირი, რადგან ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრია,

სადაც უმაღლესი ხარისხის იურიდიული და ეკონომიკური განათლების მიღება შეიძლება. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ახალგაზრდები სწავლის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სწორ არჩევანს აკეთებენ, რადგან დასავლეთის მოწინავე ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს ირჩევენ;

7. როგორც კვლევიდან ჩანს საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული რესპონდენტების დიდ უმრავლესობას მაგისტრატურა იზიდავს, შედარებით მცირე რაოდენობას - ბაკალავრიატი, ერთეულებს კი დოქტორანტურა, რაც საყურადღებოა. როგორც ჩანს, მომავალში, ჩვენი ახალგაზდებისათვის საზღვარგარეთის უმაღლესი სასაწავლებლების დოტორანტურაში სწავლის გაგრძელება დამატებით წახალისებას საჭიროებს;

8. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა სწავლასთან ერთად მუშაობდა. მუშაობის დაწყების მოტივებს შორის დასახელებულია: ოჯახის მცირეშემოსავლიანობა, სწავლის ქირის გადახდა და ა.შ. ზოგიერთმა კი მუშაობა გამოცდილების მიღების მიზნით დაიწყო, რადგან მომავალში მუშაობის გაგრძელებას ამ სფეროში აპირებდა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ სწავლასთან შეთავსებით მუშაობის შესაძლებლობის არსებობა ჩვენი საშუალო და დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან წარგზვნილთათვის მნიშვნელოვანი შეღავათი და თანადგომა იყო;

9. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საზღვარგარეთ სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი რესპონდენტების მხრიდან საკუთარი ქვეყნისადმი ნოსტალგიაა, შემდეგ მოდის სამშობლოში დასაქმების შემოთავაზება.

10. საზღვარგარეთ განათლებამიღებული და სამშობლოში დაბრუნებული პირები ადასტურებენ, რომ მათი უდიდესი ნაწილი (91%) დასაქმებულია და მხოლოდ 9% ეძებს სამუშაოს, რაც დადებითი მოვლენაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დასაქმებულთა თითქმის ნახევარის ხელფასი 3000 და მეტი ლარია, დანარჩენისა კი 1500 ლარი, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგი მაჩვენებლებია, რაც, ძირითადად, რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილის კერძო სექტორში დასაქმების შედეგია;

11. იმისათვის, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ახალგაზრდები სამშობლოში მასობრივად დაბრუნდნენ ქვეყანაში აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს პოლიტიკური სტაბილურობა, ამაღლდეს შრომის ანაზღაურების დონე, უზრუნველყოფილ იქნეს შრომის კეთილსასურველი პირობები. თუ საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში შრომის ანაზღაურებას, შრომის ხასიათსა და პირობებს შორის ამჟამად არსებული საგრძნობი განსხვავება მომავალშიც შენარჩუნდება, მაშინ მდგომარეობა გართულდება და არათუ საზღვარგარეთ პროფესიადაუფლებულთა, არამედ საქართველოს უნივერსიტეტდამთავრებულთა ადგილზე დამაგრებაც პრობლემა გახდება;

12. მრავალი სირთულის მიუხედავად შესაძლებელი უნდა გახდეს საქართველოდან როგორც სწავლის მიზნით საზღვარგარეთ წასულთა, ასევე საზღვარგარეთ დიპლომირებული სტუდენტების სამშობლოში დაბრუნებულთა სრულად აღრიცხვა. ამჟამად, ამ საქმიანობაში მრავალი უწყება და ორგანიზაციაა ჩართული და სწავლის მიზნით საზღვარგარეთ წასულთა (ქვეყნებისა და პროფესიული მიმართულებების მიხედვით) საერთო რაოდენობისა და სხვა მონაცემების დადგენა შეუძლებელია. ჩვენი აზრით, მართებული იქნება თუ შინაგან სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას, რომელიც არალეგალური მიგრანტების გამოსავლენად საზღვრის კვეთის კანონიერების მონიტორინგს ისედაც აწარმოებს, დაევალება სწავლის მიზნით ქვეყნიდან

გამსვლელებს მოთხოვოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარის შევსება, რომელშიც მითითებული იქნება ქვეყანა, დასაუფლებელი პროფესიის, სასწავლო პროგრამის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასახელება და სხვა. დაბრუნებისას კი ქვეყნიდან სწავლის მიზნით გასულებს ასევე უნდა მოეთხოვოს ზემოაღნიშნული სამინისტროს მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარის შევსება, რომელშიც მითითებული იქნება სად, რომელ ქვეყანაში მიიღეს განათლება (თუ მიიღეს), რომელი საფეხურის და პროფესიის და ა.შ., ზემოაღნიშნული კითხვარებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩვენი მოქალაქეების საზღვარგარეთ სწავლასთან და შემდგომ საქართველოში დაბრუნება/არდაბრუნებასთან დაკავშირებულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემის შესაძლებლობას მისცემს. მართალია, ეს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობას გარკვეულ წილად გაართულებს, მაგრამ ამით, ქვეყანას სერიოზული პრობლემა მოეხსნება.

ვფიქრობთ, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, მეორე მხრივ კი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობაც შესაძლებელია, თუმცა, პრობლემა უფრო რთულად გადასაწყვეტი იქნება.

ლიტერატურა

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თბ., 2004 წლის 21 დეკემბერი, № 688 რს;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №180/ნ, 2016 წლის 30 დეკემბერი, ქ.თბილისი)

წულაძე, ლ. (2008) რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბ., გვ.19.

Cervantes, M. (2002). The Brain Drain: Old Myths, New Realities. *OECD, Directorate for Science, Technology and Industry.*

OECD/CRRC - Georgia (2017), Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia, *OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris+++,* Retrieved from https://doi.org/10.1787/9789264272217-en.

Tukhashvili, M. (1996). Georgian population migration. *Lampari. 59pp*.

Tukhasvhili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M.(2018). Emigration intentions of students of higher education institutions of Georgia (examples from Ivane Javakhishvili Tbilisi State University). // The European Journal of Humanities and Social Sciences, Premier Publishing s.r.o. Vienna.(4).p.139-147

Welton, G., Winship, E. (2010). Matching Vocational Education in Georgia with Labour Market Needs. *Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH, Tbilisi, 2010.*

William, B. W. (1994). Forced Migration: Local Conflicts and International Dilemmas *Annals of the Association of American Geographers, Vol. 84, No. 4, pp. 607-634.*

Shelia M., Tukhashvili M.(2019). New Trends of Student Migration in Georgia. (**2019**)*Humanities & Social Sciences Review*. December, p. 444- 456

Shelia M., Tukhashvili M.(2020).EXPECTED EMIGRATION OF STUDENTS FROM GEORGIA.Ecoforum Journal, Vol 9, No2

Besarion Siordia
PhD Student at Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business,
Miron Tugushi
Associate Professor at Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business

STUDY OF RETURNEES FROM EDUCATIONAL MIGRATION IN GEORGIA

Expanded Summary

The transition to the market economy of our country, together with various problems, presented the problems in the higher education system at all levels. According to the relevant ratings it is clear that our higher educational institutions, despite some successes achieved in the recent period, are significantly behind the higher educational institutions of the developed countries in the quality of teaching and research, which afterwards is reflected in the level of professionalism of the graduates. However, it is widely known how great is the role of qualified personnel with higher education in raising the overall educational level of the entire society and in the development of the country's economy and social sphere, as well as in overcoming unemployment. Thus, in solving this important task, it is of great importance for our young people to receive education in the world's leading universities in order to use this knowledge in their homeland.

The mentioned task is important but its solution is very difficult, because there is an essential difference between Georgia and developed countries in terms of working conditions and remuneration; Also, we have fewer opportunities in terms of career growth and it prevents the retention of highly qualified staff at homeland (Georgia). Beside this, it should be noted that the so-called the trend of "Brain Drain" is more or less relevant even today, and considering the push and pull factors related to it, it should not be surprising that today, in Georgia, it is big problem to maintain highly qualified personnel trained not only abroad, but also in our country.

It should be noted that currently there is not a single agency (organization) in Georgia that has comprehensive information about persons who went abroad in order to receive a higher education and afterwards returned to their homeland (or stayed there to work), so we decided to conduct a special study. For this purpose, we used the widespread method of mass survey. Our research is based on 115 questionnaires consisting of 42 questions.

The demographic characteristics of the interviewees are important to note. Their age structure shows that 18% of respondents are under 24 years old, 25-29 years old - 33%, 30-34 years old - 24%, and 25% of respondents are over 35 years old, 49% of respondents were men, and 51% were women.

Economists - 26%, financial analysts - 19% and lawyers - 17% represent a high share of those educated abroad and those who returned to Georgia, while the share of representatives of other professions is small. The fact that the majority of respondents prefer receiving higher economic (financial) and legal education abroad, also indicates that their trust level in local schools of this profile is not so high.

The majority of respondents as the most desirable country for receiving higher education abroad named Germany and its higher educational institutions, while a relatively small number named the USA, Great Britain and France. It is not surprising that Germany is preferred by most of the respondents, because this country represents one of the best scientific and educational centers in the world.

The survey showed that the vast majority of respondents were working and studying at the same time. Among the incentives for starting work they stated: low level of family income, paying school rent, etc. Some started working in order to gain experience, because they were

going to continue working in this field in the future. In general, it should be noted that the existence of the opportunity to work in combination with studing is an important benefit and support for those displaced from our middle and low-income families;

The main determining factor for returning to Georgia after completing studies abroad, as stated by the respondents is nostalgia for their home country; The next important factor is the availability of employment opportunities in the homeland. People educated abroad and returned to their homeland, confirm that the majority of them (91%) are employed and only 9% are looking for a job, which is a positive event.

Despite many difficulties, it should be possible to fully account both those who went abroad to study, as well as those who returned to their homeland after receiving a diploma.

In our opinion, it would be appropriate if the border police of the Ministry of Internal Affairs, which already monitors the legality of border crossings to detect illegal migrants, is instructed to ask those leaving the country to fill out a special questionnaire, which will indicate the country, the profession to be mastered, the name of the training program (if any) and other. When returning, those who left the country for the purpose of education should also be required to fill in a questionnaire that informs us in which country this or that person received their education (indicating their profession).

We think that in order to achieve the mentioned goal, on the one hand, the cooperation of Georgian Education and Science, and on the other hand, the Ministry of Foreign Affairs of Georgia is possible, however, the problem will not be easy to solve.

მურთაზ კვირკვაია
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი;
მოგელი შენგელია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი, ასისტენტი

დასაქმების ახალი ფორმები შრომის ბაზარზე

ანოტაცია: *ნაშრომში განხილულია დასაქმების ახალი ფორმები, რომლებსაც საფუძველი თანამედროვე შრომის ბაზრებზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ჩაუყარა. მოკლედ არის გაანალიზებული საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა. ახსნილია ციფრული სამუშაო პლატფორმების არსი. ხაზგასმულია, რომ ციფრული სამუშაო პლატფორმების განვითარება და პლატფორმების ფარგლებში მუშაობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დასაქმების ახალი ფორმა, არატრადიციული მიდგომა შრომის ბაზარზე, რომელსაც გააჩნია თავისი უპირატესობები და გამოწვევები.*
საკვანძო სიტყვები: *ციფრული სამუშაო პლატფორმა; ონლაინ სამუშაო პლატფორმა; დასაქმების ახალი ფორმები; არაეფექტიანი დასაქმება; დასაქმებულის სტატუსი.*

შესავალი

უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა მუდმივ ძალისხმევას და ახალი ეფექტიანი მიდგომების გამოვლენას მოითხოვს. საქართველოს სხვადასხვა მთავრობების ძალისხმევა, შეამცირონ უმუშევრობის დონე და გააუმჯობესონ შრომის ბაზრის კონიუნქტურა, ხშირად სათანადო შედეგებს ვერ იძლევა. უმუშევრობის მუდმივად მაღალი დონე და არაეფექტიანი დასაქმების მაჩვენებლები შრომის ბაზარზე დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ და შევაფასოთ ის ახალი შესაძლებლობები, რომლებსაც იძლევა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები შრომის ბაზარზე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ნაშრომში ბოლო წლებში განხორციელებული კვლევების შესწავლის საფუძველზე, წარმოდგენილია დასაქმების ახალი ფორმების მახასიათებლები. მოკლედ არის შეჯამებული და გადმოცემული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებები, რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიებს და კონკრეტულ სამუშაო პლატფორმებს ეხება.

ცხადია, ნებისმიერი ახალი მიმართულება უმუშევრობის და არაეფექტიანი დასაქმების გადასაწყვეტად უნდა დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს, კერძოდ, მოსახლეობის დასაქმების და უმუშევრობის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლასა და ობიექტურ შეფასებას.

საქართველოში უმუშევრობის და დასაქმების მდგომარეობის ანალიზი

საქართველოში უმუშევრობის და დასაქმების მდგომარეობის შესაფასებლად გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ოფიციალური მონაცემების ანალიზი, რომელსაც

აქვეყნებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [19][8]. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ეფუძნება სამუშაო ძალის სტატისტიკის კონკრეტულ მეთოდოლოგიას, რომელიც პერიოდულ კორექტირებას განიცდის და შესაბამისად, იწვევს დასაქმების, უმუშევრობის და სამუშაო ძალის შესახებ მონაცემების ცვლილებას[9]. მაგალითად, ძველი მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევის შედეგად, 2016 წელს საქართველოში უმუშევრობა იყო 14.0 პროცენტი, ხოლო ახალი მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევის შედეგად, იმავე წელს იყო 21.7 პროცენტი. ანალოგიურად, შემდგომ წლებშიც მინიმუმ 7 პროცენტიანი სხვაობაა უმუშევრობის დონეებს შორის ძველი და ახალი მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე[10] გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე არის დამოკიდებული, ოფიციალური მონაცემების ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის უმუშევრობისა და დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, შრომის ბაზრის ახალი მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევის მიხედვით, 2021 წელს უმუშევრობის დონემ 20.6 პროცენტი შეადგინა. 2010-2021 წლების ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მაქსიმალური უმუშევრობის დონე ფიქსირდება 2010 წელს (27.2 პროცენტი), ხოლო უმუშევრობის მინიმალური დონე (17.6 პროცენტი) ემთხვევა 2019 წელს COVID-19 პანდემიის დაწყების წინაპერიოდს (იხ. ცხრილი). გარკვეული ცვლილებები არის უმუშევართა[11] რაოდენობაშიც, მაგრამ საშუალოდ 300 ათასი უმუშევარი საქართველოსთვის საკმაოდ მაღალი რიცხვია და მრავალ ნეგატიურ სოციალურ პრობლემას წარმოქმნის, რომელიც ცალკე განხილვის თემაა.

შრომის ბაზრის ახალი მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა თვითდასაქმებულთა რიცხვი და ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებით რეალურ მდგომარეობას ასახავს თვითდასაქმების შესახებ, თუმცა მათი რიცხვი ისევ საკმაოდ დიდია (დაახლოებით 400 ათასი). სავარაუდოდ, თვითდასაქმებულთა ნაწილი კვლავ არ წარმოადგენს რეალურად დასაქმებულებს ან, უკეთეს შემთხვევაში, მიეკუთვნებიან არაეფექტიან დასაქმებულებს. ზოგადად, საქართველოში დასაქმების არაეფექტიანობაზე მიუთითებს დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით[12], რომლის თანახმად, დასაქმებულთა თითქმის მეხუთედი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, სადაც დაბალია ხელფასები, შრომის მწარმოებლურობა და შემოსავლები.

---

[8] https://www.geostat.ge

[9] ახალი მიდგომით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის. აღნიშნული სტატუსის მქონე პირები გადაკვალიფიცირდნენ ან უმუშევართა კატეგორიაში, ან მოსახლეობაში სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად.

[10] **უმუშევრობის დონე** - უმუშევართა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

[11] **უმუშევარი** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

[12] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

ცხრილი №1

სამუშაო ძალის მაჩვენებლები

	2010	2012	2014	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამუშაო ძალა	1603.8	1654.7	1629.0	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1533.6
დასაქმებული	1167.6	1212.2	1255.0	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1217.4
დაქირავებული	710.0	759.4	795.5	853.9	869.3	903.5	897.5	845.3	829.4
თვითდასაქმებული	455.2	445.2	453.0	434.4	416.8	392.2	397.9	395.9	387.1
უმუშევარი	436.2	442.5	374.0	359.2	354.5	309.0	276.9	281.9	316.2
უმუშევრობის დონე, პროცენტი	**27.2**	**26.7**	**23.0**	**21.7**	**21.6**	**19.2**	**17.6**	**18.5**	**20.6**

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

არაეფექტიანი დასაქმების ერთ-ერთ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება. ოფიციალური მონაცემებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის დონის გარკვეული ზრდა ფიქსირდება და 2022 წლის მესამე კვარტალში (წინასწარი მონაცემების მიხედვით) 1595.0 ლარი შეადგინა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებით საშუალო კურსს[13] 2022 წლის მესამე კვარტლისთვის, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის დონე 600 აშშ დოლარზე ნაკლებია. მნიშვნელოვანი განსხვავებაა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასებს შორის ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. მაგალითად, 2021 წელს განათლების სფეროში საშუალო თვიური ნომინალური შრომის ანაზღაურება შეადგენდა მხოლოდ 834.9 ლარს, ხოლო იგივე მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 950.3 ლარს.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე, უმუშევრობის დონის დაახლოებით (საშუალოდ) 20 პროცენტიანი მაჩვენებელი, თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის მაღალი მაჩვენებელი, არაეფექტიანი დასაქმების ზოგადი მაჩვენებლები მიუთითებენ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების სიმწვავეზე. აღნიშნული პრობლემები არ არის ახალი საქართველოსთვის და ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე მუდმივი განხილვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, ადრე გამოყენებული ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით, აუცილებელი და აქტუალურია დასაქმების ახლებური ფორმების და მიდგომების მოძიება და შესწავლა.

ციფრული სამუშაო პლატფორმები

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა ეკონომიკის დარგებზე და შრომის ბაზრებზე, სადაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ ადაპტაცია. საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული მკვლევარები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები მნიშვნელოვან ყუ-

[13] 2022(III) USD/GEL (Period average)= 2.8235

რადღებას უთმობენ თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ ციფრულ სამუშაო პლატფორმებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ციფრული სამუშაო პლატფორმები განიხილება როგორც დასაქმების ახალი ფორმები და ახალი შესაძლებლობები სამუშაო ძალისთვის, რომელიც იქმნება ციფრული ტექნოლოგიებში მიღწეული პროგრესის შედეგად.

თანამედროვე შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს და ციფრულ სამუშაო პლატფორმებზე მნიშვნელოვანი კვლევები და მოხსენებები გამოაქვეყნდა ბოლო წლებში შემდეგი ორგანიზაციების მიერ: **შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია** (International Labour Organization, 2021)[17]; **ევროპის ტრენინგების ფონდი** (European Training Foundation, 2021)[16]; **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი** (World Economic Forum, 2020)[18]; **ევროფონდი** (Eurofound, 2018)[15]; **ევროკომისია** (European Commission, 2021)[13] და ა.შ. ასევე, აღნიშნულ საკითხებს ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები მიუძღვნეს ისეთმა მკვლევარებმა, როგორებიც არიან: **ჯონსტონი, ერგანი და შჩენი** (Johnston….2022)[8]; **ვალასი და შორი** (Vallas...2020)[11]; **ჰოუსონი, ფერრარი, გრაჰამი, უსტეკ-სპილდა** (Howson....2022)[7]; **ფარელი და გრეიგი** (Farrell...2016)[5]; **ჩაუდარი (**Choudary 2016**)[3]; ჩერნიხი (**Chernykh 2021**)[4]; მანდლი, კურტარელი, რისო, ვარგასი და გეროგიანისი** (Mandl.... 2015)[15] და ა.შ.

ციფრულ სამუშაო პლატფორმებთან დაკავშირებული ლიტერატურის, მოხსენებების და სამეცნიერო ნაშრომების გაცნობის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ გარკვეული საერთო მიდგომები და მახასიათებლები, რომლებიც კარგად წარმოაჩენს ციფრული სამუშაო პლატფორმების არსს. კერძოდ, ციფრული სამუშაო პლატფორმები წარმოადგენენ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ შუამავლებს შრომის ბაზარზე. პლატფორმის საშუალებით შრომის მიწოდების და მოთხოვნის დაკავშირება ეფუძნება გარკვეულ ალგორითმულ მენეჯმენტს. ციფრული სამუშაო პლატფორმების შემქმნელების მიზანი, როგორც წესი, მოგების მიღებაა. ციფრული სამუშაო პლატფორმები ოპერირების სხვადასხვა ბიზნეს მოდელებს იყენებენ. მოდელზე დამოკიდებულებით პლატფორმის შემოსავლები მიიღება მიწოდების ან მოთხოვნის მხარის მომსახურებისთვის (ფიქსირებული ან მომსახურების ღირებულებაზე დამოკიდებული) ან ორივე მხარის მიერ მომსახურებისთვის გადახდილი გადასახადებისგან.

ციფრული სამუშაო პლატფორმები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, **პირველი** არის ონლაინ ციფრული სამუშაო პლატფორმები, სადაც მომუშავეები სამუშაოებს (ამოცანებს) ასრულებენ ონლაინ და დისტანციურად. ასეთ სამუშაოებს მიეკუთვნება: გრაფიკული დიზაინი, მთარგმნელობითი მომსახურება, კონსულტირება, პროექტების მენეჯმენტი და ა.შ. ონლაინ ციფრული სამუშაო პლატფორმის მაგალითებია: Upwork, Fiverr, Freelancer და ა.შ. **მეორე** ჯგუფი გულისხმობს შრომის ბაზარზე ციფრული სამუშაო პლატფორმის ისეთ შუამავლობას, როდესაც მომუშავემ სამუშაო (ამოცანა) ადგილზე უნდა შეასრულოს. ასეთ სამუშაოებს მიეკუთვნება: ტრანსპორტირების სერვისი (ტაქსი და სხვა); კურიერული მომსახურება და საკვების ადგილზე მიტანა; სახლის მოვლა; ადგილზე სწავლება და კონსულტირება და ა.შ. მეორე ჯგუფის ციფრული სამუშაო პლატფორმის მაგალითებია: Deliveroo, Glovo, Uber და ა.შ.

თანამედროვე შრომის ბაზრებზე, მსოფლიოს მასშტაბით, ასეულობით დიდი და მცირე ციფრული პლატფორმა არსებობს. ისინი სულ უფრო მნიშვნელოვანი

ხდებიან დასაქმების თვალსაზრისით. ზოგიერთი მათგანი მილიონობით ადამიანსაც კი ასაქმებს მსოფლიოს მასშტაბით (მაგალითად Uber).

ციფრული სამუშაო პლატფორმები მოქნილ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ადამიანებს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობებს აძლევენ. თუმცა, ამასთან არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც თან სდევს ციფრული სამუშაო პლატფორმების განვითარებას. კერძოდ, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ხშირ შემთხვევაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ციფრული სამუშაო პლატფორმის ფარგლებში მომუშავეთა დასაქმების სტატუსი, ასევე, პრობლემატური საკითხია ციფრული სამუშაო პლატფორმის ფარგლებში მომუშავეთა სოციალური დაცულობა.

საქართველოში სტატისტიკური მონაცემები და კვლევები ციფრული სამუშაო პლატფორმების გავრცელების და განვითარების შესახებ, ჯერჯერობით, თითქმის არ არსებობს. თუმცა, საქართველოში ციფრული სამუშაო პლატფორმების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის **ევროპის ტრენინგების ფონდის** (European Training Foundation, 2021)[16] მიერ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში შესრულებული კვლევა დასაქმების ახალი ფორმების შესახებ. კვლევის თანახმად, საქართველოში გავრცელებული ციფრული სამუშაო პლატფორმებია Glovo, Bolt, GG Taxi, Alo Modi, Yandex Taxi. ამავე კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა რეგისტრირებული იყო ისეთ საერთაშორისო ონლაინ სამუშაო პლატფორმებზე, როგორიცაა Weblancer, Freelance, Upwork, Fiver, Guru და ა.შ.

ევროპის ტრენინგების ფონდის კვლევის მიხედვით, ასევე, ირკვევა, რომ საქართველოში ციფრული სამუშაო პლატფორმის ფარგლებში დასაქმებულები იმავე გამოწვევების წინაშე დგანან, როგორც სხვა ქვეყნებში ანალოგიური ფორმატით დასაქმებული ადამიანები. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასაქმების სტატუსი და მომუშავეთა სოციალური დაცულობა ციფრული სამუშაო პლატფორმების მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ციფრული სამუშაო პლატფორმების მომხმარებელი სხვადასხვა კომპანიების ვებგვერდების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ გავრცელების თვალსაზრისით, ციფრული სამუშაო პლატფორმები არსებობს თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ დიდ ქალაქში. აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში, რიგი ციფრული სამუშაო პლატფორმები უფრო გააქტიურდნენ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (მაგალითად საკვების მიწოდების სერვისები). შედეგად, მსგავსი პლატფორმების ფარგლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა, სავარაუდოდ, გაიზარდა.

ზუსტი ინფორმაციები ციფრული სამუშაო პლატფორმის ფარგლებში დასაქმებულთა შესახებ არ არსებობს. თუმცა, ცხადია, ჯერჯერობით ეს პლატფორმები მოსახლეობის დასაქმების და უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით არსებით როლს ვერ თამაშობენ.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა უმუშევრობის მაღალი დონის და არაეფექტიანი დასაქმების გათვალისწინებით, მოითხოვს არატრადიციული მიდგომების გამოყენებას შრომის ბაზრის კონიუნქტურის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უნივერსალური მიდგომა, რომელსაც შეუძლია პრობლემის სწრაფი გადაწყვეტა, აუცილებელია, გავაანალიზოთ შრომის

საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესები, თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენა შრომის ბაზარზე და გამოვავლინოთ შრომის ბაზრის განვითარების ის მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასაქმების ახალი ფორმების განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ციფრული სამუშაო პლატფორმის ფარგლებში დასაქმება უნდა განვიხილოთ, როგორც შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების ახალი ფორმა, რომელსაც, გარკვეულწილად, შეუძლია შრომის ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესება.

ციფრული სამუშაო პლატფორმები განვითარების გარკვეულ პირობებს მოითხოვს, რაც, პირველ რიგში, სამუშაო ძალის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამის მომზადებას უკავშირდება. შესაბამისად, სამუშაო ძალის მომზადებას საფუძვლად უნდა დაედოს საჭირო ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია პლატფორმის ფარგლებში შეთავაზებული სამუშაოს (ამოცანის) შესასრულებლად.

ციფრული სამუშაო პლატფორმების როლი მოსახლეობის დასაქმებაში სამომავლოდ დამოკიდებული იქნება ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაზე, სამუშაო ძალის ინფორმაციული ტექნოლოგიური მიმართულებით მომზადების შესაძლებლობებზე, სამუშაო ძალის უცხო ენებში მომზადების დონეზე და ა.შ.

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ციფრული სამუშაო პლატფორმის ფარგლებში დასაქმებულთა სტატუსი, რაც შედარებით მოაწესრიგებს მათი სოციალური დაცულობის საკითხებს და გარკვეულწილად უზრუნველყოფს დასაქმების ახალი ფორმების შესახებ ინფორმაციების მიღების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრეგვაძე, თ. (2013). *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

2. ლეჟავა დ., & ამაშუკელი მ. (2015). აკადემიური პროგრამების შედეგებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი, სოციალური მეცნიერების ცენტრი.

3. Choudary S.P.; The architecture of digital labour platforms: Policy recommendations on platform design for worker well-being. 2018. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---cabinet/documents/publication/wcms_630603.pdf

4. Chernykh E.A. Socio-demographic characteristics and quality of employment of platform workers in Russia and the world. *Economic and Social Changes: Facts, Trends, Forecast*, 2021, vol. 14, no. 2, pp. 172–187. DOI: 10.15838/esc.2021.2.74.11

5. Farrell, D and Greig, F. 2016. "Paychecks, paydays, and the online platform economy: Big data on income volatility" JPMorgan Chase Institute.

6. Howson, K., Johnston, H., Cole, M., Ferrari, F., Ustek-Spilda, F., & Graham, M. (2022). Unpaid labour and territorial extraction in digital value networks. Global Networks, 1–23. https://doi.org/10.1111/glob.12407

7. Howson, K., Ferrari, F.,., Salem, N., Johnston, H., Katta, S., Heeks, R., & Graham, M. (2022). Driving the digital value network: Economic geographies of global platform capitalism. *Global Networks*, *22*(4), 631–648. https://doi.org/10.1111/glob.12358

8. Johnston, H., Ergun, O., Schor, J., & Chen, L. *Is employment status compatible with the on-demand platform economy: Evidence froma natural experiment*. Available at: https://cpb-us-w2.wpmucdn.com/sites.northeastern.edu/dist/2/204/ files/2022/02/Johnston-et.-al-2022-Employment-Status-and-Gig-Economy-1.pdf

9. Kikutadze, V., Kvirkvaia, M., Daghelishvili, N. & Tavkhelidze, T. &. G. G., 2021. COOPERATION BETWEEN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS AND EMPLOYERS IN GEORGIA". DOI: 10.36172/EKONOMISTI. "Ekonomisti", Volume 2, pp. 74-98.
10. Kvirkvaia, M., 2016. "Analysis of employment and unemployment in municipalities of Georgia". https://eujournal.org/index.php/esj/article/view/6833. European Scientific Journal, ESJ, Volume 2, pp. 159-170.
11. Vallas, Steven, and Juliet B Schor. (2020) 'What Do Platforms Do? Understanding the Gig Economy', Annual Review of Sociology, 46, 273-294.
12. Tsartsidze .2018. UNEMPLOYMENT AND THE EFFECTIVE EMPLOYMENT PROBLEMS IN GEORGIA UNDER THE MODERN GLOBALIZATION TERMS. Journal of International Economic Research, 4 (1). Pp. 89-95. ISSN 2500-9656.
13. European Commission, Directorate-General for Employment, Social Affairs and Inclusion, (2021) Digital labour platforms in the EU : mapping and business models : final report. Publications Office. https://data.europa.eu/doi/10.2767/224624
14. Eurofound (2015), (Authors: Mandl, I., Curtarelli, M., Riso, S., Vargas, O., Gerogiannis, E.) New forms of employment, Publications Office of the European Union, Luxembourg
15. Eurofound (2018), Automation, digitization and platforms: Implications for work and employment, Publications Office of the European Union, Luxembourg.
16. ETF, 2021. European Training Foundation. „THE FUTURE OF WORK. New forms of employment in the Eastern Partnership countries: Platform work. https://www.etf.europa.eu/en/publications-and-resources/publications/future-work-new-forms-employment-eastern-partnership, Turin: ETF.
17. International Labour Organization. "World Employment Social Outlook 2021: The Role of Digital Labour Platforms in Transforming the World of Work." Ilo.org, 2021. https://ilo.org/infostories/Campaigns/WESO/World-Employment-Social-Outlook-Report-2021#platform-work/gigs.
18. World Economic Forum. 2020. The Promise of Platform Work: Understanding the Ecosystem. https://www.weforum.org/whitepapers/the-promise-of-platform-work-understanding-the-ecosystem/

Murtaz Kvirkvaia
Kutaisi International University,
Associate Professor;
Mogeli Shengelia
Grigol Robakidze University,
Deputy Rector, Head of Quality
Assurance Service, Assistant

NEW FORMS OF EMPLOYMENT IN THE LABOR MARKET

Expanded Summary

Employment of population has remained an unsolvable problem for Georgia for the last three decades. According to official data, the level of unemployment in 2010-2021 is on average about 20 percent, which is about 300 thousand people.

The number of self-employed people in Georgia is quite high (about 400 thousand). It should be assumed that a significant part of them is not, in fact, employed or is classified as inefficiently employed due to low incomes. The ineffectiveness of employment is indicated by the fact that almost a fifth of the workforce is employed in agriculture, where wages, labor productivity, and incomes are low. For example, in the same agriculture in

2021, the average nominal salary was 950.3 GEL. The situation is similar in several other fields.

Technological progress has put on the agenda the need for new approaches to the labor market. In the scientific literature, digital work platforms are considered as new forms of employment and new opportunities for the workforce that were created as a result of the progress made in digital technologies.

Digital job platforms are intermediaries in the labor market based on modern digital technologies. Connecting labor supply and demand through the platform is based on specific algorithmic management.

Digital work platforms can be divided into two groups. The first is online digital work platforms, where workers perform work (tasks) online and remotely. Such jobs include, for example, graphic design, translation services, consulting, project management, etc. Examples of online digital job platforms are Upwork, Fiverr, Freelancer, etc. The second group refers to such mediation of the digital work platform in the labor market when the worker has to perform the work (task) on the spot. Such jobs include, for example, transportation services (taxi and others); Courier services and food delivery; housekeeping; On-site training and consulting, etc. Examples of the second group of digital work platforms are Deliveroo, Glovo, Uber, etc.

There are hundreds of digital platforms in today's labor markets around the world. Some of them even employ millions of people worldwide (like Uber). Digital work platforms create flexible workplaces and provide people with additional income opportunities.

In Georgia, there is no accurate information about the employees within the digital work platform.

According to the research of the European Training Foundation, the most common digital work platforms in Georgia are Glovo, Bolt, GG Taxi, Alo Modi, Yandex Taxi. According to the same study, a certain number of the population of Georgia was registered on international online work platforms such as Weblancer, Freelance, Upwork, Fiver, Guru, etc.

The role of digital work platforms in the employment of the population in the future will depend on the availability of information technology infrastructure across the country, the possibilities of training the workforce in the information technology direction, the level of training the workforce in foreign languages, etc.

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

თენგიზ ვერულავა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი;
ქეთევან ომანაძე
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი;
თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჰოსპიტალური სერვისების ანტიკრიზისული მართვის გამოწვევები საქართველოში

DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.TENGIZ.VERULAVA.KETEVAN.OMANADZE.TEA.LAZARASHVILI

ანოტაცია. *თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამხრეთ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო ითვლება საომარი კონფლიქტების ფეთქებადსაშიშ ზონად, რაც განაპირობებს კატასტროფებისთვის მზადყოფნის გადაუდებელი გეგმების არსებობის აუცილებლობას, რათა საავადმყოფოებმა შეძლონ გაუმკლავდნენ დაშავებულთა გაზრდილ რაოდენობას და შესთავაზონ ეფექტური სამედიცინო მომსახურება. კვლევის მიზანია კატასტროფებისადმი საავადმყოფოების მზადყოფნის შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა. შედეგებმა გამოავლინა საავადმყოფოებში კრიზისისა და კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე საშუალო ქულით 56,57%. რეკომენდირებულია საავადმყოფოებში გარკვეული ცვლილებების გატარება კრიზისისა და კატასტროფული მოვლენებისადმი მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად.*

საკვანძო სიტყვები: *ანტიკრიზისული მენეჯმენტი, საგანგებო კატასტროფებისთვის მზადყოფნა, კრიზისული სიტუაციები.*

შესავალი

კატასტროფა იწვევს დიდი რაოდენობით ადამიანების ავადმყოფობას ან დაზიანებას, რაც მძიმე ტვირთია ჯანდაცვის სისტემისთვის და დიდი სოციალური და ეკონომიკური ზარალი სახელმწიფოსთვის. კატასტროფები არის როგორც ბუნებრივი (მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობები), ასევე ადამიანის მიერ განპირობებული (ომები, ტერორიზმი). კატასტროფების მართვისათვის საჭიროა რისკის შეფასება, სტრუქტურული და არასტრუქტურული პრევენცია და საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის, გაფრთხილებისა და ევაკუაციისათვის მზადყოფნა (Bajow, 2014). საავადმყოფოები დიდ როლს ასრულებენ კატასტროფული მოვლენების მართვაში (Mulyasari, 2013). მათ სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებაში.

ომებისა და ბუნებრივი კატასტროფების გამო წარმოქმნილ გამოწვევებთან გასამკლავებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საავადმყოფოების კატასტროფებისთვის მზადყოფნის გაძლიერება. საავადმყოფოების მზადყოფნა კატასტროფებისთვის არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფების დროს საავადმყოფოს მდგრადობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფას და უარყოფითი შედეგების სწრაფად დაძლევისათვის ეფექტურ რეაგირებას (Heidaranlu და სხვ. 2022). ამისათვის აუცილებელია საავადმყოფოებს ჰქონდეთ მოსალოდნელ კატასტროფებთან სათანადო მზადყოფნის გეგმა. ჯანდაცვის კატასტროფებისადმი მზადყოფნის კონცეფცია შემუშავდა 1990-იანი წლების დასაწყისში, ტერორიზმთან დაკავშირებული მოვლენების გაზრდის შედეგად (Toner, 2017).

საავადმყოფოს უნარი გაუმკლავდეს კატასტროფებს, დამოკიდებულია მათ ზომაზე, ფუნქციონალურ სიმძლავრეზე, შესაბამისი აღჭურვილობის არსებობაზე და ადეკვატური კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის ხელმისაწვდომობაზე. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ საავადმყოფოების პერსონალს კატასტროფებთან მზადყოფნის გეგმვის შესახებ ცოდნის საკმაოდ დაბალი დონე აქვს, რაც უმთავრესად დაკავშირებული იყო კატასტროფების მედიცინის სასწავლო პროგრამების ნაკლებობასთან (Paganini, 2016; Öztekin, 2016). ექსპერტთა აზრით, საჭიროა საავადმყოფოებში კატასტროფებისთვის მზადყოფნის ერთიანი მკაფიო გეგმის შემუშავება, პროტოკოლების სტანდარტიზაცია (Mastaneh. Z., 2013; Luc, Greet, & Kurt, 2014). საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველსაყოფად, ჯანმო-მ შეიმუშავა კატასტროფებთან გამკლავებისთვის ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის შეფასების სპეციალური ინსტრუმენტი (WHO, 2011).

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამხრეთ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო მუდამ წარმოადგენდა დომინანტი საერთაშორისო აქტორების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველომ გადაიტანა სამოქალაქო ომი და საომარი კონფლიქტები რუსეთთან (1990-იან წლებში მომხდარი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტი და 2008 წლის აგვისტოს ომი), რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით მსხვერპლი და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანება და შეზღუდული შესაძლებლობა როგორც სამხედრო ძალების, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის. კავკასიის რეგიონი და განსაკუთრებით საქართველო დღესაც ითვლება საომარი კონფლიქტების ფეთქებადსაშიშ ზონად. საუდის არაბეთში რამდენიმე კვლევა ჩატარდა კატასტროფებისთვის მზადყოფნის ზოგიერთი ასპექტის შესაფასებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია საქართველოში საავადმყოფოების კატასტროფებისადმი მზადყოფნის შესწავლა. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევისათვის შეირჩა ექვსი სამედიცინო დაწესებულება, რომელთაგან ორი წარმოადგენდა სახელმწიფო, ხოლო ოთხი კერძო სამედიცინო ორგანიზაციას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 50 რესპოდენტმა, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან მოსაზღვრე რაიონების სამედიცინო დაწესებულების დირექტორებს, ადმინისტრაციულ მენეჯერებს, დეპარტამენტის უფროსებს. კვლევა

განხორციელდა 28 სექტემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით. კვლევის შედეგები დამუშავდა spss სისტემაში.

კატასტროფებთან გამკლავებისთვის საავადმყოფოების მზადყოფნის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა თვითადმინისტრირებადი კითხვარი, რომელიც შემუშავდა ჯანმოს (WHO, 2011) და გადაუდებელი ექიმების ამერიკული კოლეჯის (American College of Emergency Physicians, 2017) მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარების საფუძველზე. კითხვარი შედგება 79 პრიორიტეტული სამოქმედო პუნქტისგან, რომლებიც დაჯგუფებულია 13 ძირითად კომპონენტში: უსაფრთხოება და თავდაცვა (4 პუნქტი), ლოჯისტიკა (15 პუნქტი), გადაუდებელი სიტუაციების მართვის დაგეგმვა (13 პუნქტი), საავადმყოფოს მზადყოფნა და ტრენინგი (6 პუნქტი), შემთხვევების მართვის სისტემა (6 პუნქტი), **კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტი (3 პუნქტი), ტრიაჟი (4 პუნქტი),** პაციენტზე ზრუნვა (3 პუნქტი), სტრესის მართვა კატასტროფების დროს (5 პუნქტი), სააფთიაქო მომსახურება (4 პუნქტი), ლაბორატორიული მომსახურება (6 პუნქტი), ფატალური შემთხვევების მართვა (4 პუნქტი), კომუნიკაცია, გაფრთხილება შეტყობინება (6 პუნქტი).

კვლევის შედეგები, დისკუსია

კატასტროფებისადმი საავადმყოფოს მზადყოფნა მოითხოვს კომპლექსურ ოპერაციებს და საქმისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას. საავადმყოფოები წარმოადგენენ ჯანდაცვის სისტემის ბირთვს, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება საგანგებო სიტუაციებისა და კატასტროფების დროს.

თავდაცვა და უსაფრთხოება. კატასტროფების დროს საავადმყოფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა საავადმყოფოს აქვს აუცილებელი აღჭურვილობა საავადმყოფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. უსაფრთხოების თანამშრომელი 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომია ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. საავადმყოფოებს აქვთ შესაძლებლობა აუცილებლობის შემთხვევაში დაამატონ უსაფრთხოების თანამშრომელი. ყველა დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ოპტიმალურად უზრუნველყოს სრული პერიმეტრის მონიტორინგი საგანგებო სიტუაციების დროს. არსებობს გეგმა რომლის მიხედვითაც მოხდება ინფორმაციის მიწოდება დაშავებულთა ოჯახის წევრებზე და ასევე გაკონტროლდება დიდი რაოდენობით ხალხის შემოდინება. უფრო მეტიც, საავადმყოფოებზე დაკვირვება ხდება ვიდეოკამერებით, რომლებიც განთავსებულია საავადმყოფოს შიგნით სხვადასხვა ადგილას, რათა უზრუნველყოფილი იყოს საავადმყოფოს საკუთრების, შესასვლელებისა და გასასვლელების ოპტიმალური მონიტორინგი და კონტროლი. რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საავადმყოფოებში არსებობს თავდაცვისა და უსაფრთხოების ზომები. ეს საკმაოდ მაღალი შეფასებაა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პაციენტების სწორი და უსაფრთხო მკურნალობისთვის.

ლოჯისტიკა. ელექტროენერგია აუცილებელი კომპონენტია საავადმყოფოს მოწყობილობა-დანადგარების ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, საავადმყოფოში ელექტრომომარაგება უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და უსაფრთხო. კატასტროფების შემთხვევაში, ალტერნატიული ელექტრომომარაგება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და მუშაობდეს გამართულად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა საავადმყოფოს აქვს დენის გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის მიწოდებას სამი დღის მანძილზე საჭიროების შემთხვევაში.

წელიწადში ერთხელ ხდება გენერატორის სრული დატვირთვის ტესტირება. რესპოდენტთა 66,7%-ის აზრით, საავადმყოფოს აქვს სარეზერვო წყარო საწვავის 3 დღის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. რესპოდენტთა 66,7%-ის აზრით, საავადმყოფოების უმეტესობას საწვავი აქვს დაცულ ადგილებში.

უწყვეტი წყალმომარაგება აუცილებელია საავადმყოფოსთვის. წყალმომარაგების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად თითოეულ საავადმყოფოს უნდა ჰქონდეს წყლის მეორადი წყარო, რომელიც რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში თუ პირველადი წყარო ვერ უზრუნველყოფს ადექვატური წყლის მიწოდებას. რესპოდენტთა 83,3%-ის აზრით, საავადმყოფოებს აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ უწყვეტი წყალმომარაგება. გარდა ამისა, ზოგიერთ საავადმყოფოს აქვს წყლის მიწოდების მეორადი წყარო, კერძოდ, ზოგიერთ საავადმყოფოს წყალი მიეწოდება მუნიციპალური წყაროდან, ზოგს კი აქვს საკუთარი წყალმომარაგება. რესპოდენტთა 66,7%-ის აზრით, საავადმყოფოებს აქვთ 3 დღის საკვები მარაგი პერსონალისთვის და პაციენტებისთვის.

საავადმყოფოების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს 3-4 დღის საკმარისი ჟანგბადის მარაგები. სამედიცინო ჟანგბადი გამოიყენება საოპერაციო ოთახებში, გადაუდებელი დახმარების და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში. სამედიცინო ჟანგბადის ადეკვატური მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭიროა კარგად ვენტილირებადი უსაფრთხო ადგილი სამედიცინო ჟანგბადის შესანახად.

ტექნიკური და საინჟინრო განყოფილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საავადმყოფოების უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირებისათვის. ამიტომ ტექნიკური და საინჟინრო პერსონალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ტექნიკური და საინჟინრო პერსონალი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში. შესაბამისად, საავადმყოფოები ადექვატურად ფუნქციონირებენ გენერატორების, ელექტრომომარაგების, ზოგიერთი სასიცოცხლო აღჭურვილობის (მონიტორები, ვენტილატორები) პრობლემების შემთხვევაში.

გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემები მნიშვნელოვანია საავადმყოფოების ფუნქციონირებისთვის, მაგრამ კატასტროფული მოვლენების დროს ეს სისტემა ითიშება. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ყველა დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მიზნობრივად მიაწოდოს გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემები.

საავადმყოფოს ნარჩენები, მათ შორის მყარი და თხევადი ნარჩენები, საზიანოა ადამიანებისთვის და შეიძლება პრობლემები შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ საავადმყოფოებში ნარჩენების მართვის სათანადო სისტემის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კატასტროფის დროს. გამოკითხულთა 100% უპასუხა, რომ საავადმყოფოში დაბინძურებული ნარჩენების მართვა მიმდინარეობს ორგანიზებულად.

ცხრილი: 1 უსაფრთხოება და თავდაცვა, ლოჯისტიკა

	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
მორიგეობს თუ არა უსაფრთხოების თანამშრომელი 24/ 7 გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში	0	100			1.000
აქვს თუ არა ობიექტს შესაძლებლობა დამატებითი უსაფრთხოების პერსონალი განათავსოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში	0	100			1.000
არსებობს თუ არა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ინფორმაციის მიწოდება დაშავებულთა ოჯახის წევრებზე და ასევე გაკონტროლდება დიდი რაოდენობით ხალხის შემოდინება	0	100			1.000
კონტროლდება თუ არა ყველა შესასვლელი და გასასვლელი კამერებით, შესაძლებელია თუ არა საჭიროების შემთხვევაში მათი ჩაკეტვა?	0	100			1.000
ლოჯისტიკა					
	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
არსებობს თუ არა დენის გენერატორი გადაუდებელი სიტუაციების დროს გამოსაყენებლად?	0	100			1
აქვს თუ არა საავადმყოფოს შესაძლებლობა უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდება ყველა აუცილებელი სერვისისთვის სამი დღის განმავლობაში	0	100			1
არის თუ არა საავადმყოფოში პრიორიტეტების მიხედვით დაყოფილი სერვისები რომლებიც მიიღებენ ელექტროენერგიას?	0	100			1
ტარდება თუ არა გენერატორზე ყოველწლიურად დატვირთვის ტესტირება?	0	100			1
აქვს თუ არა საავადმყოფოს სარეზერვო წყარო რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საკმარისი საწვავი 3 დღის უწყვეტი, სრული დატვირთვის მოთხოვნისთვის.	33.3	66.7	6.00	5	0.306
არის თუ არა დაცული საწვავის რეზერვუარი	33.3	66.7	6.00	5	0.306
არის თუ არა წყლის მიწოდების მეორადი წყარო თუ პირველადი წყარო გათიშულია?	16.7	83.3	6.00	5	0.306
აქვს თუ არა დაწესებულებას საკმარისი რაოდენობის საკვების მარაგები პერსონალისთვის 3-4 დღის განმავლობაში?	33.3 %	66.7 %	6.00	5	0.306
არის თუ არა საკვები პროდუქტების უსაფრთხოება შენარჩუნებული ნებისმიერ დროს: მიწოდება, შენახვა და მომზადება?	0	100			1
აქვს თუ არა სამედიცინო დაწესებულებას 3-4 დღის საკმარისი ჟანგბადის მარაგები?	0	100			1
არის თუ არა ტექნიკური და საინჟინრო პერსონალი ხელმისაწვდომი 24 საათის განმავლობაში?	0	100			1
შეუძლია თუ არა საავადმყოფოს საგანგებო სიტუაციებში გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის ზონების იზოლირება და დახურვა?	0	100			1
განხორციელდა თუ არა ამ პროცედურის ტესტირება უახლოესი ერთი წლის მანძილზე ?	16.7	83.3	6.00	5	0.306
აქვს თუ არა საავადმყოფოს დაბინძურებული ნარჩენების, საქონლისა და სითხეების მართვის, გადაცემის და ნარჩენების განადგურების პროცედურები?	0	100			1
ინახავს თუ არა საავადმყოფო აღჭურვილობის, აუცილებელი მასალების და სხვა საჭირო ინვენტარის მარაგებს, რომელიც საჭიროა მასობრივი მსხვერპლის მოვლენებზე ეფექტური რეაგირებისთვის?	50	50			1

გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმა: გამოკითხულ რესპოდენტთა 92%-მა დაადასტურა, რომ მათ დაწესებულებაში არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. რესპოდენტთა 74%-ის აზრით, გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმა ეხება შიდა და გარე გადაუდებელ სიტუაციებს. მაგრამ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედმა (32%) აღნიშნა, რომ გეგმა ადვილად ხელმისაწვდომი არ არის ადმინისტრაციისთვის და პერსონალისთვის. რესპონდენტთა 62%-ის აზრით, გეგმა არ ეხება ყველა სახის კატასტროფულ სიტუაციას.

გარდა ამისა, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) თანხმდება, რომ გეგმა მოიცავს წერილობით შეთანხმებებს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პერსონალის მოძიებას დაკავშირებით. რესპონდენტთა 88.0% თანხმდება, რომ გეგმა მოიცავს ღონისძიებებს გეგმიური სერვისების (მაგ გეგმიური ქირურგიული ოპერაციების) გაუქმებას საგანგებო სიტუაციების დროს. საყურადღებოა, რომ რესპოდენტთა 70%-ის აზრით, გეგმის მიხედვით პროცესებში არ არის ჩართული ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. რესპოდენტთა უმრავლესობის (96.0%) აზრით, გეგმა მოიცავს აღდგენის ფაზაში გეგმიურ ოპერაციებზე დაბრუნების დებულებებს.

საავადმყოფოს პერსონალს ესაჭიროება სპეციალური ტრენინგი გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების შესახებ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტთა 71.4%-ს არ გაუვლია ტრენინგები წელიწადში ორჯერ მაინც საგანგებო მოვლენებთან დაკავშირებით. დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ 28.6%-მა. გადაუდებელი და კატასტროფული მოვლენების დროს საავადმყოფოების მიზანია რესურსების მაქსიმალური მობილიზება, რათა უზრუნველყონ დაზარალებულთა გამოჯანმრთელების ეფექტური მართვა, ამიტომ საავადმყოფოს პერსონალი უნდა იყოს მაქსიმალურ მზადყოფნაში საგანგებო სიტუაციებისთვის. შედეგები აჩვენებს, რომ აუცილებელია საავადმყოფოს პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა გადაუდებელი სიტუაციების მართვის შესახებ სპეციალური ტრენინგის საშუალებით. ზოგ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ სამედიცინო პერსონალი მოუმზადებელია საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესებში (Oztekin, 2016; Paganini, 2016), თუმცა, ზოგი კვლევის მიხედვით, საავადმყოფოებში ტარდება მრავალი ტრენინგი პერსონალის უნარ ჩვევების გასაუმჯობესებლად (Kaji, 2006).

ცხრილი 2. გადაუდებელი სიტუაციების მართვის დაგეგმვა.

	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
აქვს თუ არა დაწესებულებას გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც ეხება საგანგებო სიტუაციების მართვის ოთხ ფაზას: მზადყოფნა, რეაგირება, შერბილება და აღდგენას?	8.0%	92.0%	2.35	5	0.799
ეხება თუ არა გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმა შიდა და გარე საგანგებო სიტუაციებს?	26.0%	74.0%	8.79	5	0.118
არის თუ არა გეგმა ადვილად ხელმისაწვდომი ადმინისატრაციისთვის და პერსონალისთვის.	32.0%	68.0%	5.69	5	0.338
ეხება თუ არა გეგმა ყველა სახის კატასტროფულ სიტუაციას	62.0%	38.0%	11.13	5	0.049

მოიცავს თუ არა გეგმა იმ ღონისძიებებს, რომელიც უნდა განხორციელდეს გადაუდებელი დახმარების განყოფილებიდან, პაციენტების სტაციონარში სწრაფი გადაყვანისთვის	16.3%	83.7%	6.20	5	0.287
მოიცავს თუ არა გეგმა გადაუდებელი სიტუაციების დროს გეგმიური პაციენტების ადრეულ გაწერას და მათთვის სამედიცინო დახმარების ყოველდღიურ მიწოდებას ამბულატორიულად.	40.8%	59.2%	9.89	5	0.078
მოიცავს თუ არა გეგმა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პერსონალის მოძიებას?	46.0%	54.0%	11.68	5	0.039
მოიცავს თუ არა გეგმა გეგმიური სერვისების (მაგ ქირურგიული ოპერაციების) გაუქმებას საგანგებო სიტუაციების დროს?	12.0%	88.0%	5.63	5	0.344
გეგმის მიხედვით ჩართულია თუ არა პროცესებში ფსიქოლოგი და ფსიქიატრი?	70.0%	30.0%	18.98	5	0.002
მოიცავს თუ არა გეგმა აღდგენის ფაზაში გეგმიურ ოპერაციებზე დაბრუნების დებულებებს?	4.0%	96.0%	10.94	5	0.053
არის თუ არა გეგმა გაზიარებული ადგილობრივ და სახელმწიფო შესაბამის საგანგებო სააგენტოებთან (ორგანიზაციებთან)?	20.0%	80.0%	5.13	5	0.400
აქვს თუ არა ყველა თანმშრომელს წვდომა საგანგებო სიტუაციების გეგმასთან?.	68.0%	32.0%	4.57	5	0.471
გადის თუ არა საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის თანამშრომლები ტრენინგს წელიწადში ორჯერ მაინც საგანგებო მოვლენებთან დაკავშირებით?	71.4%	28.6%	14.19	5	0.014

საავადმყოფოს მზადყოფნა და ტრენინგი. რესპოდენტთა 79.2%-ის აზრით, დაწესებულება არ ახორციელებს წელიწადში ორჯერ სავარჯიშო საგანგებო სიტუაციებს. რესპოდენტთა 71.8%-ის აზრით, დაწესებულება არ მონაწილეობს წელიწადში ერთ ტრენინგში მაინც კატასტროფებზე რეაგირებასთან დაკავშირებით. ეს შედეგები აჩვენებს გადაუდებელი მართვის დაგეგმვის ტრენინგში მონაწილეობის დაბალ ინტერესს. გადაუდებელი მართვის გეგმის წერილობითი ფორმით არსებობა მნიშვნელოვანია თითოეული საავადმყოფოსთვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი გეგმა არ იძლევა მზადყოფნის გარანტიას, ასევე მნიშვნელოვანია საავადმყოფოს პერსონალის სწავლება გეგმის სწორად განხორციელებაზე და გადაუდებელი სიტუაციების მიმართ მათი მზადყოფნის დონის გაზრდა. სათანადო ტრენინგების საშუალებით საავადმყოფოს პერსონალს უკეთ ეცოდინება მისი როლი. რესპოდენტთა 88.0%-ის აზრით, დაწესებულებაში არ განხორციელებულა პერსონალის და პაციენტების ევაკუაცია ბოლო 12 თვის განმავლობაში. რესპოდენტთა 68.0%-ის აზრით, დაწესებულება იყენებს ქმედების შემდგომ ანგარიშებს გადაუდებელი სიტუაციების მოქმედების გეგმის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად.

შემთხვევების მართვის სისტემა. რესპოდენტთა 82%-მა აღნიშნა, რომ შემთხვევების მართვის სისტემა არსებობს საავადმყოფოში, მაგრამ რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა (80%) აღნიშნა, რომ არ ტარდება კატასტროფების მართვის სავარჯიშო

წრთვნები წელიწადში ორჯერ მაინც. რესპოდენტთა 60%-ის აზრით, არ არსებობს კატასტროფების მართვის მენეჯერის დანიშვნის პროცედურა. რესპოდენტთა 56%-მა აღნიშნა, რომ პერსონალს აქვს ინფორმაცია როგორ უნდა მოიქცეს როცა კატასტროფის მართვის სისტემა ამუშავდება. საგანგებო სიტუაციების დროს, შემთხვევების მართვის სისტემის მენეჯერის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის არის პასუხისმგებელი პირი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა ასპექტზე, მასზეა დამოკიდებული შემთხვევების მართვა, რესურსების გამოყენება და პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ ჯგუფზე, რომელიც ექვემდებარება, რადგან მას აქვს სათანადო გამოცდილება და აქვს უფლებამოსილება გასცეს მითითებები ან ბრძანებები.

ცხრილი 3. საავადმყოფოს მზადყოფნა და ტრენინგები

	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
ახორციელებს თუ არა დაწესებულება წელიწადში ორჯერ სავარჯიშო საგანგებო სიტუაციებს?	79.2%	20.8%	23.90	5	0.00
მონაწილეობს თუ არა დაწესებულება სულ მცირე ერთ წვრთნაში წელიწადში კატასტროფებზე რეაგირებასთან დაკავშირებით?	74.0%	26.0%	34.93	5	0.00
მონაწილეობს თუ არა ყველა გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის პერსონალი წელიწადში ორჯერ მაინც კატასტროფების რეაგირების წვრთნებში?	86.0%	14.0%	10.34	5	0.07
განხორციელდა თუ არა დაწესებულებაში პერსონალის და პაციენტების ევაკუაცია ბოლო 12 თვის განმავლობაში.	88.0%	12.0%	7.62	5	0.18
ჰქონია თუ არა დაწესებულებას სიმულაციური ან ფაქტობრივი გადაუდებელი მოვლენების მოქმედების შემდგომი მიმოხილვის ჩატარების პროცედურა.	72.0%	28.0%	16.73	5	0.01
იყენებს თუ არა დაწესებულება ქმედების შემდგომ ანგარიშებს გადაუდებელი სიტუაციების მოქმედების გეგმის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად?	32.0%	68.0%	17.68	5	0.00
შემთხვევების მართვის სისტემა					
არსებობს თუ არა შემთხვევების მართვის სისტემა საავადმყოფოში?	18.0%	82.0%	8.38	5	0.14
ტარდება თუ არა წელიწადში	80.0%	20.0%	22.50	5	0.00

ორჯერ მაინც კატასტროფების მართვის სავარჯიშო წრთვნები?					
არსებობს თუ არა კატასტროფების მართვის მენეჯერის დანიშვნის პროცედურა	60.0%	40.0%	9.46	5	0.09
იცნობს თუ არა პერსონალი კატასტროფების მართვის მენეჯერს	26.0%	74.0%	2.02	5	0.85
არის თუ არა კატასტროფის მართვის მენეჯერის პოზიციაზე მყოფი პერსონა მასზე მიმაგრებულ ჯგუფის ქმედებებზე პასუხისმგებელი?	6.0%	94.0%	3.33	5	0.65
აქვს თუ არა პერსონალს ინფორმაცია როგორ უნდა მოიქცეს როცა კატასტროფის მართვის სისტემა ამუშავდება?	44.0%	56.0%	5.85	5	0.32

კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტი: რესპოდენტთა მხოლოდ ნახევარმა (52%) აღნიშნა, რომ საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების დროს არსებობს მზადყოფნის კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ხელმძღვანელობას. აღსანიშნავია, რესპოდენტთა დიდი ნაწილის (79.6%) აზრით, გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების კომიტეტში რეგულარული ღია შეხვედრები ხშირად არ იმართება. რესპოდენტთა 64%-ის აზრით, საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების კომიტეტი არ არის მულტიდისციპლინური. კრიზისულ მოვლენებზე სათანადო რეაგირებისთვის საჭიროა შესაბამისი მზადყოფნა, გამოცდილება, განათლება და რესურსები. ამისათვის, კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტი უნდა იყოს მულტიდისციპლინარული და მოიცავდეს სხვადასხვა მიმართულებების კვალიფიციურ, გამოცდილ პერსონალს. კრიზისული მოვლენების დროს კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტის წევრები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა უხელმძღვანელონ საავადმყოფოს პერსონალს, მიიღონ გადაწყვეტილებები და სათანადოდ მართონ სიტუაცია არსებული რესურსების ფარგლებში.

ტრიაჟი. კვლევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ტრიაჟის კომპონენტმა აჩვენა. რესპოდენტთა 98%-ის აზრით, საავადმყოფო იყენებს ტრიაჟის სისტემას და პაციენტები კლასიფიცირდება ფერადი ეტიკეტებით (წითელი, შავი, მწვანე, ყვითელი) ავადმყოფობის სიმძიმისა და სამედიცინო ჩარევების გადაუდებელი აუცილებლობის მიხედვით. ასევე, ყველა კლინიკას აქვს ალტერნატიული დამუშავების ზონა მსხვერპლთა დიდი ნაკადისათვის.

მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში, სამედიცინო ორგანიზაციები შეიძლება გადაიტვირთოს, ამიტომ აუცილებელია პაციენტების დახარისხება სამედიცინო საჭიროების მიხედვით. ტრიაჟის მიზანია პაციენტი მოხვდეს სწორ ადგილას სწორ დროს და მიიღოს ოპტიმალური მომსახურება. ტრიაჟი გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, როდესაც საავადმყოფოს დატვირთვა აღემატება ხელმისაწვდომ კვალიფიციურ დახმარებას. საავადმყოფოებში ტრიაჟს ახორციელებს კვალიფიცირებული

ექთანი, რომელიც მოკლე დროში ახდენს პაციენტების მდგომარეობის შეფასებას და მათ დახარისხებას ავადმყოფობის სიმძიმის მიხედვით. თითოეულ პაციენტს მიენიჭება პრიორიტეტი ჰოსპიტალიზაციისთვის და ხდება შესაბამის სამკურნალო ადგილას გადაყვანა. ტრიაჟის სისტემაში პაციენტების დახარისხება ხორციელდება ძირითადად სამ ფერში: წითელი ფერის ნიშანი სერიოზული შემთხვევებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დაუყოვნებელი ჩარევა, ყვითელი ფერის ნიშანი პაციენ-ტებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ ჩარევა, მაგრამ შესაძლებელია ლოდინი ერთიდან ორ საათამდე, და მწვანე ფერის ნიშანი მსუბუქი მდგომარეობებისთვის, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეთ მკურნალობა, მაგრამ არ ესჭიროებათ ჰოსპი-ტალიზაცია.

პაციენტზე თვალყურის დევნება. ფერადი ნიშნების არსებობა პაციენტის თვალყურის დევნებისთვის პრობლემაა განსაკუთრებით გადაუდებელი შემთხვე-ვების დროს. რესპოდენტთა დიდი ნაწილი (82%) ეთანხმება, რომ დაწესებულებას აქვს პაციენტზე თვალყურის დევნის გაწერილი მეთოდი (მონიშნული ბილიკები). თუმცა, რესპოდენტთა 70%-ის აზრით, მათი დაწესებულებიდან სხვა დაწესებუ-ლებაში გადაყვანილ პაციენტებზე თვალყურის დევნების შესაძლებლობა არ აქვთ. ასევე, რესპოდენტთა 72%-ის აზრით, დაწესებულებას არ შეუძლია აკონტროლოს გეგმიური პაციენტები, რომლებიც გაეწერებიან კატასტროფული სიტუაციების დროს.

ყველა საავადმყოფოში არის წერილობითი ნიშნები და ეტიკეტები, რომლებიც აღნიშნავენ საავადმყოფოს განყოფილებებს, მაგრამ არ არის ფერადი ხაზები, რომ-ლებიც აზუსტებენ ბილიკებს, რათა დაეხმაროს პაციენტებს გადავიდნენ გარკვეულ განყოფილებებზე. ასეთ შემთხვევებში, პაციენტები სთხოვენ საავადმყოფოს პერსო-ნალს მათთვის სასურველი განყოფილების მდებარეობის შესახებ. ფერადი ხაზები იატაკზე ან კედლებზე პაციენტებს ან მათ თანმხლებ პირებს გაუადვილებს საავად-მყოფოში გადაადგილებას.

სტრესის მართვა კატასტროფების დროს. კრიზისულ მოვლენებზე რეაგირების პროცესში მნიშვნელოვანია სტრესის მართვა. რესპოდენტების 74%-მა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს კრიტიკული ინციდენტის სტრესის მართვის გუნდი. რეს-პოდენტთა 44.0%-მა აღნიშნა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები როგორც კატასტროფის დროს ასევე მის შემდგომაც არ არის ხელმისაწვდომი. რესპოდენტთა 72.0%-ის აზრით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ჯგუფის წევრები არ გადიან ტრე-ნინგებს კრიზისული სიტუაციების დროს პაციენტთა მოვლასა და გადაუდებელ დახმარებაში. რესპოდენტთა 80%-ის აზრით, არ არსებობს გეგმა კატასტროფებზე რეაგირების მუშაკების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შესაფასებ-ლად.

ცხრილი 4. კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტი, ტრიაჟი, **პაციენტზე ზრუნვა, სტრესის მართვა კატასტროფების დროს**

	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
არსებობს თუ არა საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების დროს მზადყოფნის კომიტეტი და უზრუნველყოფს თუ არა პერ-სონალის ხელმძღვანელობას?	48.0%	52.0%	16.63	5	0.01
საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატას-	64.0%	36.0%	10.12	5	0.07

ტროფების კომიტეტი მულტიდისციპლინურია?					
იმართება თუ არა ხშირად გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების კომიტეტში რეგულარული ღია შეხვედრები?	79.6%	20.4%	11.34	5	0.05
ტრიაჟი					
იყენებს თუ არა საავადმყოფო ტრიაჟის სისტემას?	2.0%	98.0%	4.08	5	0.538
მოიცავს თუ არა პროტოკოლი ტრიაჟის საერთაშორისო ნიშნებს?(წითელი, შავი, მწვანე, ყვითელი	2.0%	98.0%	4.08	5	0.538
იცის თუ არა პერსონალმა თითოეული ნიშნის მნიშვნელობა	4.0%	96.0%	3.78	5	0.582
აქვს თუ არა დაწესებულებას ალტერნატიული დამუშავების ზონა მსხვერპლთა დიდი ნაკადისათვის?	70.0%	30.0%	11.29	5	0.046
პაციენტზე თვალყურის დევნა					
აქვს თუ არა დაწესებულებას პაციენტებზე ზრუნვის გაწერილი მეთოდი?	18%	82%	14.75	5	0.012
დაწესებულებას შეუძლია თვალყური ადევნოს პაციენტებს, რომლებიც გადაყვანილნი არიან სხვა ადგილობრივ დაწესებულებაში?	70%	30%	9.57	5	0.088
დაწესებულებას შეუძლია აკონტროლოს გეგმიური პაციენტები, რომლებიც გაეწერებიან კატასტროფული სიტუაციების დროს?	72%	28%	18.11	5	0.003
სტრესის მართვა კატასტროფების დროს					
ჰყავს თუ არა დაწესებულებას კრიტიკული ინციდენტის სტრესის მართვის გუნდი ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ექვივალენტური სერვისები?	74%	26%	15.66	5	0.008
არის თუ არა ხელმისაწვდომი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები როგორც კატასტროფის დროს ასევე მის შემდგომაც? .	44%	56%	10.20	5	0.070
გადიან თუ არა ფსიქიკური ჯანმრთელობის ჯგუფის წევრები ტრენინგებს კრიზისული სიტუაციების დროს პაციენტთა მოვლასა და გადაუდებელ დახმარებაში?	72%	28%	28.30	5	0.000
არის თუ არა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის დაგეგმვის კომიტეტში?	74%	26%	24.66	5	0.000
არსებობს თუ არა გეგმა კატასტროფებზე რეაგირების მუშაკების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შესაფასებლად?	80%	20%	16.25	5	0.006

ფარმაცევტული და ლაბორატორიული სერვისების ხელმისაწვდომობა. ფარმაცევტული და ლაბორატორიული მომსახურეობა ნებისმიერ საგანგებო მოვლენებზე რეაგირებისათვის აუცილებელი კომპონენტია. რესპოდენტთა 73.5%-ის აზრით, აფთიაქი არ ინახავს ანტიდოტების მარაგს. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, აფთიაქი აკონტროლებს მედიკამენტების ყოველდღიურ გამოყენებას. რესპოდენტთა 98%-ის აზრით, აფთიაქს აქვს მედიკამენტების 1 თვიანი მარაგი. რესპოდენტთა 82%-ის აზრით საგანგებო სიტუაციების დროს არსებობს გეგმა რათა აფთიაქმა უზრუნველყოს წამლების სწრაფი მიღება მომწოდებლისგან.

რესპოდენტთა 80-%მა აღნიშნა, რომ ლაბორატორიის პერსონალი დატრენინგებულია გაზრდილი მომართვიანობის მომსახურების უზრუნველსაყოფად საგანგებო სიტუაციების დროს. რესპოდენტთა 96%-ის აზრით, გეგმაში გაწერილია საჭიროების შემთხვევაში რეაგენტების მიწოდება კრიტიკული შემთხვევებისას. რესპოდენტთა 82%-ის აზრით, არსებობს გეგმა საგანგებო სიტუაციების დროს, რათა აფთიაქმა უზრუნველყოს წამლების სწრაფი მიღება მომწოდებლისგან. რესპოდენტთა 60%-მა აღნიშნა, რომ სისხლის მიწოდების სისტემა ბოლო 12 თვის მანძილზე არ გაუმჯობესდა.

ცხრილი 5. სააფთიაქო მომსახურება, ლაბორატორიული მომსახურება

	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
სააფთიაქო მომსახურება					
ინახავს თუ არა აფთიაქი ანტიდოტების მარაგს?	73.5%	26.5%	27.95	5	0.000
აკონტროლებს თუ არა აფთიაქი მედიკამენტების ყოველდღიურ გამოყენებას?	0%	100%			0.000
აქვს თუ არა აფთიაქს მედიკამენტების 1 თვიანი მარაგი?	2%	98%	4.08	5	0.538
არსებობს თუ არა გეგმა საგანგებო სიტუაციების დროს, რათა აფთიაქმა უზრუნველყოს წამლების სწრაფი მიღება მომწოდებლისგან ?	18%	82%	4.29	5	0.508
ლაბორატორიული მომსახურება					
არის თუ არა ლაბორატორიის პერსონალი დატრენინგებული გაზრდილი მომართვიანობის მომსახურების უზრუნველსაყოფად საგანგებო სიტუაციების დროს?	20.0%	80.0%	7.54	5	0.183
არის თუ არა გეგმაში გაწერილი საჭიროების შემთხვევაში რეაგენტების მიწოდება კრიტიკული შემთხვევებისას?	4.0%	96.0%	3.78	5	0.582
არის თუ არა შეთანხმება სამუშაო დატვირთვის გადანაწილებაზე, თუ ლაბორატორია ვერ უმკლავდება დატვირთვას?	48.0%	52.0%	3.85	5	0.571
არის თუ არა სისხლის ბანკი მზად გაზრდილი საჭიროებისათვის~?	30.6%	69.4%	25.29	5	0.000
არის თუ არა კავშირები რეგიონულ სისხლის ბანკთან იმ შემთხვევაში თუ ამის საჭი-	2.0%	98.0%	6.27	5	0.281

როება დადგება					
გაუმჯობესდა თუ არა სისხ-ლის მიწოდების სისტემა ბო-ლო 12 თვის მანძილზე?	60%	40%	14.43	5	0.013

ფატალური შემთხვევების მართვა. რესპოდენტთა 76%-ის აზრით, არსებობს მსხვერპლთა მართვის გეგმა. რესპოდენტთა 66%-ის აზრით, დაწესებულებაში არ არსებობს მაცივრები მსხვერპლთა განსათავსებლად. რესპოდენტთა 60%-ის აზრით, მორგის თანამშრომლები არ არიან დატრენინგებული. რესპოდენტთა 76.4%-ის აზრით, დაწესებულებას არ შეუძლია გამოყოს დამატებითი სათავსოები მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში.

კომუნიკაცია, გაფრთხილება შეტყობინების სისტემა. კომუნიკაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანგებო სიტუაციების დროს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საავადმყოფოების უმრავლესობას (96%) აქვს საკომუნიკაციო სისტემა, შეუძლიათ მიიღონ და გააგზავნონ საგანგებო, გადაუდებელი გაფრთხილებისა და შეტყობინების ინფორმაცია. რესპოდენტთა77.4 -მა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია მიიღოს გაფრთხილება გარე სააგენტოებისგან გარდაუვალი საგანგებო მდგომარეობის შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობამ (63.3.0%) აღნიშნა, რომ საავადმყოფოს გააჩნია სათანადო სისტემა (განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია) აცნობოს როგორც მორიგე, ასევე არამორიგე პერსონალს გადაუდებელი მდგომარეობის შესახებ და საგანგებო სიტუაციების დროს გამოიძახოს სამსახურში. ჩვენი შედეგები ეთანხმება სხვა კვლევებს (deBoisblanc, 2005), რომელთა მტკიცებით, გარე და შიდა საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების დროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის კოორდინაცია სხვადასხვა ჯანდაცვის დაწესებულებებთან, სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ჯანდაცვის დაწესებულებების შიდა ან გარე საკომუნიკაციო სისტემების დაზიანებამ ან გადატვირთულობამ შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციის გაუმართაობა. კომუნიკაციის დაკარგვა აშორებს საავადმყოფოს გარე სამყაროსგან, მათ შორის კატასტროფებზე რეაგირების სხვადასხვა სამსახურებისგან და კიდევ უფრო ართულებს საავადმყოფოს შესაძლებლობას მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა. შიდა დონეზე კომუნიკაციის დაკარგვა უარყოფითად აისახება კატასტროფებზე რეაგირების კოორდინაციაზე, რადგან ცალკეული სამსახურები და ოპერატიული შტაბის წევრები ვერ ახერხებენ ინფორმაციის გაცვლას. კვლევები ადასტრებენ, რომ კატასტროფების დროს კომუნიკაციის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ჯანდაცვის დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ეფექტური ინტერდისციპლინური გეგმა (Rabkin, 2005).

საგანგებო სიტუაციების დროს ინფორმაციის მართვის ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტებისთვის და საავადმყოფოს მუშაობის კოორდინაციისთვის, მონაცემთა შენახვის, მართვისა და ანგარიშგებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი (IT) მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინფორმაციო სისტემის კარგად ფუნქციონირებისა და პაციენტების ზუსტი ჩანაწერების შენახვაში. კვლევის შედეგები ეთანხმება სხვა კვლევებს (Chimenya, 2011), რომლებიც ხაზ უსვამენ პაციენტებზე ზუსტი და სათანადო ჩანაწერების შენარჩუნების მნიშვნელობას საგანგებო სიტუაციებამდე, მისი დადგომისას და მის შემდეგ, რად-

გან შეიძლება იყოს პაციენტები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად იღებენ მედიკამენტებს და რომლებსაც ჯერ კიდევ სჭირდებათ მათი მიღება კატასტროფების დროს. ჩანაწერების შენახვა ასევე იძლევა კატასტროფების დროს გაწეული დახმარების ანაზღაურების საშუალებას.

ცხრილი 6. ფატალური შემთხვევების მართვა. კომუნიკაცია, გაფრთხილება შეტყობინება

	არა	დიახ	Chi-square	df	Sig.
არსებობს თუ არა მსხვერპლთა მართვის გეგმა?	24%	76%	15.99	5	0.007
არის თუ არა დაწესებულებაში მაცივრები მსხვერპლთა განსათავსებლად?	66%	34%	35.28	5	0.000
არის თუ არა მორგის თანამშრომლები დატ-რენინგებული?	60%	40%	18.21	5	0.003
შეუძლია თუ არა დაწესებულებას გამოყოს დამატებითი სათავსოები მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში?	76%	24%	11.05	5	0.050
კომუნიკაცია, გაფრთხილება შეტყობინება					
შეუძლია თუ არა დაწესებულებას გაგზავნოს და მიიღოს საგანგებო გაფრთხილებისა და შეტ-ყობინების ინფორმაცია	4.0%	96.0%	4.89	5	0.429
შუძლია თუ არა დაწესებულებას მიიღოს გაფრთხილება გარე სააგენტოებისგან გარდა-უვალი საგანგებო მდგომარეობის შესახებ?	4.0%	96.0%	3.78	5	0.582
შეუძლია დაწესებულებას გაფრთხილების გაგზავნა გარე სააგენტოებისთვის	6.0%	94.0%	7.45	5	0.189
შეუძლია დაწესებულებას საგანგებო სიტუაციის დროს გამოიძაახოს პერსონალი არასამორიგეო დროს?	18.0%	82.0%	5.74	5	0.332
ააქვს დაწესებულებას გეგმა რომელსაც გააცნობს მორიგე და არამორიგე პერსონალს საგანგებო სიტუაციების დროს?	36.7%	63.3%	11.98	5	0.035
არსებობს თუ არა ისეთი სისტემა რომლითაც თანამშრომელი შეტყობინებას ღებულობს მობი-ლურზე, საგანგებო სიტუაციის დროს?	68.0%	32.0%	14.02	5	0.015

ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის დასადგენად გამოვთვალეთ მზადყოფნის საშუალო ქულა კომპონენტების მიხედვით საავადმყოფოებში. ყველაზე მაღალი დადებითი პასუხების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 80,50%, დაფიქსირდა ტრიაჟის სისტემაში, რასაც მოჰყვება კომუნიკაცია, გაფრთხილება, შეტობინების კომპონენტი 77.26%-ით, სააფთიაქო მომსახურეობა 76,77% და ლაბორატორიული მომსახურეობა 72,58%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები მიღებულია შემდეგ კომპო-ნენტებში: ობიექტის მზადყოფნა და ტრენინგი - 28,18 %, სტრესის მართვა კრიტი-კული ინციდენტების დროს - 36,24% და ფატალური შემთხვევების მართვა - 43,50%.

დადებითი პასუხების საშუალო მაჩვენებელი არის 56,57%, რაც მიუთითებს ზომიერ მზადყოფნაზე კრიზისებსა და კატასტროფულ მოვლენებზე მულტიპროფილურ საავადმყოფოებში.

ცხრილი 7. ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნა

Domain	საშუალო ქულა	რანჟირება
გადაუდებელი სიტუაციების მართვის დაგეგმვა.	63.37%	5
ობიექტის მზადყოფნა და ტრენინგი	28.19%	11
შემთხვევების მართვის სისტემა	61.00%	6
საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების / კატასტროფების მზადყოფნის კომიტეტი	36.24%	10
ტრიაჟი	80.50%	1
პაციენტზე ზრუნვა	46.67%	7
სტრესის მართვა კრიტიკული ინციდენტების დროს	36.24%	9
სააფთიაქო მომსახურება	76.77%	3
ლაბორატორიული მომსახურება:	72.58%	4
ფატალური შემთხვევების მართვა	43.50%	8
კომუნიკაცია, გაფრთხილება, შეტყობინება	77.26%	2
გასაშუალოებული მნიშმნელობა	56.57%	

დასკვნა

კრიზისებისა და კატასტროფებისათვის ეფექტური მზადყოფნა უწყვეტი პროცესია, რომელზეც ზედამხედველობასა და მონიტორინგს მუდმივად უნდა ახორციელებდეს ჯანდაცვის სისტემა. კვლევის შედეგებმა აჩვენა კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე. საავადმყოფოების ძლიერი მხარე გამოვლინდა ტრიაჟის სისტემაში, ასევე კომუნიკაციის, გაფრთხილებისა და შეტყობინების კომპონენტში, ხოლო სუსტი მხარეები გამოვლინდა სამედიცინო ორგანიზაციების მზადყოფნასა და ტრენინგის კომპონენტში, ასევე სტრესის მართვის კომპონენტში კრიტიკული სიტუაციების დროს.

კატასტროფებმა შესაძლოა გამოიწვიოს მოკლევადიანი შეფერხებები ოჯახში ან ან შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მკვეთრად შეცვალოს ოჯახის წევრების ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არის დანაკარგი. კატასტროფული მოვლენები იწვევს ფსიქოლოგიურ და სოციალურ შედეგებს, რაც აზიანებს დაზარალებული მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას. ამრიგად, დაზარალებულთა ტრავმვების ნეგატიური შედეგების შესამცირებლად მნიშვნელოვანია საავადმყოფოებში ფსიქოლოგების და ფსიქიატრების ჩართვა.

კვლევამ აჩვენა სამედიცინო ორგანიზაციების ძალიან სუსტი მზადყოფნა და კატასტროფებისადმი პერსონალის მომზადების თვალსაზრისით ძალიან დაბალი მაჩვენებელი. ამ მხრივ, პერსონალის ტრენინგები და სამედიცინო ორგანიზაციის მზადყოფნა ყოველთვის უზრუნველყოფს უკეთეს შედეგს დაზარალებულთათვის.

კვლევის შედეგებით დადგინდა საავადმყოფოებში კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე. მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები ხელს

შეუწყობს შემდგომში სამედიცინო ორგანიზაციების პერსონალის განათლების დონის ამაღლებას კრიზისული სიტუაციებისა და კატასტროფული მოვლენების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები

- აუცილებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის საკითხების ჩართვა საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების გეგმაში. აუცილებელია ფსიქოლოგების და ფსიქიატრების ჩართულობა ჰოსპიტალური სერვისების გაწევისას და არა მხოლოდ კატასტროფული მოვლენების დროს.
- სავალდებულოა გადაუდებელი სიტუაციების წვრთნებისა და ტრენინგების ჩატარება ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულებებით, რაც მიზნად ისახავს პერსონალის ცოდნის ამაღლებას და მათი უნარების გაუმჯობესებას გადაუდებელი შემთხვევების უფრო ეფექტურად მართვაში.
- აუცილებელია საავადმყოფოების შესაძლებლობების გაზრდა დაზარალებული მოსახლეობის ეფექტური მართვის მიზნით, რათა უკეთ მოხდეს დიდი რაოდენობის კატასტროფული შემთხვევების მართვა.
- სავალდებულოა პირველადი ჯანდაცვის პერსონალის მომზადება და მათი ინტეგრირება საგანგებო სიტუაციების დაგეგმვაში, რათა მათ შეძლონ შედარებით მსუბუქი შემთხვევების მართვს საავადმყოფოების გადატვირთვის შესამცირებლად.
- აუცილებელია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის გაზიარება ყველა თანამშრომლისთვის და ამ მხრივ მათი ცნობიერების დონის ამაღლება.
- აუცილებელია საავადმყოფოებში კატატროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტის არსებობა.
- აუცილებელია საავადმყოფოებში საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც უხელმძღვანელებს კვალიფიციური პერსონალი.

გამოყენებული ლიტერატურა

- American College of Emergency Physicians, (2017). Hospital Disaster Preparedness Self-Assessment Tool. https://www.calhospitalprepare.org/post/hospital-disaster-preparedness-self-assessment-tool
- Heidaranlu, E., Amiri, M., Salaree, M.M. et al. Audit of the functional preparedness of the selected military hospital in response to incidents and disasters: participatory action research. BMC Emerg Med 22, 168 (2022).
- Toner E. Healthcare Preparedness: Saving Lives. Health Secur. 2017 Jan/Feb;15(1):8-11.
- World Health Organization. Regional Office for Europe. (2011). Hospital emergency response checklist: an all-hazards tool for hospital administrators and emergency managers. World Health Organization. Regional Office for Europe. https://apps.who.int/iris/handle/10665/349374
- Al Khalaileh. MA., B. E. (2012, JANUARY). Jordanian nurses' perceptions of their preparedness for disaster management. INTERNATIONAL EMERGENCY NURSING, 20(1), 14-23. doi:10.1016/j.ienj.2011.01.001
- Al-Shareef. AS., A. L. (2016 წლის 14 DECEMBER). Evaluation of Hospitals' Disaster Preparedness Plans in the Holy City of Makkah (Mecca): A Cross-Sectional Observation Study. PREHOSPITAL AND DISASTER MEDICINE, 35(1), 33-45. doi: 10.1017/S1049023X16001229
- deBoisblanc, B. (. (2005 წლის 15 November). Black Hawk, please come down: Reflections on a hospital's struggle to survive in the wake of Hurricane Katrina. (172).

- INSTITUTE OF MEDICINE OF THE NATIONAL ACADEMIES. (2007). Hospital-Based Emergency Care: At the Breaking Point.Disaster Preparedness. washington, USA: NATIONAL ACADEMIES PRESS. doi:10.17226/11621
- Kaji, A. &. (2006, november 13). Hospital disaster preparedness in Los Angeles County. National library of medicine.
- Luc, M., Greet, D., & Kurt, A. (2014, FEBRUARY). Belgian senior medical students and disaster medicine, a real disaster? European Journal of Emergency Medicine, 21(1), 77-78. doi:10.1097/MEJ.0b013e3283643874
- Öztekin. S, D. E. (2016, FABRUARY 15). Japanese nurses' perception of their preparedness for disasters: Quantitative survey research on one prefecture in Japan. JAPAN JOURNAL OF NURSING SCIENCE, 13(3). doi:10.1111/jjns.12121
- Paganini. M., B. F. (2016, AUGUST 15). Assessment of disaster preparedness among emergency departments in Italian hospitals: a cautious warning for disaster risk reduction and management capacity. Scandinavian Journal of Trauma, Resuscitation and Emergency Medicine, 24(101). doi:doi.org/10.1186/s13049-016-0292-6
- Pan American Health Organization / World Health Organization. (2005).
- WORLD HEALTH ORGANIZATION. (2011).

Tengiz Verulava
Doctor of Medicine, Professor,
School of Medicine and Healthcare Management, Caucasus University;
Ketevan Omanadze
PhD student, Caucasus International University, Faculty of Business and Technology;
Tea Lazarashvili
Doctor of Economics,
Associate Professor of Caucasus International University

HOSPITAL HEALTH CARE ANTI-CRISIS MANAGEMENT ISSUES IN GEORGIA
Expanded Summary

Background: A disaster causes a large number of people to become ill or injured, which is a heavy burden on the health system causing significant social and financial harm to the state. Disasters are both natural (earthquakes, tsunamis, floods) and man-made (wars, terrorism). Disaster management requires risk assessment, structural and non-structural prevention and emergency planning, warning and evacuation preparedness (1). Hospitals play a major role in disaster management (2). Their prompt and efficient service can be crucial in in reducing the death rate caused by disasters.

In order to overcome the obstacles presented by wars and natural disasters, hospitals must improve their disaster preparedness. Hospital disaster preparedness is a continuous process that aims to ensure the resilience and functioning of the hospital during disasters and to respond effectively to quickly overcome negative consequences (3). Hospitals should have a proper disaster preparedness plan in place for this. Because of the increase in terrorism-related incidents, the concept of disaster preparedness was developed in the early 1990s (4).

The ability of a hospital to respond to disasters is determined by its size, functional capacity, availability of appropriate equipment, and availability of appropriately qualified health care personnel. According to studies conducted in various countries, hospital staff have a relatively low level of knowledge about disaster preparedness planning, which was primarily due to a lack of disaster medicine training programs (5, 6). Experts believe that developing a single concrete plan for disaster preparedness in hospitals is necessary in order to standardize protocols (7, 8). WHO has developed a special tool for assessing health system preparedness to deal with disasters in order to ensure preparedness and response to emergency situations (9).

Due to its geographical location, the South Caucasus, particularly Georgia, has always been an object of special interest of dominant international actors. In the last 30 years of independence, Georgia has endured civil war and military conflicts with Russia (the Abkhazian-Samachablo conflict in the 1990s and the August 2008 war), resulting in a large number of casualties and health damage, as well as limited opportunities for both military forces and civilians. The Caucasus region, especially Georgia, is still considered an explosive zone of war conflicts. Several studies have been carried out to evaluate various aspects of disaster preparedness. Based on the aforementioned, it is relevant to investigate the disaster preparedness of hospitals in Georgia. It should be emphasized that Georgia has not had any similar studies done.

Methods: As part of the quantitative research method, a survey of 50 top managers of six medical institutions in the regions bordering the separatist regions of Georgia was conducted.

Results: Emergency management is planned in hospitals. However, most of the respondents have not done emergency training (71.4%) and disaster management practices are not conducted (80%). Only half of the respondents (52%) indicated that there is a hospital emergency/disaster preparedness committee, which does not frequently hold regular meetings (79.6%). According to 64% of the respondents, the emergency/disaster committee of the hospital is not multidisciplinary and does not include qualified individuals from various directions. A large number of respondents agree that the hospital uses a triage system (98%) and has a documented method of patient tracking (82%). However, most of respondents said they do not have the ability to track patients transferred from their institution to another (70%) and the institution cannot control scheduled patients who are discharged during catastrophic situations (72%). The management of critical incidents was not adequately integrated into the emergency plan.

Conclusion: Effective preparedness for crises and disasters is a continuous process that must be continuously supervised and monitored by the health care system. The results of this analysis indicated a moderate level of preparedness for emergencies. Hospital strengths were identified in the triage system, as well as the communication, warning, and notification component, while hospital weaknesses were identified in the medical organization's preparedness and training component, as well as the stress management component during critical situations.

Disasters can cause short-term disruptions in the family or they can be long-term and dramatically change the lives of family members, especially when there is loss. The psychological and social effects of catastrophic occurrences harm the affected population's mental health and psychosocial well-being. To lessen the negative effects of trauma in victims, it is crucial to include psychologists and psychiatrists in hospitals.

The study found that medical organizations were extremely underprepared for disasters, with a very low rate of personnel training. In this regard, the medical organization's staff training and preparedness always ensure a better outcome for the victims.

The study's findings revealed that hospitals have a moderate level of disaster preparedness. The received conclusions and recommendations will help to raise the level of education of medical organization staff in order to ensure effective management of crisis situations and catastrophic events.

The results revealed a moderate level of crisis and disaster preparedness in hospitals. In order to improve the level of preparedness for crisis and disaster events, certain changes are advised to be made in hospitals. These results demonstrate a lack of interest in emergency management planning training. Special training is required to raise the awareness of hospital staff on the management of emergency situations.

Key words

Anti-crisis management, Emergency disaster preparedness, Crisis situations, Healthcare System, Hospitals, Georgia

ეკონომეტრიკა- ECONOMETRICS

ლია თოთლაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
მთავარი მეცნიერთანამშრომელი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენის მოდელირება

DOI:10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.LIA.TOTLADZE

ანოტაცია. *თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პოსტპანდემიურ გამოწვევებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები. ამ რეალობაში, ცხადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია.*

ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. გაანალიზებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი ყურადღება გამახვილებულია ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებზე და აგებულია ზიფის მრუდი საქართველოს ქალაქებისათვის. საქართველოში რეგიონულ ჭრილში ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენის შესწავლისათვის აგებული და შეფასებულია შემოსავლების განაწილებაზე ურბანიზაციის გავლენის ეკონომეტრიკული მოდელი. მოდელში ურბანიზაციის გარდა ჩართულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ადამიანისეული კაპიტალი. მოდელირების შედეგების მიხედვით ურბანიზაცია ხელს უწყობს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *ურბანიზაცია; ეკონომეტრიკული მოდელირება; ზიფის კანონი; შემოსავლების განაწილება.*

შესავალი

მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებული აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების ნათლად და ცხადად განსაზღვრულ მიზნებში (SGI).

თანამედროვე ეპოქაში ურბანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს სოციალურ ტრანსფორმაციას და უშუალო კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პროცესებთან (Liddle, B. 2017). უნდა აღინიშნოს, რომ ეს კავშირი და შესაბამისად დამოკიდებულება არ არის ცალმხრივი. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები შესაძლოა სხვადასხვა მიმართულების აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარება განაპირობებს ურბანულ პროცესებს, მეორე მხრივ კი ურბანიზაცია გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე, სამართლიანობაზე, ეკოლოგიაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან მახასიათებლებზე.

ურბანიზაცია გულისხმობს ადამიანთა პოპულაციების ისეთ კონცენტრაციას ცალკეულ ადგილებში, როდესაც ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი იზრდება ქვეყნის მთელს მოსახლეობაში. ეს კონცენტრაცია იწვევს მიწის ტრანსფორმაციას საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო და სატრანსპორტო მიზნებისთვის. ურბანიზაციის შედეგად მიღებული დადებითი ეფექტების გარდა, სწრაფმა ურბანიზაციამ და ინდუსტრიალიზაციამ, გამოკვეთა ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა უთანასწორობა და დისბალანსი რაც სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამან საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარებას განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სწორედ ამიტომ ეს საკითხი დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ურბანიზაცია მრავალმხრივი მოვლენაა და შეუძლებელია მისი გაზომვა ერთი კონკრეტული მაჩვენებლის მიხედვით. განვითარებადი ქვეყნების საქალაქო არეალში მოსახლეობის დიდი რაოდენობა და მათი ზრდა არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცალსახად დადებითი მოვლენა. მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა ზრდის სიკვდილიანობისა და დაავადებების განვითარების რისკებს. ეკოლოგიური მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად. ეკოლოგიურ სურათს ამძიმებს არა მხოლოდ ჰაერის ხარისხის გაუარესება გამონაბოლქვისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, არამედ სწრაფი განაშენიანება გავლენას ახდენს და იმატებს წყალდიდობების, შტორმების, მეწყერების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების ალბათობა. ქალაქებში დაბალი შობადობის მაჩვენებელი, რაც ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე აისახება, გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობა, სოციალური უთანაბრობის ზრდა და ა.შ. ურბანიზაციის პროცესის თანამდევი ნეგატიური ეფექტებია.

თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ურბანიზაცია შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული (სოციალური ინდიკატორები მოიცავს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, განათლების დონეს, ინფრასტრუქტურას, სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობასა და სხვა). ურბანული ქვეყნები, შემოსავლების უფრო მაღალი დონით, ძლიერი ინსტუტიტებითა და სტაბილური ეკონომიკით გამოირჩევა, და ამავდროულად სტაბილურობა განაპირობებს იმას, რომ მათ შეუძლიათ გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკურ რყევებსაც. საკმაოდაა კვლევები, რომლებშიც ემპირიულად დასტურდება დამოკიდებულება ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდასა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ შემოსავლის ზრდას შორის. იკვეთება დადებითი კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის.

ამ კონტექსტში საინტერესოა ჩინეთის მაგალითი, სადაც განვითარების მაღალი ტემპისა და ახალი ტიპის ურბანიზაციის შედეგად გაიზარდა უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის. ბოლოდროინდელი ფაქტები აჩვენებს, რომ ეს სწრაფი ზრდა არ არის მდგრადი. მაგალითად, ჩინეთის საოცარ ეკონომიკურ ზრდას თან ახლდა სოფლისა და ქალაქების მაცხოვრებლებს შორის შემოსავლის უთანასწორობის პრობლემები და ეკო გარემოს დეგრადაცია (Li He, Xiaoling Zhang 2022). როგორ შეიძლება მიღწეული იქნება გონივრული და ოპტიმალური დამოკიდებულება ურბანიზაციასა და ქალაქ-სოფელს შორის თანასწორობას შორის. ეს არის კრიტიკული საკითხი განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების და მათ შორის საქართველოსთვისაც.

ზემოთაღნიშნულს უკავშირდება ურბანული განვითარების და ურბანული მდგრადობის შესახებ ლიტერატურის შესამჩნევი ზრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაეროს მიერ მდგრადი განვითარების მიზნებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ურბანიზაციის თემამ. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ შემოსავლების მზარდმა უთანასწორობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და გამოიწვიოს სოციალური არასტაბილურობა (Alesina & Perotti, 1996; Lu & Chen, 2006; Cheong & Wu, 2014; და სხვები, 2019).

კუზნეცის ჰიპოთეზა თავდაპირველად ემპირიული დაკვირვებებიდან და გამოკვლევებიდან გამომდინარეობდა და შემდგომში, კუზნეცის მრუდით გამოვლენილი დამოკიდებულება - ურბანიზაცია-უთანასწორობის არაწრფივი კავშირი კი არაერთი ემპირიული კვლევით დადასტურდა. ურბანიზაციას ცხადია შეუძლია გამოიწვიოს უთანასწორობა, ვინაიდან შემოსავლები ურბანულ დასახლებებში უფრო მაღალია, ვიდრე არაურბანულში. არაერთი ემპირიული კვლევა ადასტურებს ურბანიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებასაც. რა თქმა უნდა კავშირი არაწრფივია. ურბანიზაცია აქვს პოტენციალი მოახდინოს ეკონომიკური ზრდის აქსელერაცია და ეს პოტენციალი ცხადია თავის მხრივ დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოსა და შესაბამის ინფრასტრუქტურაზე.

ურბანიზაცია ეხება ქალაქების ფიზიკურ, ადამიანურ და ეკონომიკურ განვითარებას. იგი მოიცავს ხალხისა და სოციალური აქტივობების კონცენტრაციას, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით. ურბანიზაციის ხარისხი განპირობებულია როგორც მოსახლეობის ბუნებრივი ზრდით და მიგრაციით, ასევე ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებებით, რაც ადამიანებს უბიძგებს მიგრაციისკენ ურბანულ რაიონებში, რომლებსაც აქვთ დასაქმების შესაძლებლობები. ურბანიზაციის დონის შეფასებისათვის ფართოდ გავრცელებული მიდგომის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ფორმულა (Bloom et al. 2010):

$$Urban_t = \frac{PU_t}{PU_t + PR_t}$$

სადაც $Urban_t$ - აღნიშნულია ურბანიზაციის დონე, PU_t და PR_t გამოხატავს შესაბამისად ურბანულ და არაურბანულ მოსახლეობის რიცხოვნობას.

დღეისათვის გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ქალაქთა ზრდის რეგულირება წარმოადგენს. ურბანიზაციის არეალებში მოსახლეობის რიცხოვნობის უპრეცედენტო ზრდის მართვა განვითარებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური გახდა. რატომ არის საჭირო ამ პროცესის გონივრულ ჩარჩოებში მოქცევა?

რთულია განისაზღვროს რამდენი უნდა იყოს ქალაქის მოსახლეობა, ანუ როგორი უნდა იყოს მოსახლეობის კონცენტრაციის დასაშვები ზღვარი. რა თქმა უნდა ასევე რთულია განისაზღვროს ოპტიმალური პროპორცია ქალაქსა და სოფელს შორის, ურბანიზაციის ხარისხი, ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის და აგლომერაციების ხარისხი.

უაღრესად საინტერესოა ზიფის (George Kingsley Zipf) კანონი ქალაქების ზომის შესახებ. ზიფი ინგლისელი ლინგვისტი, რომელმაც ემპირიული დაკვირვების საფუძველზე გამოავლინა კანონზომიერი დამოკიდებულება ლინგვისტიკაში. შემდგომში, საკმაოდ წარმატებითაც ზიფის კანონი გამოყენებულ იქნა ეკონომიკაშიც. კანონი არაერთ ემპირიულ კვლევაში დადასტურდა კიდეც. Zipf-ის კანონი ქალა-

ქებისთვის არის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ემპირიული გამოხატულებაა ეკონომიკაში, და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში.

დღეისათვის ითვლება რომ Zipf-ის კანონი უნივერსალურია ქალაქებისთვის. მკვლევარები ფართოდ იყენებენ ამ კანონს, როგორც სახელმძღვანელოს ურბანული სისტემების გასაგებად. თავდაპირველად მეცნიერის ფ. აუერბახის (F. Auerbach) მიერ ემპირიული კვლევების შედეგად გამოვლინდა რომ ქალაქების ზომის განაწილება შეესაბამებოდა პარეტოს განაწილებას.

ვ. პარეტო შემოსავლების დიფერენციაციის საკითხის კვლევისას მივიდა დასკვნამდე რომ: მოსახლეობის 20% ფლობს სიმდიდრის 80%-ს, ხოლო მოსახლეობის 80% კი მხოლოდ სიმდიდრის 20%-ს. განაწილებას ანალიტიკურად შემდეგი სახე აქვს:

$$y(x) = A\,x^{-\alpha} \qquad (1)$$

მისი ექვივალენტური ფორმა:

$$\log(y) = \log(A) - \alpha \log(x) \qquad (2)$$

სადაც x არის მოსახლეობის ზომა, y არის x-ზე დიდი ქალაქების რაოდენობა, A და α კი მუდმივები.

ფ. აუერბახმა წამოაყენა ჰიპოთეზა „ქალაქის ზომის ქვეყნის ან რეგიონის დონეზე მის რანგთან ემპირიული დამოკიდებულების შესახებ". სწორედ ამ ჰიპოთეზის საფუძველზე იქნა შემოთავაზებული ზიფის კანონით ცნობილი ტერმინი (ანუ ზიფის განაწილება წარმოადგენს პარეტოს განაწილების კერძო შემთხვევას, როდესაც პარეტოს ინდექსი α 1-ის ტოლია). რაც უფრო მაღალია პარეტოს ინდექსი, მით უფრო თანაბრად არის განაწილებული ქალაქის სისტემა. ინდიკატორის დაბალი მნიშვნელობებით, ქალაქების სისტემა არათანაბარია. ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც ექსპონენტა მიდრეკილია უსასრულობისკენ, ქალაქის სისტემა ერთგვაროვანია, ქალაქები ერთი და იგივე ზომისაა. თუ მაჩვენებელი ნულის ტოლია, მაშინ მთელი მოსახლეობა კონცენტრირებულია ერთ ქალაქში. ზიფის კანონის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ მოვახდენთ ქალაქების რანჟირებას მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მიხედვით, ორი ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა მათი რანგების თანაფარდობის უკუპროპორციული იქნება". უფრო ზოგადად, Zipf-ის მიხედვით, თუ განვიხილავთ ქალაქების სისტემას, უდიდესი ქალაქი დაახლოებით ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე ქალაქს, სამჯერ აღემატება სიდიდით მესამე ქალაქს და ა.შ. აღნიშნული ფორმულირების ფორმალიზაცია კი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

$$y(x) = A\,x^{-1} \qquad (3)$$

ზიფის კანონის ტესტირება არაერთი შერჩევის საფუძველზე განხორციელდა და ემპირიულად დადასტურდა კიდეც აშშ-სა და ჩინეთში პ. კრუგმანის, კ. გაბაიქსის, ი. იოანიდესის და ოვერმანის და სხვა მეცნიერთა მიერ.

ზიფის კანონის ვიზუალიზაციისთვის X ღერძზე განვათავსოთ შესაბამისი ქალაქი (ქალაქის ზომა, რომელიც გამოხატულია მოსახლეობის რიცხოვნობით), Y ხოლო ღერძზე კი ქალაქის რანგი (უკვე განხორციელებული რანჟირებული სიის მიხედვით). ნახაზი #1-ზე კი მოცემულია კრისტელის, ბატისა და პიეტრონელოს (*Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. 2012)* მიერ განხორციელებული ემპირიული კვლევის გრაფიკული დადასტურება.

ნახ. #1 მსოფლიო 61 ქალაქის ზომის განაწილება ზიფის კანონის შესაბამისად



წყარო: Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. (2012)

პოლ კრუგმანის მიერ (კრუგმანი, 1996) აშშ 135 მეტროპოლიიის საფუძველზე განხორციელებულ კვლევითაც დადასტურდა ჰიპოთეზა და ამ შემთხვევაში განტოლებას ჰქონდა შემდეგი სახე:

Ln Rank = 10.53 - 1.005 Ln Size, (4)

სადაც დამოკიდებულ ცვლადად განხილულია ქალაქის რანგის ნატურალური ლოგარითმი, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი კი წარმოადგენს შესაბამისი ქალაქის ზომის ნატურალურ ლოგარითმს. აღნიშნული განტოლება (დამოკიდებულება შერჩევის საფუძველზე) გამოხატავს ზიფის კანონს.

ემპირიული ანალიზი

საქართველოს ქალაქების ზომის მიხედვით (კვლევისათვის განვიხილეთ 28 ქალაქი) რანჟირების შემდეგ ქალაქების რანგსა და მის ზომას შორის დამოკიდებულებას გრაფიკს კი ნახ.#2-ზე წარმოდგენილი სახე აქვს. წარმოდგენილი გრაფიკი გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას: პირველი - ცხადად ჩანს რომ საქართველოს შემთხვევა შესაბამისობაშია ზემოთ აღწერილ კანონზომიერებასთან, გამონაკლისს წარმოადგენს თბილისი, რომლის მოსახლეობაც რამდენადმე აღემატება სხვა ქალაქების მოსახლეობის რიცხოვნობას. მეორე - საქართველოს შემთხვევა რომ შესაბამისი იყოს ზიფის მრუდისა ქალაქების ზომის შესახებ, თბილისის მოსახლეობა უნდა შეადგენდეს 500 000 – 600 000 -ს.

ნახ. #2. საქართველოს ქალაქების ზომის განაწილება ზიფის



წყარო: გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ 2015 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით და მოიცავს საქართველოს 28 ქალაქს.

საინტერესოა აგრეთვე ურბანიზაციის ზეგავლენა შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში. ზემოთხსენებული ემპირიული კვლევების, თეორიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებების გათვალისწინებით ავაგეთ მოდელი, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ურბანიზაციის ზეგავლენა შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში რეგიონულ ჭრილში.

$$Ln\,Inc_i = \beta_0 + \beta_1\ Ln\,Urban_i + \beta_2\,Ln\,HDI_i + \beta_3\,Ln\,GDP_i + u_i, \qquad (5)$$

სადაც

$(Urban)$, - ურბანიზაციის დონეა, HDI - ადამიანის განვითარების ინდექსი, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი GDP, ხოლო Inc - აღნიშნულია შემოსავლების განაწილების მაჩვენებელი. მოდელში გამოყენებული ცვლადების აღწერა მოცემულია ცხრილი #1-ში.

ცხრილი #1. მოდელის ცვლადების აღწერა

ცვლადი	*დეფინიცია*	*მოსალოდნელი ნიშანი*
	დამოკიდებული ცვლადი	
Inc_i	*მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლები + მიწისა და უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები (მლნ ლარი)*	
	დამოუკიდებელი ცვლადები	
Urban$_i$	*ურბანიზაციის დონე i-ურ რეგიონში*	+
GDPi	*i-ური რეგიონის მთლიანი სამამულო პროდუქტი გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე*	+
HDIi	*i-ური რეგიონის ადამიანის განვითარების ინდექსი, როგორც ადამიანისეული კაპიტალის საზომი*	+

სტატისტიკური მონაცემები. ჩვენს რაოდენობრივ ანალიზში გამოყენებული მონაცემები, რომლებიც ასახავს შემოსავლების განაწილებას, გაანგარიშებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. გამოყენებული დამოკიდებული, დამოუკიდებელი ცვლადების მონაცემები მოიცავს საქართველოს 11 რეგიონის ურბანიზაციის დონეს, საშუალო ყოველთვიურ შემოსავალს (მათ შორის უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს), მთლიან სამამულო პროდუქტს (მსპ) ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით, რეგიონის ადამიანური განვითარების ინდექსს, როგორც ადამიანისეული კაპიტალის საზომს. ჩვენ ვერ შევძელით პანელური მონაცემების გამოყენება შეზღუდული რეგიონული სტატისტიკური მონაცემების გამო.

ემპირიული შედეგები

მოდელში ჩართული ცვლადების აღწერითი სტატისტიკები მოცემულია ცხრილი #2-ში.

ცხრილი #2 მოდელში ჩართული ცვლადების აღწერითი სტატისტიკები

ცვლადი	*Income*	*Urban*	*HDI*	*GDP*
საშუალო	*4.3461823*	*-0.955074*	*-0.234190592*	*8.2833835*
სტანდარტული შეცდომა	*0.2942409*	*0.1310537*	*0.009186367*	*0.085901*
სტანდარტული გადახრა	*0.9758868*	*0.4346559*	*0.030467734*	*0.2849013*
მინიმუმი	*2.501436*	*-1.472895*	*-0.28103753*	*7.9861989*

მაქსიმუმი	*6.0663401*	*-0.025743*	*-0.181521877*	*8.9582828*
დაკვირვებათა რიცხვი	*11*	*11*	*11*	*11*

შემოსავლების განაწილებაზე ურბანიზაციის ზეგავლენის შეფასება

(5) თეორიული მოდელის შეფასებულ მოდელს კი ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე აქვს შემდეგი სახე:

$$Ln\ Inc_i = 3{,}7124 + 2{,}4991\ Ln\ Urban_i - 12{,}8792\ Ln\ HDI_i - 0{,}6026\ Ln\ GDP_i + u_i$$

(6)

შეფასების მეთოდის შესარჩევად, რომელიც შეესაბამება მონაცემებს, ჩვენ ავირჩიეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდი (OLS) F-ტესტირების გზით. რეგრესიის ანალიზის შედეგი აჩვენებს, რომ p-მნიშვნელობა = 0,000 < 0,01 მოდელში მიუთითებს, რომ OLS მეთოდი შესაბამისია. შედეგები ასევე აჩვენებს, რომ F-ტესტს აქვს p-მნიშვნელობა <0.01 მოდელში, რაც მიუთითებს აგრეთვე იმაზე, რომ მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1% მნიშვნელოვნების დონეზე. შეფასების შედეგების ანალიზისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგრესიული მოდელი.

ეკონომეტრიკული მოდელირების შედეგები და მიგნებები

ურბანიზაციის დომეს მოდელში აქვს პოზიტიური რეგრესიის კოეფიციენტი 5%-იანი სტატისტიკური მნიშვნელოვნებით, რაც მიუთითებს ურბანიზაციის დადებით გავლენაზე საქართველოში რეგიონულ ჭრილში. ეს ნიშნავს, რომ უფრო მაღალი ურბანიზაცია ხელს უწყობს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას, რაც შეესაბამება ურბანიზაციის გავლენას შემოსავლების განაწილებაზე ზოგადად. ეს შედეგი შეესაბამება Johansson and Wang (2014) და ეწინააღმდეგება Beladi et al. (2017). ფაქტობრივად, ურბანიზაცია დაკავშირებულია ინდუსტრიული ზონებისა და კლასტერების ჩამოყალიბებასთან. ადამიანები, რომლებსაც აქვთ მცირე მიწა ან საერთოდ არ აქვთ სოფლად, მიგრირებენ ქალაქებში, რათა იმუშაონ ქარხნებში უფრო მაღალი ხელფასით, ვიდრე წინა სამუშაოები სოფლად, რაც ზრდის მათ შემოსავალს. შესაბამისად, ურბანიზაცია ხელს უწყობს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას საქართველოში.

GDPi, რომელსაც აქვს უარყოფითი რეგრესიის კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის და აჩვენებს რომ გავლენა საქართველოს რეგიონებში შემოსავლების განაწილებაზე აღნიშნულ მაჩვენებელს არ აქვს. ეს შედეგი ასევე აჩვენებს, რომ საქართველოში ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანასწორობას შორის U-ის ფორმის ჰიპოთეზა არ არის დადასტურებული.

HDIi-ს , რომელიც წარმოადგენს ადამიანისეულ კაპიტალს, აქვს უარყოფითი რეგრესიის კოეფიციენტი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, რაც გვიჩვენებს, რომ განათლებას გავლენა შემოსავლების განაწილებაზე არ აქვს (ანუ მოცემული სტატისტიკური მონაცემების პირობებში განათლება ვერ თამაშობს მნიშვნელოვან როლს საქართველოში შემოსავლების გადანაწილების შემცირებაში). ანალოგიური შედეგი აქვთ იოჰანსონსა და ვანგს (2014), რომლებმაც 1981-2005 წლებში 90 ქვეყანაში შემოსავლების უთანასწორობაზე განათლების გავლენა ვერ დაადგინეს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს წინა კვლევის (Totladze L., Khuskivadze M., 2022) შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში განათლების სფეროში სახელმწიფო დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალურ მთლიან სამამულო პროდუქტზე (RGDP). ამ შემთხვევაში განათლების სახელმწიფო დაფინანსება ეკონომი-

კური ზრდის საზომი პარამეტრია. აღნიშნული კვლევის მიხედვით, განათლება არ არის ერთადერთი, ან მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი ერთ სულ მოსახლეზე მსპ-ის ზრდისათვის, არსებობს სხვა ხელშემწყობი ფაქტორები (Totladze L., Khuskivadze M., 2022).

დასკვნა

ურბანიზაციის, როგორც მოვლენის მნიშვნელობაზე მეტყველებს ფაქტი, რომ მდგრადი განვითარების მიზნებში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ურბანიზაცია შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. ურბანული ქვეყნები გამოირჩევიან შემოსავლების უფრო მაღალი დონით, ძლიერი ინსტიტუტებითა და სტაბილური ეკონომიკით და მათ აქვთ უნარი, გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკურ რყევებს.

ამავდროულად, გლობალურ პრობლემათა შორის უმწვავეს პრობლემას ქალაქთა ზრდის რეგულირება წარმოადგენს. პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ურბანიზაციის როგორც ფენომენის მრავალმხრივობით. მას დადებით ეფექტებთან ერთად თან ახლავს ნეგატიური გავლენაც, რაც უმთავრესად უკავშირდება ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებას - მოსახლეობის სიმჭიდროვის ხარისხის ზრდა იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, დაავადებათა ზრდას და ა.შ. აუცილებელია შესწავლილ იქნეს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მიზეზები. საქართველოს ქალაქების ზომის მოდელირება ზიფის კანონის შესაბამისად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყნის დედაქალაქი ძალიან დიდია სხვა ქალაქების ზომებთან მიმართებაში.

კვლევამ გააანალიზა და შეაფასა ურბანიზაციის გავლენა შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში. ჩვენ გამოვიყენეთ ეკონომეტრიული ტექნიკა და მეთოდები: ჩვენი კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები: ურბანიზაცია ხელს უწყობს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას საქართველოში. ჰიპოთეზა ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანასწორობას შორის შებრუნებული U- ფორმის ურთიერთობის შესახებ არ არის დადასტურებული კვლევის პერიოდში.

იმის გამო, რომ ურბანიზაცია ამცირებს შემოსავლების უთანასწორობას, თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველომ უნდა გააგრძელოს ურბანიზაციის ხელშეწყობა. ეკონომიკური ზრდა მოქმედებს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებაზე, ამიტომ ეკონომიკური ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის გაზრდის პოლიტიკა უნდა შენარჩუნდეს მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობის შესამცირებლად. რამდენადაც ინტელექტუალური სტანდარტების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს უთანასწორობის შემცირებას, განათლების გასაუმჯობესებლად საჭიროა მეტი მხარდამჭერი პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. (2012). **There is More than a Power Law in Zipf.** Sci Rep 2, 812 . https://doi.org/10.1038/srep00812

Li He, Xiaoling Zhang (2022). **The distribution effect of urbanization: Theoretical deduction and evidence from China.** Habitat International. 123. doi.org/10.1016/j.habitatint.2022.102544;

Xavier Gabaix (1999). Zipf's Law for Cities: An Explanation. The Quarterly Journal of Economics, Oxford University Press. Vol. 114, No. 3, pp. 739-767;
Liddle, B. (2017). **The Urbanization, Development, Environment, and Inequality Nexus: Stylized Facts and Empirical Relationships.** ADBI Working Paper 788. Tokyo. https://www.adb.org/publications/urbanizationdevelopment-environment-and-inequality-nexus;
Nguyen Minh Ha, Nguyen Dang Le, Pham Trung-Kien (2019). **The Impact of Urbanization on Income Inequality: A Study in Vietnam.** J. Risk Financial Management, 12, 146; doi:10.3390/jrfm12030146;
Totladze L., Khuskivadze M, Veshapeli G. (2022). **THE ROLE OF HUMAN CAPITAL IN THE FORMATION OF DETERMINANTS OF INNOVATION ACTIVITY. ECONOMICS, BUSINESS AND ADMINISTRATION**, [S.l.], n. II, p. 71-80, ISSN 2720-8249. Available at: http://www.sciencejournals.ge/index.php/bu/article/view/302 ;
Totladze L., Khuskivadze M. (2022). **ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები.** საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", #3. ISSN 1987-5789, ESSN2587-5426;
Totladze L., Khuskivadze M. (2022). **The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia.** International Journal of Business & Management Studies. ISSN 2694-1430 (Print), 2694-1449 (Online) Volume 03; Issue no 09: September, p. 28-33 https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4;
Totladze L. (2020) **Government Expenditure on Education and R&D as a Factor of Human Capital and its Impact on Economic Growth**. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. „ეკონომისტი", 2020, #2. ISSN 1987-6890 https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE ;

Lia Totladze
Associate Professor, Doctor of Economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business
Principal Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics

MODELING THE IMPACT OF URBANIZATION ON INCOME DISTRIBUTION
Expanded Summary

The modern world is facing huge challenges. Post-pandemic issues added global humanitarian, economic, logistical, and other problems caused by the Russia-Ukraine war. In this context, all countries need to support the appropriate rate of sustainable development. The phenomenon of urbanization maintains a special place in sustainable development goals.

The paper discusses the concept of urbanization as a social transformation and its connection to the country's development indicators. The positive and negative effects of urbanization are analyzed. The article emphasizes empirical aspects of population concentration and considers Zipf's law for Georgian cities. An econometric model of the impact of urbanization on income distribution is constructed and evaluated.

Urbanization as a phenomenon occupies a special place in the clearly defined goals of sustainable development (SDG). The concept of sustainable development has become particularly relevant in recent decades. Among these goals are sustainable cities, which are essentially related to the actual issues of urbanization. What led to the activation of the urbanization factor in the goals of sustainable development?

In the modern era, urbanization represents one of the greatest social transformations and is directly related to the social, economic, and environmental processes taking place in the country (Liddle, B. 2017). It should be noted that the dependence and cause-effect relationships may be in different directions. On the one hand, the development of the country determines the urban processes, and on the other hand, urbanization affects the distribution of income, ecology, and the main economic indicators of the country. Urbanization refers to the concentration of human populations in certain places when the specific share of the city population increases in the total population of the country. This fact leads to the transformation of land for residential, commercial, industrial, and transportation purposes. In addition to the positive effects of urbanization, rapid urbanization, and industrialization have highlighted social problems such as inequality and imbalance that are becoming increasingly visible. This has threatened sustainable development, especially in developing countries, which is why this issue deserves attention.

There are negative effects associated with the process of urbanization. Based on the experience of developed countries, we can say that urbanization is associated with an increasing level of income and the improvement of social indicators (social indicators include life expectancy, education level, infrastructure, availability of social services, and others). Urban countries have higher income levels, strong institutions, and stable economies, and at the same time, stability means that they can withstand global economic fluctuations. There are quite a few studies that empirically confirm the relationship between the increase in the share of the urban population and the increase in per capita income. Consequently, a positive correlation between these two indicators is confirmed.

Urbanization promotes the physical, human, and economic development of cities. This includes the concentration of people and social activities on the settlement model characterized by the development of land with high population density. The result of urbanization is partly due to the natural increase in population, and migration, as well as economic, social, and technological changes that motivate people to migrate to urban areas, which have many jobs and opportunities. Market and government policies encourage urbanization and create changes in people's life, land use, health, and natural resource management. Urbanization is closely connected to higher incomes. Countries with high urbanized rates have higher GDP per capita. This correlation has been successfully proven statistically by many scholars.

The effect of urbanization on income distribution depends on the specifics of the country. How urbanization will affect inequality in the future depends on the rate of urbanization in the country. There are factors driving inequality in the country including the degree of urbanization, urban–rural income gap, and urban and rural inequality. In addition, the urban-rural income gap is expected to have the largest marginal impact on inequality.

In 2018, in its publication 'Revision of World Urbanization Prospects' the United Nations clearly stated that sustainable urbanization was key to successful development and it underlined the necessary conditions of its existence. Urbanization is a multifaceted phenomenon and it is impossible to measure it according to one specific indicator

George Kingsley Zipf's law for cities is one of the interesting fact in economics. Ziff, an English linguist, based on empirical observations, identified a systematic approach to linguistics. Ziff's law was also used in economics quite successfully. The law has been confirmed in many empirical studies. Nowadays, Zipf's law is believed to be universal for cities, and researchers widely use this law as a guide to understanding urban systems. It was revealed that the distribution of the size of the cities corresponded to the Pareto distribution.

Figure #1. Ziff's Law Graphical Presentation for Georgian Cities



Figure #1 represents Ziff's law for Georgian cities. The presented graph allows us to draw certain conclusions: first - it is clear that the case of Georgia is in accordance with Ziff's law of the cities. the exception is Tbilisi, whose population exceeds the population of other cities. Second - in order of Georgia to be relevant to the Ziff curve about the size of cities, the population of Tbilisi should be 500,000-600,000

This study analyzed and evaluated the impact of urbanization on income distribution in Georgia. We used the following econometric techniques and methods: the estimation methods with static data regression used are OLS. The data used in our quantitative analysis representing income inequality was calculated by authors based on the National Statistics Office data. Data for dependent, independent variables used in quantitative models include urbanization, average monthly income of the region (including income from land and real estate sale), gross domestic product (GDP) per capita of the region, human development index of the region as a measure human capital, were collected from the annual statistical yearbook of the National Statistics Office of Georgia. We were not able to use panel data due to limited regional statistical data.

Based on the theory related to urbanization and income distribution, the impact of urbanization on income equality, and related studies, we constructed following model:

$$\text{Ln Inc}_i = 3{,}7124 + 2{,}4991 \text{ Ln Urban}_i - 12{,}8792 \text{ Ln HDI}_i - 0{,}6026 \text{ Ln GDP}_i + u_i \quad (1)$$

Urban has a positive regression coefficient with a statistical significance of 5% in the model (1), indicating the positive impact of urbanization on income in Georgian regions. This means that higher urbanization contributes to reducing income inequality, which is consistent with the impact of urbanization on income distribution in models. This result is consistent with Johansson and Wang (2014) and contrary to Beladi et al. (2017). Therefore, urbanization contributes to reducing income inequality in Georgia.

GDPi, which has a negative regression coefficient which is not statistically significant in model (2), shows no impact on income distribution in Georgia regions. These results also show that the inverted-U-shape hypothesis between economic growth and income inequality in Georgia is not confirmed.

HDIi, which represents human capital, has a negative regression coefficient, showing no impact of education on income distribution. Although the level of statistical significance is not consistent in all empirical models, the results show that education plays a role in decreasing income distribution in Georgia. This result is similar to Johansson and Wang (2014), which found no impact of education on income inequality in 90 countries in 1981–2005. Our research results lead us to draw the following conclusions. Urbanization helps reduce income inequality in Georgia.

In our latest research (Totladze L., Khuskivadze M., 2022) the regression results found that the government expenditure on education in Georgia has a significant effect on Real Gross Domestic Product (RGDP). In this case, public financing of education is a true parameter of measuring economic growth. This paper suggests that education is not the only, or the major contributing factor to per capita GDP, there are other contributing factors (Totladze L., Khuskivadze M., 2022)
Keywords: Urbanization; Econometric Modeling; Zipf's law; Income Distribution.

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

გოჩა უგულავა
ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაკროეკონომიკურ პროგნოზირებაში დეტერმინირებულობისა და სტოქასტურობის საკითხისათვის

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია საკითხი ეკონომიკურ მოვლენებში განუსაზღვრელობის, შემთხვევითობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. გამოკვეთილია ამ მოვლენათა დეტერმინისტულ-სტოქასტური დუალისტური ბუნების არსი, მოდელირების დროს არსებული პრობლემები და წინააღმდეგობების დაძლევის შესაძლო მიმართულებები. მოკლედაა მიმოხილული მოსაზრებები შემთხვევითობის არსის ონტოლოგიური დაშვებისა და ეპისტემოლოგიური ინტერპრეტაციის შესახებ, ეკონომიკური პროცესების მოდელირებაში დეტერმინისტული არაწრფივი დინამიკური (მრავალგანზომილებიანი ქაოტური) და სტოქასტური მოდელების გამოყენების გზები. ნაშრომში ნაჩვენებია ეკონომიკურ კვლევებში მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომის ფარგლებში ახალი მეთოდების და ინსტრუმენტების (მათ შორის ხელოვნური ინტელექტის, ღრმა და მანქანური სწავლების ალგორითმების) შემდგომი განვითარების, ადაპტირებისა და გამოყენების აუცილებლობა.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური დაგეგმვა, განჭვრეტა, შემთხვევითობა, დინამიკური მოდელები.*

შესავალი

საზოგადოების ცხოვრება წარმოუდგენელია მომავლის განჭვრეტის, მისი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირების გარეშე. ეკონომიკური პროგნოზები აუცილებელია საზოგადოების განვითარების შესაძლო მიზნებისა და მიმართულებების განსაზღვრისათვის, საჭირო ეკონომიკური რესურსების გათვლის, მიმდინარე გრძელვადიანი გეგმების ეკონომიკურად ეფექტური ვარიანტების გამოვლენის, პოლიტიკის დასაბუთებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის მიზნებისათვის.

ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საფუძვლების გააზრებისას მნიშვნელოვანია გავათვითცნობიეროთ საპროგნოზო საქმიანობის მნიშვნელობა, მისი როგორც სოციოდემოგრაფიული, ეკონომიკური, ინოვაციურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა სფეროების მომცველი, ქვეყნის განვითარებისა და მსოფლიო ტენდენციების გამათვალისწინებელი ერთიანი პროცესის როლი და ადგილი განვითარების სტრატეგიის წარმატებული დამუშავებისა და რეალიზაციის საქმეში. პროგნოზირება, მისი შემადგენელი თეორიულ-შემეცნებით, განჭვრეტით და მმართველობით ფუნქციებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ობიექტის აღწერას, მისი გამოვლენილი ცვლილებების კანონზომიერებათა აღწერის საფუძველზე კი მომავალი განვითარების, ცვლილებების შესაძლო ვარიანტების განჭვრეტას და განვითარების სასურველი ვარიანტების რეალიზაციისათვის გასატარებელი ღონისძიებების, გადაწყვეტილებების ფორმირებას. ერთის მხრივ, სამეცნიერო შემეცნება, მოვლენათა ზუსტი მოდელების აგება-იდენტიფიცირება, პროგნოზირება და მეორეს მხრივ განუსაზღვრელობა, შემთხვევითობა - ურთიერთგადაჯაჭვული, ერთმანეთის თანხმხ-

ლები, ღრმა ეგზისტენციალური, დაკავშირებული ფენომენებია, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ფილოსოფიური დისკურსი ეძღვნება. შემთხვევითობის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი, პირველადია ონტოლოგიისა და შემეცნების თეორიისათვის. ჯერ ერთი, შემთხვევითობის შესწავლა განუყოფლად არის დაკავშირებული მომავლის წინასწარმეტყველების ტრადიციულ ეპისტემოლოგიურ პრობლემასთან, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა მეცნიერების არსებობის განმავლობაში. მეორე - შემთხვევითობა პირდაპირ მოქმედებს ზოგადად შემეცნების შესაძლებლობაზე და წარმოადგენს „დაბრკოლებას" ცოდნის სრულყოფილების მიღწევის გზაზე, ფუნდამენტურ ეპისტემოლოგიურ პრობლემებამდე გვაბრუნებს. და მესამე - სამყაროს შესახებ ცოდნის მუდმივი ზრდის ფონზე, მეცნიერების მნიშვნელოვანი ამოცანაა შემთხვევითობის ონტოლოგიური სტატუსისა და არსებითი თვისებების განსაზღვრა, სინერგეტიკის ევრისტიკული პოტენციალის გამოყენება, შემთხვევითობის ფუნდამენტურად ახალი მნიშვნელობების ძიება.

ძირითადი ნაწილი

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის გამოჩენილი მოაზროვნეები (ჰერაკლიტე, პითაგორა, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე) მიმართავდნენ შემთხვევითობისა და აუცილებლობის ფილოსოფიურ კატეგორიებს. გააზრების ორი ძირითადი უძველესი ხაზი შეიძლება განვასხვავოთ: აუცილებლობის როლი აბსოლუტურია („დემოკრიტეს ხაზი") და სამყაროში ყველაფერი ექვემდებარება ინდეტერმინიზმს და ტოტალურ შემთხვევითობას („ეპიკურეს ხაზი"). შუა საუკუნეებში ამ კატეგორიების გააზრება ხდება რელიგიური ფილოსოფიის ჭრილში, აუცილებლობა ტრადიციულად დომინირებს შემთხვევითობაზე (თომა აქვინელი, ნეტარი ავგუსტინე). ახალი ეპოქის ფილოსოფიისთვის (ბეკონი, დეკარტე, სპინოზა, ლაიბნიცი, ჰოლბახი, ჰელვეციუსი) აუცილებლობის კატეგორია გაიგივებულია ხისტ მექანისტურ დეტერმინიზმთან, რომელიც გამორიცხავს შემთხვევითობას, როგორც უმნიშვნელოს, მეორეხარისხოვანს. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების დიალექტიკურ ბუნებას ავლენს ჰეგელი, იმავე ხაზს აგრძელებს მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი, საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური ტრადიცია. ჰიუმი, კანტი, მოგვიანებით ჰუსერლი, ვიტგენშტაინი, რასელი შემთხვევითობასა და აუცილებლობას შემეცნებად კონცეპტებად განიხილავენ, ეპისტემოლოგიურ და არა ონტოლოგიურ კატეგორიებად. ამრიგად, შემთხვევითობა ფილოსოფიაში ამბივალენტურად არის გაგებული - როგორც რეალური სამყაროს თვისება, ასევე შემეცნების არასრულყოფილების შედეგი. სამყაროს შესახებ ინდეტერმინისტული იდეები და მთლიანობაში შემთხვევითობის დომინირება დამახასიათებელია ირაციონალიზმის, ნეოკანტიანიზმის, ეგზისტენციალიზმისა და პოსტმოდერნიზმისთვის.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, კვანტური ფიზიკის განვითარებამდე, ხისტი დეტერმინაციისა და შემთხვევითობის იდეები საკმაოდ მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ერთმანეთთან, რადგან ითვლებოდა, რომ შემთხვევითობა მხოლოდ ადამიანის მიერ ყველა მიზეზობრივი ფაქტორის არცოდნაა. სინამდვილეში, შემთხვევითი არაფერია, მაგრამ ადამიანის გონება შეზღუდულია და ვერ წვდება სამყაროს უსასრულობას, რათა დარწმუნდეს, რომ შემთხვევითობა არ არსებობს. კვანტური მექანიკის განვითარებამ მეცნიერთა უმეტესობა მიიყვანა თეორიის იმგვარი ინტერპრეტაციის მიღების აუცილებლობამდე, რომელიც გულისხმობს შემთხვევითობის არსებობას თავად რეალობაში და არა მხოლოდ ჩვენს გონებაში. შემთხვევითობის

ბუნების შესახებ შეხედულებების ამგვარ ცვლილებას შეიძლება შემთხვევითობის ონტოლოგიზაცია ეწოდოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დეტერმინიზმი სრულებით არ არის უარყოფილი, არამედ მხოლოდ სუსტდება და იღებს ალბათობითი დეტერმინიზმის სახეს. ამ სახის დეტერმინიზმში ნებისმიერ მოვლენას აქვს მრავალი მიზეზი და მრავალი შედეგი, რომელიც შედის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების ქსელში. შედეგი გამოიწვევა მხოლოდ გარკვეული ალბათობით, როგორც აუცილებლობის ხარისხით. ალბათობითმა დეტერმინიზმმა ჩაანაცვლა ლაპლასური დეტერმინიზმი. თუმცა, ალბათობის თეორია არ დაცილებია ლაპლასურ დეტერმინიზმს მთავარ საკითხში: ის შემთხვევის ეპისტემოლოგიური ინტერპრეტაციის ფარგლებში ვითარდება. შემთხვევის არსის ეპისტემოლოგიური ინტერპრეტაცია მხოლოდ აბსოლუტური კანონზომიერებისა და წინასწარგანსაზღვრულობის ონტოლოგიურ დაშვებას ნიშნავს. თანამედროვე, ანუ არაკლასიკურ მეცნიერებაში (ალბათობის თეორია, თამაშების თეორია, რიგების - მასობრივი მომსახურების თეორია) პოსტულირებულია სტოქასტური პროცესების პირველადობა. შემთხვევითობა არსებითია და მასობრივი შემთხვევითი მოვლენები წარმოშობს კანონზომიერ პროცესებს, ანუ სტატისტიკურ კანონზომერებებს.

მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა მეცნიერული ცოდნის სირთულის და აბსტრაქტულობის ზრდა, მეცნიერების მათემატიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესების გაღრმავება და გაფართოება, რაც სამეცნიერო საზოგადოებაში ურთიერთქმედების ფორმების სრულყოფას უზრუნველყოფს. მათემატიკის როლი შემეცნების განვითარებაში დიდი ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ კანტის მიერ იქნა გამახვილებული ყურადღება მეცნიერებებში, ამა თუ იმ საგანს მიკუთვნებული საკითხების კვლევის პროცესში, მათემატიკის, მათემატიკური მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე. „ბუნებითი მეცნიერების მეტაფიზიკურ პრინციპებში" ის აღნიშნავს, რომ „ყოველი ბუნებითი მეცნიერება იმდენადაა მეცნიერება, რამდენადაცაა მასში გამოყენებული მათემატიკა". ამ მოსაზრებას შემდგომში ამყარებს და ზოგადად სხვა მეცნიერებებზეც ავრცობს. „წმინდა გონების კრიტიკაში" ხაზგასმულია, რომ რაოდენობითი მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება გაიზომოს, უნდა იქნას მათემატიზებული. კანტის ვარაუდით რაოდენობითი კანონზომიერებების დადგენა და შესწავლა სწავლების „ნამდვილ მეცნიერებად" ცნობის კრიტერიუმია. მაშინ როდესაც მეცნიერებები, რომლებიც მხოლოდ თვისობრივი კატეგორიებით ოპერირებენ „რბილ", პოტენციურ მეცნიერებებს წარმოადგენენ. [Nayak…, 1995]. აღნიშნული მიდგომები მეცნიერების თანამედროვე პარადიგმაშიცაა გაზიარებული. შემეცნების ისტორია და მისი თანამედროვე დონე ემსახურება მათემატიკის ეფექტურობის დამაჯერებელ დადასტურებას, რომელიც სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იქცა. ის იყო და რჩება მრავალფეროვანი, მათ შორის ყველაზე რთული - სოციალური, სულიერი ფენომენების შესასწავლ შესანიშნავ მეთოდად. ბოლო დროს წამოწყებულმა ეკონომიკის მათემატიზაციამ, განაპირობა მრავალგვარი მათემატიკური მეთოდების ფართო ინტერვენცია ეკონომიკური იდეების ანალიზის ველზე.

ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, სიმწიფის გზაზე უფრო მეტი წინსვლა იგრძნობა ემპირიული მასალის რაოდენობრივი დამუშავების, სტატისტიკური ოპერაციების აქტიური დანერგვის და პროცესებისა და მოვლენების მათემატიკური მოდელების შექმნის მხრივ. უკანასკნელ პერიოდში თეორიულ-ალბათობითი, სტოქასტიკური მეთოდების გამოყენებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიკაში,

რითაც შეავიწროვა აქამდე პოპულარული დეტერმინისტულ მიდგომებზე ბაზირებული მეთოდები. [უგულავა, 2022]

ეკონომიკის ფარგლებში, დეტერმინისტულ და სტოქასტურ შეხედულებებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია კლასიკური ეკონომიკური მოდელების ფართო კრიტიკა, რომელთაც დომინანტური მდგმარეობა ეკავათ თანამედროვე ეკონომიკურ პარადიგმაში (მეინსტრიმში). გაირკვა, რომ წრფივი დეტერმინისტული კვაზიდინამიკური სისტემების მარტივი დასკვნები არ იძლევა სრულ სურათს და არ შეესაბამება მზარდი მოცულობის ემპირიული ეკონომიკური მონაცემების მწკრივების თვისებებს. ამ თემამ ნაწილობრივ წინ წამოიწია 2008 წლის მსოფლიოს გლობალური კრიზისის პროგნოზირების სირთულეების განხილვის დროსაც. მიზეზად ხშირად სახელდებოდა ეკონომიკური პროცესების აღმწერი ადეკვატური სრული მოდელების არ არსებობა, არსებული მათემატიკური მოდელების ნაკლოვანებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემები გაცილებით მოკრძალებულ როლს ასრულებდა როგორც კრიზისის განვითარებში, ასევე მის პროგნოზირებაში სირთულეების არსებობაში. როგორც ა. გრინსპენი აღნიშნავდა: „მათემატიკური მოდელები, რომლებიც რაოდენობრივად ახასიათებენ რისკს, რათქმა უნდა იძლევიან უფრო საიმედო შეფასებებს, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინანდელი „ემპირიული წესების" საფუძველზე წარმოებული სუბიექტური მსჯელობები. დღემდე რთულია მოძიებულ იქნას ჩვენს მიერ გამოყენებულ მოდელებში კონცეპტუალური შეცდომები, რადგანაც ეს მოდელები მუშაობენ." ამ შემთხვევაში, სირთულეებს და პრობლემებს ა. გრინსპენიც, ბ. ბერნანკეც სხვა რეალურ, ობიექტურ ნაკლოვანებებთან ერთად, ნაწილობრივ ამ მოდელების ინტერპრეტაციის პროცესში გამოვლენილ არაჯეროვან ანალიზსა და ამ პროცესში, ერთი შეხედვით, თითქოს არამნიშვნელოვან დეტალებზე არასაკმარისი ყურადღების გამახვილებას უკავშირებდნენ, რასაც საფუძვლად ადამიანების ფსიქოლოგიური, სუბიექტური თვისებები ედო. [Greenspan, 2013]

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, სამეცნიერო გარემოში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილება, ძალზე დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენად იქცა, როდესაც ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მექანიკის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სტოქასტური დინამიკური ცნებების გამოყენებადობის ჩვენება. [Day, 1992].

მეცნიერების ისტორიაში დინამიკური სისტემების (როგორც დეტერმინისტული, ისე სტოქასტური) მნიშვნელობა წინასწარ არის განსაზღვრული ბუნებრივი და სოციალური პროცესების პროგნოზირებადობის საკითხთან მათი კავშირით. თავის მხრივ, საკითხი, არის თუ არა მოვლენები პროგნოზირებადი, არჩევანის თავისუფლებისა და ადამიანის ნების, სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი სისტემების საწყის და საბოლოო მდგომარეობისა და სხვა ფილოსოფიური საკითხების თაობაზე დისკუსიის ცენტრშია. პარადოქსულია, რომ ზოგიერთი დეტერმინისტული დინამიკური სისტემის შესწავლილი „ქცევა" არ განსხვავდება შემთხვევითობით გამოწვეული სისტემების ქცევისგან. ვერც ერთს და ვერც მეორეს ჩვენ ვერ ვწინასწარმეტყველებთ.

ასეთი პარადოქსულ და ირონიულ მდგომარეობასთან შეუგუებლობა აიძულებდა მეცნიერებს ემუშავათ დინამიკურ მოდელებზე. [Prokhorov, 2008] უნდა აღინიშნოს, რომ მონათესავე დისციპლინების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკაში სტოქასტურობის იდეების დანერგვაზე. არაწრფივმა დინამიკურმა მოდელებმა ბევრი შემატეს მრავალი ეკონომიკური მოვლენის უფრო

ღრმა გაგების საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ დინამიკური არაწრფივი სისტემის ცხადი წესით ამოხსნა იშვიათად არის შესაძლებელი. ბევრმა არაწრფივმა დეტერმინისტულმა სისტემამ შეძლო ისეთი ქაოტური დინამიკის გენერირება, რომ არცერთ საყოველთაოდ მიღებულ ტესტს არ შეეძლო ასეთი დეტერმინისტული სისტემის გამოყოფა წმინდა შემთხვევითი პროცესისგან. ქაოსის შესახებ პირველი ეკონომიკური პუბლიკაციები ზედმეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი ქაოსის თეორიის გამოყენების პერსპექტივების მიმართ და მასზე დაფუძნებული ალტერნატიული ეკონომიკური თეორიის აგების მიმართაც კი. ეკონომიკაში ქაოსის თეორიისადმი ინტერესის პირველადი ზრდის შემდეგ, დროთა განმავლობაში ის თანდათანობით განელდა, რადგანაც გასული საუკინის ბოლო ორი ათწლეულის ემპირიულმა კვლევებმა ვერ დაადასტურა ქაოტური დინამიკის არსებობა ეკონომიკურ მონაცემებში. [Baumol, … 1989].

კვანტური მექანიკა და ქაოსის თეორია რომ არ არსებობდეს, პროგნოზირებადობის თაობაზე ლაპლასისეული კლასიკური შეხედულებები არ გამორიცხავდნენ ბუნებრივი პროცესების ზუსტად წინასწარმეტყველების შესაძლებლობას - უბრალოდ უნდა ვიცოდეთ ზეგავლენის მქონე კანონზომიერებები და საწყისი პირობები. პუანკარეს მიხედვით, ზოგადად, ეს შეუძლებელია. კვანტური თეორია, ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობის პრინციპის წყალობით, გამორიცხავს სისტემის საწყისი მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას, ხოლო ქაოსის თეორია ამტკიცებს, რომ ამ საწყისი უზუსტობის გამო სრული პროგნოზირებადობა შეუძლებელია. ანუ, დეტერმინიზმს და პროგნოზირებადობას შეიძლება არაფერი ჰქონდეთ საერთო.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში დადგინდა, რომ უაღრესად რთული ქაოტური პროცესი (ანუ არაწრფივი დინამიკური პროცესი, რომელიც მოიცავს მრავალ ცვლადს), პრაქტიკული თვალსაზრისით, შემთხვევითი პროცესის ექვივალენტურია და რომ მხოლოდ არც თუ ისე რთულ ქაოტურ სისტემებს (დაბალგანზომილებიან ქაოსს) შეიძლება გააჩნდეთ მოკლევადიანი პროგნოზირებადობა, რომლის მიღწევა შეუძლებელია ტრადიციული წრფივი მოდელების ფარგლებში. ეკონომიკური პროცესების მოდელირების მცდელობები ამის შემდგომ ვოლატილობის ანალიზზე გადაერთო. ეკონომიკაში ქაოტური დინამიკის სფეროში კვლევა ტექნიკურად რთული და ძვირადღირებული მცდელობაა ვიპოვოთ ის, რაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება არც კი იყოს არსებითი. ამჟამად, მრავალგანზომილებიანი ქაოსი (თუნდაც კი ის არსებობდეს ეკონომიკურ მონაცემებში) არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგნოზების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რადგან სასრული რაოდენობის მონაცემის პირობებში, მრავალგანზომილებიანი ქაოსი და სტოქასტურობა რეალურად იდენტურია. მრავალგანზომილებიანი ქაოტური (ან წმინდა სტოქასტური) სისტემების საფუძველზე წინასწარმეტყველების გაკეთების შეუძლებლობა შეესაბამება მანდელბროტის აზრს, რომელიც თვლიდა, რომ პროცესების უმეტესობა წმინდა დეტერმინიზმსა და თეთრ ხმაურს შორისაა და თანაბარი წარმატებით შეიძლება აღიწეროს როგორც რთული სტოქასტური პროცესების, ასევე ქაოტური პროცესების სახითაც. [Mirowski, 1995]

სტოქასტურობის როლის ზრდამ ეკონომიკური პროცესების მოდელირების საქმეში ახალი პრობლემები წარმოაჩინა და მათი გადაჭრის გზების ძიებისკენ უბიძგა სამეცნიერო საზოგადოებას. ალბათობითი პროცესების დინამიკაში ანა-

ლიზმა ეკონომიკაში ერგოდულობის პრობლემების განხილვამდე მიგვიყვანა. ამან მოითხოვა ალბათობის მიმართ არსებული ტრადიციული ხედვების ცვლილება.

ეკონომიკური თეორიის დიდი ნაწილი ეფუძნება რისკისა და ალბათობის იდეებს, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნეში განვითარდა. ჩვენ ინსტინქტურად გავიანგარიშებთ რა ალბათობით მოსალოდნელ მნიშვნელობებს, იმპლიციურად ვვარაუდობთ, რომ ისინი ასახავს იმას, რაც დროთა განმავლობაში ხდება. ივარაუდებოდა, რომ შემთხვევითობას, რომელიც წარმოიქმნება ერთადერთ არსებულ სივრცეში შეუქცევადი დროით, აქვს იგივე ეფექტი, რაც შემთხვევითობას, რომელიც წარმოიქმნება პარალელური ალბათობითი სამყაროების ანსამბლში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მაქსველისა და ბოლცმანის მიერ სტატისტიკური მექანიკის განვითარებამ გამოიწვია ამ საკითხის უფრო მჭიდრო შესწავლა, შემუშავდა შემთხვევითობის ახალი კონცეპტუალიზაცია. ამ კონცეპტუალიზაციამ თავიდანვე აღიარა დროის ცენტრალური როლი შემთხვევით პროცესებში. ერგოდულობის მათემატიკური დამტკიცება, როგორც წესი, ძალიან რთულია: ფაქტობრივად, ნებისმიერი სისტემისთვის, რომელიც წონასწორობის მიღმაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის არაერგოდულია. ერგოდულობის ეკონომიკური თეორია იძლევა რიგ ემპირიულად შემოწმებად პროგნოზს და, როგორც პიტერსი აღწერს, ერთ-ერთი მათგანი უკვე გახდა ექსპერიმენტული კვლევის საგანი. ამ მიმართულებით განხორციელებული ბოლო კვლევები იძლევა იმედს მათი პერსპექტიულობის შესახებ. [Peters, 2019]

ნეოკლასიკურ თეორიას განუსაზღვრელობა რისკამდე დაყავს, რითაც უშვებს, რომ ნებისმიერი უცნობი მოვლენა ყოველთვის შეიძლება იყოს აღწერილი და ახსნილი ალბათობის თეორიის მეთოდების გამოყენებით. როგორც ნეოკლასიკოსების ლიდერი რობერტ ლუკასი აღნიშნავს: „განუსაზღვრელობის პირობებში ეკონომიკური მსჯელობა უაზროა". [Lucas, 1981]. განუსაზღვრელობის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება დიდწილად განპირობებულია იმით, რომ ალბათობის თეორიის გამოყენებაზე უარის თქმა მეინსტრიმში ეკონომიკური ანალიზის მზარდ ფორმალიზაციასთან არათავსებადი იქნებოდა. [Hodgson, 2011].

საინტერესოა მოკლედ მიმოვიხილოთ განუსაზღვრელობის საკითხის მიმართ არსებული შედარებით გავრცელებული ალტერნატიული, მათ შორის არამეინსტრიმული, ჰეტეროდოქსული ეკონომიკური მიმდინარეობების წარმომადგენელთა მიდგომები.

პოსტ-კეინზიანური პერსპექტივიდან, მომავლის განუსაზღვრელობა არჩევანის სამომავლო შედეგის წინასწარმეტყველების, თუნდაც ალბათური განაწილების გამოყენებით, შეუძლებლობას აღნიშნავს, რადგანაც შესაბამისი ალბათობების გამოსათვლელად მეცნიერული საფუძვლები არ გაგვაჩნია. ამ თეზის გასამყარებლად ისინი ეყრდნობიან კეინზის [Keynes, 1936] მოსაზრებას, რომელიც ანსხვავებდა განუსაზღვრელობას რისკისაგან, იმდენად რამდენადაც რისკის შემთხვევაში მომავალი შეიძლება აღწერილი იყოს ალბათური განაწილების გამოყენებით, რადგანაც ცნობილია როგორც შედეგების რაოდენობები, ასევე თითოეული მათგანის ალბათობა. ნეოკლასიკურ ტრადიციაში იგნორირებულია განსხვავება რისკსა და განუსაზღვრელობას შორის და ტერმინები, როგორც წესი, სინონიმებად გამოიყენება. ამასთან, პოსტ-კეინზიანელებისათვის განუსაზღვრელობა ორგვარია; პირველი - ფუნდამენტური ანუ ონტოლოგიური განუსაზღვრელობა, ხოლო მეორე - გაურკვევლობა (ambiguity) ანუ ეპისტემოლოგიური განუსაზღვრელობა [Davidson, 1996; Dequech, 2000; Terzi, 2010]. გაურკვევლობის შემთხვევაში, მომავალი განუსაზღვ-

რელია, თუმცა შეცნობადია. ფუნდამენტური განუსაზღვრელობა ნიშნავს არა მხოლოდ მომავლის შესახებ ცოდნის არარსებობას, არამედ მის შეუცნობლობასაც. პოსტ-კეინზიანელების პოზიციით, ნეოკლასიკურ თეორიაში ეკონომიკური გარემო ხასიათდება ერგოდიულობით - წარსული, აწმყო და მომავალი შეიძლება ხასიათდებოდეს ერთი და იგივე ალბათობის განაწილების ფუნქციით. ასეთი მიდგომა მიუღებელია პოსტ-კეინზიელებისთვის. ისინი ხელმძღვანელობენ ისტორიული დროის პრინციპით, რომლის თანახმად წარსული შეუქცევადია და მომავალი განუსაზღვრელი. სწორედ ისტორიულ დროში მოძრაობს ეკონომიკური გარემო, რომელსაც ახასიათებს არაერგოდიულობა, ანუ წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის ონტოლოგიური განსხვავებები.

განუსაზღვრელობის თაობაზე ინსტიტუციონალისტების შეხედულებების გასაცნობად საკმაო წარმოდგენას დუგლას ნორტის ნაშრომი „ეკონომიკურ ცვლილებათა პროცესის გააზრება“, კერძოდ კი მისი მეორე თავი - „განუსაზღვრელობა ერგოდულ სამყაროში“ იძლევა. [North, 2005] ნორტი გამოყოფს განუსაზღვრელობის ხუთ დონეს: პირველი - არსებული ცოდნის ფარგლებში ინფორმაციის რაოდენობის ზრდით შემცირებადი განუსაზღვრელობა; მეორე - არსებული ინსტიტუციონალური მოწყობის ფარგლებში ამ მოცულობის ზრდით შემცირებადი განუსაზღვრელობა; მესამე - მხოლოდ ინსტიტუციონალური ცვლილებებით შემცირებადი განუსაზღვრელობა; მეოთხე - ახალი, აქამდე არარსებული სიტუაციებისათვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობაა; და მეხუთე - ირაციონალური რწმენის საფუძვლად არსებული განუსაზღვრელობა. [North, 2005] მას მიაჩნია, რომ ფიზიკური გარემოს დაპყრობის კვალდაკვალ, მცირდებოდა მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, ყალიბდებოდა სულ უფრო მეტად რთული სოციალური ინსტიტუტები. თუმცა, ნორტთან სამყარო არაერგოდულია, ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები განსხვავებული. ყოველივე კი, რთული და ურთიერთდამოკიდებული სოციალური გარემოს შექმნის პროცესში მუდმივ, უსასრულო სიახლეებზე პასუხის გაცემას, სწორ რეაგირებას ართულებს. ამდენად ნებისმიერი თეორია, რომელიც მომავალს აღწერს და წარსულ გამოცდილებას ეყრდნობა, არაადეკვატურია. [Bakeev, 2020]

როგორც პოსტ-კეინზიანელებს, ასევე ნორტსაც სჯერათ, რომ განუსაზღვრელობა განსხვავდება რისკისგან, ის არაერგოდული გარემოს მახასიათებელია და თანამედროვე სამყაროსაც აქვს არაერგოდიულობის თვისებები, რომ განუსაზღვრელობა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არ შეიძლება მთლიანად აღმოიფხვრას. შესაბამისად, ინსტიტუტების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია განუსაზღვრელობის შემცირებაა და თუ რამდენად ეფექტურად უმკლავდებიან ინსტიტუტები ამ ამოცანას, ის განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის ძირითად მახასიათებლებს. ამავდროულად, ნებისმიერი თეორია, რომელიც არ ცნობს განუსაზღვრელობის მნიშვნელობას და გამომდინარეობს იქიდან, რომ მომავლის მოდელირება შესაძლებელია ალბათობის თეორიის მეთოდების გამოყენებით, რეალური სამყაროს პრობლემების გადასაჭრელად ადეკვატური არ არის. თუმცა, მათ მიდგომებს შორის რიგი განსხვავებებიცაა. პოსტ-კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ ინსტიტუციონალურმა ევოლუციამ, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური „მოთამაშეების“ განუსაზღვრელობის შემცირებისაკენ, შეიძლება მთლიანად საზოგადოებისათვის განუსაზღვრელობის ნაკლებად ეფექტურად შემცირდება გამოიწვიოს, რაც სისტემის არასტაბილურობის პოტენციალის ზრდას განაპირობებს. ნორტი აქცენტს

აკეთებს მეტად და ნაკლებად წარმატებულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის არსებულ განსხვავებებზე. ის შესაძლო საფრთხეების შესახებ აფრთხილებს ქვეყნებს, რომელთა ინსტიტუტები ეფექტურად არ ამცირებენ განუსაზღვრელობას. ასეთი ქვეყნები შესაძლოა სტაგნაციისა და დეგრადაციისათვის განწირულნი იყვნენ. [Розмаинский, 2016]

სამეცნიერო ცოდნის სპეციფიკა, მის რიგი მკაცრი პრინციპების (მოვლენების მიზეზ-შედეგობრიობის, ჭეშმარიტების, სანდოობის, სამეცნიერო ცოდნის ობიექტურობისა და ფარდობითობის) დაქვემდებარებაში მდგომარეობს. ამდენად, შემეცნების პროცესში, მიღებული შედეგების სანდოობის უზრუნველმყოფელი მეთოდები გამოიყენება. მეცნიერების განვითარების განვლილი გზა ნათლად წარმოგვიდგენს, რომ სამეცნიერო და შემეცნებითი საქმიანობის შედეგები, დიდწილად, გამოყენებული მეთოდების სიზუსტითაა განპირობებული. დღეს დღეობით მეცნიერებაში, ისევე როგორც ყოველდღიურობაში, კარდინალურ ცვლილებებს არა მხოლოდ თეორიები განიცდიან, არამედ მიდგომებიც, მეთოდებიც. გამოთვლითი ტექნიკის განვითარების, დიდი მონაცემების შექმნისა და დაგროვების ექსპონენციალური ზრდის კვალდაკვალ „თეორიაზე ორიენტირებული" მიდგომების პარალელურად სულ უფრო და უფრო გამოიყენება „მონაცემებზე ორიენტირებული" მიდგომა. [Maass, … 2018].

„თეორიაზე ორიენტირებულს" (Theory-Driven) ვუწოდებთ მიდგომას, როდესაც ჩვენ განვსაზღვრავთ თუ რა ჰიპოთეზები მივიღოთ, თეორიების ჩამოყალიბებით და ამ თეორიებში მონაცემების ჩასმით. აქ მთავარი იდეა ისაა, რომ მონაცემებს თავისთავად არ გააჩნიათ შინაგანი მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ მაშინ ენიჭებათ მნიშვნელობა, როდესაც ისინი კარგად ჩამოყალიბებული თეორიის კონტექსტში ინტერპრეტირდება რაციონალურად. თეორიები შეიძლება შეიცვალონ ან თუნდაც უარყოფილ იქნან მონაცემების გამო, მაგრამ ამ მიდგომით ცოდნის მოპოვებისათვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება ვერ იქნება განმსაზღვრელი. ამის ნაცვლად, მოპოვებულ უნდა იქნას საკმარისი მონაცემი საწყისი თეორიის ფორმირებისთვის, შემდეგ კი ნელ-ნელა დავამატოთ ახალი მონაცემები მოდელში, საჭიროების მიხედვით მოვახდინოთ თეორიის კორექტირება და ბოლოს, თეორია გამოვიყენოთ პროგნოზირებისათვის. თუ მონაცემები არ ეთანადება მოდელს, თეორიაზე ორიენტირებული მიდგომით, შესაძლოა, თავდაპირველად მაინც, ეჭვქვეშ დავაყენოთ მონაცემები. [უგულავა, 2022] ამგვარი მიდგომები თავიანთი არსით დედუქციური ხასიათისაა, ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით, კეთდება კონკრეტული ხასიათის დასკვნა, რომლის წინაპირობაც ზოგადი განსჯაა. დედუქციის უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგადი წინაპირობა არის არა მხოლოდ ინდუქციური განზოგადება, არამედ რაიმე სახის ჰიპოთეტური ვარაუდი, ახალი სამეცნიერო იდეა. ამ შემთხვევაში დედუქცია თამაშობს არა მხოლოდ დამხმარე როლს, არამედ არის საწყისი წერტილი ახალი თეორიული სისტემის გაჩენისთვის. ამ გზით შექმნილი თეორიული ცოდნა წინასწარ განსაზღვრავს ემპირიული კვლევის შემდგომ კურსს და მიზანმიმართულად წარმართავს ახალი ინდუქციური განზოგადებების აგებას.

მეორეს მხრივ, „მონაცემებზე ორიენტირებული" (Data-Driven) მიდგომა უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს რაც შეიძლება მეტი მონაცემების შეგროვებას და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობს ამ მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის ჩამოყალიბებას. ამ შეხედულების მიხედვით, მონაცემებს თავისთავად შეუძლიათ ინ-

ტერპრეტაციის მხარდაჭერა, ინტერპრეტაცია ძირითადად უკეთესი მონაცემებით უმჯობესდება და არა უკეთესი თეორიით. თუ მონაცემები ეწინააღმდეგება ძირითად თეორიას, მაშინ თეორია უარყოფილ უნდა იქნას. მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომა ეყრდნობა მონაცემთა გამოყენებას არსებული მოვლენის შესასწავლად, მაგრამ, ხშირად, ეს ფუძემდებლური თეორიული ახსნის შეზღუდული გადმოცემით ხორციელდება. [უგულავა, 2022] ამგვარი ინდუქციური დასკვნების ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უზრუნველყოფენ გადასვლას ცალკეული ფაქტებიდან, მონაცემებიდან ზოგად დებულებებზე, საშუალებას გვაძლევენ აღმოვაჩინოთ დამოკიდებულებები მოვლენებს შორის, შევქმნათ ემპირიულად დასაბუთებული ჰიპოთეზები და მივიდეთ განზოგადებამდე. ინდუქციური დასკვნების უმრავლესობის პრობლემური ბუნება მოითხოვს მათ განმეორებით შემოწმებას პრაქტიკით, ინდუქციური განზოგადებიდან მიღებული შედეგების რეალურ გამოცდილებასთან შედარებას. ამრიგად, ინდუქცია შეივსება დედუქციით, რაც უზრუნველყოფს ალბათობითიდან სანდო, ავთენტურ ცოდნაზე გადასვლას. [Центр …]

ამგვარ, მონაცემებზე ორიენტირებულ მიდგომას ასახავს ხელოვნური ინტელექტის, ხელოვნური ნეირონული ქსელების, მანქანური და ღრმა სწავლების ალგორითმების, მონაცემთა მეცნიერების თანამედროვე მიღწევები ზოგადად და მათი გამოყენებითი მხარე ეკონომიკის პრობლემების, მათ შორის დაგეგმვისა და პროგნოზირების საკითხების შესწავლასა და გადაჭრაში. ბოლო დროს მრავალი სფერო მოიცვა ციფრულმა ტრანსფორმაციამ. თანამედროვე განვითარების პირობებში, მმართველობასა და პოლიტიკის განსაზღვრაში საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ფართო დანერგვამ ხელი შეუწყო როგორც თავად ამ დარგების, ასევე მათში მოღვაწე პერსონალის ძირეულ ცვლილებებს. მმართველობითი სუბიექტები, თავიანთი საქმიანობის პირობებში, დაგეგმვის ეტაპიდან გადაწყვეტილებათა მიღების ეტაპამდე აწყდებიან აუცილებლობას ოპერირება გაუწიონ დიდ მონაცემებს, არაწრფივ, ექსპონენციალურად ზრდად, კრიტიკულად გადატვირთულ მონაცემებიან სცენარებს. ყოველივე ამას გადაწყვეტილებათა მიღების ვადების მკვეთრი შემცირებაც ერთვის თან. ამ პირობებში ადამიანის ინტელექტუალურ-ანალიტიკური შესაძლებლობების ამოწურვითაა განპირობებული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს დანერგვის აუცილებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უმოკლეს ვადებში, ოპერატიულად ანალიტიკურად გადამუშავდეს მონაცემთა უზარმაზარი მასივები, შეუღლდეს რთულად დაკავშირებადი ობიექტები, მოიძიოს დაგეგმვის თანამედროვე ახალი ოპტიმალური გზები, მეთოდები, ტექნოლოგიები. [უგულავა, 2022]

დასკვნა

ამდენად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა, რამდენადაც განსხვავებული არ უნდა იყოს მისი კონკრეტული ფორმები და მეთოდები, პროგნოზირებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში ვითარდება. დღესაც, ეკონომიკური პროგნოზირება ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარების კონცეფციის შემუშავებას, წყვეტს შეზღუდული ბუნებრივი, დემოგრაფიული, მატერიალური და ფინანსური რესურსების პირობებში ეკონომიკური ზრდის პრობლემებს. ეკონომიკური მოდელებს, მათემატიკური აპარატის გამოყენების წყალობით, ეკონომიკურ ცვლადთა კლასიფიკაციის, სტრუქტურირების, მათ შორის ურთიერთკავშირებისა და კანონზომიერებების გამოვლენის, მოვლენათა მიზეზების ახსნის ფუნქციები გააჩნიათ.

მიუხედავათ მომავალში, ჯერ კიდევ მრავალი ძიებისა და სიახლეთა აღმოჩენის აუცილებლობისა, მცდელობა - ეკონომიკური მეცნიერება უფრო მეტად მიუახლოვდეს მეცნიერების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური ფუნქციის - მისი პროგნოსტიკული დანიშნულების ადეკვატურ აღსრულებას - სულ უფრო მეტად უმკვიდრებს მას კუთვნილ ადგილს კანტისეულ „ნამდვილ მეცნიერებათა“ რიგში. თავისუფალი ნების და ტელეოლოგიის დუალისტური ფილოსოფიური ტრადიციის შესაბამისობაში, მომავალი არაწრფივი ეკონომიკური კვლევების აქტუალურ საგნად კვლავაც დარჩება დეტერმინიზმის (მრავალგანზომილებიანი ქაოსის) და სტოქასტურობის განუყოფლობა. კვლევის ახალი მეთოდების, მიდგომების და ინსტრუმენტების (მათ შორის ხელოვნური ინტელექტის) შემდგომი განვითარება და გამოყენება აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგების მოპოვებისათვის, ეკონომიკური მეცნიერების წინსვლისათვის.

ლიტერატურა

1. უგულავა გ., 2022. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პრობლემები და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. ქუთაისის უნივერსიტეტი.
2. Bakeev, M., 2020. "Institutional and cultural research directions in development economics: Assumptions on agent motivation as a source of disagreement," Journal of the New Economic Association, vol. 46(2), pages 139-156.
3. Baumol, W. & J. Benhabib, 1989. Chaos: Significance, mechanism, and economic implications. Journal of Economic Perspectives vol 3, pp. 77–105.
4. Davidson P., 1996. Reality and Economic Theory. Journal of Post Keynesian Economics, vol. 18, no. 4, pp. 479-508.
5. Day R.H., 1992. Complex economic dynamics: Obvious in history, generic in theory, elusive in data. Journal of Applied Econometrics vol 7, pp. S9–S23. Declaration of the Assembly of European Regions on Regionalisn in Europe. Basel.
6. Dequech D., 2000. Fundamental Uncertainty and Ambiguity. Eastern Economic Journal, vol. 26, no. 1, pp. 41-60.
7. Greenspan A., 2013. The Map and the Territory: Risk, Human Nature, and the Future of Forecasting. Penguin Press; First Edition
8. Hodgson G. M., 2011. The Eclipse of the Uncertainty Concept in Mainstream Economics. Journal of Economic Issues, vol. 45, no. 1, pp. 159-175.
9. Keynes J. M., 1936. The general theory of employment, interest and money. London: Macmillan.
10. Lucas R. E. Jr., 1981. Studies in Business Cycle Theory, Cambridge, MA: MIT Press.
11. Maass W., Parsons J., Purao S., Storey V. C., & Woo C., 2018. Data-driven meets theory-driven research in the era of big data: opportunities and challenges for information systems research. Journal of the Association for Information Systems, vol. 19(12), issue 1.
12. Mirowski P., 1995. Mandelbrot’s economics after a quarter century. Fractals vol 3, pp. 1–20.
13. Nayak Abhaya & Sotnak Eric., 1995. Kant on the Impossibility of the "Soft Sciences". Philosophy and Phenomenological Research. DOI: 55. 133. 10.2307/2108312 (წვდომა 25 იანვარი, 2023)

14. North D., 2005. Understanding the Process of Economic Change. Princeton University Press
15. Peters O., 2019. The ergodicity problem in economics. Nat. Phys. 15, 1216–1221. DOI: 10.1038/s41567-019-0732-0 (წვდომა 25 იანვარი, 2023)
16. Prokhorov A., 2008. "Nonlinear dynamics and chaos theory in economics: a historical perspective". Quantile, No.4, pp. 79–92.
17. Terzi A., 2010. Keynes's Uncertainty is Not About White or Black Swans. Journal of Post Keynesian Economics, vol. 32, no. 4, pp. 559–565.
18. Розмаинский И. В., 2016. Посткейнсианцы и Дуглас Норт о неопределенности и институтах: пропущенная связь? Journal of Institutional Studies, vol. 8, no. 3. 2016, pp. 35-46.
19. Центр гуманитарных технологий - https://gtmarket.ru/ (წვდომა 25 იანვარი, 2023)

Gocha Ugulava
Doctor of Economics,
Associate Professor of Kutaisi University

FOR THE ISSUE OF DETERMINACY AND STOCHASTICITY IN MACROECONOMIC FORECASTING

Expanded Summary

The article discusses the issue of uncertainty, the role and importance of randomness in economic events. The essence of the deterministic-stochastic dualistic nature of these events, problems during modeling and possible directions for overcoming the contradictions are highlighted. Considerations about the ontological assumption and epistemological interpretation of the essence of randomness, ways of using deterministic nonlinear dynamic (multidimensional chaotic) and stochastic models in modeling economic processes are briefly reviewed. Even today, economic forecasting contributes to the development of the concept of economic development, solves the problems of economic growth in the conditions of limited natural, demographic, material and financial resources. Economic models, using mathematical apparatus, have the functions of classification and structuring of economic variables, including the identification of interrelationships and regularities, explaining the causes of events. Regardless of the need for many searches and new discoveries in the future, the attempt to bring economic science closer to the adequate fulfillment of the fundamental methodological function of science - its prognostic purpose - is increasingly gaining its rightful place among the Kantian "true sciences". In accordance with the dualistic philosophical tradition of free will and teleology, the inseparability of determinism (multidimensional chaos) and stochasticity will continue to be a topical subject of future nonlinear economic research. The specificity of scientific knowledge lies in its subjection to a number of strict principles (causation, truth, reliability, objectivity and relativity of scientific knowledge). Thus, in the cognitive process, methods ensuring the reliability of the obtained results are used. The path of the development of science clearly shows us that the results of scientific and cognitive activities are largely determined by the accuracy of the methods used. Today, in science, as well as in everyday life, cardinal changes are not only experienced by theories, but also by approaches and methods. Along with the development of computing techniques and the exponential growth in the creation and accumulation of big data, the "data-driven" approach is increasingly being used alongside the " theory-driven" approach. The further development and use of new research methods, approaches and tools (including artificial intelligence) is a necessary stage for obtaining important results in this direction, for the advancement of economic science.

Keywords: economic planning, forecasting, foresight, dynamic models.

დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

ავთანდილ ლილუაშვილი
თსუ დოქტორანტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საპენსიო სისტემისა და დაგროვებითი პენსიის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის კვლევა, რეალური რისკების იდენტიფიცირება და შეფასება

ანოტაცია. *კვლევის მიზანია საპენსიო სისტემისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის კვლევა, რეალური რისკების იდენტიფიცირება და შეფასება. გამოვლენილია ხუთი ძირითადი პრობლემა და რისკი, რაც დაკავშირებულია საპენსიო სქემებისა და ფონდების განვითარებასთან საქართველოში: 1. საკანონმდებლო ბაზა; 2. ქვეყანაში უცხოური საინვესტიციო და საპენსიო ფონდების დეფიციტი; 3. კაპიტალის ბაზარზე ფინანსური ინსტრუმენტების და გარიგებების ნაკლებობა; 4. უარყოფითი ისტორია და გამოცდილება 90-იანი წლებიდან; 5. მოსახლეობაში ცნობიერების დაბალი დონე საპენსიო სისტემის შესახებ.*
საკვანძო სიტყვები: *საპენსიო სისტემა, საპენსიო სქემა, საპენსიო რეფორმა, საპენსიო ფონდი, ინვესტიციები.*

შესავალი

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა საქართველოს კანონი ,,დაგროვებითი პენსიის შესახებ“, ხოლო 2018 წლის 6 აგვისტოს საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო სსიპ საპენსიო სააგენტომ, რომელიც შესაბამისი კანონის ფარგლებში ახორციელებს საპენსიო დანაზოგების ადმინისტრირებასა და მართვას, მონაწილეთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად [კანონი...,2018]. 2019 წლის 1 იანვრიდან კი დაიწყო სავალდებულო საპენსიო შენატანების განხორციელება, რომელმაც პრაქტიკულად მოიცვა მთელი ქვეყანა, თითქმის ყველა ბიზნეს სუბიექტი და დასაქმებული საქართველოს მოქალაქე, გარდა მცირე გამონაკლისებისა.

2023 წლის 1 აპრილისთვის საქართველოში საპენსიო სქემაში გაწევრიანებულია: 1,400,000-მდე მონაწილე და 90,000-ზე მეტი ბიზნეს სუბიექტი. საპენსიო ფონდის მოცულობამ გადააჭარბა 3.2 მილიარდ ლარს. მიღებულმა სარგებელმა გადააჭარბა 500 მილიონ ლარს [საპენსიო სააგენტო...2023]. საპენსიო რეფორმას, სქემასა და ფონდს განიხილავენ როგორც ეკონომისტები და პოლიტიკოსები, ასევე, სქემის მონაწილეები და კაპიტალის ბაზრის მოთამაშეები. ჟურნალისტები და მედიის წარმომადგენლები კი ყოველ საინვესტიციო გადაწყვეტილებას განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან და აშუქებენ. საპენსიო სქემასთან დაკავშირებით ყველაზე აქტუალური თემებია: საპენსიო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების საკითხები, აკუმულირებული აქტივების მართვის პრობლემები და გარანტიები საპენსიო ფონდის ბენეფიარებისათვის. საქართველოში საპენსიო რეფორმას მხარს უჭერს: მსოფლიო ბანკი, აზიის განვითრების ბანკი, საფრანგეთის განვითარების სააგენტო, სხვა დონორი და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე აქტუალურია იმ მიზეზების გამოკვლევა, თუ როგორია საქართველოში საპენსიო სისტემა საერთაშორისო პრაქტიკთან შედარებით და მოსახლეობაში, რა დონეზეა საპენსიო სქემების სარგებლიანობის შესახებ ცოდნა.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევაში გამოყენებულ ლიტერატურას და მასალას წარმოადგენს საპენსიო რეფორმის საკანონმდებლო ბაზა, ინსტრუქციები, პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები. მკვლევარის მიერ მოხდა აღნიშნული ლიტერატურის შესწავლა, ანალიზი და მათი უცხოურ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარება. მათ შორის შესწავლილი იყო საქართველოში ერთადერთი და მთავარი საპენსიო ფონდი (სსიპ საპენსიო სააგენტო), რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდული პირი და რომელიც უზრუნველყოფს სავალდებულო წესით გაწევრიანებული დასაქმებულების, ასევე, ნებაყოფლობით გაწევრიანებული თვითდასაქმებულებისა და დასაქმებულების დანაზოგების ადმინისტრირებასა და ინვესტირებას. დეტალურად არის შესწავილი უცხოური საპენსიო სისტემების, ფონდებისა და სქემების შესახებ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია, ეს ქვეყნებია:

- გერმანია გერმანიის [Wilke, 2009] (German Pension Reform: On Road Towards a Sustainable Multi-Pillar System); [pensionfundsonline, NA]. (https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/germany)
- ბულგარეთი [OECD Global Pension Statistic, 2018] (https://www.iopsweb.org/resources/39624385.pdf OECD Global Pension Statistic); [Economic Policy Committee, 2014] (https://economic-policy-committee.europa.eu/sites/default/files/docs/pages/bulgaria_-country_fiche_on_pensions.pdf)
- ხორვატია [e-Citizens, NA] (https://gov.hr/en/pension-insurance-system/846)
- ჰოლანდია [Federation of the Dutch Pension Funds, NA] (https://www.pensioenfederatie.nl/website/the-dutch-pension-system-highlights-and-characteristicsg)
- დიდი ბრიტანეთი [gov.uk, NA]. (https://www.oecd.org/els/public-pensions/PAG2019-country-profile-United-Kingdom.pdf); (https://www.gov.uk/plan-retirement-income/pensions-from-the-government)
- ესტონეთი [Estonian Funded Pension Registry, NA] (https://www.pensionikeskus.ee/en/ii-pillar/mandatory-funded-pension/)
- რუმინეთი [OECD Global Pension Statistic, 2018](https://www.iopsweb.org/resources/44874410.pdf); [Pension Funds Online, NA] (https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/romania).
- ლატვია [manapensija.lv, NA] (https://www.manapensija.lv/en/1st-pension-pillar/); [manapensija.lv, NA] (https://www.manapensija.lv/en/pension-system/qa/)
- უნგრეთი [OECD Global Pension Statistic, 2019] (https://www.iopsweb.org/resources/38669447.pdf)

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა მოსახლეობის გამოკითხვა, საძიებო კვლევის ჩატარება, მოსახლეობაში საპენსიო სისტემის მიმართ არსებული პესიმიზმის რეალური მიზეზების დასადგენად. ზემოთ აღნიშნული ქმედებები აუცილებელი იყო მთავარი მიზნის მისაღწევად და იმის დასადგენად, თუ რამდენად

ობიექტური იყო მოსახლეობაში გავრცელებული პესიმისტური მიდგომა საპენსიო რეფორმის მიმართ და რა წარმოადგენდა საპენსიო ფონდების განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს. კვლევის დასკვნითი ეტაპი წარმოადგენს იმის ანალიზს, თუ როგორია სახელმწიფოს როლი და პასუხიმგებლობა იმაში, რომ დღემდე აღნიშნული დარგი არ არის განვითარებული.

საძიებო კვლევის დაგეგმვა დაიწყო საკითხის დასმით, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებით და პრობლემის იდენტიფიკაციით:

- **საკითხი**: საპენსიო რეფორმის მიმართ საზოგადოებაში შეინიშნება უნდობლობა და პესიმიზმი.
- **ჰიპოთეზა:** უნდობლობა გამოწვეულია საპენსიო რეფორმის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონით.
- **პრობლემა**: საპენსიო რეფორმის მიმართ საზოგადოების უნდობლობა ხელს უშლის რეფორმის წარმატებით განხორციელებას.
- **ეკონომიკური ეფექტი:** წარმატებული საპენსიო სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის და საპენსიო ასაკში ცხოვრების დონის შენარჩუნების მთავარი წინაპირობა.

საკითხის გადაწყვეტის სწორი გზის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ჰიპოთეზის სისწორის არგუმენტირება კვლევის შედეგებით. **კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად:**

- პირველ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და პრობლემების განსაზღვრა.
- მეორე ეტაპზე მოხდა გამოკითხვის ჩატარება.
- მესამე ეტაპზე მოხდა რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და შედეგების წარდგენა რაოდენობრივი ფორმით.

კვლევის დიზაინი

1. კითხვარი შეავსო 471-მა ადამიანმა 2023 წლის 22 მარტიდან - 24 აპრილამდე;
2. გენერალურ შესასწავლ მთლიანობას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობა, 3.7 მილიონი ადამიანი {სტატისტიკა...,2023}.

- გამოკითხვის ადგილი: თბილისი, საქართველო;
- გამოკითხულთა მოქალაქეობა: საქართველო;

3. დისპერსია - 50% (მაქსიმალური მნიშვნელობა).
4. **სანდოობის კოეფიციენტი 95%** და შერჩევის ცდომილება (სასურველი ცდომილება) ± 5%, რაც ერთობლივად გულისხმობს, ჩვენ 95%-ით ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ± 5 % ცდომილების დიაპაზონში მოხვედრილი მთლიანობის წევრების პროცენტი, იმავე ცდომილების დიაპაზონში მოხვედრილი მთლიანობის შერჩევის წევრების პროცენტის ტოლია.

შერჩევის ოპტიმალური მოცულობის-რაოდენობის გამოსათვლელად გამოყენებულია ქვემოთ მოცემული ფორმულა:

$$Sample\ Size = \frac{Zscore^2 * StdDev * (1 - StdDev)}{(confidence\ interval)^2}$$

სადაც:

$Sample\ Size$ - გამოსაკითხი ადამიანების რაოდენობაა;

$Zscore - Z$ ქულა (95%-ანი სანდოობის კოეფიციენტისთვის 1.96-ის ტოლია);

$StdDev$ – დისპერსია (აღებულია 50%, მაქსიმალური მნიშვნელობა);
$confidence\ interval$ - სანდოობის კოეფიციენტი (შერჩეულია 95%);
კვლევის დიზაინის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1:

დასახელება	**საბოლოო კვლევა**
კვლევის ტიპი	აღწერითი ანუ დესკრიპტული კვლევა
პროფილური (ანუ განუმეორებადია) კვლევა	•შერჩევითი გამოკითხვა; •მონაცემების ერთჯერადი შეგროვება; •რესპოდენტთა ერთი შერჩევა; •დროის ერთ კონკრეტული მომენტი.
მიზანი	კონკრეტული ჰიპოთეზის შემოწმება.
დახასიათება	•ზუსტად განისაზღვრა აუცილებელი ინფორმაცია; •კვლევის პროცესი იყო სტრუქტურირებული; •გენერალური ერთობლიობიდან რეპრეზენტაციული შერჩევა; •პირველადი მონაცემების შეგროვება; •პირველადი მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი:
რაოდენობრივი ანალიზი	•ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა მოხდა რაოდენობრივი ფორმით. გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდი.
გამოკითხვის მეთოდი	•სტრუქტურირებული კითხვარი. •ელექტრონული გამოკითხვა •ინტერნეტ გამოკითხვა
შედეგი	დამამთავრებელი.
შეჯამება	•კვლევის შედეგები გამოყენებული იყო შემაჯამებელი დასკვნის გაკეთებისათვის •რეკომენდაციების შემოშავებისათვის.

კვლევის შედეგები

1. გამოკითხულთა 4.2%-მა არ იცის, არის თუ არა გაწევრიანებული საპენსიო სქემაში;
2. გამოკითხულთა 30,8% ფიქრობს, რომ საშუალოზე დაბალ დონეზეა ინფორმირებული საპენსიო რეფორმის შესახებ;
3. გამოკითხულთა 39,5%-მა არ იცის საპენსიო რეფორმის მთავარი მიზანი;
4. გამოკითხულთა 65,2% თვლის, რომ აქვს პასუხგაუცემელი კითხვები საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით;
5. გამოკითხულთა 84,3% ფიქრობს, რომ საპენსიო რეფორმა საჭირო იყო საქართველოში;
6. გამოკითხულთა 23,1% არ არის პოზიტიურად განწყობილი საპენსიო რეფორმის წარმატებით განხორციელების საკითხზე;
7. გამოკითხულთა 91,3% თვლის, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც პესიმისტურად არის განწყობილი საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით, სრულად ან ნაწილობრივაა 90-იან წლებში მომხდარი ანაბრების კზირისის ცუდი გამოცდილების გავლენის ქვეშ;
8. გამოკითხულთა 32,7%-ს აქვს ანაბრების კრიზისის მსგავსი სცენარის გამორების შიში, ამჟამინდელ საპენსიო დანაზოგების დაკარგვასთან დაკავშირებით;
9. გამოკითხულთა 47,8% სამართლიან წესად (სავალდებოლობა) და ადეკვატურ მოცულობად თვლის 2%-ის საპენსიო კონტრიბუციის დამსაქმებლის მიერ გადახდას;

10. გამოკითხულთა 48,2% სამართლიან წესად (სავალდებოლობა) და ადეკვატურ მოცულობად თვლის 2%-ის საპენსიო კონტრიბუციის დასაქმებლის მიერ გადახდას;
11. გამოკითხულთა 85,6% ფიქრობს, რომ სწორი მიდგომაა საპენსიო სქემის მონაწილის საპენსიო დანაზოგების სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნაწილობრივი დაფინანსება;
12. გამოკითხულთა 85,4% ქვეყანაში საერთო კეთილდღეობის ამაღლებისათვის აუცილებელ ინსტრუმენტად ეფექტიან საპენსიო სისტემას მიიჩნევს;
13. გამოკითხულთა 81,1% საპენსიო სისტემას თვლის ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისათვის საჭირო ინსტრუმენტად;
14. გამოკითხულთა 69,6% არ იცნობს საერთაშორისო პრაქტიკას საპენსიო სისტემის შესახებ, მათ არ იციან მინიმუმ, რამდენ სვეტიანი საპენსიო სისტემა გვხვდება ძირითადად საერთაშორისო პრაქტიკაში;
15. გამოკითხულთა მხოლოდ 20%-მა იცის, რომ საქართველოში 3 სვეტიანი საპენსიო სისტემა არსებოს;
16. გამოკითხულთა მხოლოდ 28,2% თვლის, რომ საქართველოს საპენსიო სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პარქტიკას;
17. გამოკითხულთა მხოლოდ 10,6%-ს აქვს წაკითხული საქართველოს კანონი ,,დაგროვებითი პენსიის შესახებ“;
18. გამოკითხულთა 47.8%-ს მიაჩნია, რომ საშუალოზე ცუდად იცნობს საქართველოს კანონს ,,დაგროვებითი პენსიის შესახებ“;
19. გამოკითხულთა მხოლოდ 7,2%-ს აქვს წაკითხული საპენსიო დანაზოგების ინვესტირების პოლიტიკის დოკუმენტი;
20. გამოკითხულთა 59.7% თვლის, რომ საშუალოზე ცუდად იცნობს საპენსიო დანაზოგების ინვესტირების პოლიტიკის დოკუმენტს;
21. გამოკითხულთა 40,3%-მა არ იცის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების დანაზოგების ინვესტირების მთავარი საინვესტიციო მიზანი;
22. გამოკითხულთა 33,8%-მა არ იცის, რა თანხა აქვს დაზოგილი საპენსიო ანგარიშზე;
23. გამოკითხულთა 37,4%-ს არ სჯერა, რომ მიიღებს დაზოგილ თანხას საპენსიო ასაკში;
24. გამოკითხულთა 40,1% ფიქრობს, რომ დაზოგილ საპენსიო კონტრიბუციას მსიყდველობითი უნარი შემცირებული ექნება;
25. გამოკითხულთა 33,9% ფიქრობს, რომ საპენსიო სააგენტო არ არის სათანადოდ გამჭირვალე;
26. გამოკითხულთა 40,3% თვლის, რომ საპენსიო სააგენტო გამართულად მუშაობს, ხოლო 33.8% ფიქრობს, რომ საშუალო დონეზეა საპენსიო სააგენტოს გამართულობა;
27. გამოკითხულთა 31,8%-ს მიაჩნია, რომ გამჭირვალედ მიმდინარეობს საპენსიო დანაზოგების ინვესტირებისა და ანგარიშგების პროცესი, ხოლო 35,7% თვლის, რომ საშუალო დონეზეა ინვესტირებისა და ანგარიშგების გამჭირვალობის დონე;

უცხოური საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის შედეგები და შედარება საქართველოს საპენსიო სისტემასთან

საპენსიო სისტემის პირველ და მეორე საფეხურზე სახელმწიფო კონტრიბუცია, როგორიც საქართველოშია, პრაქტიკულად, არც ერთ ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნულ სახელმწიფოში არ ხორციელდება და პრაქტიკულად რთულია, მოიძებნოს ქვეყანა, სადაც სახელმწიფო აფინანსებს საპენსიო სისტემის პირველი სვეტის 100% და მეორე სვეტის დაახლოებით 30%-ს.

საპენსიო დანაზოგების განთავისუფლება საგადასახადო წნეხიდან: საქართველოში საპენსიო დანაზოგის გადახდის შემდეგ ხდება საშემოსავლო გადასახადით ინდივიდის შემოსავლის დაბეგვრა. ასევე, დამსაქმებელი თავისი კუთვნილი 2% -ის გადასახადს ხარჯებში ქვითავს და იმცირებს პოტენციური მოგების გადასახადს. ამასთან, საპენსიო დანაზოგები არც მისი აღების დროს არ იბეგრება არანაირი გადასახადით, რაც, ასევე, საკმაოდ ლიბერალური წესი და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ნათელი მაგალითია.

საპენსიო დანაზოგები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით და მათ არ ეხებათ ინკასო, ყადაღა, შეუძლებელია მათი დაგირავება, ან ნებისმიერი ვალის, საბანკო სესხის, ან მსგავსი ტიპის ვალდებულების დასაფარად გამოყენება. საპენსიო დანაზოგებს ვერ შეეხება ვერც სასამართლო, ანდა საგადასახადო აღსრულება.

დაგროვებითი პენსიის სქემიდან გასვლის მექანიზმებიც საკმაოდ სამართლიანი და ლიბერალურია. სქემის დატოვების 4 გზა არსებობს [საპენსიო სააგენტო, ბრძანება №001, 2023]:

1. სქემის მონაწილის საპენსიო ასაკს მიაღწევა;
2. სქემის მონაწილის გარდაიცვლება;
3. სქემის მონაწილის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირად გახდომა. მას შეუძლია მთლიანი საკუთარი დანაზოგი ერთიანად გაიტანოს, შესაბამისი შშმ პირის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენის შემდეგ;
4. სქემის მონაწილის მიერ საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლა (საქართველოს სამუდამოდ დატოვება). მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მას დაექვითება სახელმწიფოს მიერ ჩარიცხული კონტრიბუცია, რომელიც დაუბრუნდება სახელმწიფოს და დარჩენილი დანაზოგი კი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით. აღნიშნული წესი საკმაოდ სამართლიანია.

გარდაცვალების შედეგად საპენსიო დანაზოგების მთლიანად ოჯახის წევრებისათვის დარიცხვა ფაქტიურად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე უკეთესი წესია. ასეთი წესი არ აქვს Defined Benefit (განსზღვრული სარგებელი) საპენსიო სქემას, რადგან ასეთი საპენსიო სქემების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი, რითაც მომგებიანობა შეიძლება გაზარდონ, არის მათი სქემის მონაწილის ნაადრევი გარდაცვალება, რითაც ისინი დაზოგავენ მომავალში გასაცემ, დაპირებულ პენსიას. Defined Contribution (განსაზღვრული შენატანები) სქემის პირობებშიც კი აღნიშნული პრაქტიკა არ არის ფართოდ გავრცელებული და საკმაოდ რთულია ისეთი სქემის პოვნა, სადაც 100% დანაზოგი გადაეცემა სქემის მონაწილის მემკვიდრეს. მსგავსი პრაქტიკა გხვდება ცხრილ 2-ში წარმოდგენილ ქვეყნებში:

ცხრილი 2:

ლუქსემბურგი	ავსტრალია
ირლანდია	ახალი ზელანდია
ჰოლანდია	კანადა
დანია	შვეიცარია
შვედეთი	გერმანია
ნორვეგია	ავსტრია
ფინეთი	ბელგია
საფრანგეთი	პორტუგალია

წყარო: OECD Global Pension Statistic

თუმცა ამ ქვეყნებში არსებულ წესებს შორის არის განსხვავებები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში თუ 75 წლამდე გარდაიცვლება ადამიანი, მაშინ მის ოჯახს უნარჩუნდება საპენსიო დანაზოგი, ხოლო თუ 75 წლის შემდეგ გარდაიცვლება - მისი მემკვიდრეები უნდა დაიბეგრონ საგადასახადო გადასახადებით.

შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, საპენსიო სისტემა, თითქმის, ყველა განვითარებულ ქვეყანაში შედგება მინიმუმ სამი საფეხურისაგან. საქართველოში ანალოგიურად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებები:

- პირველი საფეხური: საყოველთაო პენსია, რომელიც განკუთვნილია ყველა საქართველოს მოქალაქისათვის, რომელიც მიაღწევს საპენსიო ასაკს. 2020 წელს კი დამტკიცდა საყოველთაო ასაკობრივი პენსიის ინდექსირების წესი {ფინანსთა სამინისტრო..,2021};
- მეორე საფეხური : სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა, რომელიც ეხება მხოლოდ დასაქმებულებს და მათ პენსიად განისაზღვრება პირველი საფეხურიდან მიღებულ პენსიას დამატებული ის, თუ რასაც დაზოგავენ მეორე საფეხურზე;
- მესამე საფეხური: კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემები, რომელშიც ნებისმიერი ადამიანი ნებაყოფლობით შეძლებს გაწევრიანებას და სასურველი დაგროვებითი სქემის არჩევას. 2022 წელს პარლამენტში დასამტკიცებლად შევიდა კანონპრექტი, რომელმაც საპენსიო სისტემის მესამე სვეტის ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს, რაც ნებაყოფლობით საპენსიო სქემების რეგულაციასა და განვითარებას გულისხმობს;

შესაბამისად, ის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საპენსიო სქემის მეორე საფეხურში შეძლებენ დანაზოგების დაგროვებას მინიმუმ 30 წლის განმავლობაში, უნდა შეძლონ საპენსიო ასაკში 50%-იანი ან მეტი ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღწევა. ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ საპენსიო სისტემამ რეალურად მიაღწია დასახულ მიზანს და მათი რეალური ბენეფიციარები ფინანსურ კეთილდღეობას მიაღწევენ.

არსებობს ჩანაცვლების კოეფიციენტის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდები, მაგალითად:

1. ერთი მეთოდი არის ყოველთვიური ისტორიული საშუალო შემოსავალის შეფარდება ყოველთვიურ პენსიასთან, რაც უფრო ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, თუმცა საქართველოში არსებულ გარემოში სწორედ ასეთი მეთოდი იქნება ყველაზე რელევანტური.

2. მეორე მეთოდი არის ბოლო რამოდენიმე, 5-10 წლის საშუალო შემოსავლის შეფარდება ყოველთვიურ პენსიასთან;
3. მესამე მეთოდია ბოლო წლის ყოველთვიური შემოსავლის შეფარდება ყოველთვიურ პენსიასთან.

მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღწევა ნიშნავს, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ არ უნდა გაუარესდეს პენსიონერის ცხოვრების დონე. შესაბამისად, ზემოთ აღწერილ სამივე მეთოდს აქვს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, უცხოეთში, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში უფრო გავრცელებულია მესამე მეთოდი, რადგან ასეთ ქვეყნებში ადამიანს, გამოცდილებასთან ერთად, ემატება შემოსავალიც და პენსიაზე გასვლის წინა წელს მიიჩნევა, რომ მისი ცხოვრების სამუშაო გამოცდილებამ და ცოდნამ მიაღწია მაქსიმუმს, შესაბამისად, ჩანაცვლების კოეფიციენტიც ითვლება ბოლო წლის შემოსავლებთან შეფარდებით, რაც ამ მაგალითისთვის საკმაოდ სამართლიანია.

ზოგიერთი ქვეყანა იყენებს მეორე მეთოდს, როდესაც პენსიაზე გასვლის წინა რამოდენიმე წლის საშუალო შემოსავლის გათვალისწინება ხდება. ასეთი მეთოდი გამორიცხავს ზოგიერთ შემთხვევას, როდესაც ადამიანს ბოლო წელს შეიძლება, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, არ ქონდეს ადეკვატური შემოსავალი მის რეალურ ცხოვრების დონესთან შედარებით, რამაც ჩანაცვლების კოეფიციენტიც არარელევანტური შეიძლება გახადოს. სწორედ ამიტომ ბოლო რამდენიმე წლის საშუალო შემოსავალის შეფარდება ყოველთვიურ პენსიასთან საკმაოდ ადეკვატური მაჩვენებელია.

ყველაზე ნაკლებად გავრცელებულად ითვლება პირველი მეთოდი, რომელიც ჩვენი ანალიზის შედეგად ყველაზე ადეკვატური იქნება საქართველოში ჩანაცვლების კოეფიციენტის დასათვლელად, რადგან საქართველოში ასაკის მატებასთან ერთად ადამიანების შემოსავალი არ იზრდება და პირიქით, ადამიანი რაც უფრო უახლოვდება საპენსიო ასაკს მისი შემოსავალი მით უფრო მცირდება {ეკონომიკის...,2016}. იხილეთ დიაგრამა 1.

დიაგრამა 1:



წყარო: {ეკონომიკის..., 2016}

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არსებული საპენსიო სისტემის მეორე სვეტი ითვალისწინებს ყოველთვიური ხელფასიდან 2%-ის დაზოგვას, რასაც ემატება დამსაქმებლის მიერ დარიცხული ხელფასის 2% და გარკვეულ შემთხვე-

ვებში სახელმწიფოს 2, 1 ან 0 პროცენტი მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში, მაშინ უსამართლო იქნება საპენსიო სისტემას მოეთხოვოს მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი, თუ მონაწილის შემოსავალი მხოლოდ ბოლო წელს იქნება მაღალი. ან პირიქით თუ მხოლოდ ბოლო წელს იქნება დაბალი, ჩაითვლება, რომ საპენსიო სისტემამ მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი მისცა, რადგან ბოლო წელს არსებული სტატისტიკიდან გამოდინარე, ადამიანთა უმრავლესობას ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ, ვიდრე მთელი განვლილი სამუშაო პერიოდის დროს, ვინაიდან იყო წლები, როდესაც ისინი მაღალი ხელფასიდან ზოგავდნენ, შესაბამისად მაღალი, ხელფასის 2%+2%+(2% ან 1% ან 0%)-ს.

ზემოთ აღწერილი მაგალითებიდან, სტატისტიკიდან და არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მაგალითზე ყველაზე რელევანტური იქნება ჩანაცვლების კოეფიციენტის დათვლა საპენსიო სქემაში გაწევრიანებიდან მის დატოვებამდე გამომუშავებული საშუალო ხელფასის შეფარდებით დაგროვებული საპენსიო დანაზოგის შესაბამისი წესით ყოველთვიურად გამომუშავებულ პენსიასთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩანაცვლების კოეფიციენტს გამოიანგარიშებს შემდეგნაირად: მაგალითად, თუ 2020 წელს საშუალო ხელფასი შეადგენდა 1,227 ლარს, ხოლო წლის დასაწყისისთვის სახელმწიფო პენსია 220 ლარი იყო (მხოლოდ პირველი სვეტი), შესაბამისად, ჩანაცვლების კოეფიციენტი 17.9 პროცენტს შეადგენდა [ფინანსთა სამინისტრო..., 2021]. თუმცა ინდივიდუალური ადამიანისათვის როგორ უნდა იქნას გამოთვლილი ჩანაცვლების კოეფიციენტი, აღნიშნული ინფომრაცია ვერცერთ ოფიციალურ დოკუმენტში ვერ მოიძებნა, წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

აკუმულირებული აქტივების მართვის პრობლემები და გარანტიები საპენსიო ფონდის ბენეფიარებისათვის

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ქართულ კაპიტალის ბაზარზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სიმცირე, შესაბამისად, ლიკვიდობისა და ვაჭრობის დაბალი დონე. საქართველოს მთლიანი კაპიტალის ბაზრის ჯამური კაპიტალიზაცია არის 2.3 მილიარდი ლარი {საფონდო ბირჟა...,2023} მაშინ, როდესაც საპენსიო აქტივების ჯამურმა მოცულობამ უკვე გადააჭარბა 3 მილიარდ ლარს.

რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული რისკები აკუმულირებული აქტივების მართვაში, თუმცა საჭიროა აღნიშნული რისკების ადეკვატური კლასიფიცირება, ინდეტიფიცირება, გაზომვა, შეფასება, მართვა და კონტროლი. საპენსიო ფონდის ბენეფიციარებისათვის, განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემაში, 100%-იანი გარანტიები ნაკლებად არის, რადგან საინვესტიციო საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. მაგალითად, საინვესტიციო რისკები მოიცავს: საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, სავალუტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს.

იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო რისკების შესამცირებლად უპირველესი მიდგომაა, რომ პორთველი იყოს დივერსიფიცირებული, თვით კანონიც განსაზღვრავს დივერსიფიკაციისთვის აქტივების კლასებს შორის მინიმალურ და მაქსიმალურ მოთხოვნებს. ცხრილი N3 გვიჩვენებს, თუ რომელი რეიტინგის აქტივების კლასების შეძენის შესაძლებლობას იძლევა დადგენილი რეგულაცია N258/04 {ეროვნული ბანკი…,2018}, რაც ამცირებს საკრედიტო რისკებს. ცხრილი N4 კი გვიჩვენებს კონცენტრაციის ლიმიტებს, რაც გულისხმობს, მაგალითად, ერთი კონკრეტული ემისიიდან, რა ნაწილის შეძენაა შესაძლებელი. ეს ყველაფერი მიმართულია

საინვესტიციო რისკების მაქსიმალურად შემცირებისთვის და დივერსიფიკაციისთ-ვის.

ცხრილი 3: სარეიტინგო ლიმიტები

აქტივების კლასი	**მინიმალური საკრ. რეიტინგი**	**რეგულაცია**
რეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი	არაუმეტეს ქვეყნის რეიტინგზე ორი საფეხურ ქვევით	რეგულაცია 258/04
არა-რეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	BBB-	რეგულაცია 258/04
ფულადი სახსრები და დეპოზიტები რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებში	B-	საინვესტიციო პოლიტიკა
ფულადი სახსრები და დეპოზიტები არა-რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებში	A-	რეგულაცია 258/04

წყარო: ეროვნული ბანკის რეგულაცია 258/04,

ცხრილი 4: კონცენტრაციის ლიმიტები

ლიმიტის დასახელება	**საზომი**	**მაქს. ლიმიტი**	**რეგულაცია**
ფასიანი ქაღალდების კონცენტრაციის ლიმიტი 1	(ინვესტიცია ერთი ემიტენტის ფასიანი ქაღალდებში)/(მთლიანი პორტფელი)	15%	კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ
ფასიანი ქაღალდების კონცენტრაციის ლიმიტი 2	(ინვესტიცია ერთი ემიტენტის ფასიანი ქაღალდებში)/(ემიტენტის მიერ ერთი ემისიით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები ცირკულაციაში)	10%	კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ
ფასიანი ქაღალდების კონცენტრაციის ლიმიტი 3	(ინვესტიცია ერთი ემიტენტის ფასიანი ქაღალდებში)/(ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები ცირკულაციაში)	20%	რეგულაცია 258/04
ღია საფონდო ინსტრუმენტების კონცენტრაციის ლიმიტი	(ინვესტიცია ღია საფონდო ინსტრუმენტში)/(მთლიანი პორტფელი)	40%	კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ
საბანკო კონცენტრაციის ლიმიტი	(ინვესტიცია ერთი ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატში და ვადიან დეპოზიტებზე)/(მთლიანი პორტფელი)	30%	საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი

წყარო: საქართველოს კანონი ,,დაგროვებითი პენსიის" შესახებ; რეგულაცია 258/04; საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი;

მინიმალურია იმის რისკი, რომ ასეთი სახით დივერსიფიცირებული საინვეს-ტიციო პორტფელი განულდეს/გაკოტრდეს საკრედიტო რისკის რეალიზებით, რაც, თავის მხრივ, გამოთვლადია 95%-იანი სიზუსტით (აღნიშნული გამოთვლა გაკე-თებულია გარკვეული დაშვებებით, რადგან ზუსტი ინფორმაცია არ არის იმის

შესახებ, თუ რომელ ქართულ ბანკებშია განთავსებული სადეპოზიტო სერთიფიკატები. დაშვება გულისხმობს იმას, რომ ქართული ბანკების შესაბამისი სარეიტინგო შეფასებებისა და კონცენტრაციის ლიმიტების დაცვით, თანხები პროპორციულად არის გადანაწილებული, ლიმიტების მაქსიმალურად ათვისებით).

საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ჩვენი გამოთვლებით, 2023 წლის 1 იანვრისთვის ,,CREDIT RISK VAR“ 5 წლიან ჰორიზონტზე წარმოადგენს 12%-ს, 95% სიზუსტით. ანუ 95%-იანი ალბათობით, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, 12% დანაკარგი შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო რისკის რეალიზებამ;

საინვესტიციო რისკის შემდეგ კატეგორიას წარმოადგენს **საბაზრო რისკი,** რასაც იწვევს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილება. საბაზრო რისკი, შესაძლოა, ასევე, შეძენილი წილობრივი ფასიანი ქაღალდების - Equity ღირებულების ცვლილებამ გამოიწვიოს.

მინიმალურია იმის რისკი, რომ ასეთი სახით დივერსიფიცირებული საინვესტიციო პორტფელი, საბაზრო რისკის რეალიზების შედეგად განულდეს/გაკოტრდეს ან იმ დონეზე შემცირდეს, რომ **ლიკვიდობის პრობლემა დადგეს,** რაც, თავის მხრივ, გამოთვლადია 95%-იანი სიზუსტით.

საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ჩვენი გამოთვლებით, 2023 წლის 1 იანვრისთვის ,,Market RISK VAR“ 5 წლიან ჰორიზონტზე წარმოადგენს 13%-ს, 95% სიზუსტით. ანუ 95%-იანი ალბათობით, ყველაზე ცუდ შემთხვევაში 13%-იანი დანაკარგი შესაძლოა, განიცადოს არსებულმა საინვესტიციო პორტფელმა საბაზრო რისკის რეალიზების შედეგად.

სავალუტო რისკს გარკვეულ დონეზე ისევ კანონი {კანონი...,2018} არეგულირებს. მაგალითად, თითოეული საინვესტიციო პორტფელისთვის განსაზღვრულია სავალუტო აქტივების ქონის ლიმიტები. მოცემული ცხრილი 5-დან ჩანს, რომ ნაკლებ რისკიან პორტფელში მაქსიმალური სავალუტო ინვესტიციის მოცულობა არის 20%, ასევე, საშუალო-რისკიან პორტფელში ჩანს, რომ სავალუტო ინვესტიციები არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს, ხოლო მაღალ რისკიან პორტფელში 60%-ს. აღნიშნული სახის ლიმიტებს და დივერსიფიკაციას აქვს ორმაგი მიზეზ შედეგობრივი კავშირი: თუ უცხოური ვალუტა ლართან მიმართებაში გაუფასურდება და ამით დაიწვეს უცხოურ ვალუტაში შეძენილი აქტივების ფასი, რადგან ნებისმიერი აქტივის ფასი დენომინირდება ლარში, მაშინ რეალიზებული იქნება სავალუტო რისკი, თუმცა მეორე მხრივ, ლარის გამყარება პირდაპირ პროპორციულად აისახება ლარის მსიყდველობითუნარიანობაზე, რაც საბოლოო ჯამში დანაზოგების რეალური ღირებულების მატებასთან არის კავშირში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სავალუტო რისკები საკმაოდ ზომიერად არის წარმოდგენილი საინვესტიციო პორტფელში, ხოლო სავალუტო რისკების რეალიზებამ ნაკლებად მოსადნელია, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საპენსიო დანაზოგებს მოკლე ანდა საშუალო საინვესტიციო ჰორიზონტში.

ცხრილი 5: აქტივების კლასების კონცენტრაციის ლიმიტები

პორტფელის ტიპი	**აქტივების კლასი**	**მინ. ლიმიტი**	**მაქს. ლიმიტი**
ნაკლებ-რისკიანი	ნაღდი ფული, დეპოზიტები, სადეპოზიტო სერთიფიკატები	0%	75%
ნაკლებ-რისკიანი	ფიქსირებული შემოსავლიანობის ფასიანი ქაღალდები	0%	100%
ნაკლებ-რისკიანი	აქციები	0%	20%
ნაკლებ-რისკიანი	უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდები	0%	20%
საშუალო-რისკი	ნაღდი ფული, დეპოზიტები, სადეპოზიტო სერთიფიკატები	0%	50%
საშუალო-რისკი	ფიქსირებული შემოსავლიანობის ფასიანი ქაღალდები	0%	75%
საშუალო-რისკი	აქციები	20%	40%
საშუალო-რისკი	უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდები	0%	40%
საშუალო-რისკი	სხვა აქტივები	0%	10%
მაღალი-რისკი	ნაღდი ფული, დეპოზიტები, სადეპოზიტო სერთიფიკატები	0%	25%
მაღალი-რისკი	ფიქსირებული შემოსავლიანობის ფასიანი ქაღალდები	0%	50%
მაღალი-რისკი	აქციები	40%	60%
მაღალი-რისკი	უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდები	0%	60%
საშუალო-რისკი	სხვა აქტივები	0%	10%

წყარო: საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ".

არასაინვესტიციო რისკების რეალიზება, რომელმაც მატერიალური ზიანი, გაკოტრება, ან მსგავსი გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიაყენოს საპენსიო დანაზოგებს და მის მონაწილეებს, პრაქტიკულად რთულად განსახორციელებელია, რადგან სახეზეა საქმიანობის 6 დონიანი კონტროლისა და მონიტორინგის სტრუქტურა, რაც მოიცავს როგორც სსიპ საპენსიო სააგენტოს შიგნით დაცვის სამ ხაზს:

საინვესტიციო საბჭოს დაქვემდებარებაში არსებული რისკის მართვა - პირველი ხაზი;

სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებული რისკების კონტროლის დეპარტამენტი - დაცვის მეორე ხაზი; შიდა აუდის სამსახური - დაცვის მესამე ხაზი; ასევე, სსიპ საპენსიო სააგენტოს გარეთ დამატებით სამი სახის კონტროლი, როგორიც არის: გარე აუდიტი - დაცვის მეოთხე ხაზი; სპეციალიზებული დეპოზიტარი - დაცვის მეხუთე ხაზი; საქართველოს ეროვნული ბანკი - დაცვის მეექვსე ხაზი;

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოების უმრავლესობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული საპენსიო სისტემისა და რეფორმის შესახებ. შესაბამისად, ინფორმირებულობის დაბალი დონის პირობებში, საპენსიო რეფორმისა და საპენსიო სისტემის მიმართ უნდობლობა არის საფუძველმოკლებული. საპენსიო რეფორმის რეალური შედეგი ხელშესახები იქნება 25-35 წლის შემდეგ, როდესაც სქემაში ჩართული მოსახლეობა თავის თავზე იგრძნობს მის სარგებელს.

გამოვლენილი პრობლემების მოგვარებისთვის კი აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება, როგორც საპენსიო სააგენტოსთვის, ასევე, სახელმწიფოსთვის და დაგროვებით სქემის მონაწილეებისთვის:

რეკომენდაცია N1: სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საპენსიო რეფორმისა და საპენსიო სქემის შესახებ მოზარდებისთვის დადებითი, ობიექტური ინფორმაციის და ცოდნის მიწოდება. ეს შეიძლება იყოს როგორც უცხოური წარმატებული მაგალითები, ასევე, საპენსიო სააგენტოს მიმდინარე მიღწევები. მოზარდებს სკოლიდანვე უნდა ესმოდეს ქვეყნის საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპები და მათი სარგებლიანობა. პარალელურად სახელმწიფომ უნდა განავითაროს საკანონმდებლო ბაზა. მაგალითად, მხოლოდ 2020 წლის ნოემბერში შეიქმნა კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, რომელიც დაარეგულირებს მათ საქმიანობას საქართველოში, რაც ძალიან კარგი გზავნილია საპენსიო დარგში და არა მარტო აქ ჩართული საერთაშორისო კორპორაციებისთვის. ასევე, 2022 წელს პარლამენტში შევიდა კანონის პროექტი კერძო საპენსიო ფონდების განვითარების შესახებ, რომლიც სამ საფეხურიან საპენსიო სისტემაში წარმოადგენს მესამე საფეხურს:

რეკომენდაცია N2: სსიპ საპენსიო სააგენტომ უნდა მოახდინოს წარმატებულად განხორციელებული პენსიის დანიშვნისა და გაცემის ფაქტების რეკლამირება და საკუთარი თავის პოზიციონირება, როგორც წარმატებული, სტაბილური და ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობისთვის უმნიშვნელოვანესი საფინანსო ინსტიტუტისა. მათ ხელი უნდა შეუწყონ მეცნიერულ კვლევებს, რომლებიც იქნება დაკავშირებული დარგის განვითარებასთან. ასევე, სასურველია კონფერენციების და საერთაშორისო სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მასპინძლობა. აუცილებელია მედიაში სისტემატიური გამოსვლები დადებითი გზავნილების აფიშირებით და საპენსიო ფონდის ინვესტიციების შესახებ მაქსიმალური გამჭირვალობის ქონა.

რეკომენდაცია N3: კერძო ორგანიზაციები, თვითდასაქმებულები და სქემის მონაწილეები უნდა გაეცნონ დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონს, სსიპ საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკას და ინსტრუქციებს, რომლის მიხედვითაც უნდა აღასრულონ თავიანთი ვალდებულება. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შეძლებს იმ პრინციპების გააზრებას და შეცნობას, რომელზეც დაფუძნებულია საპენსიო რეფორმა და სსიპ საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკა, დარწმუნდება, რომ „ანაბრების დაკარგვის" ისტორიის განმეორების შანსები არის მინიმალური და ეს რეფორმა მათი ღირსეული და ნათელი სიბერის წინაპირობაა.

რეკომენდაცია N4: აუცილებელია, საკანონდებლო დონეზე გაიწეროს მიზნობრივი ჩანაცვლების კოეფიციენტი და მისი გამოთვლის მეთოდი. ჩანაცვლების კოეფიციენტის სტატისტიკის წარმოება ლოგიკურად უნდა აწარმოოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა ბიურომ, ხოლო ჩანაცვლების მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევაზე უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი ორგანო, მაგალითად, ეკონომიკის

სამინისტრო. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს მოქალაქეების სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას და მათი საპენსიო ასაკში შემოსავლიანობის სწორად დაგეგმვას.

რეკომენდაცია N5: აუცილებელია, საკანონდებლო დონეზე გაიწეროს, როგორც მოკლევადიანი, ყოველწლიური, ასევე, საშუალო და გრძელვადიანი საინვესტიციო ჰორიზონტის, მაგალითად, 5 და 10 წლიანი, საინვესტიციო KPI-key Performance Indicators - ები, რისკის ლიმიტები და რისკით შეწონილი მომგებიანობის მაჩვენებლები, რაც ხელს შეუწყობს საპენსიო დანაზოგებზე პასუხისმგებელი პირების მიერ ნაჩვენები შედეგების უფრო გამჭირვალედ ჩვენებას და შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს საპენსიო რეფორმა, მარტი 2016;
2. ეროვნული ბანკი, ბრძანება №258/04, 2018;
3. საფონდო ბირჟის ვებ გვერდი - 2023: https://www.gse.ge/
4. საპენსიო სააგენტოს ვებ გვერდი, 2023: https://www.pensions.ge/
5. სტატისტიკის ეროვნული ბიუროს ვებ გვერდი, 2023: https://www.geostat.ge/ka
6. საპენსიო სააგენტო, ბრძანება N001, 2023;
7. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკა, 2021:
8. ფინანსთა სამინისტრო, პენსიების ინდექსირება, აპრილი 2021;
9. კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, 2018;
10. Economic Policy Committee, 2014. https://economic-policy-committee.europa.eu/sites/default/files/docs/pages/bulgaria_-country_fiche_on_pensions.pdf
11. Estonian Funded Pension Registry https://www.pensionikeskus.ee/en/ii-pillar/mandatory-funded-pension/
12. e-Citizens. https://gov.hr/en/pension-insurance-system/846
13. IOPS Country Profiles – BULGARIA, OECD Global Pension Statistic September 2018. https://www.iopsweb.org/resources/39624385.pdf
14. IOPS Country Profiles – ROMANIA, OECD Global Pension Statistic, 2018. https://www.iopsweb.org/resources/44874410.pdf
15. IOPS Country Profiles – HUNGARY, OECD Global Pension Statistic, 2019. https://www.iopsweb.org/resources/38669447.pdf
16. IOPS Country Profiles – UK: (https://www.oecd.org/els/public-pensions/PAG2019-country-profile-United-Kingdom.pdf);
17. Pension System in Romania. https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/romania.
18. Pension System in Germany. https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/germany
19. Pension system in Latvia https://www.manapensija.lv/en/pension-system/qa/)
20. Plan your retirement income https://www.gov.uk/plan-retirement-income/pensions-from-the-government
21. The Dutch pension system: highlights and characteristics, Federation of the Dutch Pension Funds. https://www.pensioenfederatie.nl/website/the-dutch-pension-system-highlights-and-characteristics
22. Wilke, Christina Benita. German Pension Reform: On Road Towards a Sustainable Multi-Pillar System. NED-New edition, Peter Lang AG, 2009. JSTOR, http://www.jstor.org/stable/j.ctv9hj6rz. Accessed 5 Apr. 2023.
23. 1ST PENSION PILLAR. https://www.manapensija.lv/en/1st-pension-pillar/.

Avtandil Liluashvili
PHD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

RESEARCH ON THE AWARENESS OF THE POPULATION ABOUT THE PENSION SYSTEM AND CUMULATIVE PENSION, IDENTIFICATION AND ASSESSMENT OF REAL RISKS

Expanded Summary

The goal of the research is to assess the level of public awareness regarding the pension system and cumulative pension schemes, identify and assess real risks, and evaluate the development of pension schemes and funds in Georgia. Five main problems and risks have been identified related to the development of pension schemes and funds in Georgia:

1. Lack of sufficient Legal framework;
2. Foreign investment and pension fund deficits;
3. Lack of financial instruments and regulations in the Georgian Capital Market;
4. Negative history and experience from the 90s;
5. Low level of public awareness about the pension system.

The literature and materials used in the study represent the analysis and comparison of the Georgian pension reform and systems to the best foreign practices. The comparison included studying materials such as legal frameworks, instructions, policies, processes, and procedures. One of the main focuses of the study was on the Pension Agency of Georgia, which is a legal entity of public law responsible for the administration of the cumulative pension scheme and investment of pension assets in accordance with regulations.

The primary focus of the research was to conduct a population survey to determine the underlying reasons for the prevalent pessimism among the Georgian citizens towards the pension reform. To achieve this objective, an exploratory study was conducted. The results of this study were used to assess the validity of the pessimistic approach taken by the population towards pension reform and to identify the key obstacles hindering the development of pension funds. The final phase of the research involved analyzing the role and responsibility of the government in this field.

To sum up the research, we can conclude that the majority of the public is not properly informed about the pension system and the reform in Georgia. Consequently, in the conditions of low level of awareness, mistrust towards the pension reform and the pension system is unjustified. The real benefit from the pension reform will be tangible after 25-35 years, when the population involved in the scheme will feel its real value.

In order to solve the identified problems, it is necessary to take into account the following recommendations, both for the Pension Agency, as well as for the Government and for the participants of the cumulative pension scheme:

Recommendation N1: The Government should provide positive, objective information and knowledge about the pension reform and the pension scheme to young people in the educational institutions. These can be both foreign successful examples and current achievements of the Pension Agency. Youth should understand the basic principles of the country's pension system and its benefits. At the same time, the Government should develop the legal framework to create better legal environment for the international corporations involved in the pension industry.

Recommendation N2: The State Pension Agency should advertise successful pension appointments and issuances and position itself as a stable and important financial institution contributing to the reconstruction of the country's economy. The Agency should promote scientific research related to the development of the field and organize international conferences and workshops. Additionally, it is important to make systematic appearances in the media with positive messaging and maximum transparency about pension fund investments.

Recommendation N3: Government and non-governmental organizations, self-employed individuals, and other participants of the pension scheme should be familiar with the pension law, the investment policy of the State Pension Agency, and instructions that they should follow to fulfill their obligations. Any person who can acquire knowledge on which pension reform and the investment policy of the State Pension Agency are based will be ensured that the chances of "losing savings" are minimal and to be the part of pension system is the opportunity to have adequate standard of living at retirement age.

Recommendation N4: It is necessary to be determined the target replacement ratio and the method of its calculation at the legislative level. Reckoning replacement rate statistics should logically be carried out by the National Statistics Office of Georgia, and the body responsible for achieving the target replacement rate should be determined, for example, the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. The mentioned changes will contribute to the formation of the right expectations of the citizens and the correct planning of their income at retirement age.

Recommendation N5: Short- medium- and long-term investment KPI - Key Performance Indicators should be determined, risk limits and indicators of risk-bearing capacity, which will provide a more comprehensive view and assessment of the results presented by the Pension Agency to its beneficiaries.

ლელა ირემაძე
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქართველი „HR პროფესიონალების" თვითშეფასება და მათი გამოწვევები პროფესიულ საქმიანობაში

ანოტაცია. *კომპანიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური რესურსის სწორად შერჩევა და შერჩეულთა ერთ გუნდად ჩამოყალიბება. აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით პროფესიონალებმა იმუშაონ. ქართველ დამსაქმებლებს უჭირთ HR-ებისათვის სრული ნდობის გამოცხადება და ხშირ შემთხვევაში არ აძლევენ სრულ თავისუფლებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასეთ გარემოებაში მიღებული გადაწყვეტილებები კი ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალი გუნდის შერჩევასა და მაღალი დონის ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია ამ სფეროში მიმდინარე აქტუალური გამოწვევები.*

საკვანძო სიტყვები: *„HR პროფესიონალები", ადამიანური რესურსის მართვა, ადამიანური კაპიტალი, ორგანიზაციული კულტურა, შრომის კოდექსი.*

შესავალი

საქართველოში კომპანიის ხელმძღვანელობის რომელიმე წარმომადგენელს თუ ჰკითხავთ რა არის HR-ის მთავარი როლი კომპანიაში, დიდია ალბათობა გიპასუხოს, რომ HR-ის ძირითადი როლი არის თანამშრომელთა შერჩევა/აყვანა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება. ხელმძღვანელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ კომპანიის მიერ მიღწეული შედეგები უფრო მათი შედეგია, ვიდრე HR მენეჯერის. ასეთი დამოკიდებულება დამსაქმებლის მხრიდან საქართველოში მიმდინარედ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

HR სფეროს წარმომადგენელთათვის დიდ გამოწვევად რჩება მათი როლის არასათანადო დაფასება კომპანიაში, დაწესებული შეზღუდვები, ფუნქცია-მოვალეობების არასრული დელეგირება, არასათანადო რესურსის მიწოდება. ამის პარალელურად კი ისეთი საპასუხისმგებლო საკითხების ჩაბარება, როგორიცაა: თანამშრომელთა შერჩევა/აყვანა, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაზე, ასევე ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება და გაძლიერება, ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია, ადამიანური კაპიტალის დაგეგმვა და შენარჩუნება, დასაქმების ბაზარზე პოზიტიური პოზიციონირება და სხვა.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენლებს მრავალი პრობლემა უშლით ხელს სხვადასხვა ფუნქციების შესრულებაში. ნაშრომის საკვლევი შეკითხვაც შემდეგია: როგორ აფასებენ საკუთარ როლს HR სფეროს წარმომადგენლები, რას მიიჩნევენ მიმდინარედ მთავარ გამოწვევად და როგორ შეიძლება გადავჭრათ ეს გამოწვევები?

კვლევის მეთოდოლოგია. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩავატარეთ კვლევა, კვლევისთვის მივმართეთ რამდენიმე კომპანიის HR დეპარტამენტს და ასევე, გამოვიყენეთ სოციალურ ქსელში არსებული გვერდი - [14]„HR Professionals".

[14] HR Professionals - სოციალური ინტერნეტ-სივრცე, სადაც გაერთანებული 2500-ზე მეტი HR სფეროს წარმომადგენელი

კვლევა მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: პირველი გახლდათ კითხვარის შემუშავება და ჩამოყალიბება; მეორე - კითხვარის გავრცელება HR სფეროს წარმომადგენლებში და პასუხების მიღება გამოკითხვის ჩატარების მეთოდით; შემდეგ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, შედარებისა და შეჯამების ეტაპი იყო; ბოლოს კი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება. რადგან კვლევა ორიენტირებული იყო კონკრეტული შედეგების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენაზე, მახასიათებელ თვისებათა ანალიზისთვის კვლევის ჩატარების მიზნით გამოვიყენეთ თვისებრივი მონაცემების შეგროვების მეთოდი, პირველადი მონაცემების საფუძველზე. კვლევის ამ მონაცემთა ანალიზისთვის ავირჩიეთ ინდუქციური ანალიზის მეთოდი. თვისებრივი მონაცემების დამუშავებისას, ინდუქციური ანალიზის საფუძველზე მოვახდინეთ მონაცემთა აღწერა, გამოკვლევა, ტენდენციათა გამოვლენა, მიზეზ-შედეგობრივი ფაქტების ახსნა და გამოვლენა. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თემატური ანალიზისა და დისკუსიის ანალიზის მეთოდები: თემატური ანალიზის მეთოდი მიზეზ-შედეგობრიობის, კანონზომიერებების დასადგენად, სტანდარტების გამოვლენის მიზნით, ხოლო დისკუსიის ანალიზის მეთოდი კი HR სფეროს ქართველ წარმომადგენელთა ჯგუფში ღირებულებების პრიორიტეტულობის ჩამოყალიბებისას მიმდინარე პროცესების ასახსნელად.

ორიგინალობა/სამეცნიერო სიახლე. კვლევის შედეგად თვალსაჩინო გახდა საქართველოში HR-ების რეალური როლი კომპანიაში, HR სფეროში არსებული პრობლემები და ასევე უშუალოდ ქართველი HR-ების შეხედულებით ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

პრაქტიკული ღირებულება. კვლევა გამიზნულია ადამიანური რესურსების მართვის სფეროსთან დაკავშირებული ყველა წარმომადგენელისათვის, HR-ებისთვის, მმართველი ორგანოებისთვის. ასევე ღირებულია სხვა მკვლევარებისათვის, რადგან შემოთავაზებული შედეგები პირველადი მონაცემების ანალიზის საფუძველზეა მოწოდებული, რომლის წყაროც უშუალოდ HR სფეროს წარმომადგენლები არიან. მიმდინარე გამოწვევები, რომლებიც აღწერილია ნაშრომში, უთუოდ აქტუალურია და სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. სხვა შემთხვევაში საქართველოში მალე კიდევ უფრო ბევრი კომპანია აღმოჩნდება სამუშაო ძალის გარეშე, პარალელურად კი უფრო ბევრი ქართველი სამუშაო ადგილის გარეშე.

ძირითადი ტექსტი. საქართველოში ბოლო ათწლეულია რაც პროფესია "HR" გამოყენებადი და ადრინდელთან შედარებით აქტუალური გახდა. ბევრ საშუალო სიდიდის კომპანიას HR დეპარტამენტის ფუნქცია ჯერ კიდევ ბუღალტერიისთვის/ფინანსური დეპარტამენტისთვის აქვს შეთავსებული. თუ დავფიქრდებით, ეს არ არის სწორი. ზოგადად, ორგანიზაციაში არსებული ყველა პოზიცია მნიშვნელოვანია, სხვა შემთხვევაში იგი არ იარსებებდა და შესაბამისად, ყველა პოზიცია გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე, ზოგი პირდაპირ, ზოგიც ირიბად. HR გუნდის გავლენა საბოლოო შედეგზე ირიბია, რადგან იგი უშუალოდ არ არის ჩართული მომსახურების გაწევასა თუ მომხმარებელთან ურთიერთობაში, არც ფინანსების მართვაში იღებს მონაწილეობას და არც იურიდიული საკითხების უზრუნველყოფაში, თუმცა მასზეა დამოკიდებული, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმის შემსრულებელი იყოს კომპეტენტური და პროფესიონალი თავის საქმის.

იმისათვის, რომ HR იყოს წარმატებული და მაღალ დონეზე შეასრულოს თავისი საქმე, უპირველესად თვითონ უნდა შეძლოს საკუთარი როლის სწორად შეფასება კომპანიაში. HR-მა უნდა მოიპოვოს როგორც დამსაქმებლის, ასევე

დასაქმებულთა ნდობა და დამოუკიდებლობა თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას.

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მიმდინარედ არსებული გამოწვევების ზუსტი იდენტიფიცირებისათვის ჩავატარეთ კვლევა. კვლევისას ორიენტაცია გავაკეთეთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის HR-ების მიერ აღქმული საკუთარი როლი კომპანიაში, რამდენად თავისუფალნი და გულწრფელნი არიან ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას და რას აღიქვამენ HR სფეროში მიმდინარედ ყველაზე დიდ გამოწვევად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო HR სფეროს ფაქტობრივად ყველა პოზიციის წარმომადგენელმა: დაახლოებით 1/3 გახლავთ HR მენეჯერი, 1/3-იც HR დეპარტამენტის ხელმძღვანელი/დირექტორი, ასევე გამოკითხულთა შორის არიან HR სპეციალისტები, HR Generalist-ები, HR ბიზნეს პარტნიორები, შერჩევის მენეჯერები/რეკრუტერები, HR ოპერაციების სამსახურის უფროსები, სწავლებისა და მიმართულების განვითარების ხელმძღვანელები.

პირველი კითხვა, რომელიც HR-ებს დავუსვით, არის ის, თუ რამდენად ეამაყებათ თავიანთი დამსაქმებელი კომპანიის გუნდის წევრობა. გამოკითხულთა 65,7%-მა აღნიშნა, რომ ამაყია თავისი გუნდის წევრობით, 26,5% ნაწილობრივ არის ამაყი, ხოლო 7,8%-ს არ ეამაყება თავისი გუნდის წევრობით.

სასიამოვნო ფაქტია, რომ უმრავლესობა ამაყია იმ კომპანიის გუნდით, სადაც არის დასაქმებული. თუმცა თუ გავაერთიანებთ მათ, ვისაც ნაწილობრივ ეამაყება, ან საერთოდ არ ეამაყება საკუთარი გუნდის წევრობა, მივიღებთ გამოკითხულთა დაახლოებით 1/3-ს, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთაგან ყოველი მესამე არ გრძნობს თავს კომფორტულად სამსახურში, სადაც კვირის განმავლობაში მინიმუმ 40 საათს ატარებს.

მეორე კითხვა, რომლითაც რესპოდენტებს მივმართეთ, ეხებოდა მათ როლს კომპანიაში. ვკითხეთ, თუ რამდენად მიიჩნევენ, რომ მათი როლი კომპანიის საბოლოო შედეგების განმსაზღვრელია? ამ კითხვაზე გამოკითხულთა 50%-მა გვიპასუხა დადებითად. დაახლოებით 43%-მა გვიპასუხა, რომ ნაწილობრივ მიიჩნევს საკუთარ როლს კომპანიის საბოლოო შედეგების განმსაზღვრელად. 7% კი ფიქრობს, რომ კომპანიის საბოლოო შედეგებზე თავისი როლი არანაირ გავლენას ახდენს.

კომპანიის საბოლოო შედეგს განსაზღვრავს კომპანიაში დასაქმებული თითოეული დასაქმებული, მიუხედავად პოზიციისა, სხვა შემთხვევაში მისი საჭიროება კომპანიაში არ იქნებოდა. HR-ების მნიშვნელობა კი განსაკუთრებით დიდია და ისინი მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორზე არიან პასუხისმგებელნი. ძალიან სამწუხაროა, როდესაც HR-თა თითქმის ნახევარს ამის შეგრძნების ფუფუნება ნაწილობრივ აქვს, ზოგი HR კი საერთოდაც ვერ გრძნობს თავის მნიშვნელობას კომპანიაში.

შემდეგი კითხვა ემსახურებოდა იმ რეალობის დადგენას, თუ რამდენად თავისუფალი არიან HR-ები მოვალეობის შესრულების დროს გადაწყვეტილებების მიღებისას. როგორც რესპოდენტებმა გვიპასუხეს, დაახლოებით ნახევარი ნაწილობრივ გრძნობს თავისუფლებას, 36,3% სრულად, დაახლოებით 10% კი ფიქრობს, რომ სრულად არის შეზღუდული ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს.

ხელმძღვანელები ზოგ შემთხვევაში უნდობლობას უცხადებენ HR დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ხშირად ერევიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ ითვალისწინებენ, რომ არსებობს სტანდარტები, რომელთა დაცვაც აუცილებე-

ლია კომპანიისთვის სასურველი შედეგების მისაღებად. ეს ფაქტორი არსებითად უშლის ხელს HR-ებს პროცესების ხარისხიან მართვაში. საბოლოოდ კი, ხელმძღვანელები აღნიშნული ქმედებით ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონეს აფერხებენ.

შემდეგი კითხვით, რომელიც რესპოდენტებს დავუსვით, შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად ეთანხმებიან ისინი საკუთარი სამუშაოს აღწერილობას და რამდენად მიიჩნევენ, რომ დამსაქმებლებისაგან მათი პოზიციისთვის რელევანტურ დავალებებს იღებენ. ამ კითხვას საკმაოდ დიდმა ნაწილმა - 62,7%-მა უპასუხა, რომ ეთანხმება საკუთარ სამუშაო აღწერილობას, 27,5% ნაწილობრივ ეთანხმება, დაახლოებით 10% კი არ ეთანხმება და ფიქრობს, რომ დამსაქმებლისაგან თავისი პოზიციისთვის შეუსაბამო დავალებებს იღებს.

ამ შედეგით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამსაქმებელი ორგანიზაციების უმრავლესობას მართებულად აქვს განსაზღვრული HR-ებისთვის ფუნქცია-მოვალეობები, რაც სასიამოვნო შედეგია.

ასევე მნიშვნელოვანი კითხვა, რომლითაც მივმართეთ რესპოდენტებს, ეხებოდა ანაზღაურებას. ვკითხეთ HR-ებს, თუ რამდენად არიან კმაყოფილი სახელფასო ანაზღაურებით:

პასუხები თითქმის თანაბრად გადანაწილდა, დაახლოებით 1/3 კმაყოფილია, თითქმის იმდენივე არ არის კმაყოფილი, ხოლო 40,2% ნაწილობრივ არის კმაყოფილი ანაზღაურებით.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანები ვმუშაობთ იმისთვის, რომ მივიღოთ ანაზღაურება და გვქონდეს შემოსავლის წყარო, სწორედ ეს არის მთავარი მოტივატორი. თანამშრომლისგან ვერ მიიღებ ხარისხიან შედეგს, თუ მისი მთავარი მოტივაცია არ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად, ცუდი შედეგია, როდესაც დასაქმებულთა 1/3 ნაწილობრივ არის კმაყოფილი ანაზღაურებით და ასევე ცუდი შედეგია, როცა 1/3 ფიქრობს, რომ მისი ანაზღაურება მისთვის დაკისრებული მოვალეობის რელევანტური არ არის.

შემდეგი კითხვით გვინდოდა გაგვეგო, შეიცვლიდნენ თუ არა სამსახურს რესპოდენტები მომდევნო 2 წლის ვადაში. მიღებული შედეგი წინა კითხვაზე მიღებული შედეგების შესაბამისია:

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი შეიცვლიდა სამსახურს უახლოესი 2 წლის განმავლობაში, 20,6% ნაწილობრივ ფიქრობს სამსახურის შეცვლაზე, 27,5% კი არ ფიქრობს აღნიშნულ ცვლილებაზე.

მიღებული შედეგი ნიშნავს, რომ გამოკითხულ HR-თა ნახევარი არ არის სტაბილური თანამშრომელი. მათზე დაყრდნობით დამსაქმებლები ვერ შეიმუშავებენ განვითარების გრძელვადიან გეგმას. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონეზეც.

„მუდამ გულწრფელი ხართ თანამშრომლებთან ურთიერთობისას და მათთვის სამუშაო პირობების შეთავაზებისას/რჩევის მიცემისას?“ - ეს იყო შემდეგი კითხვა, რომელიც ჩვენს HR რესპოდენტებს დავუსვით. თითქმის 70%-მა გვიპასუხა, რომ მუდამ გულწრფელია, 27,5% ნაწილობრივ არის გულწრფელი, თითქმის 3%-მა კი აღნიშნა, რომ არ არის გულწრფელი.

ზოგ შემთხვევაში HR-ებს უწევთ არსებული პირობების სხვაგვარად აღწერა, ვიდრე ის რეალურად არის. ყოველთვის არ აქვთ ფუფუნება იყვნენ გულწრფელნი თანამშრომლების წინაშე. რესპოდენტების 70%-ის აბსოლიტური გულწრფელობა

დადებითი შედეგია და სასიკეთოდ მოქმედებს ორგანიზაციული კულტურის შეფასებაზე.

ასევე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ HR-თა პრიორიტეტის გამოვლენა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ამ მიზნით მათ ვკითხეთ, თუ ვის სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებას არჩევანის გაკეთების აუცილებლობისას: ორგანიზაციის თუ თანამშრომლის?

დაახლოებით ¼-მა გვიპასუხა, რომ გადაწყვეტილებას თანამშრომელთა სასარგებლოდ იღებს, ასევე ¼ -მა გვიპასუხა, რომ ორგანიზაციის ინტერესების სასარგებლოდ. ხოლო დარჩენილმა ნაწილმა, ანუ გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა თქვა, რომ გააჩნია კონკრეტულ მდგომარეობას. სიტუაციის შესაბამისად, ცდილობს იყოს სამართლიანი, არ დააზარალოს არცერთი მხარე და შესაბამისად, დაიცვას ორივე მხარის ინტერესები.

ჩვენთვის საინტერესოა თუ როგორ აფასებენ უშუალოდ HR სფეროს წარმომადგენლები საქართველოში ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონეს, რადგან ძირითად სწორედ მათ ქმედებებია განმსაზღვრელი აღნიშნული მიმართულებით. ამიტომ აღნიშნული კითხვით რესპოდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონე 10 ბალიანი სკალის მიხედვით. რესპოდენტებმა ძირითად 5 ქულით შეაფასეს საქართველოში ორგანიზაციული კულტურა (27,5%), დაახლოებით 36%-მა შეაფასა 6-7 ქულით, ხოლო 29%-მა 3-4 ქულით.

შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი HR-ები, რომლებიც თავად არიან ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ნაწილი, საშუალოდ, 5 ქულით აფასებენ საქართველოში ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონეს.

ბოლოს კი HR-ებს ვთხოვეთ, თავიანთი შეხედულებისამებრ, დაესახელებინათ HR სფეროში მიმდინარედ ყველაზე აქტუალური და მწვავე საკითხები. ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა;
- თანამშრომელთა შერჩევასთან დაკავშირებული სირთულეები. ძალიან ჭირს პოზიციის შესაბამისი კადრების მოძიება, რელევანტური ანაზღაურებით. ხშირ შემთხვევაში, კანდიდატის თვითშეფასება და მისი უნარ-ჩვევები არ შეესაბამება ერთმანეთს;
- პანდემიამ ხელი შეუწყო თანამშრომლების და კანდიდატების “გაზარმაცებას”;
- დამსაქმებლისა და კანდიდატების მოლოდინების დიდი აცდენა ერთმანეთთან;
- დამსაქმებლის აბსურდული მოთხოვნები დასაქმებულთან/კანდიდატებთან მიმართებაში;
- პოზიციისთვის არა რელევანტური მოვალეობები და ანაზღაურება;
- კომპანიის მიერ თანხების დაზოგვა თანამშრომლის განვითარებასა და მოტივაციის ამაღლების მიმართულებით;
- მენეჯმენტს მიდგომა “თუ არ მოგწონს, შეგიძლია წახვიდე” - არასწორია და ლახავს როგორც კომპანიის რეპუტაციას, ასევე დემოტივირებულს ტოვებს გაშვებულ და არსებულ თანამშრომლებს;
- უმუშევრობის მაღალი დონე და პარალელურად მუდმივად ღია ვაკანსიები;

- სამუშაო ძალის მასიური გადინება საზღვარგარეთ;
- შრომის კოდექსის დახვეწა;
- სახელმწიფო ნაკლებად იცავს დაქირავებულ თანამშრომლებს;
- ორგანიზაციული კულტურის არ არსებობა;
- შეფასების სისტემების ადეკვატურობა და სამართლიანობა;
- მოტივაციის სახეობების სიმცირე;
- work-life Balance, კორპორატიული კულტურის არარსებობა, კაბალური ხელშეკრულებების პირობები;
- HR როლის ბოლომდე ვერ გააზრება ტოპ მენეჯერების მხრიდან;
- დამსაქმებლები HR სფეროში დასაქმებული თანამშრომლებისგან მოითხოვენ ცალსახად კომპანიის მხარის დაჭერას;
- ავტონომიის ნაკლებობა ზოგადად დეპარტამენტში. "HR" - ნაკლებად აღიქმება, როგორც სერიოზული პროფესია და სამწუხაროდ დოკუმენტაციის დონეზეა დასული.

დასკვნა

როგორც HR-ებმა გაგვიზიარეს, მიმდინარედ HR სფეროში ყველაზე დიდ გამოწვევად სახელდება შერჩევის პროცესში არსებული სირთულეები, ორგანიზაციული კულტურის განვითარების დაბალი დონე, HR-ის როლის ბოლომდე ვერ გააზრება და დაუფასებლობა დამსაქმებლების მხრიდან, სამუშაო ძალის გადინება, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მზაობა დასაქმებულთა დაცვის მიზნით.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი რეალურად ასახავს საქართველოში არსებულ კომპანიებში ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონეს. ნათლად არის ჩამოთვლილი ის ასპექტები, რაც აფერხებს დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის ჰარმონიულ თანამშრომლობას. HR სფეროს წარმომდგენლები თვითონ ასახელებენ ძირითად გამოწვევებს, რა მიმართულებითაც უნდა იმუშაონ დამსაქმებლებმა, დასაქმებულებმა, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომ შექმნან მაღალი დონის ორგანიზაციული კულტურა, რომელიც იქნება მყარი, კონკურენტუნარიანი და შეინარჩუნებს თანამშრომლებს გრძელვადიანი პერსპექტივით.

კონკრეტულ სფეროში არსებული რეალური პრობლემების დასახელება და მათი გადაჭრის გზების მოძიება ყველაზე უკეთ უშუალოდ იმავე სფეროში დასაქმებულებს შეუძლიათ. შესაბამისად, ქართველი HR-ების მიერ აღნიშნული პრობლემათა გადაჭრის საშუალებების ანალიზის საფუძველზე გიზიარებთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- ✓ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შრომითი ინსტრუმენტის კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ მეტად უნდა დაიხვეწოს სამუშაო აღწერილობები;
- ✓ უნდა გატარდეს ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ კომპანიებში ორგანიზაციული კულტურის განვითარების დონის ამაღლებას;
- ✓ დამსაქმებლებმა მეტი ნდობა უნდა გამოუცხადონ HR-ებს და სრულად უნდა მოახდინონ უფლება-მოვალეობათა დელეგირება;
- ✓ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა დაიხვეწოს შრომის კოდექსი ისე, რომ შეძლოს ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა გარკვეულ დონეზე მაინც.

მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლოა სრულად ვერა, თუმცა მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი ადამიანური რესურსების მართვის სფეროში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Allan A. Kennedy; Terrence E. Deal. (2000). *Corporate Cultures.* USA: Basic Books.
2. Insource. (n.d.). *რა უნდა იცოდეს CEO-მ ადამიანური რესურსის მართვაში.* თბილისი.
3. Jiří Bejtkovský, Narcis Copca. (2020, March). The Employer Branding Creation and HR Marketing in Selected Healthcare Service Providers. *Management & Marketing*, 95 - 108.
4. Karnica Tanwar, Asha Prasad. (2016, 22 May). Exploring the Relationship between Employer Branding and Employee Retention. *Global Business Review*, Volume 17, Issue 3_suppl.
5. Yokoyama, M. H. (January–March 2016). How social network sites (SNS) have changed the employer–employee relationship and what are the next challenges for human resource (HR)? *REGE - Revista de Gestão*, Volume 23, Issue 1, Pages 2-9.
6. საღირაშვილი, მ. (2016). კორპორაციული კულტურა და საზოგადოება.
7. ტიელიძე, შ. (2018). ადამიანისეული რესურსები სტრატეგიული მართვის სრულყოფა -ბიზნეს-კომპანების ეფექტიანობის ფაქტორი.

Lela Iremadze
Caucasus International University, PhD Student

SELF-EVALUATION OF GEORGIAN "HR PROFESSIONALS" AND THEIR CHALLENGES IN PROFESSIONAL ACTIVITY

Expanded Summary

If you ask any representative of the company's management in Georgia, what is the main role of HR in the company, there is a high probability that they will answer that the main role of HR is the selection/recruitment of employees and the signing of labor contracts. Almost the overwhelming majority of managers think that the results and success achieved by the company are more due to them than to the HR manager. Such an attitude on the part of the employer is currently an actual problem in Georgia.

A big challenge for HR personnel is the inappropriate appreciation of their role in the company, imposed restrictions, incomplete delegation of functions and duties, provision of inappropriate resources. At the same time, they are responsible for such important issues such as: selection/recruitment of employees, signing of the labor contract, as well as formation and strengthening of organizational culture, integration of new employees, planning and maintenance of human capital, positive positioning in the employment market, and others.

Based on the reality in Georgia, many problems prevent the representatives of the field of human resources management from performing various functions. The main question of the paper is the following: how do Human resources (HR) representatives evaluate their own role, what do they consider to be the main current challenges and how can we solve these challenges?

Research methodology. To answer this question, we conducted a study. For research, we applied to the HR departments of several companies and also used the page on the social network - "HR Professionals"[1]. When processing the qualitative data of the

research, based on the inductive analysis, we described and investigated the data, revealed trends, explained and revealed the cause-and-effect facts. In the research process, we used thematic analysis and discussion analysis methods: The method of thematic analysis is used to determine cause and effect, regularities, and to identify standards, and the method of discussion analysis is used to explain the current processes in the formation of priority of values in the group of Georgian representatives of the HR field.

As a result of the research, the real role of HR in the company in Georgia, the problems in the field of HR, and the ways to solve these problems directly from the point of view of Georgian HR became visible.

As the HR representatives shared with us, the biggest challenges in the HR field are the difficulties in the selection process, the low level of organizational culture development, the lack of understanding and underestimation of the role of HR on the part of employers, the outflow of labor force, and the inadequate readiness of the state to protect employees.

All of the above actually reflects the level of organizational culture development in companies in Georgia. The aspects that hinder harmonious cooperation between employees and employers are clearly listed. HR Representatives themselves identify the main challenges in which direction employers, employees, and government representatives should work to create a high-level organizational culture that will be solid, competitive and retain employees in the long term.

ჟურნალი **“ეკონომისტი”**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal **“Ekonomisti”**

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ქაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze